ГРАМОТЫ

и

ДРУГІЕ ИСТОРИЧЕСКІЕ ДОКУМЕНТЫ,

относящіеся

ДО ГРУЗІИ.


Томъ II. Выпускъ I.

ГРУЗИНСКІЕ ТЕКСТЫ

съ 1768 по 1801 годъ.

Подъ редакціей А. А. Цагарели,

Ординарнаго Профессора ИМПЕРАТОРСКАГО С.-Петербургскаго Университета.



САНКТПЕТЕРБУРГЪ.
ТИПОГРАФІЯ ИМПЕРАТОРСКОЙ АКАДЕМІИ НАУКЪ.
(Вас. Остр., 9 лин., № 12).
1898.

Изданіе Высочайше учрежденной Коммиссіи печатанія Государственныхъ Грамотъ и Договоровъ, состоящей при Московскомъ Главномъ Архивѣ Министерства Иностранныхъ Дѣлъ.

ПРЕДИСЛОВІЕ.

Второй томъ настоящаго изданія приходится, къ великому нашему прискорбію, начать синодикомъ лицъ, оказавшихъ покровительство и содѣйствіе его осуществленію.

Изданіе это возникло при нынѣ уже въ Бозѣ почивающемъ Императорѣ Александрѣ III, въ царствованіе котораго русская историческая наука и архивовѣдѣніе получили такое широкое развитіе.

Первый томъ настоящаго изданія былъ поднесенъ мною лично покойному Государю. Принявъ его благосклонно, Государь изволилъ подробно распрашивать меня о составѣ и значеніи его какъ историческаго матеріала. При этомъ я имѣлъ счастливый случай убѣдиться насколько покойный Императоръ, по широтѣ пониманія задачъ Исторіи и исторической правды, стоялъ выше многихъ изъ тѣхъ, которые мнятъ себя присяжными историками.

Когда-же была представлена докладная записка отъ Министерства Иностранныхъ Дѣлъ объ изданіи II-го тома этихъ документовъ, покойному Государю угодно было Собственноручно начертать на ней „*хорошо*“.

Такъ-же сочувственно относились къ этому изданію покойные министры Иностранныхъ Дѣлъ Н. К. Гирсъ, кн. А. Б. Лобановъ-Ростовскій и управлявшій этимъ министерствомъ, нынѣ здравствующій членъ Государственнаго Совѣта Н. П. Шиш-

кинъ. О покойномъ-же директорѣ Моск. Архива Мин. Ин. Дѣлъ баронѣ Ѳ. А. Бюлерѣ, при изданіи II-го тома, остается мнѣ повторить еще съ большимъ основаніемъ то, что я о немъ сказалъ въ предисловіи I-го тома, стр. XXXII, а именно, что издаваемые нынѣ документы „вѣроятно еще нескоро-бы увидѣли свѣтъ, если бы въ многоуважаемомъ директорѣ упомянутаго Архива бар. Бюлерѣ я не встрѣтилъ живѣйшаго сочувствія и дѣятельной поддержки къ приведенію въ исполненіе этого предпріятія".

Второй томъ Грамотъ и другихъ историческихъ документовъ, относящихся до Грузіи, будетъ состоять изъ двухъ выпусковъ, содержащихъ въ себѣ документы на грузинскомъ и русскомъ языкахъ. О содержаніи всего II-го тома будетъ рѣчь подробно въ русскомъ (II) выпускѣ, здѣсь-же я ограничусь не многими словами относительно грузинскихъ документовъ, вошедшихъ въ настоящій выпускъ за время съ 1768 по 1801 годъ.

Наибольшая часть этихъ документовъ приходится на царствованіе царя Карталинскаго и Кахетинскаго Ираклія II, столѣтняя годовщина смерти котораго исполнилась 11 января текущаго года. Не много найдется историческихъ первоисточниковъ, которые-бы проливали столь обильный свѣтъ на судьбы Грузіи и на жизнь и дѣятельность этого замѣчательнаго царя за послѣдніе 30 лѣтъ его правленія, какъ настоящіе документы.

Остальные документы приходятся на царствованіе сына Ираклія II, царя Георгія XII, затѣмъ на царствованіе царей Имеретинскихъ Соломона I и Давида, за время правленія владѣтельныхъ князей Каціи и Григорія Дадіани, равно Маміи, Симона и Вахтанга Гуріели и др. Грузинскіе-же документы за царствованіе Соломона II имѣются на-лицо въ дѣлахъ Архива съ начала текущаго столѣтія по 1810 годъ, т. е. по конецъ царствованія Соломона II въ Имеретіи.

Кромѣ грамотъ въ это изданіе вошло и нѣсколько договоровъ, заключенныхъ: между царями Иракліемъ и Соломономъ I (см. № 72), между Соломономъ I и Маміей Гуріели (№ 56), между царями и владѣтелями Грузіи (№ 172), между императрицей Екатериной II и царемъ Иракліемъ II (№ 76, ср. 64, 70). Этотъ послѣдній договоръ былъ напечатанъ въ 80-хъ годахъ XVIII вѣка (дата не показана на печатныхъ экземплярахъ) на отдѣльныхъ листахъ, in-folio, малаго формата, параллельно на грузин-

скомъ и русскомъ языкахъ. Грузинскій текстъ отпечатанъ церковнымъ шрифтомъ (хуцури). Эти листы составляютъ въ настоящее время большую библіографическую рѣдкость. Договоръ этотъ, состоявшійся въ 1783 году между Россіей и Грузіей, есть какъ извѣстно, единственный ратификованный правительствами обоихъ царствъ. Проектъ новаго договора, имѣющаго быть заключеннымъ между императоромъ Павломъ I и царемъ Георгіемъ XII, какъ извѣстно, формально заключенъ и ратификованъ не былъ. Проектъ этотъ былъ выработанъ въ Петербургѣ на основаніи полномочія, даннаго царемъ Георгіемъ своимъ посламъ отъ 7 сентября 1799 года (№ 175), одобренъ (апробованъ) императоромъ Павломъ и подписанъ первоприсутствующимъ въ Коллегіи Иностр. Дѣлъ гр. Ростопчинымъ отъ 23 ноября 1800 года. Проектъ этотъ состоитъ изъ 16 пунктовъ. Русскій текстъ его напечатанъ въ Актахъ Кавказской Археографической Коммиссіи, т. I, стр. 179—181. Какъ сказано, этому второму договору не суждено было осуществиться.

Грузинскій текстъ договора 1883 года печатается здѣсь цѣликомъ со влюченіемъ начала (99—101) и конца (107—110), выпущенныхъ въ старопечатныхъ экземплярахъ. Кромѣ документальной важности грузинскаго текста договора и библіографической рѣдкости его печатныхъ экземпляровъ, основаніемъ къ помѣщенію его здѣсь послужило и то обстоятельство, что въ напечатанныхъ здѣсь документахъ встрѣчаются и съ грузинской и русской стороны безпрестанныя ссылки на разныя статьи этого договора, которыя были бы непонятны читателю безъ полнаго текста его.

Текстъ этого договора списанъ съ подлинника, хранящагося въ Моск. Архивѣ М. И. Д. Онъ писанъ церковными (хуцури) строчными буквами четко и красиво на пергаментѣ, in-folio, на четырехъ листахъ, зашнурованныхъ и снабженныхъ массивною металлическою печатью. Орѳографія этого подлинника, какъ и другихъ Актовъ, сохранена въ точности за исключеніемъ знаковъ препинанія. Какъ видно, текстъ договора сначала былъ составленъ на русскомъ языкѣ, и затѣмъ сдѣланъ грузинскій переводъ, который весьма тяжелъ и не вездѣ понятенъ безъ русскаго текста.

Грузинскіе документы, вошедшіе въ настоящій выпускъ, переписывались доцентомъ Лазаревскаго Института Восточныхъ

языковъ А. Хахановымъ, бывшимъ студентомъ Факультета Восточныхъ языковъ Спб. Университета М. Картвелишвили и пишущимъ эти строки, который и свѣрялъ копіи съ подлинниками.

Акты эти, за исключеніемъ 5—6 документовъ, являются въ печати впервые. Они извлечены изъ Моск. Архива М. И. Д. за исключеніемъ № 174—180, взятыхъ изъ рукописнаго сборника документовъ царевича Давида Георгіевича, снабженныхъ подлинными подписями, и № 181, изъ документовъ царевича Ираклія Александровича (внука царя Ираклія II), напечатаннаго П. И. Іоселіани вмѣстѣ съ договоромъ № 172 въ его книгѣ: „Жизнь царя Георгія" (на грузинскомъ языкѣ). Тифлисъ. 1895 г., стр. 22—28, 118—139.

Къ сожалѣнію, въ Архивѣ М. И. Д. грузинскіе подлинники не всегда оказываются при дѣлѣ, а имѣются только русскіе переводы, такъ напримѣръ, грузинскаго текста Ноты, врученной министерству грузинскими послами въ апрѣлѣ 1801 года (№ 181), нѣтъ въ дѣлѣ С.-Петербургскаго Архива М. И. Д. 1—7, № 1, за 1800—1805 г., а имѣется только русскій переводъ его. На нѣкоторыхъ документахъ помѣчено, что изъ канцеляріи Коллегіи Ин. Дѣлъ переданы въ Архивъ только русскій переводъ, а подлинникъ остался въ канцеляріи. Слѣдовательно, нѣкоторые подлинники попали въ другое мѣсто, и есть надежда, что они не потеряны окончательно, а современемъ можно ихъ розыскать и издать.

Впрочемъ такихъ отсутствующихъ грузинскихъ подлинниковъ мало. Остальные на-лицо. Всѣ они писаны съ большимъ тщаніемъ гражданскими (мхедрули) буквами за исключеніемъ заглавныхъ строкъ, писанныхъ нерѣдко церковнымъ (хуцури) письмомъ, вязью. Особенною красотою письма отличаются документы, вышедшіе изъ канцеляріи царя Ираклія. Между ними есть настоящіе образцы грузинскаго каллиграфическаго искусства. Равно красивы и нѣкоторыя грамоты царя Соломона I, напр., оригиналъ номера 166. Быть можетъ средства позволятъ намъ присоединить снимки съ нихъ (фототипіей или литографіей) въ видѣ приложенія къ слѣдующему изданію грузинскихъ и другихъ восточныхъ текстовъ Грамотъ вплоть до 1810 года, когда было присоединено царство Имеретинское къ Россійской имперіи.

Грузинскіе документы, вошедшіе въ настоящій выпускъ

писаны книжно-разговорнымъ языкомъ XVIII вѣка; въ нихъ богословскаго начала и конца (какъ это постоянно встрѣчается въ грамотахъ предшествовавшихъ вѣковъ) вовсе нѣтъ, или встрѣчается только вкратцѣ въ весьма рѣдкихъ случаяхъ; обыкновенно же послѣ титула и краткаго обращенія къ лицу, которому адресованъ документъ, непосредственно слѣдуетъ изложеніе дѣла. При этомъ особенною дѣловитостью отличается переписка царя Ираклія: онъ пишетъ, правда, иногда слишкомъ подробно, нерѣдко въ нѣсколькихъ документахъ послѣдовательно повторяетъ одно и то-же, но безъ фразъ, необыкновенно деликатно и вмѣстѣ съ тѣмъ разумно, убѣдительно, серьезно, и всегда о важныхъ и существенныхъ вопросахъ и „нуждахъ" (мѣстами въ документахъ встрѣчается это русское слово, какъ и нѣсколько другихъ, записанное грузинскими буквами) своего царства, церкви и народа.

Ему нѣсколько подражаетъ въ манерѣ изложенія имеретинскій царь Соломонъ I, но у этого послѣдняго встрѣчается мѣстами и фразеологія и риторика, соединенныя съ изысканною, утонченною, специфически имеретинскою вѣжливостью.

Особенно интересна переписка этихъ царей съ императрицей Екатериной. Переписка эта проникнута чувствомъ удивленія этой великой женщинѣ, мудрой и могущественной правительницѣ своего народа, защитницѣ христіанской церкви и христіанскихъ народовъ Востока, угнетаемыхъ исламомъ; отсюда и воззванія, постоянно повторяющіяся въ ихъ Грамотахъ по адресу императрицы, что она „мать всѣхъ православныхъ христіанъ", что „заступница всѣхъ слабыхъ" и т. п. Обаяніе, которое она производила на европейцевъ, даже на скептиковъ-энциклопедистовъ, было въ представленіи азіатскихъ правителей и народовъ еще сильнѣе; особенно послѣ побѣдоносной первой турецкой войны. Этимъ объясняются отчасти умилительный тонъ переписки и важныя политическія рѣшенія, принятыя этими царями вслѣдъ за 70-ми годами прошлаго вѣка.

Содержаніе документовъ, помѣщенныхъ какъ здѣсь, такъ и въ I-мъ томѣ нерѣдко значительно расходится не только съ извѣстнымъ пересказомъ и очеркомъ русско-грузинскихъ отношеній П. Г. Буткова, но и послѣдующихъ историковъ. Указывать ихъ—не входитъ въ программу настоящаго изданія. Первой и

главной задачей нашего изданія было напечатаніе въ хронологическомъ порядкѣ цѣликомъ, въ подлинникѣ и переводѣ, письменныхъ памятниковъ русско-грузинскихъ отношеній съ тѣмъ, чтобы современемъ они послужили прочнымъ основаніемъ для систематическаго и цѣльнаго обзора и изложенія совершившихся историческихъ событій, которыхъ памятниками они служатъ.

Никто, конечно, не станетъ отрицать важнаго значенія подобнаго изданія для исторической науки. Не было еще примѣра, чтобы близкое и основательное знаніе Исторіи по *первоисточникамъ* принесло-бы кому нибудь или чему-нибудь вредъ, но, что, наоборотъ, незнакомство, или поверхностное знакомство съ ней служитъ часто источникомъ многихъ серьезныхъ недоразумѣній, ошибокъ и заблужденій какъ въ наукѣ, такъ и въ практической жизни—это фактъ общеизвѣстный. Далѣе, если цѣльное и систематическое изложеніе хода историческихъ событій, съ указаніемъ внутренней связи причинъ и слѣдствій ихъ, возможно, такъ сказать, только съ извѣстной исторической дистанціи, и для этого необходимо имѣть мысленно предъ духовнымъ взоромъ извѣстную историческую перспективу, то съ другой стороны безусловно вѣрно и то, что матеріалы, факты и документы для такого связнаго и цѣльнаго прагматическаго изложенія историческихъ событій должны быть собраны и сохранены для науки въ возможно близкое къ событіямъ этимъ время, ибо почти всегда чѣмъ свидѣтельство ближе къ событію, тѣмъ оно достовѣрнѣе и убѣдительнѣе.—Это и имѣлось въ виду при изданіи предлагаемыхъ документовъ.

Это, скажутъ, элементарныя истины.

Да. Но, къ сожалѣнію, не для всѣхъ. Въ виду этого необходимо всячески поощрять и поддерживать обнародованіе историческихъ документовъ. Архивныя занятія, будучи сами по себѣ весьма важными и существенными для науки, какъ извѣстно, не изъ особенно привлекательныхъ и бросающихся въ глаза, но если работающіе по этой отрасли вмѣсто нравственной поддержки и поощренія встрѣтятъ при своихъ занятіяхъ не только равнодушіе, но нерѣдко разнаго рода затрудненія и препятствія, то охотниковъ до подобныхъ занятій найдется не много. А это будетъ очень жаль, ибо Исторію пришлось бы тогда *сочинять* помимо документовъ.

Письменными памятниками русско-грузинскихъ отношеній, хранящимися въ Моск. Архивѣ М. И. Д. я занимаюсь съ 1881 года. Въ теченіи этого времени мнѣ пришлось пересмотрѣть почти все что имѣется по этой части въ упомянутомъ Архивѣ за XVIII вѣкъ, а часть ихъ я уже издалъ; изъ остальной части документовъ многое можно было бы издать съ пользою для науки, если бы средства позволяли, но между ними я не нашелъ ни одного документа ни на русскомъ, ни на грузинскомъ, ни на другихъ языкахъ, котораго бы по тѣмъ или инымъ соображеніямъ нельзя было-бы передать гласности нынѣ, когда цѣлый вѣкъ отдѣляетъ насъ отъ событій того времени. Да едва ли подобные документы, трактующіе о минувшихъ русско-грузинскихъ отношеніяхъ, не подлежащіе оглашенію, имѣются въ какихъ-либо другихъ государственныхъ Архивахъ и древнехранилищахъ.

Напротивъ того, изъ близкаго знакомства съ этими памятниками русско-грузинскихъ отношеній выносишь несомнѣнное убѣжденіе, что желаніе сблизиться у грузинскаго и русскаго правительствъ было обоюдное, что тяготѣніе Грузіи и Россіи другъ къ другу было взаимное. Грузія, вслѣдствіе относительной близости границъ обоихъ царствъ и по единовѣрію, предпочитала союзъ и покровительство Россіи таковымъ не только Персіи и Турціи, но и покровительству западно-европейскихъ державъ. Россія съ своей стороны желала сблизиться съ Грузіей какъ съ единственнымъ фактически существующимъ *христіанскимъ* царствомъ въ Передней Азіи (да и въ цѣлой Азіи) не только съ цѣлью распространенія при ея нравственномъ и матеріальномъ содѣйствіи своего военно-политическаго и торговаго вліянія на Востокѣ, но, безъ сомнѣнія, и съ цѣлью религіозно-гуманною — защитить и поддержать ослабѣвающую единовѣрную Грузію въ вѣковой неравной борьбѣ съ полумѣсяцемъ; словомъ, въ лицѣ Грузіи Россія хотѣла поддержать вообще христіанство на Востокѣ. Конечно, сближеніе это не могло осуществиться разомъ и безъ задержекъ, — этому мѣшали и разстояніе между границами Россіи и Грузіи, и труднопреодолимыя природныя препятствія, и отсутствіе дорогъ и безопасности, и дороговизна передвиженія войскъ, и враждебные народы, чуждые культурѣ и христіанству, сидѣвшіе между ними, въ особенности же вѣковыя

связи и отношенія, существовавшія у Грузіи съ непосредственными могущественными юго-западнымъ и восточнымъ сосѣдями— Турціею и Персіею. Наконецъ, замедленія и недоразумѣнія происходили въ русско-грузинскихъ сношеніяхъ не только оттого, что обыкновенно въ международныхъ сношеніяхъ и переговорахъ каждая изъ сторонъ имѣетъ въ виду прежде всего пользу и выгоду своего народа и государства, но и потому, что лица, на которыхъ съ обѣихъ сторонъ возлагались трудныя и отвѣтственныя военно-политическія миссіи, не всегда стояли на высотѣ своего положенія, и часто изъ „усердія не по разуму", желая, повидимому, ускорить ходъ историческихъ событій съ цѣлью сближенія этихъ странъ, а иногда и изъ своекорыстныхъ видовъ, агенты эти только тормозили и нерѣдко совсѣмъ разстраивали на болѣе или менѣе продолжительное время добрыя и дружественныя отношенія, уже установившіяся было между Грузіей и Россіей (напр., гр. Тотлебенъ).

Дай Богъ, чтобы уроки прошлаго не пропали даромъ, а послужили бы поучительнымъ примѣромъ для будущаго.

Въ заключеніе считаю пріятнымъ долгомъ принести мою искреннюю благодарность многоуважаемому барону Д. Ѳ. Стуарту, директору Государственнаго и Мин. Ин. Дѣлъ Архивовъ, за любезность и предупредительность, которыя я постоянно встрѣчалъ какъ въ немъ, такъ и въ его подчиненныхъ, занимаясь столь продолжительное время во ввѣренномъ его заботамъ учрежденіи.

Ал. Цагарели.

23 Апрѣля 1898 года.
С.-Петербургъ.

ХРОНОЛОГИЧЕСКІЙ ПЕРЕЧЕНЬ ДОКУМЕНТОВЪ, ВОШЕДШИХЪ ВЪ НАСТОЯЩІЙ ВЫПУСКЪ.

1768 годъ.

1769 годъ.

1770 годъ.

1771 годъ.

1772 годъ.

1773 годъ.

1787 годъ.

1790 годъ.

1793 годъ.

1794 годъ.

1795 годъ.

1796 годъ.

1797 годъ.

1798 годъ.

1799 годъ.

1800 годъ.

1801 годъ.



1. Д. VII. 23 Іюня 1768 г. **Просительная грамота царя Имеретинскаго Соломона I Имп. Екатеринѣ II.** Русскій переводъ см. т. I. № 7.

საყოველთაო დედაო მართლმადიდებელთა ქრისტიანეთაო, რომელი მახლობელთა და შორეულთა ზოგად განგვანათლებ და დედობრივითა თანალმობითა ღმერთებრივსა მოწყალებასა უხვებით მოგვფენ ყ̃ლთა; და არა თუ მხოლოდ ყოვლობით რუსიისა საკეისროისა ხარ სიქადულ და ნუგეშინისმცემელ, ა̃დ ყ̃თა თანერთკმათა წ̃ისა და უზადოსა აღმოსავლეთისა სარწმუნოებისათა ზოგად ხარ სიქადულ და ნუგეშინისმცემელ,— ამისთვის მოტყინარითა გულითა, სასოებითა მტკიცითა და შეურყეველითა სარწმუნოებითა უ̃დ დიდებულსა საყდარსა გარემოვლითა, შევრდომით და თაყვანისცემით მტერთა ქრისტეს ჯ̃ისათა დამთრგუნველსა ფერკთა იატაკსა შეგივრდებით და შეწყალებისა და მოწყალებისა მთხოველი სამსა სავედრებელსა სიტყვასა განვფენ წინაშე დედობრივისა უ̃დ მოწყალებისა თქვენისა:

პირველად, რათა გამომიკსნა უცხოთესლთა, ოსმანთა, კელისაგან და უ̃დ ძლიერი კელი დასდვა ჩვენ̃ზედა და ქრისტიანესა და ერსა ჩვენსა ზედა, და საუკუნოდ მონად, მსახურებად და საიმპერიოდ აღგვრაცხნე; და ესე უმეტეს სხვათასა ტრფიალებით საწადელ არს ჩემდა, ძლიერო კელმწიფეო, რათა მონა შენი, მეფე იმერეთისა სოლომონ, შემრთო მონათა შენთა, რამეთუ მრავლით ჟამიდგან მსურს, რათამცა სისხლი ჩემი დაითხიოს ქრისტეს მოცემულისა სჯულისათვის, და, თუმცა უ̃დ მოწყალე კელმწიფე ინებებს და დაგვდებს ძლიერსა კელსა თვისსა,—მეც ამ აღთქმას მოვახსენებ, ქრისტეს შეწევნითა, რომ აღმოსავლეთის სარწმუნოებისა და სჯულისათჳს უ̃დ მოწყალის კელმწიფის სამსახურზე უცხო თესლთა, ოსმალთ, შევაკვდე და ვიდრე სისხლის დათხევამდე კელმწიფის სამსახურზედ ვიღვაწო. ათორმეტი წელიწადი არის რომ ხვანთქრის ჯარსა და

ჩვენ ძლიერი ბრძოლა გვაქვს, და შვიდჯერ ჩემს ქ̃ყანაში შემოსულან იმათი სარასკერები და ფაშები, ტყვის ხარაჯა და ტყვე უთხოვიათ, და რომ არ მიმიცია, ზამთარ და ზაფხულ ომი გვქონებია ძრიელი. ქრისტეს შეწევნითა და უ̃დმოწყალის კელმწიფის წყალობით, ყოველთვის დამარცხებით და სირცხვილეულნი წარსულან, და თვით კელითა ჩემითაცა მრავალნი მომისრავნ; რომელიმე ჩემი ციხეები აიღეს და ისევ დავაგდებინე, და გავყარე, და ახლა ჩემი ქ̃ყანა ერთობით მევე მიჭირავს.

და უკეთუ ესე არა ინებოს, მეორედ: სახიერებისა, წყალობისა და მადლისათვის აქავე განგვამტკიცოს უ̃დ მოწყალე კელმწიფემ საკმართა და შეწევნათა მიერ, რომ ჯარის მიცემა შევიძლო და მით უძლოთ წინააღდგომად ოსმანთა, რამეთუ ჩვენ სახმართაგან ფ̃დ ნაკლულევან ვართ.

მესამედ: მტერნი ჩვენნი მაჰმადიანნი, ოსმანნი, ფ̃დ უძლიერეს ჩვენსა არიან, უკეთუ, ცოდვათა ჩვენთათვის, ვერღარა უძლოთ წინააღდგომად, — უ̃დ მოწყალე კელმწიფემ შეგვიწყნაროს საიმპერიოსა თვისსა, ვითარცა შეუწყნარებიან სხუანი მეფენი, რათა მართლმადიდებლობით ვმსახურებდეთ მონათა თვისთა თანა. და რომელიცა ინებოს უ̃დ მოწყალის კემწიფის გონებისა სიწმინდის და შეწყალებისა ცამან—ეგრეთ განაგოს. სხვა ჩვენი გულის სიტყვა და განზრახვა ჩვენის ქუთათელ მიტროპოლიტისა მაქსიმეს მიერ მოკსენდეს.

წელსა ჩღჲჱ, თვესა ივნისს კგ.

2. Д. II. 14 Марта 1769 г. Записка о Грузіи митрополита Кутаисскаго Максима. Переводъ т. I. № 11.

საქართველოში ორნი მპყრობელნი არიან ახლა: მეფე სოლომონს უჭირავს საიმერეთო, მეფე ერეკლეს ქართლი და კახეთი; ისინი ერთმანერთში დიდი მეგობრები არიან, ასე რომ ერეკლე, ოსმალნი რომ იმერეთში მოვიდნენ, საიდუმლოდ მეეკმარა ორჯელ, აგრევე მეფე სოლომონ ცხადად ცხრა ცხრა ათასის კაცით, თითონაც იქ ბრძანდებოდა ორჯელ და მესამეთ თავისი ძმა არჩილ რამდენიმე კაცით ლეკებზედ შეაწივა, და ყოველთვის გაიმარჯვეს. იმერეთში თავადები, დადიანი, გურიელი, ერისთავი და აგრეთვე სხვანი სულ ყველანი მეფე სოლომონის მორჩილნი არიან ყოველ ფერში და არც შეუძლიანთ, რომ მორჩილნი არ იყვნენ. იმერეთს სამძღვარი აქვს აღმოსავლეთიდამ ქართლი და კახეთი. ტფილისი, ქართლის ტახტი, ორის დღის სავალია; სამხრეთიდამ ურუმის ქვეყანაა; ჩრდილოეთიდამ ოსებისა—მთაში მსახლობელნი; დასავლეთიდამ—შავი ზღვა. იმერეთზედ ოსმალოს ქალაქი ახალციხე ასრე ახლო არის, რომ ერთის დღის სავალია იმერეთის სამძღვრიდამ. იმ ახალციხიდამ აზრუმი რვის დღის სავალია, ტრაპიზონი იმერეთიდამ ექვსის დღისა. ამ სამს ქალაქებში სამთუხიანი ფაშები უფროსათ არიან. იმერეთში წყლები: პირველი,

რიონი, ოსეთიდამ გამოდის და შუვა იმერეთში, ქუთაის ქალაქში, ჩადის; მეორე, მყვირილა, — ისიც ოსეთიდამ გამოდის და ქუთაისიდამ სამს ვერსზედ რიონს შეეყრება; მესამე, ძირულა, იმერეთის და ქართლის სამძღვარსა ჰყოფს, და ქართლიდამ გამოდის, მყვირილას შეეყრება; მეოთხე, ხანის წყალი, იმერეთის მხრიდამ სამხრეთიდამ გამოდის და ყვირილას შეეყრება. ეს ოთხი წყალი შავ ზღვაში ჩადის. ამათ გარდა მთელ იმერეთში პატარა წყლები, ჴები და წყაროები, თევზი სხვა და სხვა გვარისა მრავალი არის. იმერეთი შავზღვაზედ არის ტყიანსა და მთიანსა, და ასე მაგარს ალაგსა, რომ შუა იმერეთში დიდი ოსმალოს ჯარი მოვიდეს, დიახ ცოტას კაცით პასუხს გასცემს. სამი იმერეთის ციხე: ბათომი, ფოთი და სოხუმი ზედ ზღვის პირზედ არიან, და კაი მისადგომი აქვს ხომალდისა და ნავისა. შუვა იმერეთში პირველი ქალაქი ქუთაისია, მერმე ბაღდადი, შორაფანი, ცუცხვატი. ამ შვიდს ციხეებში შვიდასამდის ოსმალო იდგება. ამ ციხეებში დიდიხანი არიან, მაგრამ ზიანი და წინაამღდგომობა არ შაუძლიანთ და ვერც იქმნეს. მეფე სოლომონს რამდენსამე კიდეც მორჩილობენ ამ ალაგებში; ამიტომ უძლებს და არა ჰყრის, რომ ოსმალო კელახლა არ აიშალოს. ამ ციხეების გარეშემო ასე დიდროვანი ტყეები არის და დიდრონი ხეები, რომ ხომალდები აშენდება; ფისი და კანაფი მრავალია იმერეთში. ამ შვიდს ციხეს გარდა იმერეთში მომცრო ქალაქები და ციხეები მრავალია, რომელიც მეფე სოლომონს უჭირავს; იმ ციხეებში რაც ოსმალნი არიან, ზარბაზანი დიდი და პატარა ოთხმოც და ხუთი, და სხვა ალაგებში, საცა ოსმალონი არ არიან, თხუთმეტამდის იქნება; უფროსი ერთი, ოსმალონი ახლა რომ იმერეთში მოვიდნენ, იმადგან დაინარჩუმეს, და ზოგიერთი ასეთია, რომ მინდორში დააქვთ და მტერზედ ხმარობენ. იმერეთში მოდის თეთრი პური, შავი პური, ქერი, ფეტვი, ბრინჯი, სამარხო, წამლის ბალახები, ყურძენი და სხვა ხილი; ამეების დიდი სიმრავლე არის ყოველს ფერში და ასეთი ნაყოფიერი ქვეყანაა, რომ ტყეებშიაც მრავალი ყურძენი და სხვა კარგი ხილი არის; შავის ზღვის პირზედა ნარინჯი და ზეთის ხილი მოდის; აბრაშუმი, ბამბა და დიახ წმინდა სელი არის ამდენი, რომ ვაჭრებს სხვა ქვეყნებშიაც მიაქვთ, დიახ იაფად ჰყიდულობენ. ცხენი და სხვა პირუტყვი, დიდი და პატარა, დიახ მრავალია; ღვინო და ოტკა მრავალია. ქუთაისის ქალაქიდამ ვაჭრები დადიან ნავითა იმ სამს ციხეში — ბათომს, ფოთს და სოხუმს, გასასყიდლათ დააქვსთ წმინდა სანთელი, აბრეშუმი, ბამბა, ბეწვი მელისა, კვერნისა და ვეფხვისა, და საჭმლის ხორაგი; იქიდამაც წყლით მოაქვთ ოსმალოს სავაჭრო: სხვა და სხვა ფერი ფარჩა, მაუდი, შაქარი, ყავა და სხვაცა (სტამბოლიდამ რვას დღეზედ და ყირიმიდამ ხუთს დღეზედ ხომალდები იმ ციხეებში მიდიან) ოსმალონი იმერეთს მოდიან ხმელეთით: ახალციხიდამ, აზრუმიდამ და ტრაპიზონიდამ. ქართლში, სწორედ ტფილის ქალაქზედ, ყიზლიბაშის მხრიდამ იმერეთი მარჯვინივ დარჩება. ზოგიერთს ალაგას იმერეთში ოქროსი და ვერცხლის და სხვების ქანი არის, მაგრამ ესენი იმერეთს არაოდეს არ მოუხმარია, ერთი რკინის მეტი, ამიტომ რომ მეტი მტერი არ აუჩნდეს, ყოველთვის

ამის ცდაში არიან, რომ დაფარონ და ოსმალთ არ შეიტყონ; ახლა იმერეთში
ოსმალოს თეთრი შედის და გადის, მარტო ოქროსი და ვერცხლისა. იმე-
რეთში თავადნი და აზნაურნი მტრის პირდაპირ თავისის კაცებით, იარაღით და
აზუხით გამოვლენ; ოცდა ხუთი ათასი და ან ოცდა ათი ათასამდის კაცი შეიყრება
მაშინ, როდესაც მტერი იმერეთში შამოვა. თეთრი რომ არ არის ჯარის მისაცემი,
ამიტომ სამძღვარს იქით ვერ მიეგებებიან და ვერ უმტერებენ; და თუ ჯარის
შესანახავის თეთრი იყოს მსწრაფათ ორმოცდაათს ათასს კაცს და მეტსაც
შეიძლებენ შეყრას და მტრის სამძღვარს იქითაც მიეგებებიან, და იმერეთშიაც
არ შამოუშვებენ. ყოველს ოსმალოს ალაგებში, მეტადრე ახლო იმერეთში, გარე-
შემო ბევრი საქართველოს კაცნი არიან, უთუოთ შამოუყრებიან ამისთანას საქმეს
რომ გაიგონებენ; იმერლებს გარდა ყოველთვის იშოება თეთრითა მეომარი
ლეკი და ოსი ორმოცდა ათასამდის და მეტიც. ამას წინათ მეფემ სოლომონმა
რამდენიმე ლეკი იქირავა ცოტახანსა, თითო კაცი ოროლ თუმნათ უჯდებოდა.
თუ იმერლებს ულუფა მიეცემათ და ყოველთვის განწყობილნი იქნებიან ქვეითი და
ცხენოსანი, როგორაც რუსეთში სალდათი და დრაგუნი ჯდება, ისე მოუნდება.
იმერლები ხმარობენ ომში თოფსა, ხმალსა და შუბსა; იმ რიგათ, როგორც ოსმა-
ლონი შეიბმიან და ქვეითიცა და უფრო ცხენოსანიცა. ხალხი იქაური მამაცი, მეო-
მარი და მორჩილი იქნება, მის დროს ომის რიგი ასე ისწავლოს, როგორაც
ევროპიაში. თოფსა, კმალსა და ტყვიას შოობენ ოსმალოს ქვეყნიდამ, ყიზლიბა-
შიდამ და ტფილისის ქალაქიდამ; თოფის წამალს თუმცა იმერეთშიაც აკეთებენ,
მაგრამ უფროსი ერთი ამ ზემოწერილის ქალაქებიდამ შოობენ. იმერეთის სამძ-
ღვრიდამ მოზდოკამდის ხუთი დღის სავალი არის; ოსებზედ და პატარა ყაბარდო-
ზედ თუმცა გზა ასე ავი არის, რომ ორის დღის სავალზედ ურმებით არ ივლებო-
დეს, ცხენოსანი და საპალნიანი გაივლის გაზაფხულზედ, ზაფხულში და შამოდგომა-
ზედ; ზამთარშიკი ზოგჯერა, დიდი თოვლი რომ მოვა, ცხენითაც არ გადაისვლება,
ქვეითნი ყოველთვის გადაივლიან, მაგრამ გზა გაკეთდება ასე, რომ ურმითაც
გაიაროს. თუ იმერეთის ქვეყანა ასე ბედნიერი შეიქნება, რომ ძლიერი და მართლ
მადიდებელი აღმოსავლეთის სარწმუნოების ტახტი კელს დასდებს და საუკუნოდ
იყმობს, და მეფე სოლომონს რუსეთიდამ ხუთი ათასამდის კაცს თავისის გაწყო-
ბილობით და სახარჯოს თეთრით გაუგზავნის რუსეთი, ის რომ დაინახავს საფარ-
ველად მართლმორწმუნეს და ძლიერის იმპერატრიცას საბრძანებელის ქვეშე,
იქნება ასეთი იმედი მიეცემა თვითონ და იმის ხალხსა, რომ იმ ციხეებში ოსმა-
ლოები რომ არიან, სულ ყველას ამოსწყვეტს, და რამდენისაც ათასის კაცის შეყრა
ებძანება, და იმათიც ხარჯი ებოძება, იმთენს იშოვნის და შეყრის, და ამავ ზაფხულს
ოსმალთ დიდს ზიანს უზამს, და რაც იმერეთის გარეშემო ოსმალოს ალაგები
არის დაიჭერს, და რამდენიცა ჯარის შესანახავათ თეთრი მიეცემა მის დროს
გადახდასაც შეიძლებს, ხალხიც რომ დაინახავს თავის თავს, მოდგმის მამაცობას
ერთი-ორათ გამოიჩენს და უსჯულოს კელის დაჴსნისათვის მათის მაღალის

ბრძანებით მტერზედ თავის სისხლის დაღვრას არ დაზოგვენ, და მარადის კელ-მწიფის ერთგულობაზედ მტკიცეთ იქმნებიან. ამას მეფის სოლომონის გამოგზავნილი ქუთათელი მიტროპოლიტი მაქსიმე მოგახსენებს.

3. Д. XIX. 30 Апрѣля 1769 г. Грамота Карталинскаго и Кахетинскаго царя Ираклія II ген.-м. Потапову, коменданту Кизляра.

იჳნისის შვიდსა თქჳენის მაღლად-მსჳლელობის წიგნი მივიღეთ, რომელ-მანც ჩჳენ დიდად სასურველი ჰამბავი გვახარა, რომელ მისის დიდებულების არ-მიასა ოსმალთა ზედა სახელოვანი ძლევა მიუღია. ამ საზოგადოს ბედნიერებას ღვთის-მმადლობელის პირით და გულით გარდამეტებულის სიხარულით მოგილო-ცავთ.

რომელიც რომ ჩჳენ თქჳენს მაღალ-მსჳლელობას წიგნი მოვსწერეთ, და ის უმაღლესს კარს წარგევლინათ, ამისთჳს ვმადლობთ თქჳენს კეთილ მეგობრო-ბას; ვითარცა ჩჳენი და მისის სიმაღლის მეფის სოლომონის შეერთება ამ კეთილის აღრჩევაზედ მისის მაღალ ღრაფობის ბრწყინჳალების წიგნში ეწერა, იმ სახით ჩჳენ და მეფე სოლომონ ტფილისს შევიყარენით. თუმცა პირჳელვე ასეთი მტკიცე სიყჳარული ქრისტიანეთა შჳენის, მაგრა ამ მართლმადიდებელის სარწ-მუნოებისა და ყოვლად მოწყალის ხელმწიფის სამსახურისათჳს ორთავ დავიფი-ცეთ და კაცნიცა განვაწესეთ, რომელნიც რომ მისის დიდებულების წინაშე წარ-მოივლინებიან. იჳნისის 4 მეფე სოლომონ ტფილისით წაბძანდა და ამავე იჳნი-სის თთჳს 8 პორუჩიკს უფალს კნიაზ გრიგორის ქობულოვს რომ ვგზანიდით და ჩჳენგან თქჳენის მაღალმსჳლოლობის მომართ წარმოვლენილი კაცი მოგ-ვიჴიდა თქჳენის მაღალმსჳლელობის წიგნითა და მეფის სოლომონის, და მი-მართ თქჳენ რომ წიგნი მოგეწერათ, ამ უფალმან პორუჩიკმა ჩჳენ კაცი გამო-გჳთხოვა და იმერეთ მეფეს სოლომონთან გაისტუმრა, რათამცა მისგან ებძანოს, იმისი ნება იყოს იქ მოჴიდეს, და ეს თქჳენ მაღლად-მსჳლელობის მოწერილი წიგნი იქ განუცხადოს, და აწ კ̃დ ამ მიზეზით დაყყოვნა, და მისთვის ჩჳენნი კაცნიც ამ პორუჩიკის წამოსჳლამდის დავაყენეთ; ის ჩჳენი მეორე წიგნი უმაღლესს კარს რომ წარგეგზავნათ, ვითარ იმ წიგნში მოგეწერათ ჩჳენნი ჰაზრნი, კ̃დ მასვე ჩჳენს ჰაზრსა გაგიმეორებთ.

მისის მაღალ ღრაფობის ბრწყინჳალების გამო უმეტესი სასოება გჳაქჳს, რომ ყ̃დ მოწყალის კელმწიფის ძალი ყ̃ლს საქართჳელოში მოწყალებით დაი-დება, და ასეთი დრო წარმოდგომილა, რომ რაოდენ უმსწრაფესისა და უწადიერე-სისა ძალადობითა იმოქმედება, ეგოდენ მისის დიდებულების სამსახური ჩჳენგან უფროს კეთილ შემთხჳეულებითა წარემართება; ყ̃ლნი საქართველოსაგანნი, დიდნი

და მცირენი, უფრიადესისა გულსმოდგინებითა დადებად თავთა განმზადებულნი ვართ.

ამ ხანად პორუჩიკმაც წარმოგზავნა თავისთან მყოფი კაცი და ამას გამოვატანეთ ჩუენი კაცი, რომელიც რომ ამ ჩუენს წიგნს ის მოართმევს თქუენს მაღალ მსჯელობას და მოველით მალიად გამოაბრუნოთ ეს ჩუენი კაცი.

ტფილისი.

4. Д. V. 5 Іюня 1769 г. Грамота царя Ираклія гр. Н. И. Панину. Пер. т. I. № 18.

მისი იმპ. ს დიდ. ბის და ხუანთქრის ზავის დახსნის ჴამბავი რა გუესმა, ველოდით სურვილით უჭეშმარიტესსა უწყებასა ჩუენდამო, ხოლო დროსა ამას გუეწყოა ჴამბავი, ვითარმედ ყიზლარიდამ კნიაზ ოფიცარი მოსრულ არს საზღუარსა ქართლისასა და მიმავალ არს მისის სიმაღლის მეფის სოლომონისდა, და მყის წარიგზავნა ჩუენგან კნიაზი ერთი, რათამცა კეთილ მგზავრობითა მიიყუანოს მეფის სოლომონისადა. შემდგომად ამა ოფიცარისა მეფე სოლომონს თავისი მისანდო კაცი თქვენი ღრაფ. სბრწყ. ბის წიგნით წარმოევლინა ჩუენდამო და მოემცნო, ვითარმედ— რომელსაც ადგილსა ქართლისასა მოვიწვიოთ, მუნ შევჰკრბეთ; და შემდგომად რაოდენისამე დღისა ხსენებული ოფიცარიცა ჩუენდამო წარმოევლინა. ვინაჲდგან მეფეს . სოლომონს თვისსავე ქუეყანასა საჭირონი და საკმარნი საქმენი შეხდომოდნენ, რომელ მისი განუგებლობა არ ეგებოდა, ამისთჳს რავდენთამე დროთა დაეყოვნა. და ოდეს იგი მობძანდა ჩუენდა მომართ, ვითარ თ. ღ. ბ. წიგნი გუაწუევდა მართლმადიდებელის სარწმუნოებისათჳს და ყოვლად მოწყალის კელმწიფის სამსახურისათჳს, თუმცა ჩუენ მტკიცითა სიყუარულისა ერთობითა ვიყუენით, მაგრა ამა მიზეზთათჳს უმტკიცესისა ფიცითა ვეფიცენით ერთმანერთსა და განმზადებულნი ვართ უმეტეს შეძლებისა ჩუენისა ამ ჩუენისა სანატრელისა საქმისათჳს.

თქვ.ნი ღრაფ. ბრწყ. წიგნში მეფის სოლომონისათჳს და ჩუენ ყოვლისა საქართუელოებისათჳს ყოვლად მოწყალის კელმწიფის იმედი და დაუგდებლობა, და ყოველს ჟამს შეწევნა აღგვეთქუათ, ამისათჳს მმადლობელნი ვართ პირველად ღვთისა და მ. ი. დ. და მერმე თ. ღ. მ. ნუგეშისა. და რომელიც ჩუენი დიდი სასურუელი არის ოსმალთათანა ბრძოლა, და ამას ზედ უწუევივართ თ. ღ. ბ. შეწევნითა ღვთისათა ამაზედ განმზადებული ვართ ბედნიერობით მ. ი. დ. მაგრა ვინაჲთგან მართლ-მადიდებლობისა სარწმუნოებისა და ყოვლად მოწყალის კელმწიფის სამსახურისათჳს მაჰმადიანთა მიმართა ბრძოლათა აღუადგენთ შეძლებისაებრ ჩუენნისა, რომელნიც ჩუენნი გარემონი მტერნი იმყოფებიან, და უფროსრე დაღისტანელნი, რადგან სარწმუნოების სარჩულით იმოქმედება კეთილ აღრჩევა ესე,—ზედ-

მიწევნით ვუწყით, იგინიცა ჩუენდამო მტერობას შეძლებისაებრ უმეტესად ჰყოფენ.

ჩუენგან ჩუენის ვედრების მოხსენება ესე არს თ. ღ. ბ. რათა შუამდგომელად აღძრა განათლებული გონება თქუენი და მისმან უდ მოწყალებამან ამა კეთილსა მარჯუესა დროსაზედა მზეებრი თჳსისა მოწყალებისა შუქი მოგუფინოს და გასწავლებული ჯარი გუბოძოს, რომ მ. ი. დ. საფარუელი ჩუენდამო ყოველთა თანა განეცადნეს და ჯარითა მით, და რომელიც ჩუენ ჯარი გუყავს და შეძლება გუაქუს, ამა ორითავე უმეტეს შეძლებისა ჩუენისა ოსმალთა თანა მტერობას სრულის წადილით ვეცადნეთ.

ჩუენ ამ სათხოველს ვერ ვკადნიერდებდით, მაგრამ თ. ღ. ბ. ჭეშმარიტების წიგნმა კადნიერება მიგვალებინა. ეს უეჭუელად ვიცით, რა ყოვლად მოწყალის კელმწიფის ძალი აქ მოიწევა და მ. ი. დ. საფარუელი დაგუფარვებს, რადგან დღეს სპარსეთი უკელმწიფოდ ძევს, ამისთჳს მრავალთა ურთიერთთა მიმართ ბრძოლა და მტერობა აქუსთ; ამას ზედა ჩუენ მიერ მოხსენებულის ვედრების მიზეზით შიშისაგან შეიკრვიან და რომელნიც მაჰმადიანნი ჩუენნი გარემონი არიან, და ან ჩუენს მფლობელობას ქუეშ იმყოფებიან დღეს, ჩუენ ამას უეჭველად ვჰგონებთ, ესენიც რომელნიმე გაგვეერთდებიან, და ოსმალთ მტერობაზედ რაოდენი სიმხნე და გამოცდილება აქუსთ, ზოგნი შიშისაგან და ზოგნი რომლისამე მიზეზისაგან, ჩუენთან სიმართლით გაირჯებიან.

თ. ღ. ბ. წიგნის გამო და ამა ზემო აღწერილთა მიზეზთათჳს მისის უმაღლესისა კარისა მიმართ ჩუენ მიერ წარმოიგზავნა კნიაზ არტემი ანდრონიკოვი, რათამცა მოახსენოს თ. ღ. ბ., რომელიც ჩუენ მიერ ამისდა ჰრწმუნებული იყოს.

ვითხოვ თ. ღ. ბ. რათა რომელნიც ამას მოგახსენოსთ ყოვლადვე ერწმუნნეთ.

ქალაქსა ტფილისს, იუნისსა 5, 1769 წელსა.

5. Д. XIX. 6 Іюня 1769 г. Грамота царя Соломона ген.-м. Потапову, коменданту Кизляра.

ვიცით გულდაჯერებით, რომ თქუენის მეგობრობისა და სიყუარულისა ფრიადი თანამდებობა გვაქუს, ჯერეთ სიამოვნე და სამსახური არარა გამოჴსცხადებია თქუენს მაღალმსლუელობას, ამად რომელ დროთა მათ ოდეს დიდსა შეჭირვებასა შინა ვიყუენით ურჯულოთა ქრისტეს მტერთაგან, და მაშინ ჩვენი სარწმუნო კაცი კნიაზი ქაიხოსრო რა მოსრულ იყო მხარესა მაგას, დიდისა პატივითა მიგეღოთ და შეგეწყნარებინათ, და აწცა ოდეს ჩუენი მიტროპოლიტი ყოვლად-სამღუდელო მაქსიმე წარმოვგზავნეთ დესპანად მისის დიდებულების მაღლისა ხელმწიფისა წინაშე, უცხოს სახის პატივით და დიდებით მიგეღოთ, და

ამათ ყოველთათჳს უმეტეს ზომისა მმადლობელ ვართ თქუჱნისა მაღალ მსლუჱ-ლობისა.

აწცა ამას ვითხოვ თქვენის მაღალმსლუჱლობისაგან, რათა უმეტეს ინებოთ და იწადოთ კეთილწარმართება საქმისა ჩუჱნისა, და რომლისაც გზით შეწევნა იყოს, შეეწივნეთ მისის იმპირატორების დიდებულების უმაღლესისა კარისადმი წარმოგზავნილსა ამას კაცსა ჩუჱნსა კნიაზ დ ა ვ ი თ ს ა. დაიწერა ქალაქსა ტფი-ლისს, ივნისს 6, დღესა 1769 წ.

6. Д. XIX. 14 Іюня 1769 г. **Краткое описаніе странъ и на-родовъ, окружающихъ Грузію.** Пер. т. I. № 198.

აღწერა ახალციხისა. ახალციხის ქვეყანა, რომელიც, არის ქართლის ქვეყნისა ნაწილი ერთი, რომელიც უპყრავს ახლა ხვანთქარსა ძალითა, და არიან გაჰამამადია-ნებულნი, და ადგილ ადგილ მცირედნი ქრისტიანენიც იპოვებიან, და ჰქვიან ადგილ-თა ამათ საათაბაგო. ამას მთაცა აქუს და ბარიცა. ვაკეა მინდვრიანი და კეთილნა-ყოფიერი. არს დასავლით კერძო მდებარეობა ამისი და მცირედრე დაზიდული სამხრით კერძოდაცა, არს მესაზღვრე ჩვენის ადგილებისა—ზემოქართლისა, სომ-ხითისა და თრიალეთისა. აქა ზის ვეზირი სამთუღიანი და არს შემძლებელი თავისავ ადგილში ხუთის ათასის მეომრის კაცის გამოყვანისა, მაგრა ჯაბანნი და შეუბედავნი არიან ომსა შინა. ამას მრავალნი ადგილები აქუს ლეკისაგან აოხრე-ბული და იმათგან მრავალი ძალი აქუსთ დაკლებული, და ეს ახალციხელნი ჩვენთან უშფოთლად არიან და მშვიდობით.

აღწერა ყარსისა. ყარსი არს ქვეყანა ერთი მახლობელად არარატის მთისა. ესეცა ნაწილი არს სომხითის სამეფოჲსა და არიან დღეს გაჰამამადიანებელნი; მაგრა ქრისტიანენი მრავალნი იპოვებიან აქა—სარწმუნოებით სომეხნი და მცი-რედნი ქართველნიცა; აქუს მთა, მაგრა ბარი უდიდესი აქუს; და არს ვაკე მინდვრიანი, უტყეო; ძევს სამხრეთ კერძო და მცირედრე დაზიდულ დასავლით კერძოდ. ზის ფაშა ორთუღიანი და ხან სამ-თუღიანი, და არს შემძლებელი თავისავ ქვეყანაში ორი ათასის მეომრის კაცის შოვნისა; და ჩვენის ქვეყნის ადგილების საზღვარი და ყარსისა ერთმანერთში არიან. ამასაც მრავალი ადგილი აქუს ლეკისაგან აოხრე-ბული, და არიან ესენიც ომში შეუბედავნი, ჯაბანნი და გამოუცდელნი.

აღწერა ბაიაზეთისა. ბაიაზეთი არს ქვეყანა ერთი, რომელშიაც ზის ფაშა ორთუღიანი, და არს ნაწილი სომხითის სამეფოჲსა, და შეუძლია გამოყვანა თავისავ ქვეყანაში უჯამაგიროს კაცისა, მეომრისა, ათას ხუთასისა. აქ იპოვებიან მრავალნი ქრისტიანენი—სარწმუნოებით სომეხნი. ეს ბაიაზეთის ქურთები ხვანთქარს მაგოდ-ნად არას ემსახურებიან, თუ არ თავისის ნებითა. ძევს სამხრით კერძო და დამოკი-დულ არს ზურგსა არარატისასა, და მესამზღვრენი არიან ერევნისა, სალმასისა და

ყარსისა, და ესენი იმათზედ ომში უფრო გამოცდილნი არიან და აქუსთ ქვეყანა შენი და მტრისაგან წაუმხდარი.

აღწერა ერევანისა. ერევანი არს ერანის საბეგლარბეგო ადგილი ერთი, რომელიც რომ ყოფილა პირველ სომეხთ მეფისა ტახტი; ზის აქა ბეგლარბეგი, მაგრა უმკვიდრო, და აქავ არს ტახტი სომეხთ კათოლიკოზებისა. მთაც მრავალი აქუს და ბარიცა, და არს ნაყოფიერ-მოსავლიანი. სახლობენ აქა მრავალნი ქრისტიანენი სარწმუნოებით სომეხნი. ამათი ქვეყანა წამხდარი იყო ათას თხუთმეტის წლის (?) წინათ ლეკთაგან და ყიზილბაშთაგან, სანამდის ჩვენ ხელს დავაფარებდით. ახლა რომ ჩვენგან ხელდადებულნი შეიქნენ, ყველათგან დაფარულნი არიან, და ჩვენ გვემსახურებიან, მაგრა უშენი ადგილიც მრავალი აქუსთ. ძევს სამხრით კერძო, საშუალ ქართლისა და ბაიაზეთისა. ჩვენის ქვეყნის სირონი და ესე ერთმანერთში არიან. ჩვენსა და იმათ შუა მთა ძევს ურმისა და ქარავნის სავალია. და შეუძლია გამოყვანა თავისავ ქვეყანაში ორის ათასის მეომრის კაცისა, მაგრა ესენიც ომსა და შებმაში ჯაბანნი, შეუმართავნი და გამოუცდელნი არიან უფროსლა.

აღწერა განჯისა. განჯა არს ქვეყანა ერთი ერანის საბეგლარბეგო, ქალაქი პატიოსანი და ციხე ქებული. ესენი ჩვენზედ მახლობელნი მესამზღურენი არიან. ამათში ქრისტიანენი მრავალნი არიან, სარწმუნოებით სომეხნი; მთასა, თუ ბარში არს ადგილი ნაყოფიერი, და უზისთ ხანი მემკვიდრეობით; ამათ შეუძლია თავისავ ქვეყანაში სამის ათასის მეომრის კაცის გამოყვანა. ძევს ქვეყანა ესე საშუალ აღმოსავლისა და სამხრისა—შირვანისა, ყარაბაღისა, ერევნისა, ხამსისა და ქართლის შუათ; მთიან ბარიანი და წყლიან ნაყოფიერი. ამ განჯის მეპატრონენი გარეშემო მეზობლებისაგან და თავისის ხალხისაგან ბევრჯერ გარდაცვივდენ თავისის ადგილიდამ, და ჩვენის მოხმარებით, და ჯარის მიცემით მტრებიც გაუფუჭეთ, ქალაქი, ციხე, ქვეყანაც მიუღევით ამათ მტრებსა და ისევ ეს მემკვიდრეები დავსხით, და ჩვენგან დაპყრობილი ადგილები იმათვე მივეცით; და ამ მიზეზებით ერევანსავით გვმორჩილებენ შეძლებისაებრ, და რადგანც ლეკზედ მახლობელად არიან, ამათი მძევლებიც გუყავს; და ომში ერევნელთაგან უმეტესი და უმხნესი გამოცდილება აქუსთ.

აღწერა ხამსისა. ხამსა არს ქვეყანა ერთი, რომელსა შინა არიან შვიდნი სამელიქონი; ესენი ქრისტიანენი არიან, სარწმუნოებით სომეხნი, და უზისთ ამათაც კათალიკოზი, და სპარსთ მეფისა სახლეულით ხარჯის მძლეველნი ყოფილან ესენიც. როდესაც სპარსეთის კელმწიფობა მოიშალა იმ ადგილის ერთმან ელის კაცმან მოჭმადიანმა, გვარით ჯოანშირმან, ძალი მოიცა, და ამ ხამსის საშუალს ადგილს ციხე არის ძველადგან მაგარი, და სივერაგითა დაიპყრა ის ადგილი; რამდენჯერმე ჩვენსა და ამ ჯოაჭნშირში შფოთი ჩამოვარდა, და, ძალითა ღვთისათა, ჩვენგან და ჩვენის ჯარისაგან დამარცხდენ და დაირბნენ, არათუ ის ქრისტიანენი სომეხნი—არა, მარტოდ ის ჯოჭანშირნი. ამ ჟამად მიზეზები შემოგვიხდა იმ გვარი, რომ ჩვენსა და იმათში მშვიდობა არის. აქუს ხამსას სიმაგრე დიდი, მთა მრავალი კლდიან-ტყიანი და ბარიცა აქუს წყლიანი, დიდად ნაყოფიერი. თავის ქვეყანაში შეუძ-

ლის გამოუყვანა ჯოანშირისა მეომრის კაცისა ორი ათას ხუთასისა, და სომეხნიცა გამოვლენ ოთხი ათას ხუთასი. ძევს საშუალ აღმოსავალისა და სამხრეთისა ქვეყანა ესე და უჭირავსთ ამათ საზღურამდე ყარადაღისა და განჯისა, და არს საშუალ შირვანისა და ნახჩევანისა, განჯისა და ყარადაღისა. კაცნი ამ ხამსისანი არიან, რომელ-ნიც რომ სომეხნი არიან, დიდად მამაცნი, მეომარნი და შემბედავნი, და ამ მელიქ-ქების ერთმანერთში შურისა და მტერობის ჩამოვარდნამ ჯოანშირების ხელში შეყარნა ესე სომეხნი.

აღწერა ყუბისა. ყუბახანი, რომელიც რომ არის ერთის მდარის ადგი-ლის მებატონე; მაგრა ამ ყუბახანმან დაღისტანის ლეკის ძალითა დაიჭირა დარუბანდი, ბაქო და სალიანი, და მისი გარეშემო ადგილები, და ამ ადგილების და-ჭერით ამ ახლოხანებში არზი მიჰსწერა ხვანთქარსა იმ ძალით, როგორც წინათ სულხავს შირვანი ეჭირა, რომელიც ჭერანის ერთი საბეგლარბეგო ადგილია და ხვანთრისაკენ იყო, ამანაც ისე მოინდომა, და იმ არზის პასუხად ფარვანი და ბძანება მოუვიდა ხვანთქრისაგან, რომელნიც ჩვენ ვსცანით ესრეთ: შენ მანდე-დან იმ ზღვის პირები გაამაგრეო, წამოდეგ მანდედამ და შირვანი დაიჭირეო, როგორც სულხავს ეჭირაო. ადგა წამოვიდა დაღისტანის ჯარითა და შირვანი დაიჭირა, იქიდამ შაქის ხანზედ მოვიდა და დაამარცხა. ეს საქმე რომ ჩვენთან გან-ცხადებული შეიქნა, ამ ჟამად ჩვენ შაქის ხანს ჯარით შევეწიენით და ამ ჩუენის შეწევნის გამო ყუბახანს თავისი წადილი დაუხსნა და შერიგება მოინდომა, და შემორიგდა.

აღწერა კუმუხისა. კუმუხის მთავარნი ქურდულად გუმტერობენ. ამ კუმუხის ბატონს ხანამდის მამა ცოცხალი ჰყვანდა ხვანთქარი ხაზინასაც უგზავნიდა, ძალსაც აძლევდა და კიდეც ელაპარაკებოდა, და შირვანიც ეჭირა, და ახლა ამისი შვილებიც ნიადაგ ხვანთქარს ელაპარაკებიან, და მუდამად მიდიან და მოდიან, და ახლაც იქ არის; ამ ჟამად ერთი სულხავას შვილი ხვანთქართან მივიდოდა, ყირიმშიკი მივიდა, იქ იყო და ამ ამბებში რა იქნა და რა არა — აღარა ვიცით რა. და ესეც ითქვა, რომ ხვანთ-ქარს ვითამ ჯარის თაობა მიეცეს იმისთვის. და სულ ქვეყანაზედ განცხადებულია თუ როგორ გულსმოდგინებით გუმტერობენ ან კუმუხის კაცნი, ან უცემისა, და მის კაცნი, და ან შამხალის კაცნი, და ან რომელნიმე დაღისტანის ადგილები, და ზოგნი ლეკნი კიდეც შემოგვიერთდნენ რომელთამე მიზეზებითა.

აღწერა შაქისა. შაქის ხანი, რომლის პაპას ჭაჯი ჩალაბი ერქვა და ამ ჭაჯი ჩალაბის მამა სომხის ხუცესი იყო, და თვითონ ჭაჯი ჩალაბი გარდაქცეული იყო მაჰმადიანობასა ზედა, და ოსტატობითა რითმე დაიჭირა ის ადგილი ჭაჯი ჩალაბ-მან. ძველად ეს ადგილი კახეთის სამეფოს ნაწილი ყოფილა და ძალით წართმევიათ მაჰმადიანთაგან დროთა შაჰაბაზ არარკელისა, საპარსეთის კელმწიფისათა. ამას შინა მსახლობელნი არიან მრავალნი ქრისტიანენი სომეხნი ცხადად და ქართველნი ფარულად, მოჰმადიანთა შიშითა. ძევს ქვეყანა ესე შირვანის შემოდევნებით იალ-ბუზის კალთის ქვეშე და კახეთის დასწორებითა მიდევნებითა. მთად იალბუზი

აქუს და ბარიცა აქუს, და არს კახეთზე აღმოსავალით კერძო. შემძლებელი არის თავისავ ქვეყანაში სამის ათასის მეომრის კაცის გამოყვანისა. დღევანდელამდის ჩვენსა და იმათში დიდი მტერობა იყო ხანდახან, და ოდესმე მშვიდობა და შერიგება იყო.

აღწერა ალის სულტნისა. ალის სულტანი, რომელიც ძველად კახეთის მეფის ერთი მთავარი არის და კახის სულტნად სახელდებული, და დროთა შაჰაბაზ პირველისათა გაჰმამადიანებული, და გამდგარი კახეთის სამეფოსაგან, და ესეცა აღმოსავალით ძევს კახეთზე.

აღწერა ჭარის ხეობისა, ჯინიხისა, თალისა და ბელაქნისა. თალის ხეობა, ჯინის ხეობა, ჭარის ხეობა და ბელაქნის ხეობა. ესენი უპატრონონი არიან და ამათი ხალხი ვაკის რაიათი თარაქამაა, რომელშიაც იპოებიან მცირედნი ქრისტიანენი, ზოგნი მართლმადიდებელნი ქართულად და ზოგნი სომეხნი არიან განცხადებულად. ძველად ეს ადგილები სულ კახეთის სამეფოს ნაწილები არიან და ამ მახლობელს ჟამებში მრავალჯერ უმსახურიათ კახეთის მეპატრონეთათვის, და ეს ადგილები მოოხრებულა შაჰბაზ პირველისა დროთა, და ამ მოოხრებულს ადგილებზედ ზოგი თათარი თვითონ დაუსახლებია შაჰაბაზს და ზოგნი ლეკნი თვითონ გარდმოსახლებულან და დაშენებულან. ამათ დაღისტანის იალბუზზედ უყუდიათ ზურგი და ძალიც იმათგანა აქუსთ. შიგა და შიგ ის ქვეყნები ხან შემორიგებულნი არიან ჩვენთან და ხან აშლილნი. შამახიიდამ ბელაქნამდისინ მრავალჯერ ჩვენს მტერობაზედ ერთნი ყოფილან; და დაღისტანის ძალს გარდა შეუძლია ამ ძირობასა მეომრის კაცის გამოყვანა ხუთის-ექუსის ათასისა: ესენი სულ კახეთის მიწაში სახლობენ და ქისიყის ასე ახლოს მეზობელნი არიან, რომ სოფლით სოფლადმდე ზოგი ოცდათი ვერსი არის და ზოგი ოცდახუთისა, და არს ქვეყანა ესე ძნელად შესასვლელი, ტყიანი, მრავალწყლიანი და მაგარი.

აღწერა ხუნძახისა. ხუნძახის მთავარი, რომელიც არის ავარი, დაღისტანში, და არს ქვეყანა ამისი მთის ადგილი; თავისი ყმა მეომარი გამოუა ათას ხუთასი, და როდესაც მოინდომებს დაღისტანში იშოვნის თხუთმეტს-თექუსმეტს ათასს კაცს, და არს კახეთზედ აღმოსავლისა და ჩრდილოს საშუალ. ძველად კახეთის მეფის ერისთავი ყოფილა; ჟამთა ვითარებისაგან და მოჰამადიანთ ძალისაგან სხუა ადგილებიც მრავალი ჩამოურთმევია კახეთისა და ესეც მიღებიათ. ესენი წინა ხანებში ხან შემორიგებული იყო ჩვენთანა და ხან არა; მასუკან დიდი მტერობა მოინდომა ჩვენზედა, დაღისტანის ჯარით მოვიდა უეცრად და ქართლში ერთს ციხეს შემოადგა; შევებენით და დიდად დამარცხდა ჩვენგან, ძალითა ღვთისათა, და მრავალნი ამოსწყდნენ. მეორეს წელიწადზედ კიდევ შური იძია ჩვენზედ და მეორედ წამოვიდა კიდევ დაღისტანის ოცდაორი ათასის ლეკითა, და რაც კახეთის მეზობლები იყუნენ შირვანს ზეით, ანუ განჯელნი, ამათაც ძალი მოსცეს, ჭაჯი ჩალაბი შვილი და ალის სულტანი თჳთონ იყუნენ, ჭარელნი, თალალენი და სულ იმ ძირობის კაცნი,— ესენიც იქნებოდნენ ათიათასი კაცი, და კახეთის ერთს ციხეს შემოადგნენ; სანამ-

დის ჩვენ ჯარს შემოვიურიდით, ჩვენს მისულამდის, წინათვე ჯარი მივაშველეთ და ციხიდამ მრავალი კაცი ამოუწყდათ და სირცხვილეულნი გაბრუნდნენ. მასუკან ჩვენთან შემორიგება მოინდომა, ჩვენც შევრიგდით და მცირეს რასმე ჯამაგირს ვაძლევთ. კახეთის საზღურიდამ ოთხის დღის სავალი გზა არის. თუმცა ეს ხუნძახის მთავარი შემორიგებული არის, მაგრამ იმას რაც კაცი ყავს ისინი კი ქურდულად გუმტერობენ ჩვენს ქვეყანაში.

აღწერა დიდო-ქისტისა, ღლიღვო-ზურზუკისა, თუშ-ფშავ-ხევსურისა და კევისა. კიდევ კახეთის სამეფოს ნაწილი, რომელნიც კახეთზედ ჩრდილოდ კერძო არიან ოთხნი თემნი,—დიდოეთი, ქისტი, ღლიღვი და ზურზუკი ლეკთაგან მიგუხმიან და გაჭუმამდიანებიათ. ახლა ცდილობენ და სურსთ, რომ თუშეთი და ხევსურ-ფშავი და კევი, რომელიც რუსეთის საკელმწიფოჲსა და საქართველოს შემოსავალი და გასავალი გზა არის, ესეც დაიპყრან და თავიანთ სარწმუნოებაზედ მიიზიდონ, და იმათი ჭაზრი ეს არის: რომელნიც ნათესავნი არიან ოსნი, და ანუ სხუა გვარნი ნათესავნი ამ მთებში იმყოფებიან — ესენი ყირიმამდის სულ გაჭამამადიანონ, და ამ მთასა შინა არა მცირედნი არიან ახლად მიქცეულნი იმათს სარწმუნოებაზედ და ნიადაგაც აქცევენ.

აღწერა გადმოსავალისა გზისა. და ეს გზა რომ დაგვიწერია — ეგების რუსეთის საკელმწიფოში ასე განცხადებული იყოს, რომ ასეთი რამ იყოს ვითომ გაკეთებაზედ ბევრი სარჯელი მოუნდეს,—ამის გაკეთება ჩვენგან ადვილად შეიძლება. და ამ გზაზედ ჩიმი არის, რომელიც საზღვარი არის, იქიდამ მოკიდებული რაც მთა არის ორმოცი ვერსი იქნება, და ამ ორმოცს ვერს იქით და აქეთ სულ ვაკე არის, და ამ ორმოცის ვერსის მთის გზაზედ შიგ და შიგ გავაკებული გზა ბევრი არის.

აღწერა ქერიმხანისა. ქერიმხან, რომელიც არის დღეს აღმდგარი და შირაზსა ზის, და სპარსეთი, რომელიც ოთხს ნაწილად გაყოფილი არის—ადრიბეჟანად, არაყად, ქარსისტანად და ხვარასანად, და კ̃დ ქონან ადგილებიც სხუანი გილანისა, მაზანდარისა და ამადანისა, ამ სპარსეთის ოთხის ნაწილისაგან ადრიბეჟანში უჭირავს მცირედი რაჲმე, არაყი სრულებით უჭირავს, ხვარასანში სულ არა უჭირავს რა, ქარსისისტანი, რომელიც არის შირაზი, უჭირავს; ესენი, რაც რომ უჭირავს, რომელნიმე ოდესმე მორჩილ არიან და ოდესმე ურჩნი; გილან-მაზანდარელნი და ამადანელნი—ესენი კი ემსახურებიან; ამან მრავალი გამოცდილება მიიღო გამარჯვებასა და დამარცხებაში, და ახლა რომ იმის საქმესა და განზრახვაში სჩანს—შირაზს გარეთ გამოსვლა აღარსად ნებავს, ჭჩვენთან მეგობრობას იჩემებს, კაცსა და წიგნს გვიგზავნის, მაგიერს კაცსა და წიგნსა ჩვენც უგზავნით.

აღწერა ასურთა. სირიელნი, რომელნიცა იმყოფებიან საშუალ სპარსეთისა და ოთმანიანთა, და არიან ერნი მრავალნი, მქონებელნი მთისანი, თუ ბარისანი, სარწმუნობით სრულიად ქრისტიანენი, ვითარ რაოდენნიმე მილიონნი, და უფროსი ერთი გამოცდილნი ბრძოლათა შინა. ერთი წელიწადი არის, რომ მრავალჯერ მოგვივლინეს კაცნი ვედრებისანი სამღუდელონი, ეპისკოპოსნი და მღუდელნი,

ანუ თუ მთავართაგანნი, გვეკედრნენ და გვეკედრებიან იქიდამ აურასა და ჩვენს ქვე-ყანაში მოსულასა. ამათგანნი ზოგნი ჩვენზედ დიდად შორიელნი არიან და ზოგნი მახლობელნი; ჩვენც აღმხედრებას ვაპირებდით, და რომელთაც მახლობე-ლებს სირიელთ ჩვენი ხელი მისწვდებოდა იმათს მოყვანას ვაპირებთ და შორიელ-თაცა ზედა სხუაგვარ კელის მიცემას, როგორც ჩვენგან შეიძლებოდა, და ამ განზ-რახვასა შინა რა ვიყვენით, მაშინ წარმოგვიდგა ღვთის განგებული აღრჩევა ესე მისის დიდებულებისა უ̃დ მოწყალის კელმწიფისა—მოხედვა საზოგადოდ ყო-ველთა ქრისტიანეთა ზედა, და ჩვენ დიდებულებისა მისისა სამსახურისა ღონის-ძიებაში შევედით და ვართ, და ოდეს უ̃დ მოწყალის ხელმწიფის მზის თუალის სახე შუქი გამოუბრწყინდებათ ჩვენის მხრის ქრისტიანეთა და მისის დიდებულების ხელი დაგვეფარება, მაშინ ამ სირიელთა ერისა და ადგილისაგან ძალსა არა მცირედსა მოვირთხამთ ჩვენს მახლბოელთაზედ და ბარის კაცთაზედ, რომელსაც ადგილზედ ხელი მიგვიწვდება იმათ ჩვენს ქვეყანაში მოვიყვანთ და აქედამ მოვირ-თავთ იმათ ძალსა, და შორიელთა, რომელნიცა მთათა და სიმაგრეთა შინა არიან, და რაც ერთის მხრის მაჰმადიანთ ეგ უნდათ, რომ არას ემორჩილებიან,—ამათ თავიანთ ადგილიდამ შემოვიერთებთ, და ქრისტიანობის მტერთზედ აღმხედრდებიან, და აღვამხედრებთ.

ეს ინსტრუქცია მ. ბ. კანცელარიისად მირთმევად კეთილ შესაბამობით ვრა-ცხეთ,—ამისთვის აქაურნი საქმენი და გარემოებათა ჩვენთანნი მ. ბ. იუწყოს.

7. Д. VIII. 4 Сентября 1769 г. Представленіе царя Ираклія имп. Екатеринѣ II. Пер. т. I. № 202.

მისის იმპერატორების დიდებულებისა წინაშე განცხადებულ იქმნას ესე, რომელიც უფლისა იანარალ მაიორის ტოტლებენის ზეპირ დაბარებულობით ჩემ, მდაბლის მონისთჳს, მოწყალებით გებრძანათ, რათა ხონთქრისა სამფლობელოსა, რომელიც ჩჳჱნგან შეიძლებოდეს საქართჳჱლოს ნაპირებიდამ მტერობად განვე-წყჳნეთ და თქჳჱნისა ყოვლად დიდებულებისაგან ჯარითა და სხჳას შეწევნით ჩჳჱნ, მდაბალნი მონანი, დაფარული ვიქმნნეთ, ამას ზედა თქჳჱნს ყოვლად მოწყა-ლებას დიდისა სიმდაბლითა ვმადლობთ და ვსასოებთცა თქჳჱნის დიდებულებისა-გან, რომ შემდგომად ამისსა დაუგდებლად დაგვიცჳნე.

აწინდელისა ამის თქჳჱნისა უდიდებულესობის და უუმაღლესის ბრძანების წინათვე ჩჳჱნ, რომელიც მისს ბრწყინჳალებას ღრაფს მინისტრს მეფის სოლო-მონისდა მოეწერნეს, იმ წიგნისა გამო ამა კეთილისა აზრისა ღ̃თისა მადლობით და მხიარულებით მიმღებელ-ვიქმენით, რომლისთჳსცა უუმაღლესსა კარსა დამორ-ჩილებით თქჳჱნის დიდებულებისა სურვილით სამსახურისა ზედა გასმზადებულება მოვახსენეთ. და კჳალადაც ამ სასოებისა მომხსენებელნი თქჳჱნისა დიდებულებისანი

ვიკადნიერებთ, რათა როდესაც თქუენი უმაღლესი განზრახუა ხვანთქრისა მიმართ ბრძოლისა ნებასა ბრძანებდეს—ჩუენც იმ თქუენის დიდებულების ნებისა და ბრძანებისა თანშეკრულნი ვიყუნეთ; ღ̃თისა და თქუენისავ მოწყალებით რაოდენ ძალ გუედვას უმეტესსა მტერობას ვაჩუენებდეთ, და როდესაც კუალად მშვიდობას ინებებდეს თქუენი ყოვლად მოწყალება—ჩუენ მშვიდობით თანადაცულნი ვიყუნეთ საუკუნოდ, და შემდგომად, რომელნიცა სრულებით ჩუენნი მოსახსენებელნი გვაქუნდეს მისის ბრწყინვალებისა პირველის მინისტრისთჳს კუალად განგვიცხადებიეს და კუალადცა ჩუენნი ყოველნი გარემონი საქმენი უფლისა იანარალ მაირის ტოტლებენისაგან უუმაღლესობისა თქუენისა კარსა მოხსენდება.

8. Д. VIII. 4 Сентября 1769 г. **Письмо царя Ираклія къ гр. Н. И. Панину.**

მ. ღ. ბ. ესეცა განცხადოს: თხუთმეტი პოლკი ჯარი რომ მოგვიხსენებიეს, ამ თხუთმეტის პოლკისაგან ხუთი პოლკი ჯარი ახლა გვებოძოს, ამ ზამთრამდისვე. ამიტომ, რომ თუმცა ამისმა ღ. ბ. ათას ხუთასი კაცი აღგვითქუა მაღალს კარს მოუჴსენებლად, მაგრამ ესე არა კმა არს; და ეს ხუთი პოლკი ჯარი ამად გვნებავს ზამთრამდის და ამისთჳს მოგახსენებთ და გიხოვთ, რომ რადგან ოსმალთ ძალი ჩუენს საზღვრამდე არ მოწეულა, ჩუენ იმ ჯარის შეწევნით, რომელნიც რომ არარატის მთის გარემემო, ანუ ახლციხისა და ანუ ყარსისა გარემო ქრისტიანნი არიან, და იგინი ოსმალთა მონებასა ქუეშე იყოფებიან, და კუალად, რომელნიც შავის ზღვის გარემო ჩვენ კერძო ადგილნი უჭირავს, შესაძლებელი არს, რომ ყოველივე ძალითა ღვთისათა მივიღოთ, და ათი პოლკი გაზაფხულზე, რადესაც დროსა და საქმესა ეშესაბამებოდეს, მაშინ გვიბოძეთ. ღვთითა და ყოვლად მოწყალის კელმწიფის ბედნიერებით ვჰგონებთ, რომ მ. დ. სხუას ჯარებისაგან ჩუენ კერძო ნაკლები ბრძოლა არ ვაჩუენოთ და სამსახური.

სხუას ჩვენგან თ. ღ. ბ. განსაცხადებელს ზეპირს სიტყუას უფალი მაიორი რატიევი მოახსენებს.

9. Д. VX. 1769 — 1770 г. **Письмо Ахалцихскаго Паши Наами къ царю Ираклію.**

მაღალო დანიშნულო მეფეო!

სასურველო, მართლებრო და გულით შეერთებულო, შემძლებელო მეზობელო ჩვენო და მეგობარო—შენ კეთილ ნაბეჭდი პირველი და უკანასკნელი, და სიმართლის შესწორებული და საკადრო მოკითხვა კარგად ყოფნისა უცხოს მოკითხვით მოგიკითხავთ, და შენის მეფობის ხათრის ჭამბის კითხვის უკან ჩვენის

მეგობრობის ჩვენება ეს არის, — რომ რამდენითამე დღითა ამის უწინ ჩვენგან მოჰთაბარის ოჯახიანის ჩინებულის კაცებისაგან თქვენს სიმაღლესთან გამოგზავნილი კაცები თქვენკენ წარმოიგზავნა. იმათის მოსვლის დროს თქვენი დიდებულება ყარსის მხრისაკენ ბძანებულ იყო; იმ კაცების როგორ ურიგოდ დაბრუნება ისევ უკანვე თქუჱნ სიმაღლესთან ცნობილი იქნება; ახლა ზოგი ერთის მიზეზი ეს არის, რომ მაჰმად ალა გამოიგზავნა ზოგი ერთის სალაპაკოს საქმისათვის. ჩვენის მეგობრობის მხრიდამ ახალის კაცის გამოგზავნის მიზეზი ეს არის, რომ შაჰმად ალა გამოიგზავნა. მაღალ დოვლათვანის და საუკუნოსა პირველიდგანვე, დროთავე ნადირ შაჰისათა ფრიად შეკრული და შემტკიცებული მშვიდობიანი შერიგება, ორის დოვლათვანის მტკიცედ გება და საზღვრების პირობის დადება და ფიცი საუკუნოდ, — ამ აღთქმების წაყვანა, როგორც რომ საკადრისი იყო, ისე დაცულ იყო დოსტობის ბედის გაცხელებაზედ, და აღძრვა სულ შორს ყოფილ იყო ჰერანის საზღვრებზედ ერთის კაცის წყენის და შეძულებისაგან — დიალ შორსა ვართ და ვყოფილვართ. ამ დიდს საქმეზედ მუდამ დიდდიდთა დიდნი ვეზირები და უფროსთა უფროსნი და სხვათა ლაშქართა უდიდესნი, და საზღვართა უხუცესნი ძლიერად მომრიდალნი ყოფილან; ვითარ განთიადის მზის შარავანდედი განცხადებულ არის, ისე ეს განცხადებულ არის, რომ მომრიდალნი არიან. მისის დიდებულების სიმაღლისაგან ხოს რომ მათს ფეხთა შიწასა ჩლდირის ვეზირობა შებოძა მასუკან თქვენის მაღლის მხრისაკენ ჩვენი ასე ანკარა იყო და საუკუნო მეგობრობა დამტკიცებული იყო, რომ ერთი რამ წყენა არა მომხდარა არც თქვენიდამ ჩვენთან და არც ჩვენიდამ კვალად თქვენთან, ნიადაგ მეგობრობა გამოცხადებულ ყოფილა, და საუკუნოს მეგობრობისათვის გვეჭვრიტა და იმ დოსტობის სიმაგრის მიწაზედ ფეხით დამტკიცებული ვყოფილვართ. მეფე სოლომონი, ბოლო დაცვივნული, ამასუწინ თავგამხიდურობითა თავის გზიდამ გასულ იყო, ამისთვის იმაზედ რისხვა გაცოცხლა დიდის ქვეყნის მპყრობელისა, დიდ შარავანდიანისა, ძლიერისა ძალისა სვიანისა და ქალაქებთა მწირავისა მისის ბედნიერობით იმ დანიშნულს სოლომონის პატიჟის მიცემისათვის. ჩვენ იმისის გარდახდევინების ფარმანი მოგვივიდა, და ფარმანის მოსვლის დროს ის მოვიდა და ჩვენ შემოგვეხვეწა მონებისა და სამსახურის ჯაჭვის ყელმოდებითა და პირობის დადებითა. ჩვენ, საბრალოსა, შეწუხებულისა, აოხრებულისა, უხელფეხოსა და გათავებულის ხალხის სიწყალულსა და სიბრალულისათვის მაღალსა და აღმატებულს ხელმწიფეს არზი უყავით, და ამ არზის მირთმევაზე, და ჭეშმარიტმან და ზეციერმან მეუფემან და შარავანდედიანმან ძლიერმან მოწყალებამან მაღალმან ჴელმწიფემან და ქვეყნის მოსამართომან ის დიდებით ყოფნა სოფლის დასასრულამდე უვნებელად და განუსაცდელად მისცეს. ჴელმწიფობის ტახტზედ და სუფევაზედ საუკუნოდ აგოს, იმისი ავმდომის მტრების თავი თავქვე იყოს! მან ჩვენი ვედრება შეისმინა, და როგორც ყოფილ იყო წყალობა უყო და მაღალი ფარვანი უბოძა. ჩვენის საყვარელის ქეჰიას ხელით გავგზავნეთ. ხალათი ჩაეცმევინა, რამდენსამე თვეს იმერეთიც

დამშვიდებაში შესულ იყო; იმ დანიშნულის სოლომონისათჳს რამედნი ფერად ფერადი იმედი იყო წყალობისა და შეწყნარებისა; მაგრამ ესენი დაივიწყა და გულში ჩადებული ორგულობა, სიავე, სიფინთე, ღალატი, მუხანათობა და ჭარამზადობა გამოაცხადა. მოსკოვს ურჯულოებთან, ღმერთმან იმათი ბოლო დააქციოს, სოლომონს კაცი გაეგზავნა იმ ურჯულოებთან და რამდენიმე ასი კაცი მოუყვანინებია, რომ თქვენ ორისავე დოვლათისაგან მართლსარწმუნოდ და მისანდოდ დიდ გვარობაზედ ცნობილ ხართ, თქვენის მიწიდამ რომ ის ურჯულოები თქვენს შეუტყობრად და უნებურად გარდმოსულ იყუნენ—ეს ხომ არ იეჭვება, ხუთსა ან ათს დღესა თქვენს ქვეყანაში უვლიათ, ამასუკან იმერეთს გარდასულან, კელმწიფის ციხეებისაგან შარაპანის სახელდობით ციხეს რამდენსამე დღეს შემოდგომოდნენ, ღვთის წყალობით და კელმწიფის ბედნიერობით, ვერ ექნათ და ხელი ვერაზედ მისწდომოდათ, რჯულის მოღალატის და სიწუწკის საზომის მქონებელის სოლომონის ვითარება შეეტყოთ და ისევ უკანვე დაბრუნებულ იყვნენ თავისავ საძაგელის მიწისაკენ. უკან დაბრუნებაში ახლა თქვენს მიწაში დამდგარან, და გვიკვირს ამისთანა საქნელი საქმე,— გასინჯეთ საჭარათების დიდ დიდებას და უფროსების გულის შეცულა, შეძრვა და ამღურევა. არ იქნება ახლა ეს განცხადებული და გამოპირული საქმე და ეს განსაცდელები საჭარათის ბეგებმა, ან ერანის მიწაში მყოფმა თათრებმა რომ შეიტყონ——ეს დიდი ნასკე თაყიანთის გულში ავის ფიქრით ყოფილა. ამ საქმის ქნითა თქვენის სისწორის გზისა, თქვენის ორისავ დოვლათის კეთილმეგობრობისა, და იმდენის სიკეთის გაფუჭება—არ იქნება ეს საქმე. სწორედ მაღალის დავლათის მხრიდამ ერთი შიში და ზარი ის მეგობრობა საუკუნედ დადგრომილ ამაზედ ერთი დაუმშვიდებელი საქმე თქვენს გულში ან შემოსული, ან შემოხდომილიყოს. ჩვენის საჭართების ვეზირებისაგან თქვენ ჭერანის საჭარათებისაგან ერთი მეგომრობა, ან განსხვაებულ უმეგობრობა იქნეს ერთმანერთის გატანა, როგორც მეგობრობას და ძმათ მოყვარებას შვენის, და მეგობრობის ბელოს უჯობდეს, და კარგი იყოს, იმისი მიხედვა და გარიგება ჭკუისაგან და დიდის საქმისაგან არ იქნება, მაგრამ მაგ ურჯულოების თქვენს ქვეყანაში ყოფნა და დგომა მაღლის საუკუნოდ მყოფის კელმწიფის დოვლათისათვის და ჭერანის დოვლათისათვის სხვა და სხვა ფიქრი და თქვენის სისწორისა და მეგობრობის ყოფილის ვითარებისა დიდი ზარალი და დასაკლისი არ იქნება ჩვენსა და თქვენში ამისთანა მტკიცე საბლის საკრველი რომ არის? და უმეტესად ამ ორს წელიწადში განცხადებულად და საჩინოდ ხილულია მეგობრობაზედ. თქვენის მეგობრობის ხათრისათვის ეს ერთობის წიგნი დაიწერა, იმ ზემოწერილის ალის კელით გამოიგზავნა წინაშე. დიდება ღთ̃სა, რომ თქვენს სამსახურში მოიწევა ამ წიგნის ვითარებას და ძალს რომ სცნობ და შეიტყობთ, განცხადებულ იქნება თქვენის მხრისაკენ რაც გამოჩენილი ნიშნები არის და შეხდომილი მომხდარი ვითარებანი იყუნეს — ჩვენის მხრისაკენ მოიწერეთ, და ის ზემოწერილი ალა უკანვე გამოაბრუნეთ ჩვენთანავე. და ჩვენც თქვენის მეფობის გონებიდამ არ დაგვივიწყოთ თქვენის მეფო-

ფობის გონებიდამ ითხოვება და ივედრება თქვენგან ჩვენი დაუვიწყებლობა, ნია-დაგ თქვენს მეგობრობის სისწორეზედ იყუნეთ.

გულწმიდა ნაჭამან, ვალი ჩლდირის.

10. Д. XV. 24 Сентября 1769 г. Письмо царицы Дареджани (Даріи) къ кн. Ант. Моуравову.

ბრწყინვალეს კნიაზს ანტონი რომანიჩს მოურავს,

ჩვენს ძმისალაგს საგულვებელს.

რადგან თქვენი ბრწყინვალება ჩვენის ქვეყნისა ბძანდება და მისის სიმაღლის მეფის ერთგული და კეთილისმყოფელი ხართ, ჩვენც ძმის ალაგს გვეგულებით, და ვიცით, რომ ჩვენის სამშობლოს საქმეზე კეთილად გაირჯებით, და ამისთვის მოგახსენებთ: რომელიც სიტყვა ირანალს (ტოტლებენს) ებძანა, ჩვენ იმ საქმეზე ჩვენს ძმას დადიანთან ერთი კნიაზი მამუკა ხიდირბეგიშვილი გავგზავნეთ, ან თვითონ ნახავს იარანალს, (ან) ძმას აახლებს. თქვენის ძმობისაგან მოველით რაოდენ შესაძლებელი იყოს ჩვენის სამშობლოს საქმეზე ბეჯითი ბძანდებოდეთ. ზოგი ჩვენი სიტყვა ამ ჩვენის თავადის მამუკასათვის დაგვიბარებია—ეს მოგახსენებს. რაც ზეპირი გამოგეგზავნა, მოგვივიდა, მადლობა მოგვიხსენებია.

დედოფალი ქართლისა და კახეთისა დარია.

11. Епископы въ Карталиніи и Кахетіи въ 70-хъ годахъ XVIII вѣка.


ყ̃დ სამღუდელონი მღუდელთ-მთავარნი ქართლისა და კახეთისანი.

კახეთისა:

ზენონ არქიეპისკოპოსი ალავერდელი.
დავით მიტროპოლიტი ქისიყისა.
საბა ნინოწმინდელი მიტროპოლიტი.
ზოსიმე არქიეპისკოპოსი რუსთველი.
დოსითეოს ეპისკოპოსი ნეკრესელი.

ქართლისა:

ბესარიონ მიტროპოლიტი სამთავროისა და გორისა.
ქრისტეფორე მიტროპოლიტი.
გერმანე ეპისკოპოსი მროველი.
იოსებ ეპისკოპოსი ურბნელი.
დავით ეპისკოპოსი ნიქოზელი.
ეპისკოპოსი სამთავნელი, ჯერეთ განუწესებელი.



დაცლილნი აოხრებისაგან:

საეპისკოპოსო სამებისა.
საეპისკოპოსო გიშისა.
საეპისკოპოსო ჭერამისა.
საეპისკოპოსო ხარჭიშოსი.

სამიტროპოლიტო ახტალისა.
საეპისკოპოსო მანგლისისა.
საეპისკოპოსო წილკანისა.
საეპისკოპოსო წალკისა.
საეპისკოპოსო ბოლნისისა.
საეპისკოპოსო წინწყაროსი.
საეპისკოპოსო დმანისისა.

12. Д. VIII. 1770 г. Рапортъ царю Ираклію отъ арагвскаго Моурава (губернатора) Каихосро Андроникашвили.

ქ. ღ~თნ ბედნიერის ჴელმწიფის ჭირი არაგვის მოურავს ქაიხოსროს მოსცეს: რაც ჩემი საქონელი გრაფმა ააკლებინა, რაც თქვენის ბძანებით მოგვებარდა პოლკოვნიკისა და ღვარდიის კაპიტანის ხელით ჩემი ყაბზი უჭირავსთ, და რომელიც მაკლია და არ მომცემია ამას ქვემოთ უწერია. ამის მოხსენებას ამისთვის ვაგვიანებდი — თქვენის სიმაღლისა და მათის ბრწყინვალების იანარალის ერთად შეყრას ველოდი; მე ყოვლად მოწყალის ხელმწიფის სამსახურზედ და ბარგის გარდმოსაზიდვათ გამისტუმრეთ, თორემ იანარალს იმერეთს გარდავყვებოდი და გრაფს იქ ჩემს საქონელს ვითხოვდი; მანამ აქ ამ ყოვლად მოწყალის ხელმწიფის სამსახურს აღვასრულებდი, მანამ გრაფი გაისტუმრეს და ჩემი საქონელი და დავა გრაფთან დარჩა, და ახლა სამართალს ვითხოვ.

რაც მაკლია:

ქ. ყოვლად მოწყალის ხელმწიფის წყალობა: ოქროს საათი ალმასით გაწყობილი.

ქ. მეორე საათი ვერცხლისა.

ქ. ვერცხლის ტაშტი და ალთაფა.

ქ. ვერცხლის სისი ექვსის ფიალით, ნალბაქით და კოვზით.

ქ. სამოცი ფლური ფინდიღი.

ქ. ათი თუმანი ქალაქის თეთრი.

ქ. სამი ვერცხლის თასი.

ქ. მაუდის ქათიბი კვერნით სავსე გილნის ღილით.

ქ. ოთხი ოქროს ბეჭედი: ამაში ორი იაგუნდით იყო, ერთი ლალი და ერთი ზურმუხტი.

ქ. ორი ღილი: ამაში ერთი მინაქარა იყო, ერთი მარგალიტისა.

ქ. ქალის საკაბე ყალამქრისა.

ქ. ერთი თავზედ დასახურავი ყალამქარი.

ქ. ორი ჩადრი ყალამქრისა: ერთი შეკერილი, მეორე შეუკერავი.

ქ. ერთი ყუთი წამლებისა ოთხის თუმნისა.

ქ. საწოლის იარაღი ორასი ნაჭერი, ჩინი, ქაშანური და მინა.

ქ. სპილენძის იარაღი: ჯამი, თეფში, ნალბაქი, ფსუზი, ჩამდანი, ფანარტაშტი, ალთაბა, მსხვილი და წვრილი სამასი ნაჭერი.

ქ. ოთხი ხალიჩა, სამი ფარდაგი, ორი ყიზილბაშის ქეჩა, ორი თაქნაბადი.

ქ. ექვსი ცხენი თავის უნაგირებით.

ქ. სამი ჯორი.

ქ. შვიდი თოფი, ხმალი და იარაღი.

ქ. ერთი დაბანჩა ფრანგული კარგათ გაწყობილი.

ქ. ერთი ჩემი შვილურად გაზდილი თავადისშვილი იოსებ ამ ჩემს აკლების დღეს მომიკლეს.

ქ. ერთი ჩემი კაციც ამ დღესვე აიკლეს, ოცი თუმნის მეტი საქონელი [წაართვეს].

13. Д. VIII. 1770 г. Письмо царя Ираклія къ гр. Н. И. Панину.

თ. მ. დ. ბ. მოსახსენებლად ესენიც საჭიროდ ვგონეთ, რომელთაც მოგახსენებთ: ღრ. ტოტლებენი მ. დიდებულებისაგან წარმოგზავნილთა შტაფთა და ოფიცართა არესტს უშვრება, რომელთა ბრალი არა არს განცხადებულ. ამათ იჭერს, ხმალსა ჰყრის და უკანვე აბრუნებს, რომელთაგანი ერთი არს კნიაზ რატიევი, პოდპოლკოვნიკი, რომელიც ღრაფმა, შემდგომად აწყურით გამოპარვისა, მოინდომა არესტის საქნელად, და რატიევი, რადგან საქმენი ღრაფისანი ჰსცნა, არ დამორჩილდა, მე მაცნობა თვისი მოსვლა და ჩვენ მ. დიდებულების სამსახურისთვის ესრეთ ვამჯობინეთ აქ მოგვეყვანა, დავიბარეთ და მოვიყვანეთ თავისთან მოყოლილის ჯარით.

კჳალა, პოდპოლკოვნიკი ნაუმ ნიკოლაიჩი ჩოღლოკოვი, რომელიც ჩვენი ნება არ იყო, ჩვენდა მოვიდა და ღრაფმა, პირველ აწყურს წასვლისა, არესტი უყო და პეტერბურხს გამოისტუმრა, და ჩუჱნ რომ მტრის ქვეყნიდამ მოვედით ტფილისს, და ცნა ჩოღლუკოვმა მოსვლა ჩვენი, გამოჰქცეოდათ და აქ მოვიდა. არ ვიცით ან ამას რა დანაშული აქუს და ან იარანალი რას ბრალს ადებს, რომელიც წარმოვალს უმაღლესსა კარსა, და თუ რაიმე ბრალი აქჳს, თვით გასცეს პასუხი. დეგრალი, რომელი პირველ ახალციხეს წასჳლისა ჩვენისა, რომელსაც ამბობენ სიტყვით მესაიდუმლედ მისსა (ტოტლებენისა) და თვითცა ესრეთ ასე ამბობს, და ეს გაუშვა ოფშეტით (პოჩოტით?), წყალობით და ჩინის მომატებით, და მე მითხრა ბრწყინ-

ვალუემ ღრაფმა, რომ ჩემი და ჩემის ქვეყნისა მრავალი ძვირი მოეწეროს ამ დეგრალის რუსეთში და იმას არესტი ექნას და გაუგდოს, — ამ საქმისათვის მე ასე მარწმუნა ღრაფმა. და როდესაც ჩვენ ტფილისს მოვედით და ჩვენი მოსვლა შეეტყო დეგრალს, ისიც გამოპარულიყო გზიდამ და ჩოღლუკოვთან ჩვენთან მოვიდა, და ეს დეგრალი ამას წერილით მოწმობს: არა თუ თვით ამას თავისის ნებით დაეწეროს, არამედ ღრაფის ბრძანებით დაეწეროს ჩემი და ჩემის ქვეყნის ძვირები, და რომელიც ღრაფს ინსტრუქცია ჰქონებიეს, ყოვლითურთ მის წინააღმდეგად ემოქმედოს. დეღრალი ასე სწერს თავისის კელით, რომელიც მოუცია ჩემთვის.

თქვენს ბრწყინვალებასთან ამისთანა საქმეების გამოცხადება დიდ მეზარება ჭეშმარიტად და ვითხოვ თქვენის ღრაფობის ბრწ. ბოდიშს, რომ თავი არ შეგწყინდესთ, მაგრამ საქმისაგან დამჭირნო მეიქენ, რომ უნდა მომეხსენებინა. ეს დეგრალი ჩვენგან გაშვებულია და როდესაც უნდა წარმოვალს.

ამ სამთაოვისვე იარანალ მაიორს მანიფესტი გაეწერა ჩვენს ქვეყანაში, რომელიც იყო ჩვენდა მომართ მძიმედ აღსაჩენელი და ავი, რომლისაც, მანიფესტის პირი, თ. ღ. ბ. მოერთმევა.

და თვითონ იარანალ მაიორი უკან გამობრუნებული მივიდა, და სადაც რომ საქართველოიგან რუსეთის გზის კარია, ესე იგი ანანური, იქ მივიდა თავისის ჯარით და იქ დადგა, რომელიც სხვათაგან ავათ დასასახავი იყო, და ესრეთ საგონებელი არს, რომ რომელიც აქ პოლკოვნიკი კლავერა არის მომავალი, ვგონებთ ისიც თავის კამანდაში მიიყვანოს, და არ ვიცით თუ რა ეგულვების ყოფად შემდგომად.

ამასცა კჳალად მოგახსენებთ: ღრაფ იანარალ მაიორმა ტოტლებენმა პოდპოლკოვნიკს სიმეონ ჩოლაყოვს რომ არესტი უყო და წარმოგზავნა, — მაგისი დანაშაული არა ჩანს რა; თუ საკეიწიოდ დანაშაული არა ჰქონდეს რა თ. მ. ღ. ბ. ვითხოვ, რომ ყოვლადმოწყალის კელმწიფის წყალობით აქავ გამოგზავნოს სამსახურზედ, და ამას დიდ წყალობად ჩავიგდებ.

14. Д. VIII. 1770 г. Письмо царя Ираклія къ гр. Н. И. Панину.

პირველ ამისსა უმაღლესსა კარსა ჩვენმიერ მოხსენდა: ნაომ ნიკოლაიჩი ჩოღლუკოვი, რომელსაც იარანალ მაიორმა უწინარეს ამის არესტი უყო, რომლისაც ვერ შევიტყევით თუ რომლის დანაშაულის თანამდებობა ჰქონდა, — ეს, ღრაფ ტოტლებენის იასაულების გამოქცეული, მოვიდა ჩვენთან; რადგან ჩვენგანაც მოხსენებული იყო ეს კადნიერება — ამის გამო თქვენს მაღალს ღრაფობის ბრწყინვალებასთან მივიღევით და კვალად მოვახსენეთ, რომ ვინათგან უმაღლესს კარს უნდა წამოსულ იყო, აწ ამა დროსა ჩვენგან წარმოვგლინა ეს ჩოღლუკოვი; უკეთუ თქვენის მ. ღ. ბ. ნება ჰქონდეს, აქაური ამბავი მოგახსენოს.

15. Д. VII. 11 Февраля 1770 г. Представленіе царя Соломона имп. Екатеринѣ II. Пер. т. I. № 35.

მათის უყოვლად დიდებულესის მოწყალებისა და წყალობის მარავანდედით მივენილი მეფე აფხაზ-იმერთა სოლომონ კ̃დ მოსაკსენებელსა ამას შევრდომითითა განკრძალვითა მოვახსენებთ: ოდეს ყ̃დ დიდებულისა იმპერატორობისა მათისა წ̃ე წარმოივლინა ჩვენ შ̃რ ქუთაისის მიტროპოლიტი მაქსიმე, და მკურვალითა გონებითა, ვედრებითა მრავლითა საიმპერიოდ და სამფლობელოდ მივართვით საუკუნოდ თავნი ჩვენნი და სამეფო ჩვენი, რ̃ უცხო თესლთა, ოსმანთაგან, ჩვენ ზ̃ა დადებული მიღებად შეუწყალებელსი ჭირნი და ტყუეობანი ამისავე ხელითა მორთუმულსა არსასა შ̃ა ყ̃დ უუმოწყალესისა კელმწიფისა წ̃ე თითოეულად გამოვაცხადეთ, და რომელისა ვედრება ფრიად უმეტეს სატრფო-საწადელ ჩვენდა იყო წყალობად, იგი შიითვალა ღმრთებრსა გონებასა ყოვლად მოწყალისა კელმწიფისა საუკუნოდ საიმპერიად მათდა აღრაცხვა და შერთვა ვრცელისა სამფლობელოსა თჳსისა ჩვენი და სამეფოც ჩვენიც სათნო უყო, რ̃ დედობრივითა თანალმობითა ს̃ გნოდ შეწევნისა, წყალობისა და მფარველობისა უქაზი ეწყალობა და ყ̃დ ძლიერი კელი დაედვა ჩვენ ზ̃ა, და ჯარიცა მისის განწესებით ებოძა, და მრავლითა სახიერებითა ესრეთ შეწყალებულ ვიყვენით. ოდეს მოიწია მხედართმთავარი მათითა მკვდრობითურთ საზღვარსა თემისა ჩვენისასა, მრავლად მოხარულნი წინ მივეგებენით, და აღმოვიკითხეთ რა ბრძანება და წერილი გამოკსნისა და შეწყალებისა ჩვენისა, მუკლდადგმით მადლობა შევსწირეთ და მივართვით ყ̃დ ღ̃თსა და მერმე ყ̃დ მოწყალეს კელმწიფესა, და ზოგად ვიხარეთ გარდარეულითა სიხარულითა სამღვდელოთა და საეროთა, დიდთა და მცირეთა, და ყ̃ლმან საკსებამან ქ̃ყნისა ჩვენისამან ესრეთ განიხარა ვ̃ა ეგვიპტით მონებისაგან გამოკსნილთა ისრაილთა, და მეის თანა თაყუანისმცემელ, მლოცველ, მმადლობელ ვიქმნენით ყ̃ნივე მათის ყ̃დ ძლიერის იმპარატორობის დიდებულებისა, რომელმან ემმასნოელისაებრი გამოკსნისა და შეწყალების მარავანდედი მოგვფინა. შორაპანის ციხესა, რომელიცა ოსმანთ აქვნდათ გამაგრებული, მაშინვე დაუყოვნებელად მათი ბედნიერი ჯარი და ჩვენც ერთობით შემოვადგეგით. ამას ჟამსა ერთი თავადი ჩვენი დადიანი, ყ̃ლთვის ოსმანთ მიმდგომი და მტერი ქ̃ანობისა, შეგვიორგულდა, თათრის ჯარი და თავისი შემოიყარა და ჩვენი წინაგანწყობა და ამ კეთილის საქმეების დარღვევა მოინდომა, ამის გამო ჩემის ჯარით თათრის ჯარსა და დადიანს ზ̃ე საომრად წაველ და ყ̃დ მოწყალის კელმწიფის ბედნიერი ჯარი შორაპანის ციხეს შემოვაყენე; ჩვენ მაგიერად ჩვენი ძმა იოსებ კათოლიკოსი და ქუთაისის მიტროპოლიტი მაქსიმე და სხვანიც ერთგულნი ჩემნი გვერდს მოუყენე. ქ̃ეს ცხოველის მყოფელის ჯვარის შეწევნითა, ყ̃დ მოწყალის ხელმწიფის სახელით, თათრის ჯარსა და დადიანს შევებით,

მაშინვე გავაქციეთ, ამოვსწყვიტეთ, მრავალი ცოცხალი და მკუდარი დავინარჩუნეთ. ბუკის ციხე ეპყრათ თათართა, ისიც ავიღეთ და დავაქციეთ, მისი ჯაბახანაც ჩვენ დაგვრჩა. და ამ საქმეებში რომ ვიყავით, შორაპანის ციხეს რომ უ̃დ დიდებულის კელმწიფის მკედართ-მთავარი ადგა, იმავ მეორე დღეს წასვლა მოენდომებინა, ჩვენი ძმა კათოლიკოსი და სხვანიცა დიდად შეხვეწნოდნენ: „მოიცადე, აგერ ჩემი ძმა, მეფეც, მალე მოგეშველება და ღ̃თით ამ ციხეებსაც მალე აიღებთო“.—მითაც არ დაუშალა. მეორე დღეს ჩვენდა შეუტყობრად, დაუკითხავად გაბრუნებულ იყო და ქართლშიდ გარდასრულიყო. და ამისა შ̃დ მრავალგზის ვევედრე ჩვენს ქვეყანაში მოსვლასა, უ̃დ მოწყალის კელმწიფის ბრძანება ასე გაქვსთმეთქი, მაგრა არას გზით არ ინებეს [მოსვლა]. ა̃წ ამას მუხლდადგმით და მრავალგზის შევრდომით მოვახსენებთ ვედრებითა მხურვალითა მათს იმპერატორობის უ̃დ დიდებულებასა: ვინათგან დედობრივის მოწყალებით, სახიერებით მოხედვა ჰყო ჩვენ ზედა და საუკუნოდ დაფარვისა და თვისთა მონათა თანა აღრიცხვა და შეერთვის წყალობა და უქაზი გვიბოძა, ესეოდენთა მართლმადიდებელთ ქრისტიანეთა გულნი სიხარულით აღავსო, იმათი უ̃დ დიდებულება ოსმანთ ტყვეთ სულარ მიგვცემს, ნუ დაგვაგდებს, და მტერთ გულისად ნუ გაგვხდის: პირველადცა მოგვიკსენებია და აწცა მასვე მტკიცედ და შეურყეველად მოვახსენებთ: ჩვენ და ჩვენი სამეფო რაც შეძლება გვაქვს განმზადებულნი ვართ უ̃დ მოწყალის ხელმწიფის სამსახურზე სისხლის დათხევად, და სადაც ინებებს, მათს წინაღმდგებს შევეხოცებით. სხვა ჩვენი ვედრების სიტყვა კნიაზ დავითის პირით მოკსენდეს.

თებერვალს ია, წელსა ჩღჲი.

16. 10 Февраля 1770 г. Письмо царя Соломона къ гр. Н. И. Панину. Пер. т. I. № 35.

მეფე აფხაზ-იმერთა სოლომონ მივართმევ დიდითა ვედრებითა წინაშე მათსა სავედრებელსა ამას არზასა: ოდეს წარმოივლინა ჩვენ მიერ ქუთაისის მიტროპოლიტი მაქსიმე სავედრებელად უ̃დ დიდებულისა იმპერატორობისა მათისა წინაშე, და საიმპერიად და სამფლობელად მათდა მრავლითა ვედრებითა მივართვით თავნი ჩვენნი და სამეფო ჩვენი, და უცხო თესლთა ოსმანთაგან მრავალ ჟამ დადებული ტყვეობა და ოკრობრივითა თანალმობითა, რომელიცა უმეტეს გვსურდა, მით შეწყალებულ ვიყვენით; წყალობა და ჯარი თავის განწესებითა, და საიმპერიად და სამფლობელოდ მათდა დადებად უ̃დ ძლიერისა კელისა და საუკუნოდ დაფარვისა და შეწევნისა უქაზი ეწყალობა ჩვენთვის. ხოლო ოდეს მოიწივნენ სამეფოსა ჩვენსა, მდიდარნი და გლახაკნი სიხარულით მივეგებენით და, რა აღმოვიკითხეთ ბრძანება და წერილი გამოკსნისა და შეწყალებისა ჩვენისა, ყოველნივე

ერთბამად მმადლობელ, თაყვანისმცემელ ვიქმნენით ღვთისა და ყ̃დ უმოწყალე-
სისა კელმწიფისა. მასვე ჟამსა დაუყოვნებლად კელმწიფის უძლეველი ჯარი და
ჩვენცა შორაპნის ციხეს შემოვადეგით,—ოსმანთ ქონდათ გამაგრებული. მაშინ
ღმერთმან ცათამან საკვირველი შიშის ზარი დასცა ოსმანთა, ციხეებიდამ ერთმან-
ერთს კაცს აპარებდნენ: რუსეთის ჯარი მოეშველათ ჯაბახანითაო, შიგ ცეცხლით
დაგვწვენო, გაიპარნეთო! ამა ჟამს, ერთი თავადი არის ჩვენი დადიანი, ყოველთვის
თათრების მიმდგომი იყო და ქრისტიანების მტერი, ეს შეგვიორგულდა, თათრის
ჯარი შემოიყარა და თავისი, და ჩვენი წინაგანწყობა მოინდომა. ამის გამო ჩემის
ჯარით თათრის ჯარზე და დადიანზე წაველი, და ყ̃დ მოწყალის კელმწიფის ჯარი
შორაპანის ციხეს შემოვაყენე, ჩემი ძმა კათალიკოსი და სხვანი ერთგულნი ჩემნი
გვერდს მოვუყენე. იესო ქრისტეს შეწევნითა, ყ̃დ მოწყალის ბედნიერს უღურ'სედ, შე-
ვებენით, თათრის ჯარი და დადიანისა ამოვსწყვიტეთ, გავაქციეთ, მრავალი ცოცხალი
და მკვდარი დავინარჩუნეთ. სანამდის ომიდამ გამოვბრუნდებოდი, ჩემ შეუკითხავად და
შეუტყობრად, მერვე დღეს, კელმწიფის მკედართმთავარი ქართლში გარდასულიყო;
ჩემი ძმა კათალიკოსი და სხვანიც მრავალნი ხვეწნოდენ დიდის ვედრებითა, მაგრამ
არას გზით არ მოეცადა. ამასუკან კიდევ მრავალი ვევედრე: ჩემსავ ქვეყანაში გარდა-
მობძანდით, ყ̃დ მოწყალის კელმწიფის ბრძანებაც ასე გაქვსთ შეთქი,—არას გზით
აღარ ისმინეს. თურმე ეს ზამთარი აქ მოეცადათ, ღვთისა და ყოვლად დიდებულის
კელმწიფის ძალმან ასეთი შიშის ზარი დასდვა ოსმანთა—რაც იმათი ციხეები
იყო აქ სრულ ავიღებდით ამ ზამთრობით. თქვენის მაღალის ბრწყინვალეების წინაშე,
ღვთის ჭეშმარიტებით და ღვთის დაუძინებელი თვალი მხედველ არს, რომ ჭეშ-
მარიტს მოვახსენებთ: ჩვენ ყ̃დ ძლიერის ხემწიფის მკედართმთავრისათვის არა
შეგვიცოდებია რა, არცარა გვიწყენია; ჩვენის ცოდვისაგან ასე მოხდა, რომ ყ̃დ
მოწყალის კელმწიფის წყალობა და ჯარი ჩვენს ქვეყნიდამ გაგვეცალა. რაც პირ-
ველს არზაში პირობა მომიხსენებია,—ჭეშმარიტებამ იცის, სრულის გონებითა და
ანთებულის გულითა განმ'ზადებული ვარ, რომ ყ̃დ დიდებულის კელმწიფის ბედ-
ნიერს უღურ'სედა ქრისტიანობისათვის ჩემი სისხლი დავთხიო, და შეცა და ჩემი
სამეფოცა კელმწიფის მტერს შევეკოცნეთ. ახლა თქვენს აღმატებულს სიმაღლესა
და ღვთის მოყვარე გონებასა დიდის ვედრებით და ქენებითა მოვახსენებთ, რომ
ყ̃დ მოწყალეს კელმწიფესთან მეოხად აღდგეთ ჩვენთვის და ესეოდენთა ქრისტია-
ნეთათვის, და შეგვიბრალოთ: ვინათგან ისება და ღმრთეობრი მოწყალება და სახიე-
რება მოგვფინა და თვისთა მონათათსა აღგვრაცხსა, ნუღარ დაგვაგდებს, შეგისე-
ბულთა ოსმანთა ტყვედ ნუღარ მიგვცემს, მტერთ გულისად ნუ გაგვაგდის, და მა-
თის ყ̃დ დიდებულის იმპერატორობის საუკუნოდ მონანი, თაყვანისმცემელნი და
მმადლობელ-მლოცველნი გვამყოფოს. სხვას ჩვენს სიტყვას სავედრებელსა ეს
ჩვენი კნიაზი დავით [კვინიხიძე] მოგახსენებთ.

თებერვალს ი, წელსა ჩღჲი.

17. Д. XV. 8 Апрѣля 1770 г. Письмо католикоса Антонія I къ кн. А. Р. Моуравову.

ბრწყინვალეო კნიაზო უფალო ანტონ რომანიჩო,

ჩემო სარწმუნო მეგობარო!

ქ~ეს ცხოვრების მომცემელისა ჩუჱნდა ყოვლად ბრწყინჳალესა აღდგომისა დღესასწაულსა მოგილოცავ და მეგობრობითითა შეკრულებითა ვიკითხავ თქუჱნისა ბრწყინჳალებისა ვითარეობასა, რომლისა სიმრთელესა შევჰრაცხ ჩემდა ბედნიერებად. ვითხოვ შენისაგან ბრწყინჳალებისა, რომ მომწერო: მინდა ღრაფს ნიკიტა ივანოვიჩს წიგნი მივჰსწერო, რომ იმის დიდებულებას ჰანალიის ბოძების მადლობა ჩემი იმისგან მოხსენდეს, და ტიტლო მომწერე ღრაფისა, წიგნში დასაწერიცა და პაკეტზედ დასაწერიცა, და მანდ იმის სიმაღლეს მეფეს მოვართმევ იმ წიგნს, ასე რომ პაკეტზედ ჩემი ბეჭედი იჯდეს, მაგრა ერთი პირი შეუკრავი იყოს, და ჩემი ღრაფ ნიკიტა ივანოვიჩთან მიწერილი წიგნი თქუჱნ ჰსთარგმნე რუსულად, და იმ პაკეთში ჩაიდჳას ისიც და ისე წარიგზავნოს.

რომელიც სათქმელი იყოს რუსული ამბავი — ვითხოვ რომ მომწეროთ, და ან დაცლილს არქიერების საყდრებზედ ვინ განწესებულან — ისიც მომწერეთ.

თქუჱნის ბრწყინჳალების მარად კეთილის მეწადე ანტონ კათალიკოზი.
დაიწერა ქალაქს ტფილისს, აპრილის 8 დღესა, წელსა 1770.

18. Д. VIII. 2 Мая 1770 г. Письмо поручика Дегралiи къ царю Ираклiю. Пер. т. I. № 209.

ქ. მის სიმაღლეს უგანათლებულესს მეფეს,

ჩემს კელმწიფეს ირაკლის.

რადგან იარანალის ტოტლებენისაგან გასტუმრებული ვიყავ იმ მიზეზით, როგორც მოგხსენებიათ, რომ მე დამიწერია ამისთანა წიგნები, რომელიც ჩემის კელმწიფის საჩინო და უმეტესად კემწიფის ირაკლის წინაღმდეგ იყო, — გავშტერდი, რომ ღრაფს თქვენის სიმაღლისათვის მოუხსენებია, რომ მე დასამალი მქონდეს, დაკეჭდილი და გავეცილე, ის წიგნები ჩემის ნებით დამეწეროს. ამას ვგონებდი, რომ ტფილისის ქალაქს მოვიდე და ჩემი თავი გავიმართლო. მართალია, რომ ის წიგნები დამიწერია, მაგრამ იარანალის ბძანებით: პირველი დამიწერია აღოს მინდორ-

ში, სადაც მისი სიმაღლე ირანალს შეეყარა, მეორე წიგნი—რომელსაც იმერეთიდამ გარდმოვედით; კიდევ დამიწერია საქართველოს გასინჯულობა—მუდამ იარანალის ბძანებით; მესამე წიგნი დამიწერია ზამთარში, მოზდოქს რომ წაველით,—ტფილისის ქალაქის გასინჯულობა, და სულ ეს წიგნები ყოველი სიმართლისა და მისის სიმაღლის მეფის ირაკლის დიდების სრულიად წინააღმდეგი ყოფილა, და ჩემგან დაწერილი ყოფილა იარანალის ბძანებით, როგორც იპოებს' კოპია იმის წიგნებში. დღეს სამი კვირა არის, რომ თქვენის ლაგირიდამ ერავი მოვიდა და თავის ოფიცრებთან დამაბეზღა, რომ მე ამისთანა წიგნები დამიწერია. მერე მე მაგ ირანალს მოვახსენე: შენ ხომ იცი,—ეს წიგნები შენის ბრძანებისაებრ დამიწერია. როცა ირანალმა შეიტყო, რომ იმ საიდუმლოს შენახვა მე არ მინდოდა, მიბძანა, რომ პეტერბურღს გაგისტუმრებ კაის პატივით, და მაჩუქა შვიდი კელენდი'ჩის ოქრო და მომიმატა სახელი—პორუჩიკობა, ამ იმედით წაველით; მაგრამ შემიტყვია, რომ თქვენის სიმაღლისათვის მოუხსენებია, რომ მე გამაგდო ერთის ავის კაცისავით და საქართველოს წინაღმდეგსავით; ვერ მოვითმინე ამისთანა დაბეზღება, რადგან მუდამ ერთგული ვყოფილვარ ამაღლებულის ჩემის კელმწიფის წინაშე და თქვენის სიმაღლის წინაშე, და თქვენგან დიდის ვედრებით ვითხოვ მფარველობასა. იარანლის ფიქრები და ნიშნები მუდამ წინააღმდეგი ყოფილა თავის ინსტრუქციისა და ჩვენის კელმწიფის ბრძანებისა, და მუდამ მოატყუა რუსის პირველი მინისტრები: ბევრჯელ მიუწერია იარანალ ჩერნიშოვთან და იარანალ პანინთან, რომ ერთი ჟამი დაიხელოს და საქართველო დაიჭიროს თავის იმპერატრიცის სახელით, რომელი ქვეყანაც მეფის ერეკლეს საბძანებელს ქვეშ არის. ესეც მისწერა: რუსეთს აბაზი მოსჭრან, აქ გამოგზავნონ და, თუ იმ აბაზებს მეფე ირაკლი არ მოიწონებს, ამას მტრობას გამოუცხადებს. კიდევ სხვაც ბევრი წიგნები არის ჩემგან დაწერილი იარანალის ბძანებით, რომელიც თქვენის სიმაღლის წინააღმდეგია და სრულიად საზიანოდ არიან. ფრიად გევედრები, რომ ეს დაიჯერო: გაჭირვებულმა დავსწერე. ახლა თქვენ გევედრები, რომ არ დამაბეზღოთ ამაღლებულის იმპერატრიცას წინაშე, რომლის, იმპერატრიცის, და თქვენის სიმაღლის მუდამ ერთგული და დიდის სიმდაბლით ვიყავ და ვიქნები.

ჩემო უგანათლებულესო ბატონო კელმწიფევ, ფრიად მდაბალი და ფრიად მორჩილი მოსამსახურე კარლო დეგრალი და პოდპორუჩიკი.

ქ. კარლო დეგრალისაგან ჩემთან მოწერილის წიგნის პირი არის.

ირაკლი.

ტფილისს. მაისის ბ, წელსა ჩლო.

19. Д. III. 6 Мая 1770 г. Письмо царя Ираклія къ кн. А. Р. Моуравову. Пер. т. I. № 42.

ღრაფი ტოტლებენი აწყურის ციხიდამ თუ როგორის საქმით წამოვიდა და გამოიპარა—ამის თვითმნახავნი ხართ და დამსწრენი და კარგათ იცით. ჩვენ რომ ღრაფის ყოფნა, თუ სად იყო, რომ არ ვიცოდით, რა რომ მტრის ქვეყნიდამ ამ საქმით დაბრუნდა; მასუკან პოდპოლკოვნიკი რატიევი, რომელიც ახლის ჯარით გარდმოსრულიყო, აქ ტფილისს მოუწოდეთ, რომ იმ ჯარის სურსათისათვის გვეზრუნა, და კელიც მოუმართეთ, და კიდევ, რადგან ყ̃დ მოწყალის კელმწიფის იმპერატრიცის სტაფ-აფიცარია, უნდა გამოგვეცხადებინა თუ რას მიზეზებით მოვცლით ამ დროებში მისის დიდებულების სამსახურს; და ამასობაში გრაფსაც საგანგებოდ კაცი გაუგზავნეთ და აქ, ტფილისს, მოვიწვიეთ, რომ რაც რომ დღეს იმას ჯარი ყვანდა მოგვეყვანებინა, გაის ადგილს დაგვეყენებინა, საკმაო სურსათი ქმოგვნათ, მომავალის ჯარისთვისაც რიგი მიგვეცა და მასუკან ისევ ყ̃დ მოწყალის კელმწიფის სამსახურზედ აღძრულე ვიყავით ჩვენ და ისინი საზოგადოდ მტერზედ. არათუ მოვიდა, პასუხიც არ მომსვლია იმ ჩემის წიგნისა, და თვითონვე იწერება პოდპოლკოვნიკი რატიევისას, ჩოღლოკოვისას და დეგრაალისას, ეს მეორე დღეა მოეწერა,—ესენი დაეჭირა და იმასთან გაეგზავნა; ჯერ ამის თავის მოწერილის წიგნის პასუხიც არ მოიცადა ჩვენგან, და დღეს ტფილისს და ყ̃ლს ჩემს ქვეყნებში წიგნები და კაცები გაუგზავნია, და შემოუთვლია: ვინც იმათ ცოცხალს მომგვრის ათას ფლურს მივსცემო, და ვინც მკუდარს მომიტანსო ასს თუმანსაო,—და ეს თქვენ გასინჯეთ თუ რა ბოროტი და მოსაწყინებელი კმა გავა ამგვარის საქმეების დაჭე-რითა ჩვენს ქვეყნებში. ყ̃დ მოწყალის რუსეთის კელმწიფის ტახტისა ასეთი სასოება აქუსთ ყოველს ჩვენის ქვეყნის კაცთა დიდთა და მცირეთა და მორჩილება, არათუ დიდის კელმწიფის სარდალსა, ერთს დაბალს სალდათსაც გაუგონებენ ამგვარს სიტყვას, თუმცა ბოროტია, მაგრა ასე მორჩილებით შეკრულნი არიან ამ ძალით. დღეს რომ ესენი ქნა, ხვალ უბოროტესებს მოინდომებს, და ამითი რაც ჩემის ყ̃დ მოწყალის კელმწიფის სასოებით აღთქმული წყალობა მაქუს წიგნითა, თუ საქმითა, საგონებელია, რომ სუყველას ბოროტად გარდაცვალას ეცდება. თანა-მდებობა არ ქონდა ჩემს უკითხავად ჩემს ხალხთან ამისთანას წერილის მოწერისა. ამ მიზეზებით მე მაგას ჩემს ქვეყნებში ვერ გაუძლებ და ჩემის მოწყალის კელმ-წიფის სამსახურსაც მომაცდენს. თუ ამისთანა ყ̃დ ბოროტს კაცს მომაშორებთ, რაც აქ კელმწიფის ჯარები არის იმათთვის სურსათისა და კეთილ გამოზრდის საქმეც თავსმიდვია და მტრის მტერობაცა—წინაშე ღ̃თისა და წინაშე ჩემის ყ̃დ მოწყალის კელმწიფის ავღუსტას წინაშე, და პასუხის მიმცემიც ვიქნები, და საქმის წარმართება ნება ღვთისა არს.

ტფილისს. წელსა 1770, მაისის 6 დღესა.

20. 10 Мая 1770 г. Письмо царя Ираклія къ вице-канцлеру А. М. Голицыну.

ვინაჲდგან წყალობითა ზეგარდამოჲთა ყოველთა საქართუჱლოთა, დიდთა და მცირეთა, სურვილისამებრ ჩუჱნისა, კეთილი დრო გუჱწვია და მ. დ. მოწყალე-ბით საზოგადოდ აქეთა მყოფთა ქრისტიანეთა ყოველსა დროსა მფარველობით, სასოება აღთქმით, უმაღლესსა ყ̃დ მოწყალესა აღვისტასა ებძანა, უკეთუ ჩვენ მ. დ. ქრისტიანეთა მტერთა ოსმანთა ზედა მტერობა ვაჩვენოთ, და აწ ამა უმაღლესისა ბძანებისა ყ̃დ დამორჩილებულთა სიხარულით მივიღეთ ბძანება ესე და იარასალ მაიორს ორგზის და სამგზის კაცნი წარუგზავნეთ და დიდის ვედრებით—ან მუხ-რანს და ან ჩვენს ქალაქს მოვიდეს ტფილისს, და ან გორის ქალაქის სოფლების მახლობელად ჩვენ იმასთან მივიდეთ, და მტერზედ მისვლა როგორ სათანადო იქმნებოდა, კვალადცა სურსათი რა ერთი მოუნდებოდა, და ან რომელი გზა უმჯობ-ესი იყო—ეს გამოგვეჩინა, მაგრა არ ინება: არც ჩვენთან მოვიდა და არც ჩვენ მიგვიწოდა, და უკმარნი მიზეზნი დასდუჱნა, და პირველ ვიდრე ამისა და შემდგო-მადცა ითხოვდა ჩემგან, რათამცა მიმეცა სამასი, ანუ ათასი კაცი, რომლისა მეცნიერო-მან ვიცოდი მცირედითა ჯარითა მტერს ვნებას ვერას მისცემდა, და უფრო თჳს-თანა, რომელი კიდეც აღვასრულე, რაოდენ შეძლება ჩვენი იყო ყოვლითურთ.

ტოტლებენს სურამს ლაგირსა თჳსსა შევეყარენით მარტის იზ და იქიდამ იმერეთის მეფეს სოლომონთან კაცის გაგზავნით, ანუ თუ წიგნის მიწერით ჩვენთან მტერზედ სამტეროდ შემოსაერთებელად; რომლისაც გვარითაც ვეცა-დენით, უეჭველ არს, ვითარცა თანამდებობა აქვს ნადვორნი სოვეტნიკს კნ. ანტონ მოურავოვს, რათა უმაღლესსა კარსა მოახსენოს. და როდესაც ჩვენ და იასარალ მაიორი სურამიდამ ქვიშხეთს ავედით და ზეგარდამოებრი წყალობა მ. დ. ბოძებული წმ. მოციქულისა ანდრია პირველწოდებულისა ორდენი მივიღეთ ღვარდიის ოფიცრისაგან, რომლისაც მადლობა უმაღლესსა კარსა უვრცელესად მოხსენდება; როდესაც ქვიშხეთიდამ მტერზედ განვემზადენით რაც სურსათი მთხოვა ღრაფმა პური და ქერი უშოვნეთ, ასე რომ სურამშიაც მრავალი დააგდო, და საკლავიც უშოვეთ, ამაების ზოგის ფასი არცკი მიეცია. რადგან ჩვენი ჯარი დიდიხნის გამოსული იყო თავის ადგილთაგან, ვისაც პური და ქერი შემოაკლდა, იმის (ტოტლებენის) მესურსათისაგან იყიდეს; თვითონ მე, რავდენისამე ჩვენის ჯარის კაცისათჳს მეც ვიყიდე პური და ქერი—რაც რომ მთის კაცნი შორიელნი გვახლდენ იმ ჯარისთვის, რადგანაც მალე გუჱგონა მტერზედ მისვლა და დავე-გვიანდით, ეს იყო მიზეზი ჩვენის ჯარის სურსათის სყიდვისა; და სადღეხვალიოდ აგდებდა მტერზედ მისვლასა და მიზეზობდა მიზეზთა უძლურთა, რადგანაც გონებაში ეს ედვა, და თვითონაც როცა მოუნდის ურმის ხარებიდამ გლეხკაცს

ართმევდა, უკოცდა და ნახევარს ფასს არ აძლევდა, მაგრა მ. დ. სამსახურის სურვილი აქუსთ აქაურთ დიდთა და მცირეთა, რომელნიც გონების მქონებელნი არიან, თუ მ. დ. გონების განზრახვის წარსამართებელი იქნება, როგორც თავის სისხლს ახლა ამ დროს არ დაზოგავს და ეგრეთჳე უზუსთაესსა საქმესა არა ჰრიდებენ.

ვინაჲთგან მძებნელ იყო მიზეზისა, რათამცა ეპოვნეს მიზეზი მტერთა ზედა მიუსვლელობისა, ამისთჳს განაგრძელებდა დროთა, მაგრა რაოდენ შემძლებელ ვიყავით აღმასრულებელი ვიქმენით მიზეზებთა მათ მისთა, და სადგერის ციხეს მისვლასა, იქიდამ მტრის ციხე და სოფელ-ქალაქი, რომელი იყო აწყური; ამას ჰქონდა გზა მისასვლელი ორი, ერთკერძოჲსა გზისა სიგრძე იყო ვერსი ორმოცი, რომელსა ზედა არტილერია გაივლიდა, და მეორისა კერძოჲსა გზისა სიგრძე იყო ვერსი ოცდა ოთხი, რომელსა ზედა თავისის რიგით არტილერია დაუშლელად არ გაიტარებოდა. უგრძესსა გზასა რვა ზარბაზანი ჩვენ მოგვიყარა თავისის განწყობილობით და უგრძესსა გზასა ზედა ჩვენ გამოგვირჩია წარსვლაჲ, და გვარწმუნა ჩვენ ერთისა ზარბაზნის დაგდება სადგერის ციხეში სამოცის კაცით; და მე რომ პირობა მომცა და გამოგვაცილა, იმავ ღამეს იქავ სადგერს დადგა, და მეორეს დღეს ექვსი ზარბაზანი თავისის გაწყობილობით და ოთხასზე მეტი ჯარის კაცი ბარგითა, და რაც კარავი ჰქონდა იქ სადგერს დაუგდო და თვითან უმოკლესს გზაზედ მსუბუქის ჯარით წამოსულიყო, რომელსაც მტრის ციხეს საკირე ჰქვიან, და უწინარესვე ჩვენი ასი კაცი დაგვეყენებინა, იქ შემოგვეყარა, და ქვიშხეთიდამ აყრაში ათას ხუთასი კაცი გამოგვართვა თავისის არტილერიისათჳს, თავისი ბარგიც იმათ აზიდვინა, რომლისთჳსაც არც ერთი კაპიკი გასვლია და, მე თვით ავსა, ჩემს გარჯასა მ. დ. სამსახურისთჳს ჩემდა ბედნიერებად ვრაცხდი.

თთუესა აპრილსა 17, შუადღისას, მივსრულვართ აწყურს და იქ ჩუენმა ჯარმა და ღრაფის კამანდის ქუეშ განწესებულმა ჯარმა პირუტყვი მრავალი იშოვეს, პური და ქერი, აგრეთვე მეორეს დღეს; მაგრა აწყურის ციხის შემოდგომა ჩემი ნება არ იყო, ამისთჳს რომ რადგან მტრის მამულში ვიყავით უმჯობესად ეს აღმოჩნდა: მათნი ქონებულნი, რომელნიც სოფლებით სურსათი აქუნდათ, სულ ჩუენ მოგვეგროებინა და შემდგომად მისსა, უკეთუ უმჯობეს იქმნებოდა, მივსულვიყავით ახალციხეზედ, და თუ არა, ან მასვე აწყურსა, და ან სხუათა რომელთამე ციხეთა და ქალაქთა მტერთასა შემოვდგომოდით, მაგრა ესე არა ჰყო ღრ. ტოტლებენმან, და ესე ვითარი პირობა დაჰსდუა ჯარში, რომ მტერს დღესვე ციხეს წავართმევთ, და ესე ვერ შევიტყუეთ — ვერ შეიძლო, თუ არ ინება, და ჩუენდა მომართ მიზეზებთა წინადსადებდა; მეორეს დღესაც კიდევ იგივე პირობა დასდუა, მაგრა მისნი საქმენი სიმართლით და სისწორით ვეროდეს ვნახეთ. ამასვე თვესა 18 რაოდენიმე კაცი და რამდენიმე ჯორი თხოვით გამომართვა, რაც ზარბაზანი და თოფხანი დაუგდო იმაების მოსატანად ვათხოვეთ, და მას რაც თავისი მცირე რამ ბარგი თან ჰქონდა ის იმ ჯორებისათჳს იმ ღამეს მალვით უკან გაედევნებინა, და რომელნიმე ჯარის კაცნიც; ამასვე დღესა ლეკნი და ოსმანნი მიუშველნეს აწყურს 19 აპრილს, რომელთამე

ლეკთა ჩუ̂ჱნი შემორიგება მოინდომეს, მძევლებიც გვაძლივეს, მაგრა ზოგი ლეკთა და ოსმანთ არ გამოუშვეს შესარიგებლად. ამასვე დღეს აიყარა ტოტლებენი, და ჩვენთჳს მიზეზი ეს შემოეთვალა: მტერს და მტრის ციხეს სხვას მჴრით ზარბაზანს ვესვრით. შევიტყევით, რომ უკან დაბრუნებას აპირებდა, და მსწრაფულად თჳთ მე გამოუდეგ და მივედ ღრაფთან, ვნახე გზაზედ მიმავალი, ჯარი წინ გაესტუმრებინა და თითონ რაოდენითამე ზარბაზნით და მცირედის კაცით უკან მივიდოდა. გზაზედ, რომელსაც იმის კაცს მივეწიე და ვკითხავდი—თუ რა ამბავი არის ესე,—იგინი მოჩივარნი იყუ̂ნენ ამ გუ̂არის საქმისა ურიგოსა ტოტლებენისგან ქმნილისა. მე მივედ და ღრაფს დიდად ვევედრე და ჩემი თავი ვითა ერთი მისისა კამანდისა ოფიცარი ეგრეთ კამანდაში ვაძლივე, და მრავალს ვევედრე გამობრუნებას მტერზედ. ამ საქმისათჳთ ღვარდიის ოფიცარი და სხვანი მრავალნი ჯარის კაცნი რუსნი და ქართუ̂ჱლნი დამსწრებ არიან და მოწამე. იმ ჩემს ვედრებაზედ ორი ზარბაზანი გამოაბრუნა და ერთს მაღალს გორაზედ აიტანა, რომელიც დიდად შორევდა მტერზედ, მუნითგან ოთხი ხუთი ზარბაზანი ესროლა და გაბრუნდა, და აღმითქვა, რომ აქავ ახლო ერთს ბალახიანს ადგილს ჩამოვჯდებიო, და ამ სახით გამოიპარა. ეს გამოპარვა იარანლისა ჩვენმა ჯარმა რა ჰსცნა, დიდსა და გამოუთქმელსა დრტვინვასა მიეცნეს, და მტერთა, რა იხილეს და სცნეს, დიდად განიხარეს და სიმჴნე მიიღეს. ამას ყოველსა ამისი ბრწყინვალება კნ. ანტონი რომანიჩი მოურავოვი, ვითა თჳთმხილველი, უმაღლესსა კარსა კეთილად მოახსენებს იქ ჩვენის მტრისა მიმართ ომსა, და ან ვითარ შევრეკეთ ციხესა და სოფელში. ჩვენ წარმოვედით ახალციხის მხრისაკენ და აწყურის ციხეს ორს ვერსზედ დაუდეგით. მაშინვე ღრ. ტოტლებენს კაცი გაუგზავნეთ და ჩვენთან მოვიწვიეთ; კიდევ მას დღეს და მეორეს დღეს დილხანს მუნ ველოდით, ტოტლებენი აღარ მოვიდა, მაშინვე ქართლში სურამისკენ წარსრულიყო. ჩვენი იქ დგომა პ დ—ტოტლებენის მოცდა იყო, და მეორედ—ამისი შიში, რომ ჴელმწიფის ჯარს მტერთ ჯარი არ გამოსდგომოდა უკან ვიწროსა და ავს გზებზედ, რომელზედაც არტილერია შეუძლებელ იყო მოხმარებად, და ჩვენ თუ იქ არ დაგვეყოვნა იმ დღეს, ჩვენ მიერ პყრობილნი ახალციხელნი ტყვენი ჰსწამებენ, რომ ღრაფის უკანდევნა ჰსწადებიათ, და თუ ასე იქმნებოდა უეჭველად დიადს განსაცდელს მიეცემოდენ. ჩუ̂ჱნ მუნითცა ავიყარენით და რაოდენ შეიძლებოდა მტერთ სოფლების წახდენას ვეცადენით, და რომელიც მტკვარს გამოღმა სოფლები იყო, იმას მივმართეთ, რომ იქითგან რაც მტერობა შეგვეძლო გვემოქმედებინა. იქ რა ვიყვენით, ახალციხის ფაშას რაც ჯარი ჰყოლოდა ოსმანისა, თუ ლეკისა სულ აწყურს გამოეგზავნა და იქიდგან წამოსრულიყვნენ, რაც ახალქალაქს და ხერთვისს ათას ხუთასი ლევანდი უდგათ ისიც დაებარებინათ, ამ ჯარს უნდა შემოჰყროდათ; ღვთის მოწყალებით და მ. დ. ბედნიერობით მოვხუ̂დით და გაგვემარჯვა იმ ლევანდებზედ, ასეთს ძლეულებას მიეცნენ, რომ ნახევარი მათი არ გასულა,—ზოგნი მტკუ̂არში მოიშთუ̂ნენ გაქცეულნი და ზოგნი კლმითა მოისრნენ. ასე მცირეს ხანს, რომ ჯერ მტრის ლევნისაგან არ გამოვბრუნებულ ვიყავით, აწყურითგან ოთხი

ათასი კაცი ოსმანი და ლეკი, ფაშისგან გამოგზავნილნი, მოვიდნენ ჩვენზედ. რადგან ღვთის მოწყალებით სასოება გვაქუნდა მათზედ ძლევისა, ხიდი უწინვე წაუხდინეთ, ომი მოგვივიდა ურთიერთთ მიმართ ძლიერი და ფიცხელი; მცირეს დროს ისინიც იძლივნენ და მიისწრაფეს მსასოებელთა ხიდისათა ხიდისა მიმართ, და ხიდი წამხდარი დახვდათ, და ვსდევნიდით რა, მიისწრაფეს მდინარედ, რომელ არს მტკვარი, და ესრეთ ამოსწყდნენ ხმლით და მოიშთვნენ წყლით, რომელ თვით თვალითა ჩვენითა ვხედვიდით ოცნი, გინა ოცდა ხუთნიღა განერნენ—ესრეთ აღიგოცნეს, და რომელნიც ახალციხესა შინა პირველნი, ანუ ჩინებული კაცნი იყუნენ, ფაშანი, ანუ ბეგნი სრულიად მოსწყუდნენ, და ეგრეთვე დაღისტანის ჩინებულნი და თავნი, რომელნიც მუნ იყოფოდნენ ისინიც აღიგოცნენ. კ̃დ ამისა მტრის მამულში ჯარი გაუსიეთ და მრავალი პირუტყვი და სახლის ავეჯეულობა იშოვეს. და მუნით წარმოსრულნი ტფილისს მივედით, ამ მიზეზითა, რომ მ. დ. ბძანებით ჯარი მოსასვლელი იყო, და ღრაფისაც არ ვიცოდით იმ დროს სად იყო, და რადგანც ეს საქმენი ასე გვეგულებოდა, ამისთჳს მოვედით ქალაქად ჩვენდა, რათა მივსცეთ ამათ რიგი დგომისა, სურსათისა და ალაგშეკრებისა.

ვინათგან ჩემდა თანამდებობად ვიცოდი თ. ბ. ამ ამბისა მოხსენება, ამისთჳს მოვსწერე ბრ. თ. და რომელიცა ფრიად სასურველად ვიცი ჩემ მიერ თქვენდამი წიგნის მორთმევაჲ და ვსასოებ ღვთისაგან, და მოველით თ. ბ. რათა დაუვიწყებელნი ვიყუნეთ. დაიწერა ქალაქს ტფილისს. მაისის 10 დღესა, 1770 წელსა.

21. Д. VIII. 10 Мая 1770 г. **Письмо царя Ираклія къ гр. Гр. Гр. Орлову** (по содержанію почти тожественное съ письмомъ Ираклія къ Панину и Голицыну №№ 20 и 22).

ვინაჲთგან წყალობითა ზეგარდამოჲთა ყოველთა საქართჳლოთა....
(ეს წერილი შინაარსით იგივეა, რაც წერილი „უბრწყინვალესს თავადს ალექსანდრე მიხაილოვიჩს“, ბოლო მხოლოდ სხვა აქვს,— ამგვარად). ...ეგების ასე გაგრძელებულს და შეუგუანებელად შეწყობილისა წიგნისთჳს თავი შეგვწყინდეს, მაგრა მიზეზი ეს არის, რომ მტრის ქვეყნითგან ახალი მობრუნებული ვიყავით და საჩქაროდ კაცი რომ გამოვისტუმრეთ, და მრავალნი საქმენიც გვქონდეს, და წიგნის მოურთმევლობას ესევე მორთმევა უმჯობესად ვრაცხეთ, და უფრო ამისთჳს გავბედეთ, რომ თქვენს მ. ღ. ბ. ჩუენის კნ. ანტონ ანდრონიკოვისათჳს ებრძანა, რომ თქვენ წიგნს მოგართმევდე და ჩვენს ამბავს მოგახსენებდე, რომლისაც თანამდებობა გვაქვს—და ჩუენც თქუენის ღრაფობის ბრწყინვალებისაგან ამისი მთხოველი ვართ, რომ მოგონებისგან არ დაგვაგდოთ, და რომელიც სამსახური გენებოსთ, გვიბრძანებდეთ. დაიწერა ქალაქს ტფილისს.

22. Д. VIII. 12 Мая 1770 г. Письмо царя Ираклія къ гр. Н. И. Панину. Пер. т. 1. № 211.

(დასაწყისი იგივეა, რაც ზემოთ № 20 მოხსენებაში: წერილი „უბრწყინვალესს თავადთან ალექსანდრე მიხაილოვიჩთან“, შემდეგ მომატებულია ასე):

...მოკუდა [ასპინძის ომში]: არტანბეგი ბექირბეგ, რომელიც იყო ახალციხის ჩინებულთაგანი—ყოველთა ზედა თავი, მოკუდა გოლაფაშა, მოკუდა შავშეთის ბეგი, ორი არტანბეგის ძმისწული—ქმისბეგ, ქისკან ბეგი, ნარიმანის ბეგი, არტაჭნის ყალაი ბეგი, თაოსკარის მუსაღიმი რაჯაბალა, ახალციხის გუმრუქჩი ჭამადაღა, ლევანდის ბაშაღა, ფაშის სალამაღასი, საჭყალაღასი ფაშისა, ბასლი უსუფაღა, ბაშდელი ბელუქბაში, დაღისტნის ჩინებულნი და თავნი კაცნი, კუმუხის მთავრის შვილი, რომელს თვით ხვანთქარმა ფაშობა მისცა, აჯი გაჭრაი, და ამისი სიკუდილი უფრო ჩანს, ვიდრე სიცოცხლე, ამ მიზეზით, [რომ] მისი ცხენი ალკაზმული ჩვენ მოგვართვეს, და ჩვენი კაცი ახალციხეს აღარ დავა მტერობის მიზეზით, და ზოგნი სიცოცხლესაც ამბობენ; მალაჩილა, რომელი იყო დაღისტნის პირველი და ჩინებული ბელადი, ყოყა ბელადი, უსუფ ბელადი, ჭაჯიმამედ ბელადი, მუსა ბელადი—ესენი და სხვანი მრავალნი ჩინებულნი კაცნი ოსმანთა და დაღისტნისანი, რომელთა [გან] დაგვრჩა ტყვე, დროშა, ცხენი და იარაღნი, და სხვანიც მრავალი, რომელთაგანსა რაოდენსამე ცოცხალთა ტყვეთა, დროშათა და იარაღთა მათთა შემდგომად ათისა დღისა გამოვგზავნით უმაღლესსა კარზედ და ჩინებულის კაცის ჴელით მოვართმევთ.

ამას უკან ახალქალაქი, რომელიც რომ მტრის ადგილშია, ყასაბჩა ჩინებული და ციხე მაგარი, ამათ კაცი და წიგნი მიუვლინეთ და შემორიგებას ვაწვიეთ, მაგრამ, რადგან რომ რამდენიმე ოსმალთ ჯარის კაცნი შიგ ციხესა და ქალაქში უდგათ, ჩვენთან მოსულა ველარ შეიძლეს. მასუკან ჩვენ ჯარები გაუსიეთ, ახლაქალაქი და იმისი გარეშემო სოფლები მოვარბევინეთ და მრავალი პირუტყვი და ეგრეთვე სურსათი კმასაყოფელი, და სახლის ავეჯეულება იშოვნა ჩვენმა ჯარმა, და ჩვენ, რადგანც აქედამ არტილერია სამის ზარბაზნის მეტი არ წავეღო და იარანალის სადყოფნაც არ ვიცოდით, და უკან მომავალის ჯარების მოსულის ამბავიც მოგვივიდა, და იმ ჯარების კეთილ დაყენებისა და სურსათის ზრუნვაც გვეთანამდებებოდა, ამ მიზეზებით იქიდამ კაცი და წიგნი მიუვლინეთ და დავიბარეთ, რომ ჯარებისათვის ადგილიც გამოგვერჩია და სურსათის რიგიც მიგვეცა. და კიდევ მომავალის ჯარებისათვის სახმარნი და საჭიროსნი ნივთნი გვეფიქრა, და მტერზედ მისულისა დრო და პაემანიც გამოგვერჩია, მაგრამ პასუხი არა მოგვცარა ჩემის წიგნისა, რომელმაც მტერზედ წასვლის უწინარეს მრავალნი ბოროტნი იმოქმედა ჩვენს ქვეყანაში ჩემს თავადებზედ და აზნაურებზედ, და ჩემს გლეხკაცებზედ, და თვით ჩემზედაც, მრავლის წამებით ჩემი სული შეაწუხა, მაგრა ყოველივე დავუთმე, რადგან მ. დ. იარა-

ნალ მაიორი იყო; არა უკითხიარა აქამომდე. ახლა რომ ეს ორგულება აღასრულა უ̃დ მოწყალის ჴელმწიფისა, რომ მტრის ადგილიდამ გაუჭირებლად გამოქცევით გამოგვეპარა, მე რომ თავისი ამხანაგი ვიყავ, მე გამიშკა, და ახლა მანიფესტიც გააკეთა, რომლისა მოქმედებისაგან მრავალნი რუსეთის და საქართველოს კაცნი ყოვლითურთ განცვიფრებულნი არიან, რომლისა ს:ქმენი ღვთით უმაღლესსა კარსა მოხსენდება, ვითხოვ თ. მ. ღ. ბ. რომელიც ამ ქვეყანაში მ. დ. სამსახურის თანამდებობისაებრ მსახურობს, ეს იანარალ მაიორი ჩემზე ისეთის რიგით მოიქცა, მ. დ. სამსახურზედ და ჩემს ამხანაგობაზედ, რომ უმაღლესს კარს ამისთანა მოხსენება გავბედე და თქვენ ჩემს სასურველს ბრწყინვალეს თავს ბევრის ლაპარაკით შეგაწყენ.

ჩვენი ჩვეულება არის მრავალ გზის დაღისტნელნი ლეკნი შემორიგებულნი გყოლიან რომელისამე მიზეზებითა—ზოგი ჩვენის ქვეყნის დაცვისათვის და ზოგი მტერზედ მოხმარებისათვის, და ერთი ამისთანა შემძლებელი კაცი მყვანდა შემორიგებული, რომლისაც მიზეზით დაღისტნელნი მრავალნი კაცნი ჩვენთან შემორიგებულნი იყ̂ნეს, და ამათ ოსმანთ ქვეყნის ნატყვევნავი და საქონელი ჭყ̂ანდათ, რომ ოსმანთა ქვეყანას არბევდნენ,—ამისთანას ჩვენთან შემორიგებულს კაცს და ჩვენის ქვეყნის შესამატს კაცს მიუხდა სოფელსა ქარელს და ამოსწყვიტა იმ სოფლის კაცნი; ევედრნეს ამ საქმის ესრეთ არ ყოფასა, მაგრა არც მოისმინა მათი ვედრება და არც დაიშალა, და ამ მიზეზით იმდენი კაცი აგვიშალა და მშვიდობიდამ დაგვიკარგა, და მტრად გაგვიხადა; ის ლეკნი ცამეტის კაცის მეტნი არა ყოფილან, ცამეტი მოკლა, და იარანალი მაიორს ოცდა ორი კაცი მოუკლეს და დაუჭრეს იმ ლეკთა. ფამბაკი, რომელიც რომ ჩვენის ქვეყნის სამთავროს ბორჩალოს ერთი ნაწილი არის, ოსმალოს ჯარი მოხდომოდა ჩვენს ისევ მტრის ქვეყანასა ყოფაში და ჩვენგან იქ დადგინებულთ კაცსა და იმ ქვეყნის კაცთაც სახელოვანი ძლევა მიეღოთ კმასაყოფელი. და ოდეს ჩვენ მტრის ადგილებიდამ ჩვენს ქალაქში შემოვედით სამსა და ოთხს პირად მარბიელს უსევთ მტრის ქვეყნებში და ვცდილობთ, რომ რიგიანად უმტეროთ.

დასასრულ ამისა, ამით დავამტკიცებ ერთგულებასა ჩემსა და ჩემის ქვეყნისასა მ. ი. დ. რომ ეს სრულიად უ̃დ დიდებულს რუსეთის იმპერიაში მრავალჯერ არს განცხადებული და თ. მ. ღ. ბ. გამოწულილვით უნდა იცოდეს—თუ წინაპარნი ჩვენი, მოადგილენი, მშობელნი ჩვენნი და ქვეყანა ჩვენი მრავლის წლითგან ცდილობდენ და მრავალნი კიდეც გარდაიცვალნეს უმაღლესსა კარსა ამ დღისათვის, რომ მ. ი. დ. საფარველი დაგვდებოდა და ჩვენს ქვეყანაში მათი ჯარი გვენახა, და ამას რა ვეღირსენით ჩვენ ღვთისა მიმართ სათხოველს, თუ როგორ მივეგებენით ღრაფს ადოს მინდორში და როგორ სურვილით მივიღეთ, და ესრეთ ჩვენს ქვეყანასა შინა გარდმოუძღვით, და რაოდენ ჩვენგან შეიძლებოდასა მსახურს ვეცადენით, და, ბრძანებისაებრ უ̃დ მოწყალის ჴელმწიფისა, მიერ დღითგან მტერსა ყარსსა და ბაიაზეთსა ზედა რა ვაჩვენეთ ძლიერი მტერობა, და ამა საქმისა მოქმედებითა ჩვენი

გარემონი წარმართნი, ჩვენდამო დაგებულნი, რაგვარა მტრად გავიხადეთ, და გვალადეცა ახლა კიდევ უფროსად ახალციხის ქვეყანაში, ასპინძას, ესოდენისა ოსმანისა და დაღისტნელთ სისხლის დაღვრაზედ თუ როგორ მესისხლედ გვხადიან, და ეს მ. ი. დ. სამსახურისათვის; ჩვენდა სასურველი საქმე არს,—მაგრა გრაფი ტოტლებენი თვი-სისა ერთგულებისა საქმესა სადიდგან დაგვიმტკიცებს?!

და ამას ვითხოვ თ. მ. ღ. ბ. ესოდენის მოხსენებისათვის არ შეგწყინდეს და თ. ბ. დაუგდებელ ვიყჳნეთ.

მ. ი. დ. ბედნიერობით და ღვთისა მიერ შეწევნით, მტერთა ზედა გავიმარ-ჯვეთ რა, წარმოიგზავნა ჩვენ მიერ მახარობელი უმაღლესსა კარსა კნიაზ გრიგოლ ხვაბულოვი და გიორგი ნათანაილოვი, აზნაური, რომელიც ბრძოლაში დამსწრები არის, და ამის მიერ მოგხსენდებათ ბრძოლის ამბავი, უკეთუ ინებებს მ. ღ. ბ. თ.

დაიწერა ქალაქსა ტფილისს. მაისის 12 დღესა, 1770 წელსა.

23. Д. VIII. 12 Мая 1770 г. Письмо католикоса Антонія къ гр. Н. И. Панину.

განაღვიძებს გონებასა ჩემსა თქჳ̂ენისადმი მაღლისა გრაფობის ბრწყინჳ̂ა-ლებისად აწინდელი გარემოებაჲ, და უდიდესად ესე, რამეთუ მისი იგი დიდებულე-ბაჲ, გონიერი მზე, ავღუსტა ჩჳ̂ენი გამოუტევებს რა შარავანდედთა წყალობისათა სიმსწრაფლისამებრ უგრძეს და უშორეს განტევებასა, ამსგავსებს მოძრავობასა და შორსმიმწთომელობასა მზიურთა შარავანდედთასა, ხოლო ყოველსავე ზოგად მიჰფენს წყალობისა შარავანდედთა მახლობელთა ზედა და შორიელთა.

ესე გჳ̂არით ამით განფენითა წყალობისათა მეცა უღირსი წყალობასა ნიჭე-ბულ ვიქმენ მ. დ. უხჳ̂ად შვილთადმი შესაბამთა წყალობისა დიჭებითგან, რომელ მივიღე მჰსგავსებაჲ საცხოვრებელისა მის ჩჳ̂ენისა საღმრთოჲსა განგებულებისა, რომლითაცა შეჰქმნა ღმერთმან ცხოვრებაჲ შორის ქჳ̂ეყანისა, ვინაჲცა ვინათგან სამღუდელმთავროჲთა მით პანაღიითა წყალობით ნიჭებულ ვიქმენ სამღჳ̂დე-ლოჲსაგან. იმპ. მ. წინაშე საკურთხეველისა მდგომარე ვჰმადლობ მ. დ. ჩემდამო ესე გჳ̂არისათჳს წყალობისა. ხოლო საქართჳ̂ელოჲსა მომართ ესე გჳ̂არ შეწყა-ლებისა და ძეთა შორის თჳსთა აღრიცხჳსათჳს ჩჳ̂ენისა მ. დ., რამეთუ განიღჳძა მძინარემან სურვილმან ჩჳ̂ენმან და წინაპართა ჩჳ̂ენთამან, უგალობ ჴმითა მადლო-ბისათა მადიდებელსა ავღუსტაჲსა ჩჳ̂ენისასა და ვიტყჳ: ღმერთი უფალი და გამო-გვიჩნდა ჩჳ̂ენ, განმზადეთ დღესასწაული ჟამსა ყოველთასა ვიდრე რქათამდე სა-კურთხეველისათა; ჩჳ̂ენთანა არს ღმერთი, ჰსცანთ წარმართთა და იძლიენით!

ესოდენისა კეთილშემთხჳ̂ეჳსა ჩჳ̂ენისა შემდგომად მივიღეთცა უბედურე-ბაჲ,—რომელ გრაფი ტოტლებენი, ღენერალი გარდამავალი ფიცისა თჳსისა და ღენე-

რალი თჳნიერ ყოვლისა ჭირისა მლტოლჳარე ბრძოლითგან, არა მცირედთა მოქმედებს ძჳრთა. ხოლო ამათ ყოველთა მიერთა გარემოებათაგან უცალოჲ ჩემი ძმა მეფეჲ ირაკლი, მტერთა მიმართ მოქმედი, დიდისა ბრძოლისა და ჩინებულისა ძლევისა მომგები, დააყენა მტერთა მიმართ ბრძოლისაგან, ამად რომელ ღენერალი რუსეთისა ივლტჳს და არა მისცემს ლაშქართა რუსეთისათა ნებასა მტერთა მიმართ ბრძოლისასა, და ჰსცავს ძლიერად არტილერიასა, რათა არავინ წარიღოს მტერთა მიმართ ბრძოლისა სახმარად,—ამათ მიერ დგას აღუსრულებელ მსახურებაჲ მ. ი. დ.

ვთხოვ თ. მ. ღ. ბ. რათა ძმაჲ ჩემი მეფეჲ ირაკლი სამეფოჲთურთ თჳსით აქუნდეს ბრწყინვალებასა თქჳენსა მფარჳელობასა ქჳეშე, არათუ ამისთჳს, რომელ შესაფერი თ. ბ. მიიღოთ ნაცჳალი, არამედ ვითარცა ქრისტიანეთათჳს იღჳწიდეთ ამათთჳს თქჳენ—კეთილ მსახურებისათჳს თქჳენისა ჰრწმუნებულისა მ. დ. ყოვლისა რუსიისა უპირჳელესისა მინისტრობისა.

შემდგომად ამისა შევვედრებ თავსაცა ჩემსა მფარჳელობასა თქჳენისა მადლ-ლის ღ. ბ.

თ. მ. ღ. ბ. მარად ღვთისადმი მლოცჳელი და უქჳემესი მოსამსახურე ანტონი არხიეპისკოპოზი (ჴ) კათალიკოსი ყოვლისა საქართჳელოჲსა. დაიწერა ქალაქს ტფილისს. მაისის 12 დღესა, 1770 წელსა.

24. Д. XV. 13 Мая 1770 г. Письмо царя Ираклія къ кн. А. Р. Моуравову.

თქვენ ბწყინვალებას ჩვენთვის რომ რჩევაები მოეწერა—იმის პასუხად ეს იუწყე: განცხადებით იცი მე ღრაფ ტოტლებენთან მტრობის მიზეზი არ მაქვს, ამის მეტი, რომელიც აწყურიდამ იმ სახით გამობრუნდა, ჩემის თავით და ქვეყნით აღსასპობელად მტერს მიგვცა, ჩვენი ყოვლითურთი იმედი მისის დიდებულების ჯარი მოიტაცა, ანანურს მიიყვანა, რომლისაც ყველას გვეგონა სწორეთ რუსეთსავე წასვლა,—ეს მეორეთ ჩვენის ქვეყნის წახდენა იყო. ყველას თვით მისის დიდებულების საწყენი გვეგონა, და ჩვენს გონებაში ამ ზემოთქმულებით ღრაფი ტოტლებენი ყოვლად მოწყალის ხელმწიფის ორგულად აღმოჩნდა. რადგან დაჟინებით გირჩევია არესტის უქნელობა და კლავერის ჩვენთან მოუსვლელობა, მერე ახლაც კაცი მოგვივიდა,—ღრაფი რუსეთად აღარ წასულა. ამ საქმისათვის დიდათ მადრიელნი ვართ, რომ კაი რჩევა მოგვივიდა: რადგან აღარ წავიდა ღრაფი რუსეთს, არესტიც აღარ დამტკიცდა შენის რჩევისაებრ, და კლავერიც აღარ დავიბარეთ მეორეთ.

მაისის იგ, ჩღო წელსა.

25. Д. VIII. 13 Мая 1770 г. Письмо царя Ираклія къ гр. Н. И. Панину.

კნ. ანტონი მოურავოვისა დამარწმუნა [ტოტლებენმა]: იმერეთში რომ იყო—კამისია ჰქონიათ, იქიდამ რომ მოვიდათ საქმე და ვალდებულობა აღარა აქვს რაო საქართველოშიო, მერმე ასე თქვა—შპიონი, თუ ჯაშუში არისო, და იმისგან ყოველს ფერში საქმეებში მაფრთხილებდა საიდუმლოთ, და მეუბნებოდა, რომ ხმალ აყრილი არისო, ამისთჳს, იმ ღრაფის ტოტლებენის სიტყვითა [სიტყვათ გამო], თითქმის დიდი ეჭვი მქონდა; და ახლა 30 აპრილს მ. ი. დ. და თ. მ. ღ. ბ. წიგნები რომ მომივიდა იმათის ძალით ცხადად ჰსჩანს, რომ ამაშიაც მოტყუებას ცდილობდა. ამასაც მოგახსენებ: თითონაც, მოურავოვმა, მგონია იცოდა, რომ ტოტლებენი ავის თვალით უყურებდა, მაგრა თავისი ვალდებულება მ. დ. სამსახურზედ არ დაუგდია, და ასე გვახალისებდა ჩვენც მ. დ. სამსახურზედ და იმედს გვაძლევდა მ. დ. მოწყალებისას, როგორც ერთგულებს მ. ი. დ. მონას ეკადრება და ვალი ჰსძევს, და ეს ამისთანა ერთგულება კიდეც საქმითაც აღასრულა ჩვენთან ყოფითა, ასპინძის ომში გაურჯელად დასწრებითა. თუმცა თითონ ღრ. ტოტლებენისგან ამ მოურავოვისა ზემო წერილი ამბები გვესმოდა, მაგრამ თითონ ისე პატიოსნად იმყოფებოდა ჩვენთანა, რომ ჩვენ და ყოველნი ჩვენნი ყმანი დიდად მადრიელნი ვართ, და ამისთვის თ. მ. ღ. ბ. მოვახსენებთ, რომ ეს მოურავოვი მ. ი. დ. ერთგულებისათჳს და სამსახურისა ღირსი გახლავსთ, რომ წმიდის გიორგის ორდენის წყალობა დაუმართოს და თ. მ. ღ. ბ. მოწყალებით მიიღოს ამისთანა კაცი, რომელმაც მტრის პირდაპირაც ყოფნით მრავალჯერ კარგი და სასარგებლო რჩევაები მოგვითხრა.

ტფილისს. მაისის 13, წელსა 1770.

26. Д. VIII. 25 Мая 1770 г. Письмо царя Ираклія къ гр. Н. И. Панину. Пер. т. I. № 95.

რომელიც რატიევისთვის და მასთან მოსრულის ჯარისთვის თ. მ. ღ. ბ. უწინვე გასუცხადეთ, ის მოგხსენდებათ, და როდესაც ამ სახით დაბრუნებულმა ღრაფმა იასარალ მაიორმა ჩამოიარა ქართლი უსმართლობით, და ორჯერ წიგნი მივსწერეთ და შეყრა მოვინდომეთ, ურთიერთას მიმართ მისლვა და პასუხი, არც ერთისა მოგვცა, და მივიდა დუშეთად—იქ ციხის ზარბაზნები მოგვტაცა და ანანურს გარდავიდა, რომელიც უფრო სამარადისო გზა არის რუსეთის იმპერიისა და საქართველოსი, გვეგონა რუსეთად წარმოსვლა მისი და, ჩვენ ამისა მხილველთა, რუსნი და ქართველნი აქ მყოფნი შემოვიკრიბენით, და რადგანაც ღრაფისა რუსეთად წარმოსვლა

თავისის კამანდით ჩვენის ქვეყნისა დიდი სავნებელი იყო და მ. ი. დ. სამსახურის უკან დასარჩომად ვხედავდით, და მტერთ სიხარულის, და გათამამების მიცემას, და მიზეზად, ამისთვის ჩვენთან ერთგმობითა საზოგადოთა არესტი დავამტკიცეთ ღრაფ ტოტლებენისა და კრმლის შემოხსნა, და პოლპოლკოვნიკი, რომელიც რომ აქ ჩვენთან მოვიყვანეთ თავისის ნებითა, იმან წიგნი გვთხოვა და გამოგვართვა ღრაფ ტოტლებენის არესტისა და დადგა ჩვენთანა; მასუკან შევიტყეთ, რომ მ. ბ. ღრ. ტოტლებენი ანანურიდამ რუსეთის იმპერიისაკენ აღარ წარმოსრულიყო და ანანურს იდგა, ამისთვის ღრაფის არესტი დავშალეთ და დავაცადეთ, და ეს საქმე მ. ი. დ. ნებას მივანდეთ ყოვლითურთ, და კნიაზ რატიევს, ჩვენ რომ წიგნი გამოგვართვა, რომელშიც ღრ. ტოტლებენის არესტი ეწერა, ის წიგნი მაღალს კარზედ გამოუგზავნია, რომელსაც, ჩვენის გაშინჯულობით, არღარა ჰქონდა ამ არესტის წიგნის გამოგზავნის თანამდებობა, ამისთჳს რომ ყოვლითურთ უკმარად აღმოჩენილი იყო ის წიგნი არესტისა. ამ საქმემ ასე გაიარა და ამისთჳს მოვახსენე თ. მ. ღ. ბ. რომ ამისის მოჴსენებისა თანამდებობა გვაქვნდა.

კვალად უჭეშმარიტესად მოჴსენდეს მ. ღ. ბ.—იანარალ მაიორის არესტი ორმა საქმემ გამოგვარჩევინა: პირველად, აწყურიდამ მისმა გამოპარვით წარმოსლვამ და, მეორედ, ანანურს მისვლამ,—(ეს ხომ) ოსმალისა და დაღისტნის გზით უკუნქცევა არის, და რადგან პირველიცა ისტორია მისი გვსმენოდა. ამასაც ვარწმუნებ თ. მ. ღ. ბ. რომ ვინც ყოვლად მოწყალის რუსეთის ჴელმწიფის ჯარს ამ ქვეყნიდამ წაიყვანდა, მე იმაზედ ჩემს თავს დავსდებდი და სიცოცხლეს, და არ გაუშვებდი, მანამ მ. ი. დ. ბრძანება მომივიდოდა, ამისთჳს რომ ჩემი და ჩემის ქვეყნის გაოჴრება იქნებოდა, და არც ყოვლად მოწყალის ჴელმწიფის ნება ვიცოდით.

დაიწერა ქალაქს ტფილისს. მაისის 25, წელს 1770.

27. Д. III. 25 Мая 1770 г. Письмо царя Ираклія къ кн. А. Р. Моуравову.

რაც აქნობამდის საქმეებმა გაიარა ხომ ყოველივე ზედმიწევნით უწყის შენმან ბრწყ-ნ. ღრაფი რომ ამისთანას საქმეებს მოქმედობს ჩვენს ქვეყნებში: გზებს მიჭერს, ჩვენს ციხეებს იჭერს, ოცი-ოცდაათობით კაცს უსევს და ადგილებს მირბევს და ქვეყანას მიწუხებს, დუშეთიდამ ზარბაზნები დაუტაცნია და წაუღია და ანანურის ციხეში შეუტანია, და თითონაც შიგ დამდგარა. და გასინჯეთ ესენი თუ რა უჯეროდ და უწესოდ მოქცევა არის ჩვენთან, და მიზეზის მიცემას ცდილობს ჩვენგან ამაების მოქმედებით, ვითამ ჩვენგან მიზეზი რამ მიეცეს: ან ჩვენმა მთის კაცმა, და გამსინჯველობის არა მქონებელმან კაცმან, ან ერთმან უბრალომ კაცმან ერთი მიზეზი მისცეს რამე, რომ თავისი დრკულ ნამოქმედნი საქმეები

ამითი გაიმართლოს—ამას ეძიებს. აწ შენს ბრწყ. თანამდებობა აქუს ამ უწესოდ ქცევისა და საქმეების დანახვებისა, რომ დაანახო და კიდეც მისწერო, რომ ის ადგილი ერთის ჯარის დასადგომი ალაგი არ არის, არც ბალახი იშოება და არც საყოფი სურსათი იშოება ჯარის გამსაყოფელი; სადაც ინებოს მისმა ბრწყინვალებამ ამ ჩვენის ქალაქის სიახლოეს, ან დიღვამს, ან ლილოზედ, ან კოჯორზედ, ან ავჭალას, ანუ თუ მუხრანს, სადაც ბალახი და წყალი მოეწონოსთ—თვითონაც იქ დადგეს და ჯარიც იქ დააყენოს. იქ იმისი დგომა და ყოფა მტრისგანაც ავად დასანახავია და სხვათაგანაც. მეც წიგნს მივწერ და ეგების დაგიჯეროსთ, რადგანაც მ. დიდ. ნება და ბრძანებაა ამისი ჩვენთან ყოფა, უნდა ჩვენთან იყოს.

წელსა 1770, მაისის 25 თთვესა. ქალაქსა ტფილისს.

28. Д. III. 3 Іюня 1770 г. Письмо царя Ираклія къ кн. А. Р. Моуравову.

ბრწყინვალეო კნიაზო ანტონი მოურავოვ,

ჩემო კეთილ-სარწმუნო მეგობარო!

შენს ბრწყ. ჩვენთვის ეკითხა—მ. დიდ—ბის ოქრო და ვეცხლი როგორ იხარჯება გამომიცხადეო. ჩვენ ასე განვაცხადებთ შენს ბრწყინვალეებისადმი: რომელიც იმპერიალი არის მ. დიდ. ის ერთ თუმნად იხარჯება დაუყოვნებლად; რომელიც ძველი რუბლი არის ის ექვს აბაზად აქაურს თეთრზედ, და ახალი რუბლი ხუთ აბაზ ერთ შაურად. ჩვენ ჩვენს ქვეყანაში ბძანებით ძალსაც მოვინდომებდით ყოვლად მოწყალის ჴელმწიფის სამსახურისათვის, რომ უნამეტნავესადაც გასულიყო ოქროც და ვეცხლიცა, მაგრამ რადგანაც გარეშემო მეზობლებში მეტად არ დაიხარჯება, ამისთვის ვაჭართ ზიანს გაუფთხილდით, რომ ქვეყანას სავაჭრო არ მოაკლდეს.

შენის სიკეთის მარადის წადიერი

მეფე ქართლისა და კახეთისა

ი რ ა კ ლ ი.

წელსა ჩლო, ივნისის გ.

29. Д. XV. 3 Іюня 1770 г. Письмо царя Ираклія къ гр. Тотлебену.

თ. ბ. ვგონებ იცოდეს კნიაზ არტემონ ანდრონიკოვის მოტანილის მათის ი. დ. უკაზში როგორ მტკიცე ბრძანება არის, რომ რაც თქვენი მოყვანილი ჯარი

არი და ან ახლანდელ რუსეთიდამ მოსულა ჩვენთან უნდა ბრძანდებოდეთ შემწედ და ძლიერებად ჩვენის ჯარისა, და თუ მე მიწყენინებია რამე თქვენთვის, ჩემი სვინიდისი, რომელსაც რომ მე არ მამხილებს, და მგონია, რომ არას დროს რამე თ. ბ. მინახამს ცოტა და მრავალი არა დამიშავებია რა. თუ თქვენ მიზეზს მიდებთ რასმე, ვიცი რუსეთის მონარხისათვის მოგიხსენებია და მოუცადე მ. ი. დ. ბრძანებას, და, უიჭვო არის, რომ ყველანი ამას უნდა დავჯერდეთ, და ამისთვის ერთმანერთს ნუ შემოვწყრებით, და იმისგან უფრო მე, და თქვენს სამდურავზედ მტერს ნუ გავახარებთ, და ყოვლად. მ. გ. ერდგულს ჯარსა და ამ ქვეყნებს ნუ შევაწუხებთ, რომლითაც საქმით იქნებოდეს ისევ მ. ი. დ. ბრძანების მოსვლადმდე ერთმანერთს გულდავაჯეროთ, და როგორათაც მტერზედ ბრძანება გვქონდეს შეძლებისაებრ ჩვენისა ვეცადნეთ, და ნუ წარვსწყმედთ ამ კეთილს დროებას. პატრი-უფროსი გვიახლებია და კნიაზ ზაზა ამირაჯიბი და სხვას ჩვენს სიტყვას ესენი მოგახსენებენ.

ტფილისი. ივნისის 3 დღესა, წელსა 1770.

30. Д. VIII. 4 Іюня 1770 г. Письмо царя Ираклія къ гр. Н. И. Панину.

ღვარდიის კაპიტან-პორუჩიკმან, რომელმაც მ. ი. დ. ჩვენთვის უღირსი მაღალი წყალობა მოგვიტანა, მართებული იყო ჩვენგან ჯეროვანის პატივისცემით და ყოვლითურთ შემსგავსებულის სიამოვნით მოვქცეოდით, და გვყამებინა რამე: ახალციხის ქვეყნიდამ რომ მოვბრუნდით ის ღრაფთან იმყოფებოდა, სამჯერ დავიბარეთ და სიტყვაც გვინდოდა უმაღლესს კარს მოსახსენებელი, რომ მისის პირით განცხადებულ იყო, მაგრამ არ გამოუშვა იასარალ მაიორმა, თუ თითონ არ ინება ჩვენთან მოსვლა, სწორე ვერა შევიტყევით, და ამისთანა წიგნი მოგვწერა, რომელიც ჩემთვის ყოვლითურთ სათაკილო საქმე არის. ეს არ ეგონოს თ. მ. ღ. ბ. რომ მე ამ წიგნში რითაც შეურაცხებით რომ მომპყრობოდეს — მე ის ჩემთვის საწყენად და სათაკილოდ მიმაჩნდეს: ეს არის ჩემი საჩივარი და გასაკვირვებელი— მაგისგან ჩემი შეურაცხება და მტერობა. მე ჩემს სვნიდისს რომ ვიცნობ და სჩანს ღვთით მ. ი. დ. სრული ერთგულება, — იმაზედ რა დავაშავე? ამას მწერს და თავის წერილში ცდილობს, რომ მე რუსეთის მონარხის საქმეში და მისის ჯარის სამსახურში ცრუდ აღმომაჩინოს და, მსგავსად ღრაფისგან ნამოქმედარის საქმეებისა, ორგულად დამდვას, — ამაზედ ყოვლითურთ გაკვირვებული ვარ; ვსასოებ ჩემის შემოქმედისაგან და მათის ი. დ. სიმართლით მსაჯულებისაგან, რომ ამაზედ სწორე განხილვა მოხდეს—საორგულო საქმენი ვისგანაც მოქმედებულან ამ დროებში და ანუ უწინარეს—სრულებით აღმოჩნდეს. მე თუ ერთგულესი მოსამსახურე არ ვიყავ მ. ი. დ. როდესაც ღრაფი კავკასიის მთებში მოვიდა — ჩემის თავით და ძმით და

შვილით, და ჩემის თავადებით რაღ მივეგებე? თუ მე რუსეთის მონარხის სიმართლით მონების მწადნელი არ ვიყავ ამ ერთს ზამთარს მ. დ. ჯარს ჩემს ქვეყანაში რაღ დავაყენებდი, რომ სრულიად ჩემნი მეზობელნი, წარმართნი, თჳსად მესისხლედ ამ საქმით მხედვენ? თუ ყოვლად მოწყალის კელმწიფის ერთგულობის სრული სინათლე ჩემს გონებაში არ იყო—ყარსის და ბაიაზეთის სოფლები, და ელები რაღ დავარბიე? და კიდევ თუ ჭეშმარიტი ერთგულება ჩემს გონებაში არ იყო, ღრაფი რომ ხუთასს კაცსა მთხოვდა, მე ჩემის შვილით და ჯარით შემოვეყარე; თუ კიდევ სისწორით მ. დ. სამსახური არ მინდოდა, იანარალ-მაიორი აწყურიდამ რომ წამოვიდა, როდესაც შევატყევ, მეც რატომ იმასავით უკან არ გამოვბრუნდი? და მტერზე უფრო წინ წამაყენა ღმერთმან და მ. დ. ბედნიერებამ ამისთანა ჩემგან შეუძლებელი ძლევაები მოგვცა? თუ კიდევ ჩემს გონებაში ჭეშმარიტებით რუსეთის ყოვლად დ. მ. ერთგულობის სურვილი და მათგან საფარველის მარადის დიდად წადიერი არ ვყოფილვიყავ, ღრაფმა ქრცხინვალსა და ქართლის ყოფაში რომ ყოვლითურთ თავისი ბრძანება აძლია და მე სრულებით აღარა მკითხარა, და თჳთ მოქმედებდა კაცთ-ჭერით და გალახვით, და რთმევით, და თუ კიდევაც უმძლავრესი ძალა და შეურაცხება მიეღო ჩემზედ, მაშინაც სრულით მოთმინებით უეჭვოდ დავუთმენდი მანამდის ამისთანას მოქმედებას ვნახევდი, მაგრა ახლა რომელიც თ. მ. ღ. ბ. რომ მისნი ნამოქმედნი საქმენი მომიკსენებია, და ამისთანას საქმეებში დავაკელე, ველარ დავფარე და ყველა სწორებით განვაცხადე ჩემის მიკლომისაებრ. ვეცადე მ. დ. სამსახურისათჳს და ვცდილობ, რომ ყოვლითურთ ჭეშმარიტებით მოვიქცე. და ეს ნურავის ეგონება საქართველოს დიდის და მცირის კაცისაგან, რომ საქართველოსი, თუ საბოლოოდ გება და ქრისტიანობა უნდა, ამისთანამ კაცმა მცირე ანუ დიდი რუსეთის ყოვლად დიდებულის მონარხის საორგულო იმოქმედოს რამე, ამისთჳს რომ რუსეთის საფარველის მოშორვება და საქართველოს არარად ქცევა ერთს დროს იქნება, და უფროსად ამ ერთს წელიწადში რაც საქმეები მოკდა ამ მიზეზებით, და თუ მე ქრისტიანე ვარ, რუსეთის მონარხის ერთგული მოსამსახურე უნდა ვიყო. მე მარშანდლითგან, როდესაც თ. მ. ღ. ბ. იმერეთის მეფეს სოლომონს წიგნი და იმედი მოუვიდა, იმ დროს აქეთ აქამომდე მე და ჩემს ქვეყანას მ. ი. დ. სამსახურისათჳს და ამ მიზეზებისათჳს რამდენის ათასის თუმნისა ჩვენ დაგვხარჯოდეს, რომ თჳთ რუსნიც მრავალნი მოწამედ გვყვანან ამაზედ, და კიდევ სხვანიცა, რომელთაც ყველას ზედმიწევნით ვჰგონებთ მოგხსენდესთ, და ახლა ამ ჯარით მტერზედ წასვლაში რა ხარჯი მოგვინდებოდა ი. ბ. კარგა გამინჯავს ამას, და ეს ჩემ მიერი მოკსენებული თუ ჭეშმარიტ არს, მაშ თურმე უერთგულესი მონა ვყოფილვარ მ. ი. დ-სა. ნივთის დახარჯვა მ. ი. დ. სამსახურზედ როგორ უნდა კაცის პირმა დაიქადოს, რომ ჩვენი ცხოვრებაც უმურველია მათის ყოვლად მოწყალების სასიამოვნოდ, მაგრა ამისთანას გარემოებას რომ მივეცნით, ამან გაგვაბედვინა; და კიდევ ეს უფრო ჩემი და ჩემის ქვეყნის კაცო ერთგულობისა უმეტესი დამტკიცება მგონია, რომ ხვანთქრისაგან და მისის სამფლობე-

ლოსაგან, და დაღისტნისაგან, და აგრეთვე სპარსთაგან, რომელნიც ჩვენ მტრად
მოგვწყდებიან, სრულიად საძაგლად, საშესისხლოდ საყურებელნი შექმნილ ვართ, და
მაისა შუაზედ მყოფთა, ყოვლად ძლიერის ღვთის გარდა, რუსეთის და რუსეთის
დიდებულის მონარხის მეტი სასოება ვისიღა გვექნება, და რომელის საქმით უნდა
ამათებრთა კაცთაგან ჩვენ ამისთანა მოუთმენელი კმა, ესე იგი რუსეთის მონარ-
ხის ორგულება გვეყვედნიერებოდეს?!

გვალად უსურსათობის მიზეზს იწერება კაპიტან-პორუჩიკი, რომელიც
ყოვლითურთ დასაჯერებელი და შესაწყნარებელი არ არის; ვგონებთ, რომ თავისის
ნებით არ იწერებოდეს. ამის მაგიერი სიტყვისგება უწინარესსა წიგნსა მოგახსე-
ნეთ, რომ რადგანაც ყოვლისავე უსაჭიროესი საქმე არის სურსათი,—იანარალ მაიორს
ეს უნდა ამ მიზეზით განიმართლოს თავი,—თვარა ქვიშხეთის ლაგირსა შინა ყოფასა
ჩვენსა ჩემმა ჯარმა პური და ქერი მრავალი იყიდეს მისი ჯარისაგან, და მტერ-
ზედ წარსვლაში ქერი კიდევ მრავალი დააგდო, და თჳთ მეც რომელიმე კაცთა
მორიელთათჳს იმავ აურაში გამომცხვარი პური ბევრი ვიყიდე მისის ჯარის კაც-
თაგან; და აწყურს მისვლაში ღრაოვის ჯარმა და ჩვენმა ძროხა მრავალი იშოვეს,
მარტო ყაზახებისაგან ასამდის ძროხა იმ ერთს დღეს გვინახავს მოყვანილი, და
სურსათიც კიდევ იშოვეს, და მეც კიდევ ნაშოვნის სურსათითგან რამდენიმე დღე
ვიარე, და თუ სურსათი არ ჰქონდა, რად გაუჭირვა კელმწიფის ჯარს საქმე და არ
მოიცადა, მეორეს დღეს ხომ მრავალს იშოვიდა და კიდეც მოუტანდით, მაგრა
სულ მიზეზობდა და ახლაც მიზეზობს, თვარემ მოგხსენდებათ და აღმოჩნდება.

იანარალ მაიორი თავის მოწერილს წიგნებში მრავალჯერ იწერება მ. დ.
ერთგულებას და მტერზედ მისლვის სურვილს, მაგრა ყოველნი ასე ვხედავთ, რომ
ცარიელის სიტყვით იქადის, და ეს ერთი წელიწადია, რომ მცირედი რამე საქმით
მოქმედებული არ გვინახავს რა ამის მეტი. ერთგულების მაგიერა ცდილობს, რომ
ერთგულნიც შორს დააყენოს მ. დ. სამსახურისაგან, და რომელიც ბრძანებულ არს
მტერზედ მისლვა—უფროსად და სად დააგვიანოს.

თ. მ. დ. ბ. ეს კეთილად მოკსენდეს და მოწყალებით გაშინჯეთ: მე ღრაოვ
იანარალ მაიორთან რა მიზეზი მაძლევს მტერობისა და რასათჳს უნდა მტერი
ვიყო, რომ ამაებს მოვახსენებ თ. მ. დ. ბ.? მაგრა ასეთი გარემოება მომეცა—ყვე-
ლა უნდა მოგხსენდეს, და უწინარეს ამისაც მოგახსენეთ ღრაოვ იანარალ მაიორი
მტერის ქვეყნითგან რომ გამობრუნდა ასეთს დროს, რომ ის გამობრუნება ღრაო-
ვისა თჳთ მ. ი. დ. ორგულებად გამოგვაჩნდა, და რუსეთის ჯარისა და ჩვენი გან-
საცდელში მიცემა იყო, მაგრა ღმერთმან ავი არ ინება ჩვენზედ; მასუკან მუნით
წარმოსრული ანანურად მივიდა, რუსეთის ყოვლად მოწყალის კელმწიფის ჯარი
მოიტაცა საქართველოთგან და რუსეთის იმპერიის სამზღვარზედ მიიყვანა, ყველამ
ასე ვჰგონეთ, რომ ამ ქვეყნითგან წამომსვლელი შეიქნა. ეს ამბავი მ. ი. დ. ორ-
გულებად აღმოგვიჩნდა და ჩვენის ქვეყნისა სრული ოკრება იყო. მართალია მე
ღრაოვზედ ეს ვიმოქმედე—აქ მყოფნი იმ ჟამს რუსნი, ქართველნი და კახნი შემოვკრი-

ბენ და გამოვარჩიეთ გრაფის არესტი და რუსეთის ჯარისა მ. დ. უბრძანებელად წამოუსვლელობა, ჩვენს ქვეყანაში ყოფა, ისევ მტერთ ბრძოლა, და არც მიგვიწერია და არც კაცის პირით შეგვითვლია, რომ არესტი გვიქნია ღრაფისათჳსაო. მართალი არის კნიაზ რატიევს ერთი იმ გვარი ღრაფის არესტის წიგნი და თავისთან თანმოყოლილის ჯარის ჩვენთანა ყოფისა მივეცით, მაგრა იმავ დღეს ამბავი მოგვივიდა ღრაფისა ანანურსავე დგომისა, და მაშინვე მოვშალეთ მისი არესტი და მივანდევით მ. ი. დ. ნებასა, და ის წიგნი რატიევთან დარჩა დავიწყებით, და იმან ჩვენდა შეუტყობრად უმაღლესს კარს გამოგზავნა, და თჳთ მყოფთა ღრაფთან ოფიცართაც მისწერა, რომელისასაც, ვჰგონებთ, რომ თანამდებობა აღარა ჰქონია.

თ. მ. ღ. ბ. ჭეშმარიტებით მოიჴსენოს, რომ ამ სიგძეს თქვენს თავისწყუენას დიდად ვსწუხვარ, მაგრამ ამისთანა საქმეებმა და მწუხარებამ გამაბედვინა: მე ჩემის ქვეყნით რომ მ. დ. მცირეს სამსახურისაც ნაკლებად დამდვას კაცმა, ჩემთჳს მოუთმენელი გულისტანჯვა არის, არამც თუ ორგული დამიძახოს. კეთილ მოწყალებით გაშინჯოს თ. მ. ღ. ბ. რა დიდი შესაწუხებელი საქმე იქნება ჩემთჳს და ჩემის ქვეყნისთვის; მ. ი. დ. ხომ ასე გრძლად თავისწყუენას ვერ გაუბედავდით და მაშ ვისთჳს გვეწყინა თავი, რომ თქვენთჳს არ მოგვეხსენებინა?

დაიწერა ტფილისს. იუნისის 4, წელსა 1770.

31. Д. XV. 1 Іюля 1770 г. Письмо царя Ираклія къ кн. А. Р. Моуравову.

თქვენმა ბრწყინვალებამ ზედმიწევნით იცის თუ რა ფრიადის მწუხარებით შეწუხებულ ვარ ჩემის ყოვლადმოწყალის კელმწიფის მ. დ. ბრძანებისაებრ, რომ ახლა მტრის ქვეყანაში არ ვიმოქმედებ, რომელიც მტრობა შემიძლია, და მიზეზნი ამისნი ვამჯობინეთ, რომ წერილით გამოგიცხადოთ, და მეც უმაღლესსა კარსა თანამდებობა მაქუს, რომ უნდა მოვახსენო: თვით თქვენ ხართ ამისნი მეცნიერნი დაღისტნიდამ ვითარი ჯარის ურილობის ჰამბავი მოგუდის, და თვით ყიზლარის კამედანტს თქვენთან და ჩვენთან რაც მოეწერა დაღისტნელთაგან მზადება, და ამ ჰამბის მსმენელი ტოტლებენი თუ როგორ სასოწარკვეთილებაში მაგდებს მე და ჩემს ქვეყანას, რომ გუწერს წერილითაც და ზეპირ დაბარებულებითაც; წერილით ესრეთ, რომელ «ვერ შეგეწევი თქვენ სპარსეთში და ვერც საქართველოშიმო», და ზეპირ კაცის პირით ესრეთ, რომ ოსმალთ ქვეყანაში ეგრეთ შეგვეწია როგორც რომ ნახეთ.

მეორედ მიზეზი დაბრკოლებისა ესევე იარანალ მაიორი მექმნა, და ამა ყოვ-

ლითურთ ჩემ მიერ სასურველისა საქმისაგან მ. დ. ბძანებით ოსმალთ მტერობისაგან ჩემის თავით დამაცადა და დამაყოვნა, და ასე ყოვლის გზით საქმე გამიჭირა: ციხეები წამართვა სამი და ოთხი ქართლში, ყოველი სამღუდელო და თავადები ზოგნი დააფიცა და ზოგი ფიცით დაპატიჟა, ასე რიგად აფიცებდა და სიტყვითაც ასწავლიდა და საქმითაც ახედვებდა,—საქმეში იჭვი არ იყო, რომ ქართლი ჩემთვის უნდა წაერთმევინა, — და ეს რომ თქვენს მპყრობელობას და მეფობრივს საქმეს ვნება შემოეხოს რამე. და ამდროებში გორის ციხეშიაც კაცნი გამოგზავნა, ორჯელ და სამჯერ ძალით შესვლა მოინდომეს, მაგრა ჩემგან იქ დაყენებულმა ციხის მცველებმა ჩემის ბრძანებით არ შეუშვეს; ამისთვის რომ მ. დ. არ ვგონებთ, რომ ბრძანებას ქონდეს ამისთანას საქმეების მოქმედებისა, და ღუთით ჩემი თავიც უ̃დ მოწყალის იმპერატრიცის და მათის უმაღლესობის ცესარევიჩის ურთგულესი მოსამსახურე მგონია ვიდრე ტოტლებენ ღრაფისა, და ამის გარდა რამდენს კაცებს მიჭერდა, რამდენს თავადებს აქეთ და იქით კაცებს ადევნებდა, და ტყეში ემალებოდნენ ისინი, რომ შიშით ახლოს ვერ მიუდგნენ, და რამდენს თავადების ხარებს იტაცებდა დაართმევდა თავისის ბრძანებით, და რამდენს შესაწუხებელს საქმეებს სოფლებში შკრებოდა, და ვინიცის რამდენს შესაწუხებელს საქმეებს პატიჟობდა იმ სოფლებსა? ჩვენ განათუ ან ჩვენს ქვეყანას ვრიდებთ და ან თვით ჩვენს თავს მ. დ. სამსახურისათვის, და ჩვენ ჩვენი გასჯა და ჩვენის ქვეყნისა სიხარულადაც მიმაჩნია, მაგრა მე კი ზოგს ქართლში აღარა მკითხარა, და ამისთვის გასინჯოს თ. ბ. თუ ჩვენთვის რა შესაწუხებელი საქმეა; და რამდენაც კაცს უგზავნიდით, და ან კიდევ წიგნსა ვწერდით, რომ სანამდის მ. დ. ბძანება მოვიდეს რამე დამეხსნას და ნუ შეფოთავს, ერთმანერთს ფიცით უ̃დ მოწყალის სამსახურზედ შევერთდეთ, და როდესაც იმისის მოხსენებულის და ჩემის მოხსენებულის რეზოლუცია უმაღლესის კარიდამ მოგვივიდოდეს—დაგებით ვყუნეთ; მაგრა იმან ჩემი სიტყვა არათუ მიიღო, არამედ უფროსი მტერობაც გამომიცხადა სიტყვით, საქმით და წერილით. იმას ბძანება აქვს მ. დ. ჩემდამო ბოძებულს წყალობის უკაზში უ̃დ მოწყალის იმპერატრიცისაგან უნდა მტერზედ ჩემთან იყოს ჩემის ჯარის გასაძლიერებლად და გასამტკიცებლად, და შეძლებისაებრ უნდა ვცდილ ვიყავით ოსმალთ მტერობაზედ, და ღრაფი არათუ ოსმალთ მტერობას აჩვენებს, ეს ერთი წელიწადია მოსულა ჩვენს ქვეყანაში, უფროსლა ჩემზედ მტერობას ცდილობს და ჩემის ერთგულის კაცის აკლებასა, დაჭერასა და სიკუდილსა.

ახლა ესეც იმოქმედა: რადგან ბრძანება ჰქონდა მტერზედ ჩემთან ერთად ყოფნისა და ჩემზედ წყალობად ბოძებულის მ. ი. ჯარისა, —ეს ჯარი მომტაცა და იმერეთად წაიყვანა. ეს დიად ნათლად საცნობი არის: არასდროს ხვანთქრის მამულზედ და ჯარზედ ჩვენგან მტერობა არ შეიძლებოდა, მაგრა მ. დ. სათვარვლის მინდობითა და მათგან წყალობის ჯარისა და ძალისა ბოძებითა, ჩვენ ყოვლის სისრულის შებედვით გაგვიბედავს ხვანთქრის მამულზედ და ჯარზედ მტერობა, და რაოდენ ძალგვიძლევა ამავდროს არ ვაცადებთ და ნიადაგ ვესავთ ღმერთს, რომ

შემდგომადაც არა ვრიდოთ და მ. ი. დ. ბრძანებისაებრ ვეცადნეთ საქმისა წარმართებასა.

ესეც იუწყოს თ. ბ. რომ იარანალ მაიორს ესეც უქნია: რომელიც ავადმყოფი კაცი ყოფილა, ორასზედ მეტი, ამ ციხეებში დაუგდია, და ჩვენთვისაც მოუწერა იარანალ მაიორს, რომ ჯარი დამიგდია თქვენის ქვეყნის მფარველადაო, და მეორეს წიგნში ამის წინაღმდეგსა მწერს, რომ ყოვლითურთ თქვენს ქვეყანაში ჩემგან შემწეობის მოცემა არ იქნებაო. და რა ჯარი იქნებოდა ორასამდის ავადმყოფის მომვლელი კაცი?! და იქიდამ ბრძანებასა მწერს, რომ მტერზედ წადიო, რომელიც რომ არ მეჭირვება მე იმისგან მტერზედ მისულის წვევა. შენმა ბრწყინვალებამ იცის, რომ მნახველიც ხარ და გაგონილიც გაქვს, რომ ჩვენი ჯარი ახალციხისა და ყარსის ქვეყანასა სცემს და აოხრებს; არც ახალციხეს აქეთ და არც ყარსს აქეთ სოფლებში შენობა აღარ არის ახალქალაქის, შორაგალისა, აწყურისა და ხერთვისის გარდა, და ესენიც არტილერიით არიან გამაგრებულნი; და ეს რომელიც თ. ბ. მოვსწერეთ საქმემ გვაიძულა, და უეჭველად უწყოდეს თ. ბ. მე ღრაფს ამისთანას მტერობაებს არ დაუთმობდი, ამისთვის ვიცით ღრაფისაგან უსამართლოდ ჩემი და ჩემის ქვეყნის გამწარება მ. ი. დ. ნება არ იქნებოდა, მაგრამ ამისთვის დაუთმე, რომ მათის ყოვლად მოწყალებისა მორიდებითა; და მეორე მიზეზი კიდევ ეს იყო, რომ ჩემს და ღრაფს შუა სხვის სარწმუნოების კაცთა და წარმართთა მაჰმადიანთა ჩემსა და იმის შუა სამდურავი და ავი სახელი არა შეეტყოთ რა, რომელ აწყურით იმის ასე გამოქცევას უფარავდი გარეშემოთა წარმართთა, და რამდენსაც იმასთან დამშვიდებას და შეერთებას ვეცადე, სანამდის უმაღლესის კარიდამ ბძანება მოგვივიდოდა რამე, მაშინაც არ ინება დამშვიდება, და მიმინდვია ჩემი საქმე ღვთისათვის და მ. დ. სახისათვის, და მრწამს, რომ როგორათაც ჩემის წმიდის სარწმუნოებისათვის და ყოვლად მოწყალის დიდებულის რუსეთის მონარხისათვის ჭეშმარიტი ერთგულება მაქვს—იმითი ჩემი საქმე და სამსახური ზოგი ხომ გამოჩნდა და ზოგი უმეტესად გამოჩნდება.

კიდევ შენმა ბრწყინვალებამ ესეც იუწყოს: მ. დ. რომ ბძანება გვაქვს მეფის სოლომონის და დადიანის შერიგებაზედ ვეცადნეთ თვით ჩვენგანაც უმაღლესს კარს მოხსენდა, ჩვენ კურიელები რომ გავგზავნეთ პეტრებურხს, და რომ ამაზედ ან მე, ან ჩემი ძმა, და ან შვილი წავიდეთ, და რაოდენ შეიძლებოდეს მათს შერიგებას ვეცადნეთ. შენვე მეცნიერი ბრძანდები რამდენს ვეცადე იმათს შერიგებას, მაგრამ მეფემ სოლომონ არ ინება და არც ჩემი სიტყვა მიიღო, და არც დიდიანის კაცი ჩემთან გამოუშვა; და თვით დადიანი, მ. ი. დ. ბრძანება რომ მოვიდა შარშან აქეითა მყოფთა ქრისტიანეთა ზედა, რომ ჩვენ ყოველნი შევერთდეთ და ოსმალთ ვებრძოლოთ, ბრძანებისაებრ ყ~დ მოწყალის იმპერატორისა, დადიანმა მაშინვე ჩვენთან მოსულა მოინდომა, მაგრამ მეფემ სოლომონ გზა არ მისცა, და არც სხვა გზა აქვს, თუ იმერეთზედ და რაჭაზედ არ მოვიდა. ასპინძის გამარჯვების მეოთხეს დღეს დადიანთან ერთი ჩემი კნიაზი გავგზავნე, და ჩემი ჭამბაკი და ეს გამარჯვ-

ვება მივსწერე, და ეგრეთვე მეფეს სოლომონს მივსწერე; დადიანს უკაზის კოპია გაუგზავნე და ჩემი ჭაშნაგი და ეს გამარჯვება მივსწერე, და ეგრეთვე მეფეს სოლომონს მივსწერე. დადიანს იმ უკაზის კოპია გაუგზავნე მ. ი. დ., რომელიც ქვიშხეთის ლაგირში ჩვენ და იარანალ მაიორის ერთად ყოფნაში მოგვივიდა, მაგრამ არც ეს გაუშვა სოლომონ მეფემ და იმისმა ძმამ უწმიდესმა, რომლისაც წიგნი თქვენ გინახამსთ თავის ძმას არჩილს რომ სწერს ჩემის კაცის გაუშვებლობას დადიანთან, და ამისთანას საქმეს მოქმედებენ, რომ ჩემზედ მიზეზი ამისთანაებისა სულ არა აქუსთრა; მაგრამ მეფეს სოლომონს გონებაში სხვა რამ აქუს და საქმეებისაგანაც აჩენს, როგორადაც მ. დ. ბძანებული იყო, რომ ჩვენ და იარანალ მაიორს უნდა შემოგვეერთებოდა, და რამდენს ვეხვეწენით ორნივე ჩვენთან ერთად ახალციხეზედ მისულასა, და რაც პასუხი იმისგან გამოვიდა ვგონებ ღრაფისაგანაც მოხსენდა უმაღლესს კარსა, და მე ჩემგან მოხსენება მართებული არ მეგონა; და უწმიდესი და იმერეთის კნიაზი რომ სურამს მოვიდა მე მეფის სოლომონის კაი ყმა და მახლობელი სულ ამას მეუბნებოდა, რომ ასე ცოტას კაცს რუსის ჯარს რატომ აჰყევითო, შენგან გვიკვირსო, ხომ იცოდითო ხვანთქრის შეძლებაო, ერთი დიდი ჯარი რომ გამოგისიოსთო, მეტი ხომ არ გინდათო? ისინი ამისთანას ფიქრებში იყუნენ და აღარც მტერზედ მოგუყუნეს, და მერმე თეთრის მიუცემლობის სამდურავსაც ამბობდენ, და კიდევ მეფის სოლომონის ჩემზედ ნამოქმედარნი, თუ სხვათა ზედა, კიდევ უმაღლესს კარს ჩემგან მოხსენდება.

წელს 1770, იულისის 1.

32. Д. VIII. 4 Іюля 1770 г. Письмо царя Ираклія къ гр. Н. И. Панину. Пер. т. I. № 99.

პირველ რაოდენისამე დღისა წარმოიგზავნა ჩვენ მიერ კურიელი კნიაზ გრიგორ ხვაბულოვი და აზნაური იაგორ ნათანაილოვი, და ყოველივე ჩვენ მიერ და ღრაფ ტოტლებენისაგან ქმნილი მტერთა ზედა აღლაშქრებისა და ახალციხისა მკარესა ზედა ბრძოლად წარსლვისა ამბავნი, და მუნითგან ღრაფ ტოტლებენისა, თჳნიერ ერთისაცა საჭიროებისა და თჳნიერ მდევარისა, ლტოლვა და უკუმობრუნება ყოვლის თავის კამანდით, და ჩვენი უშინავეთესსა მტრის ქვეყანასა შინა შესლვა, და შეწევნითა ღთისათა და ბედნიერობითა მ. ი. დ. თუ ვითარი ძლევა ვაჩვენეთ, და მოსწყუდეს ყოველნი თავნი და ჩინებულნი ახალციხისა ქვეყანათა და დაღისტნელთა ბელადნი, თავნი და ჩინებულნი კაცნი მუნ მყოფნი—ესე ყოველივე განვაცხადეთ უწინდელსა წიგნსა შინა ჩვენ მიერ მორთმეულსა.

აწ ამას განვაცხადებთ თქვენისა მაღლის ღრ. ბ. მომართ: ღრაფ იანარალ მაიორმა, ჩამოვლო რა ქართლი უსამართლობითა, მისრულმან დუშეთად, წარიტაცნა

ზარბაზანნი, დუშეთის ციხეში კაცნი შეიყვანნა და ჩვენგან დაყენებულნი კაცნიკი გამოჭყარნა, და თჳნიერ შემოკითხჳსა ჩვენისა მბრძანებლობს და რაცა ჰნებავს მას ჰყოფს: ჯარი გამოუსივა ანანურითგან არაგვის მოურავს კნიაზ ქაიხოსროს, რომელიც დიდად სამსახურად აღმოჩენილ არის მ. ი. დ. ჯარის გარდმოსლვაზედ სურსათის მიცემით, არტილერიის გარდმოტანით, ზამთრის სიფიცხის გარდაკდით და მრავლის კაცის ფერკების დაზრობით, და აგრეთვე მრავლის კაცის დარჩობით, ამიტომ რომ რუსეთის იმპერიას მახლობელი რომელიმე ჩვენის ქვეყნის სამზღვ-რები და გზები მას აბარია; მოურავი სულ აიკლო, და მოურავი გაქცეული ივლტოდა ცოლ-შვილით. მოურავთან ერთი კნიაზი იყო, იესე შალიკოვი, მოურავის აკლე-ბაში ის მოკლეს ჯარის კაცთა, ჩვენი დასაკლისი და მკედრობაში მრავალჯერ გამოცდილი.

მრავალჯერ მოვჰსწერეთ ღრაფ ტოტლებენს წიგნი და აქეთ დავიბარეთ, რომ სადაც მ. ი. დ. სამსახურის კეთილ წარსამართებელია იქ დავაყენოთ, მაგრამ არ ინება, ანანურს დგას ესოდენი ხანია და იმის იქ ყოფას ურიგოდ ხედვენ, და ჩვენც ასე გვგონია; კნიაზ რატიევი ჩვენთან რომ მყოფობდა თანმოყოლილის ჯარით, იმ სახით როგორადაც თ. მ. ღ. ბ. კურიელისა გამოგზავნასა ზედა მოვახსენეთ, ესრეთ მეწადდა, რომ რადგან ამ ჯარის ანანურს გაბრუნებას აქაურნი ერნი ური-გოდ დაინახვევდენ, იანარალ მაიორი აქ ჩამოსულ იყო ჩვენს სიახლოვეს და ეს რა-ტიევის თანმოყოლილი ჯარი იქ მიგვებარებინა, და თჳთ რატიევი, რადგანაც იმ სახეებით ტოტლებენისაგან არესტ ნაქნარი იყო, თჳთ უმაღლესს კარს წამოსულ იყო, მაგრა იანარალ მაიორმა რომ არ ინება ჩვესს სიახლოვეს მოსლვა და ნიადაგ ამ ჯარსა გვთხოვდა, კნიაზ რატიევი თავისის კამანდით გაუგზავნეთ ნადვორნის სოვეტნიკის კნიაზ მოურავოვის რჩევითა და თვით კნიაზ რატიევის მოწადე-ბითა.

ამასაც მოვახსენებ თ. მ. ღ. ბ. რომ იმერეთის მფლობელთა ურთიერთადმი დაგება ებრძანნეს მ. ი. დ. და აგრეთვე თქვენ მოგვეწერათ ჩვენთჳს, რომ მათის დაგებისათჳს ვიღვაწოთ და გავისარჯნეთ. ჩვენგან ეს ჭეშმარიტებით მოგხსენ-დესთ, რომ ყოვლის ჩემის გულსმოდგინებით ამ კეთილს საქმეზედ გავრჯილვარ და გვირჩევნია წიგნით, თუ კაცის გაგზავნით, და აწცა, თუ მოცალება მივიღეთ, მ. ი. დ. უკაზსაც მიუტანთ და გამოუცხადებთ, და რომელითაც სახით შეიძლება მათი ურთიერთის დაგება ყოვლითურთ ცდას არ დავაკლებთ, რომ ურთიერთს დაეგნენ და მათის ჩვენთან შემოერთებით მტერს ვბრძოთ, და თუ ჩვენ უცალო ვიქმნებით, უწმიდესს ჩემს ძმას კათოლიკოს-პატრიარხს, ჩემს ძეს და რამდენთამე ყოვლად სამღვდელოთა და კნიაზთა წარუგზავნით და მათით ვეცდებით, და რასაც იქმენ იგიცა მოგხსენდებათ.

კვალად ესეცა ეუწყოს თ. მ. ღ. ბ.— უწინარეს ამისა განგვიცხადებიეს საქმე ესე ღრ. ღენარალ მაიორისთჳს და კნ. ანტონ მოურავოვისთჳს, და ვჰგონებ, რომ თ. მ. ღ. ბ. მოხსენებოდეს ეს ამბავი: ნუცალი, რომლიც არის დაღისტანში ერთი

უფროსი მებატონე მთამომავლობით, რომელსაც შეუძლია დაღისტანში ბევრის ჯარის შეყრა და კიდეც უსმენენ დაღისტნელნი, ამას, უწინარეს ამისა, ჩემთჳს წიგნი მოეწერა, რომ ოსმანთაგან კაცი მოსულოდა და დაეპატიჟნათ ბრძოლად და აღეთქვათ ხაზინა მიცემად, რომელმაც, რადგან ჩვენთან შემორიგებული იყო, ეს ამბავი მყის მაცნობა, და ჩემთჳს რჩევა ეკითხა წასვლისა და შეერთებისა მასთანა და (ან) არ შეერთებისა, და ჩვენ მ. ი. დ. სამსახურის წარსამატებელად მრავლის გარემოებით ურჩივეთ არ შეერთება და არ წარსვლა მათთანა, და უქადეთ ჩვენგან ნივთთა მიერ მობადლება და მ. ი. დ. წყალობა აღუთქვით; და შემდგომად ამისა კვალად წიგნი მოეწერა და კაცი გამოეგზავნა, რომლისაც წიგნი მოვართვი თ. მ. ღ. ბ. უწინარეს ამისსა, და აწცა თ. მ. ღ. ბ. გვაწვევს მტერთა ბრძოლასა ზედა, რომელიც ღვთითა და ბედნიერებით მ. ი. დ. შევიძლით, ვეცადენით, და კვალად რომლისაცა მიზეზითა დავბრუნდით მოკსენებულ არს უმაღლესსა კარსა, და უკეთუ აქამომდე ჩვენ და იანარალ მაიორი მტრის ქვეყანაში ვყოფილიყავით, საიჭვოდ არა ვჰგონებთ, რომ ბედნიერობით დ. მ. დიდ დიდნი სამსახურნი წარემართებოდენ. ჩვენ, ბრძანებისაებს თქვენისა, კვალადცა არა ვაცადებთ მტერობად ქვეყანასა ახალციხისა და ყარსისა, და მარადის მსუბუქს ჯარს ვგზავნით, და რომელსაც მტერობას შეიძლებენ—რბევითა და წარმოტყვევნვით მეცადინობენ. სარწმუნოდ ბრძანდებოდეს თ. მ. ღ. ბ. რომ ჩვენ მიერ უმაღლესსა კარსა და ამა მცირესა დროსა შემდგომად, უკეთუ ბრძანებისაებრ დ. მ. იანარალ მაიორი იმედად ჩვენდა იქმნება და ან კიდევ იმერეთის მფლობელნი ჩვენდამო ერთობასა აჩვენებენ მ. ი. დ. სამსახურისათჳს, და ესეცა მოკსენდეს თ. მ. ღ. ბ. უკეთუ არცა იმერთა მფლობელთა ინებოს ჩვენთანა თავის კამანდით შემოერთება, რომელიც ღვთით ჩვენგან შეიძლება მ. ი. დ. ბედნიერობით თუ როგორ მოვინდომებთ მტერობას ოსმანთა მიმართ, ყოველივე მოკსენდება უმაღლესა კარსა, და წარმმართებელი საქმისა ყოვლად ძლიერი ღმერთი არს.

თ. მ. ღ. ბ. მოგელოცნეს ჩემთჳს უმაღლესნი მოწყალებანი ყოვლად მოწყალისა კელმწიფისა იმპერატრიცასნი, რომელიც ებოძნეს წმიდისა მოციქულისა ანდრია პირველ წოდებულისა ორდენი, რომლისთჳს მდაბლისა და განცხრომილისა გულითა მმადლობელნი მათსა ყოვლად მოწყალებასა სრულისა მადლობითა ვმადლობთ, და ეგრეთვე გმადლობთ თქვენცა სრულისა ერთგულებითა.

ხოლო ვინათგან ჩვეულება არს ამისებრითა ბედნიერ შემთხჳულებითთა ძლევათა შინა, რათამცა თჳსსა ყოვლად მოწყალესა კელმწიფეს მძლენი ნიშანთა ძლევისათა მიართმიდენ, ამისთჳს წარმოივლინა ჩვენ მიერ ტყვენი ბრძოლათა მათ შინა პყრობილნი—ოსმანი ორი და ლეკი ერთი, რომელიც გზის სიშორისთჳს კმასაყოფლად აღგვიჩნდა, და აგრეთვე ბრძოლის საჭურველნი და დროშანი მათნი, რომელნიც მოერთმის უმაღლესსა კარსა კნიაზ ზაალ ორბელიანის კელით, რომელიც თჳთ ბრძოლათა შინა დამსწრე არს და მკნედ გარჯილ. დასასრულ ამას ვითხოვ თ. მ. ღ. ბ. რომ ჩვენგან მორთმეულის წიგნებისა, რომელიც კნ. გრი-

გორი ხვაბულოვისგან და აზნაურის იაგორ ნათანაილოვისაგან მოგერთმისო, და ანუ რომელი ან მოგართჳთ ამათი პასუხი მალე გვებოძოს, რომ ჩვენი ყოვლად სასურვი მ. ი. დ. ყოვლად მაღალი ბრძანება მტერთა მიმართ ბრძოლა (ისა) არ დაეცადოს ამისგან უფრო.

დაიწესა ქალაქსა ტფილისს. იულისის 4 დღესა, წელსა 1770.

33. Д. VIII. 14 Іюля 1770 г. Представленіе отъ царя Соломона имп. Екатеринѣ II. Пер. т. I. № 67.

მათის იმპ. დიდ-მოწყალებისა განმარტებულსა ფრთესა საზოგადოთ ყ̃თა მართლ-მორწმუნეთათვის შეფარებული და ყ̃დ განძლიერებულთა და მტერთა ჭეშმარიტებისათა დამამკობელთა კელთა შევრდომით თაყვანის-მცემელი, და მათის ბრძანების და წამისყოფის მადლობით, სიხარულით და თაყვანისცემით სისხლთამდე მღუ̂წელი და აღმასრულებელი, და მათის ამაღლებულის და კეთილად წარმართებულის როსიის იმპერიასათანა შეერთებულ-აღრაცხილი — სრულიად საიმერეთოს მეფე სოლომონ I ალექსანდრესი ყ̃დ მოწყალესა დედასა ქრისტიანეთა ერთასა და ჩვენის სამეფოსა ხსნისა და მაცხოვარებისა მათის უაღ—ბის კელმწიფობისა მნებებელსა მრავალგზით თაყვანისცემით მადლობასა და ქებასა შევსწირავთ.

რა თქვენი დიდ—ის უკელ——ბის მზისა უბრწ—სი შარვანდედი დაბნელებულსა ქვეყანასა ჩვენსა მოეფინა, სიხარულისა და ბრწ—ბისა პორფირი შემოსა, და მიერიდგან დუმნა მაჭმადიანთა აღზვავებულება და სატიურიანი სილაღისა რქა მათი შეიმუსრა. მანამდის ბრწყ. ღრაფი დახოვანი მხედართ-მთავარი ძლევა შემოსილის და სამამაცო ზნეობით სრულქმნილის ჯარით იმერეთს ჩამობრძანდებოდა, მინამდის დიდად ვიღვაწე და ცუცხვათის ციხე 1770 წელსა, ხოლო თთვესა მაისსა 15, და ამისა შემდგომად ქუთაისისა ქალაქიცა მიუღე მტერთა მაცხოვრისა ქრისტესთა ბილწთა ოსმანთა და მათშინა მყოფნი, რომელიც იძულებით გამოვიყვანეთ, რომელთაცა ქრისტიანობა ინებეს, განთავისუფლდენ სრულიად, და რომელთა არა, ვითა მათის დიდ—ბის იმპ—ისა მიერ გვებრძანა ეგრეთ განვაგეთ. და რა ბრწყ. გრაფი იმერეთის ქვეყანას მოიწია უძლეველის ჯარითა, მაშინვე წინ მივეგებენით და ბაღდადის ციხეზე მივიყვანეთ; და მისვლასავეთანა ყოველივე მათი ძლიერება შეიმუსრა, და მათის ციხის სიმყარე დაეცა, და მყისვე დავიმორჩილეთ, მარა ბრწყ. ღრაფისა, რომელიცა მათის დიდ—ბის იმპ—ბის უკაზითა გვებრძანა უაღრესად და უწარმატებულესად სახელოვანად გამობრწყინდა და მისი მკედართ მთავრობისა ძლიერება სახელოვანად წარმოაჩინა. შემდგომად ამისსა მოვედით ქუთაისის დანაშთენსა ციხესა და მოვადეგით, და შორაპანს ჩემი

ჯარი ადრიდგანვე ადგა, და მათი მოუძლურება ვისმინე, წაველ სწრაფვათ მხოლოდ ჩემის ჯარით და იგიცა დაუყოვნებელად ავიღე, და აწ ქუთაისს ვადგივართ თქვენის დიდ. იმპ. დაცულნი და წარმატებულნი; და ორისა, გინა სამისა დღისა გაძლება არც ამათ ძალუცთ, ხოლო ჩვენ, რომელიცა უყოვლადმოწყალესის ბრძანებით გვებრძანა და გამოგვეცხადა — უჟამიერო და საუკუნო წყალობა, — ვითხოვთ ჩვენის თხემისაგან აღუხდელობასა და მათის უდიდ—ის უკელმწიფესობისაგან საუკუნოდ დაცულობასა, და მათის დიდ—ბის იმპ—ბის წარმატებისა და ერთგულებისა წ~ე ღ~თისა ფიცით დამამტკიცებელნი და კელისმოწერით აღმარსულებელნი უგალობთ და განვადიდებთ მათსა უდიდ—ბით დაცულებასა უკელმწიფესობისა მათისასა უკუნისამდე.

აღიწერა ქალაქსა ქუთაისისასა. 1770 წელსა, ხოლო თთვესა იულისსა 14.

34. Д.VII. 14 Іюля 1770 г. **Письмо царя Соломона къ гр. Н. И. Панину.**

ყოვლისა სამერთოსა მეფე სოლომონ ალექსანდრესი მოწლითა და აღტყინებულისა გულით საუკუნოსა დაუვიწყებლობასა და ჩვენ შორისა სიყვარულისა დღითი დღე უმჯობესად წარმატებულობასა ვითხოვ. რა მათი დ. ი. შარავანდედი მოეფინა წარმართთა მიერ დაბნელებულსა ქვეყანასა ჩვენსა, მიერიდგან განიყარა ნისლი უღთოებისა მათისა და იწყეს აღფხვრად ქალაქთა და ციხეთა მათთა, და ვითა ძალგვედვა ვიღვაწე მათის ი. დ. ბრძანებითა და შეწევნითა. და მანამ ბრწყინვალე ღრაფი იმერეთს მოვიდოდა ცუცხვათის ციხე ავიღეთ, შორაპანს ჯარი შემოვაყენეთ და ჩვენ ურჩეულესის ჯარითა ქუთაისის ქალაქს მოვადექით, და ქალაქი ყოველივე, გარდა ციხისა, ავიღევით, და მრავალნი სულნი გამოვიყვანეთ; და რომელთაცა ქრისტიანობა აღირჩიეს—ნება მივეცით და რომელნიმე, ვითა მათი ი. დ. უკაზით გვებრძანა, ეგრეთ ჯეროვნად განვაგეთ. ჯარის ბრწყინვალე მკედართ მთავარი ღრაფი იმერეთის საზღვარზე მოიწია რჩეულისა და სამკედრო მეცნიერების წჳრთილითა და კელოვანის ჯარითა, ჩვენ აქედამ მხიარულითა გულითა წინმივეგებენით, განვიზრახეთ და ბაღდადის ციხეს [შემოვადეგით], და მათი ძლიერება და აღზვავებულებისა რქა მალიად შეიმუსრა და ციხისა სიმყარე მყის მოუძლურდა, დაუყოვნებელად და დაუხანებელად ავიღევით, და, ვითა მათი ი. დ. უკაზით გვებრძანა, მისი მკედართ მთავრობის სიქველე უმკნესად და უწარჩინებულესად გამობრწყინდა, და განსწავლულის ჯარის სიმხნე-სიამაყემან ოსმანთ განლაღებული გული ცვილებრ დაადნო და მიწისაებრ დაამდაბლა. წამოვედით მუნით ძლევისა გალობისა მეტყველნი და ქუთაისის ქალაქისა დანაშთენსა ციხესა მოვადექით, და შორაპანს, რომელი ჩემი ჯარისა მიერ ადრიდგან მოცულ იყო, გამორჩეულის ჩემის კაცით წაველ და იგიცა

მისვლასავე ჩემსა ავიდე. და აწ ქუთაისს ვიმყოფებით მაგრად ციხისა შემოზღუდულნი და მათის ი. დ. ჭეშმარიტის ბრძანების და საუკუნოს აღთქმის მარადმხედველნი, და საუკუნოდ მათის უდიდეჲ. ხელმწ. განძლიერებისა და ერთგულობისა წინაშე ღვთის ფიცითა მტკიცითა და ხელისწარწერითა ვიდრე სისხლთადმდე მდვწელნი, და განვადიდებთ მათს უყოვლად უმოწყალესობასა უკუნისამდე.

ადიწერა ქალაქსა ქუთაისისასა. 1770 წ., ხოლო თთვესა ივლისსა 14.

ყოვლისა საიმერეთოსა მეფე

სოლომონ ალექსანდრესი.

35. Д. VII. 1 Августа 1770 г. Письмо Арагвскаго Моурава Каих. Чолокашвили къ царю Ираклію.

ჩემს ყოვლად მოწყალეს კელმწიფეს მეფეს ქართლის და კახეთისას ირაკლის

უმდაბლესად მოვახსენებ.

თქვენს სიმაღლეს კეთილად მოეხსენება ღრაფი იანარალ მაიორი ტოტლებენი როგორის სახით დამესხა, როგორ ამიკლო ყოვლის ფრით რაცკი მქონდა, და ჩემთან მყოფი თქვენი თავადიშვილი იესე როჭიკაშვილი მომიკლა, და რაც თქვენი წყალობა ან თვალი, ან მარგალიტი, ან ოქრო, ან ვეცხლი, ან სახლის მოფენილობა, ან ტანი, ან ფეხი, და ან ცხენი და იარაღი მქონდა და მყვანდა ჩემის სახლობისა აღარაფერი დამრჩომიარა, და ეს ვედრება მაქვს კელმწიფესთან, რომ ამისი წამალი დამედვას რამე: რა რომ მათის ი. დ. ყოვლად მოწყალის კელმწიფის იმპერატრიცას ბრძანება მოსულა და თქვენის სიმაღლისაგან იმათი ერთგულება გამოცხადებულა, მას აქეთ, თქვენის ბრძანებით, მათი და მათის ი. დ. ჯარის ერთგული და დიდად გარჯილი მოსამსახურე ვყოფილვარ.

თქვენის უმაღლესობის უმორჩილესი მოსამსახურე მოურავი არაგვისა ქაიხოსრო ჩოლოყი.

დაიწერა აგვისტოს 1, წელსა 1770.

36. Д. VII. 7 Августа 1770 г. Письмо царя Ираклія къ гр. Н. И. Панину. Пер. т. I. № 216.

ჩვენგან გამოგზავნილნი კურიელნი მ. ი. დ. უმაღლესს კარს რომ წარმოივლინენ, ვინაჲთგან იანარალ მაიორისაგან ჩემზედ მტერობა გამოცხადებული იყო, მაშინ წერილებითა და საქმითა ზოგი ციხეები წართმეული მქონდა იმისგან

და ზოგი მასუკან წამართო, ზარბაზნები დამიმტვრია და რაც წამალი მქონდა ანანურის ციხეში სრულიად გაიტანა ვიდრე ორას ფუთამდე, ამას გარდა იმ ქვეყნის კაცნი თუ სადაც ქართლში მივიდა, თავადები და იმ ქვეყნის კაცნი ზოგნი რომელნიმე დაათფიცნა; და იმ ციხეების წართმევის უკან მასუკან გორის ციხესაც მართმევდა, მაგრა, ვინათგან მ. დ. ბრძანება არ ჰქონდა, იმ ოთხის ციხის წართმევა კი დაუთმე, და გორის ციხე კი აღარ დავანებე; თუმცა ის ფიცი და ჩემს ციხეებში მ. დ. ჯარის დადგომა ჩემი სასიამოვნოც იყო და ჩემი სისხლიც მ. ი. დ. სამსახურზედ დასადებლად და სასურველად მაქვს, მაგრამ რადგან ჩემი ერთგულება მ. დ. მიმართ ბრწყინვალედ აღმოჩენილ იყო, ჩემ მეზობელთ წარმართთა ამაზედ რომ ნიშნი მომიგეს და ჩემს ქვეყნის კაცთაც ავათ დაინახეს,—ამისთვის წუხს ჩემი გონება. ამ საქმეებს რომ მოქმედებდა იანალალ მაიორი მე კიდევ ჩემი თანამდებობას ეს მეგონა და დიდი წადიერება მქონდა, რადგან ორთავე კურიელები უმაღლესს კარსა გვყვანდა გამოგზავნილი და ჩვენი საქმეები მოხსენებული გვქონდა, და მ. დ. ი. რასაც გვიბძანებდა, ის სრულიადის დამორჩილებით მიგველო, და მანამდის ერთმანერთი ფიცის სიმტკიცით დაგვემტკიცებინა, და ბრძანებისაებრ მ. დ. არ დაიჯერა, არამედ უმეტეს მტერობაც გამომიცხადა, და რომელიც ყოვლად მოწყალის კელმწიფის ჩემზედ ჯარი და წყალობა იყო ბოძებული, ისიც მიმტაცა და იმერეთად წაიყვანა.

კვალად ამასაც მწერს, რომ შენ საქართველოში შეწევნას ვერ მოგცემ და არც მოგეხმარებიო, თუ არ ოსმალთ ქვეყანაშიო. ეს ჩემის ქვეყნის კაცთათვის დიალ ავი გასაგონია და სასოწარკვეთილებას მისაცემი უიმედობა არის, თუმცა ღვთისაგან და ყოვლად მოწყალის კელმწ. არათუ სიტყვისაებრ იანარალ მაიორისა მოველით, არამედ უმეტესს მოწყალებასაც ვსასოებთ ღვთისაგან და მ. ი. დ. და იმის სიტყვას უმაღლესი კარი უმჯობესად გასინჯავს.

და ეს ჭეშმარიტი მოხსენება არის: თუ დიდებულის რუსეთის კელმწ. ჯარისა და ძალისა სასოება არ გვქონდა და ან არა გვქონდეს საბოლოოდ, ჩვენგან ხვანთქრის ჯარისა და ქვეყნების ბრძოლა და მტერობა შეუძლებელ იყო, რადგან ამისთანას შფოთს მიმცა და მომაცდინა ჩემს სასურველს მ. დ. სამსახურს რამდენსამე ხანსა; რაოდენ შეძლება ჰქონდა ჩემს ქვეყნებს ოსმალთ მტერობისა კიდევ ვეცადე, რომლისა თვითმხილველ და გამგონე არს კნიაზ მოურავოვი სოვეტნიკი, და ამ დროსაც ღვთით მზადება გვაქვს ოსმალთ სამტროდ ფრიადის მოსწრაფებით. და რამდენსამე დღეში ყიზლარის კამენდანტის წიგნები მოგვივიდა: დაღესტნელნი ემზადებიანო. თუ ესენი წამოვიდნენ, ჩვენის გასინჯულობით, ან იმერეთზედ წავლენ, ან ახალციხის შესაწევნელად მივლენ და ან ჩვენზედ მოვლენ, და ამ ცოტას ხანობით იმათის საქმის მაყურებელნი ვართ; თუ მოვლენ, შეძლებისაებრ ღვთით იმათს მტერობას ვეცდებით, და თუ არ მოვიდნენ ღვთით დაუყოვნებლად ჩვენ მტერზედ წავალთ.

თ. მ. ღ. ბ. ეს მოხსენდეს: თუ თანამდები არ შევიქნები ამ გვარის საქმისა

ჩემის სვინიდისით, დიდად მეზარება თქვენი თავის წყენა. მ. ი. დ. უბრძანებია, რომ ეს მეორე წელი მიდის აქეთის მჴრის ქრისტიანენი ჭეშმარიტის შეერთებით შევერთდეთ და ოსმალთზედ მტერობა და ბრძოლა აღვადგინოთ, და თვით ჩვენზედ ბრძანებულ არის და იანარალ მაიორ ტოტლებენზედ და ნადვორნის სოვეტნიკს კნიაზ მოურავოვზედ, რომ იმერეთის მფლობელნი ამ კეთილს დროს ვეცადნეთ, რომ შევარიგოთ: და შარშანდელთაგან აქამომდე მ. დ. უკაზით ბრძანებისაებრ მრავალჯერა და მრავალგზის ვეცადესით მეფის სოლომონთან, რომ დადიანს შერიგებოდა, და არ ინება მეფემ სოლომონ, მიზეზი ეს იყო, რომ მამულები უნდოდა მეფე სოლომონს დადიანისთვის წასართმეველად და ერთმანერთთან სხვა ძველი მტერობაც ჰქონდათ. შარშან, მ. დ. ბრძანების შემდგომად, ჩემთან მოვიდოდა, რომ თავისი ძმა უმამღლესს კარს გამოეგზავნა, მაგრამ რამდენიც ეცადა, გზა არ დაანება და არ გამოუშვა მეფემ სოლომონ ჩემთანა, და არც იმისი კაცი და წიგნი გამოუშვა ჩემთანა. მტრის ქვეყანაში ასპინძას ჩვენგან ოსმალ'სჳ და დაღისტნელთზედ გამარჯვების მეოთხეს დღეს დადიანთან ერთი ჩემი კნიაზი გავგზავნე და მ. დ. უკაზის პირიც თანგავატანე, რომელიც რომ ოთხს იმერეთის მფლობელთათანა მიწერილი იყო, და არც ის გაუშვა; და იმისის ძმის უწმიდესისაგან მიწერილი წიგნი, რომელსაც რომ თავის ძმას არჩილს სწერს, ისიც მოგვირთმევია. და მე გაკვირვებულ ვარ ამაზედ, რომ მე მეზობელი ვარ და ჩემი კაცი და წიგნი არ გაუშვა, და ეს მცირე საქმე არის ჩვენდა მომართ, მაგრამ მ. დ. უკაზს როგორ ჰკადრა დაბრუნება! კვალად მე შარშან დადიანისათვის მიმაცემინა და შეურიგდა, ის ჩემგან მოცემული სათვიცრის წიგნი რომ უქონდა, მათ შორის მიცემული, ის მრავალჯერ გამიტეხა; დიდად ფრიადის ვედრებით ვევედრე, რომ ის მშვიდობა იმათ შუა არ დაერღვია, მაგრა სრულიად არა მიეღორა ჩემი სიტყვა. ეს სიმართლით მოხსენება არის: თუ ორნი მიზეზნი არ მაყენებდენ, ერთი—ქრისტიანების დაკოცა და სისხლის დაღვრა და, მეორედ, მ. ი. დ. ბრძანება, რადგან გვაქუს, რომ ოსმალთ უნდა ვებრძოლოთ, და ესოდენს წყალობასაც აღგვითქუამს თვისის ი. დ. უკაზში, და მე რომ ეს ბრძანება გამეშვა და ქრისტიანების სისხლი დამეღვარა და დამეტყუევებინა, — უსვინიდისობა მეგონა ჩემგან; ვიცი მ. დ. საწყინო იქნებოდა, თვარამ, როგორც რომ ზეით სიტყუაში მომიხსენებია, მე ამას იმას არ დავუთმობდი. მეფე სოლომონს, განცხადებულია, რომ დადიანი დასაჩაგრავად და წასაკდენელად უნდა, რომ მაღლის კარიდამ დაჰკარგოს, და რომლისაც თანამდებიც არის — მართლმადიდებელს რუსეთის მონარხის სამსახურის მაგიერად ყოვლად მოწყალეს კელმწიფეზედ ორგულად დაანარჩინოს, მაგრამ ჩემის ჭეშმარიტის ერთგულობის გასინჯულობით უმჯობესად ამას ვგონებ, რომ მაღლის კარიდამ დადიანს ყოვლისთვის სამსახური განთვისებით ებრძანოს — ან ძმა დაიბაროთ იმისი და ან ერთი რჩეული იმისის კნიაზებიდამ, რომ რაც ჭეშმარიტი და სიმართლით მოსახსენებელი რამ ჰქონდეს უმაღლესმა კარმა ყველა მიწევნით მოიხსენოს, და მასუკან ნებისაებრ მ. დ. განეგოს.

არაგვის მოურავი ქაიხოსრო თუ ვითარის სახით აიკლო იანარალ მაიორმა, და ან იმის აკლებაში ერთი კნიაზი მოკლა, რომელიცა უწინარეს ამისსა მოვახსენეთ თ. ღ. ბ. რომელისაც მოხსენება წერილით არაგვის მოურავისგან აწ წარმოგვივლენია უმაღლესსა კარსა და ფრიად მთხოვნელიცა ვართ თ. მ. ღ. ბ. რომ დიდი გარჯილი და ნამსახური არის მ. ღ. ჯარზედ, და მოიკითხოს მ. ღ. იმისი ამ სახით წახდენა, და ვითხოვთ, რომ რაც წაჰკიდენოდეს ისევ მიეცეს. ჩემგან კნიაზ არაგვის მოურავს ქაიხოსროსთან რამდენიმე მიწერილი წიგნები იმის აკლებაში რომ უპოვნია იანარალ მაიორს და უმაღლესს კარს გაუგზავნია, რომლისაც პირები გარდაეწერა და ჩემთვის გამოეგზავნა, და ესენი არიან რომელნიც რომ უმაღლესს კარს მიერთმის ჩემგან, და ჩემგან მასვე არაგვის მოურავთან სხვა წიგნებიც იყო მოწერილი ამ წიგნების წინათ და უკან, — ისიც უნდა მოერთმევია იანარალ მაიორს, მაგრამ რადგან მე მემტერება, თავისის გასინჯულებით ცდილობს, რომ ვითომ ერთს სიმტყუვნეზედ დამდვას მე. და ეს გასინჯეთ ეს: როდესაც ღრაფ ტოტლებენი აწყურიდამ იმ სახით ომიდამ გამოგვიბრუნდა მე ყოვლითურთ მ. ღ. დამნაშავედ მგონია ჩემის და ჩემის ჯარის მტრის კელში მიმცემლად, რადგანც ღვთით და მ. ღ. ბედნიერობით მტრის ქვეყნებში გამარჯვება მოგვეცა, და იმისი არ ვიცოდით — თუ რას იმოქმედებდა, და ჩვენ არაგვის მოურავს მივსწერეთ, რომ ჩვენს უკითხავად არაგვის გზაზედ არავინ გაეშვა, და მისთვის შევანახვინეთ გზა: არც იმისი კაცი და არც სხვა არ გამოვაშვებინეთ — ტყუილი ჭამბავი და ავი არაკის წამოეღო, და ოთხს და ხუთს დღეს უკან ბძანება მივეცით, რომ იმისი კაციც გაეშვათ და სხვა მგზავრიც. შოგლუკოვისა რომ სწერია ამავე წიგნში — მართალია გამოქცეულ იყო და ჩვენთან მოვიდა, და ის ფრიადის ვედრებით შემოგვედრებდა, რომ იმისი საქონელი ჩამოგვეტანინებინა, და ღრაფი რადგანც რომ სამტეროდ იყო აღძრული, ამისთვის შოგლუკოვის ბარგის საიდუმლოდ წამოღება მივწერე მოურავს, რომ ჩემს და ღრაფის კაცებსა ჩხუბი არ გამოერეოდათ. გვეწადა, რომ თავის საქონლით უმაღლესს კარს გამოგვეგზავნა, ვითაც აღვასრულეთ და გამოვგზავნეთცა. ვჰგონებთ ღვთის მოწყალებით, რომ ამ ჩემს წიგნებს ბრალი არა დაედვის რა.

დაიწერა ქალაქს ტფილისს. აგვისტოს 7 დღესა, 1770 წელსა.

37. Д. XV. 27 Августа 1770 г. Письмо царя Ираклія къ кн. А. Р. Моуравову. Пер. т. I. № 67.

რადგანაც ეს სნეულება გამოჩნდა ჩვენს ქალაქში ტფილისს და თელავს, ვამჯობინეთ, რომ ჩვენის ფამილიით ან ახალგორს, ან დუშეთს და ან მუხრანს დავსდგეთ, და რადგანც ღრაფი ჩემი და ჩემის ქვეყნის კაცთა ამისთანა განცხადებული მტერი არის, მე ამას ვსთხოვ თ. ბ. თუ ამაზედ გულდაჯერებული ხართ, რომ ის

ერთს შფოთს ვერას იკადრებდეს — მე რომ მტერზედ წასული ვიყო, და ჩემი შვილები და კერძობა ამ ზემოწერილს ადგილებში იყვნენ, და ერთი ჩხუბი გადაეკიდებოდესთ ღრაფისაგან, წავალ და ამ ადგილებისაგან ერთერთში დავაყენებ, და მე ღვთით მტერზედ წავალ; და თუ ამ საქმეზედ გულდაჯერებული არა ხართ, წერილით გვაუწყეთ, რომ ისევ იქავ ვიქმნებით, ან ისევ კახეთს ჩავიყვან ჩემს სახლეულთ და ჩემს შეძლებას, და ღვთით მე ისევ მტერზედ წავალ.

წელსა 1770, აგვისტოს 27.

38. Д. XV. 30 Августа 1770 г. Письмо царя Ираклія къ кн. А. Р. Моуравову.

ღრაფს რომ მოუწერია უფალს პოდპოლკოვნიკს ტუტჩევთან თქვენ იმან მოგწეროსთ, რომ ჩვენ განგიცხადოთ ესრეთ, რომელ ღრაფი ახალციხეს წასულიყო და მე იმას ჯარი გაუგზავნო, თუ არ გაუგზავნო, თავისის ნამოქმედარის საქმეების მსგავსად, მე მ. დ. მიმართ მტრად აღმოვჩნდებოდე, — ამის მაგიერი შენმა ბრწყინვალებამ ეს იუწყოს: თვით მნახავი და გამგონე ბრძანდებით, ჩვენ რომ ახალციხის ქვეყნიდამ მოვბრუნდით ზემოქართლიდამ, თუ ქვემოქართლიდამ და კახეთიდამ რამდენ რიგათ აუსიეთ ჩვენი ჯარები ახალციხესა და ყარსის ქვეყანასა, და რამდენრიგად წარიტყვენა მტრის ქვეყნები, და ან თუ როგორ ჩინებული გამარჯვება მოუხდათ მეღიქოვთა ოსმალთა ზედა; და ეგრეთვე სულხავის შვილმან რომ მალვით და გამოპარვით გამოიარა ჯარით კახეთის ბოლოს, უშენს ადგილებში, ახალციხის მისაშველებლად ბორჩალუზედ გაიარეს, იმას ჩვენი თოფჩობაში თარხანოვი გიორგი, ჩვენგან ბორჩალუში გაგზავნილი, ბორჩალუს ვექილი ბაადრას სულთანი და სხვანი დასხმოდნენ და კმა საყოფელი ძლევა მიიღეს, და მრავალი კაცი მოუკლეს მტერსა, და მრავალი ცხენი და იარაღი დარჩათ. და აგრეთვე თუში მოურავი გავგზავნე თუშეთს ჯარი დაგვებარებინა ჩვენთვის მტრის ქვეყანაში ჩვენთან თანსახლებლად, რადგანც ჯარს ვერიდით, და იმათზედ მალვით და ქურდულად მისულიყვნენ სულხავის შვილისაგან ბოძებული ოთხი ათასი კაცი თუშეთს მიხდომოდნენ, მერმე ამ მოსულს ლეკის ჯარს ის ჩვენგან გაგზავნილი ჯარის თავნი, იმ ქვეყნის კაცნი, შებმოდნენ, მრავალი ლეკი მოეკლათ და კლდეზედ ეყარათ და თავნი კაცნიც ამოეწყვიტათ იმ ლეკის ჯარისა და მრავალი ცხენი და იარაღი დარჩომოდათ; თუშთ მოურავმა და იმასთან მყოფთ კაცთა რომ ცხვირები მოგვართვეს — თვით თქვენც მნახავი ხართ. კვალად თ. ბ. ამისი ზედმიწევნით მეცნიერი ბძანდებით, რომ, თუ ჩვენს ქალაქში და ან თელავში, და სხვაგან კახეთის რამდენსამე ადგილებში ამ სნეულების მიზეზი არ ყოფილიყო, და ან აქამდის სულხავის შვილისათვის არ გველოდინებინა, უეჭველად ჩვენ ახლა მტრის ქვეყანაში ვიქნებოდით; ამ საქმეშ

ჩვენი ბევრი საქმეები მოშალა, და ახლაც რაც შეგვიძლია ჩვენ იარანალ მაიორისაგან დაპატიჟება არ გვეჭირება მ. დ. ბძანებისაებრ აღმასრულებელნი ვართ მტერზედ მოქმედებისა.

ესენი რაც მოგვიწერია, თქვენც ხომ მოწამე ხართ, სულ ჭეშმარიტია და კარ-გად უწყით. აგერ ერთი წელიწადია მოსულა ღრაფი და ბ. დ. კ. სამსახური რა გა-უკეთებია? ნუ თუ ამას იქადის, რომ რაღაც ორიოდ კოშკი შორაპნისა და ბაღდა-დისა აიღო, რომელშიაც თხუთმეტ-თხუთმეტი მეომარი კაცი მდგარა? ქუთაისისა თვით თ. ბ. კეთილად უწყის, რომ მეშველი ორი ჰყვანდა: ასპინძას დაიხოცნეს, — ის ციხეები იმ მიზეზმა აიღო, შიგ საზდო ველარ შეუტანეს მეშველის უძლობითა; და სხვა მტრის მამულში იმისგან გაკეთებული მ. დ. სამსახური არა გვინახავს რა. მაღლის კელმწიფის ხაზინას უბრალოდ წარაგებს და მ. ი. დ. ჯარსაც უბრალოდ ხოცს და ღალავს, და მე ღვთის მოწყალებით, რომელიც შეძლება მაქვს, მტერზედ წასვლას ვაპირებ როგორც შევიძლებთ. კიდევ მოუწერია ღრაფსა: ქართველთა, თუ პური არ მოსცეს და ურემიო რუსეთის ჯარსაო, როგორც მოღალატეთ სწორედ ისე გარდავახდევინებთო. ამისი პასუხი ეს იუწყოს თ. ბ.—ღრაფს ჩემს ქვეყანაში და ჩემის ქვეყნის კაცთზედ რა საქმე აქვს ან გადასახდევინებლად და ან ავად მოსაპყრობელად?! ჩვენ ბძანება მიგვიცია ქართლში ტუტჩევს რაც ქრცხინ-ვალში ჯარი ჰყავს პური მიჰყიდონ და ან კიდევ რაც სხვა საზრდო იშოვებოდეს ისიც მიჰყიდონ, აგერ ერთი წელიწადია მ. ი. დ. ჯარი ამ ქვეყანაში არის და თუ არ ჩემის ქვეყნიდამ სხვიდამ სადიდამ უყიდნია და მოუტანია პური? და იმერეთს რომ გარდავიდნენ და არიან იქაც აქედამ გადაიტანეს პური და ახლაც მიაქვსთ. კიდევ ღრაფს მოუწერია: ლეკებს როგორადაც ჩვეულება აქვსთ ადირბეჯანის და სხვის ქვეყნებში ქურდობისა და რბევისა, და კიდევ ახლა რომ ლეკთ გამოიარეს და ჩვენის ქვეყნის ზიანს ცდილობენ — ვითამ ეს მე მემოქმედებინოს და წამექე-ზებინოს, რომელიც ეს სიტყვა დიდის სიცილის ღირსი არის; თუ მე სხვა რიგად ბოროტმოქმედი ვიქნები, ჩემის ქვეყნის დასაკლისი და წახდენა მაშინაც არ მენ-დომება, — ეს ცხადი არის, რომ ჩემი მტერი არის და, მერმე, იმ ქვეყნების საქმე-ების სრულიად უმეცარია, ამისთვის იწერება იმ გვარებსა. მე ყოვლითურთ ვჭვრეტ მ. დ. ბძანებას, და რაც იქიდამ ბძანება მოვა ჩვენ იმისი მაყურებელი ვართ და იმის მორჩილნი ვართ.

წელსა 1770, აგვისტოს 30 დღესა.

39. Д. VII. 19 Сентября 1770 г. **Письмо царя Соломона къ гр. Н. И. Панину**. Пер. т. I. № 72.

რა პირველად მკედართ მთავარი და უძლეველი ჯარი ჩვენსა ქვეყანასა მოი-წია, რაოდენნიმე დღენი დაუყუნეს შორაპნის ციხის შემომდგომელთა, დაუტევა

ციხე უჯაროდ და წარიყვანა ყოველი ჯარი, და გარდავიდა ქართლად მეფისა ირაკლისად; და მას ზამთარსა არა მცირედნი შფოთნი და ბრძოლანი გარდავიხადენ. რა გაზაფხული მოიწია და ქვეყანა შვენიერებითა აღივსო, წარვიდენ მეფე ირაკლი და ღრაფი ახალციხისა ქალაქისა დასაპყრობელად, და ბრძოლისა ჟამსა ღრაფი საქართველოთ გამობრუნვებულ იყო, და საქართველოს ჯარსა რა ამის გამობრუნება ეცნათ, ფრიად შერყეულიყვნენ და თითქმის სრულიადს დანთქმას მისცემოდენ; მაგრა ღვთისა მრავალსა შეწევნასა დაეფარა და სახელოვანი ბრძოლა აღესრულებინათ. მერეთ ღრაფი, ჯარის და არტილერიისა მომმატებელი, მეორედ მოიწია ჩემადვე ქვეყანად, და ამა უწესოთა მიმოსვლითა მეფე ირაკლი და ჩვენ ძმობისა და ერთსულობისაგან ფრიად განგვყო და განგვაშორა, და რამდენნიმე მიზეზნი და სავნებელნიცა სიტყვანი დასთესნა შორსა ჩვენსა. რა ვისმინე მათი ჩემადვე ქვეყანად მოქცევა, წარმოუძღე და ბაღდადისა ციხესა მოვადეგით, და დიდი და აღმატებული მძლეობა ვნახე მაშინ არტილერიისა, რომელმან ადრე დაამხო ბაღდადისა ციხისა სიმყარე, და სხვაცა მრავალი განსაძლიერებელი ამბავი მესმინა ღრაფისაგან, რომელი მეტყოდა მიზეზსა პირველისა აქედგან წასვლისასა—ჯარისა სიმცირესა, და მეფისა ირაკლიდამ დაბრუნებასა სიყმილსა აბრალებდა, და სხვასა მრავალსა სახელოვანის აღსრულებასა უთუმცოდ აღმითქმიდა, და ამის ძლით მივეცით დადუმებასა მისის სიტყვისა მრწმუნებელთა და ვერ გამოვაცხადეთ. აწ რადგან ვხედავთ სრულიად ყოველსავე ნათლად, არ ძალგვიც დაფარვად ფიცისა და აღთქმისათვის: აქაური ციხეების ამბავი სრულ იქმნა, რომელი პირველ გამოვაცხადეთ, — ჩვენის ქვეყნის სანაპირო გრანიცებზედ ზღვის პირად ოსმანთ ციხეები არის, და ვაწვიეთ მასზედან მისვლა, და მან არა ინება, და ახალციხის ქალაქი წინა გვიყო, და მუნ განემზადა წასვლად. რადგან აღარ დაიშლებოდა, მეცა განვემზადე ჯარითა ჩემითა და ვაუწყე, და კელმწიფის წყალობაცა ვითხოვე ჯარის კელისმოსამართავი: არც ჩვენი წასვლა ითნო და არც კელისმოსამართავი მოგვცა. და სხვა რაც შეწევნა გვთხოვა ყოველივე განუკაზმეთ და განვუმზადეთ. წარვიდა სწრაფით და, მთაზე ამსვლელი, დაბრუნდა ამაოდ. რა ვყოთ? ჩვენგან ამის დაფარვა არ ეგება. ასე უწესოდ და უსარგებლოდ მიმოკვეთება ამისთანა საკვირველისა ჯარისა დია შესაწუხებელი და საგიობელია, მარა დია თავისუფალი და თავის სიმკნისა და ჭკუის მინდობილი კაცი ყოფილა, და რა ვყოთ—არა უწყით! ჩვენ კელმწიფის ბძანების მორჩილებისათვის ვერაფერი გვიკადრებია, და ეს ასე უწესოდ მიმოიქცევა, რომ ერთი სათქმელი საქმე კეთილად ვერ წარვმართეთ. მე რაც ციხეები ავიღე მათი ყოველივე დროშა, ზარბაზან-ყუმბარანი და ტყვე ყოფილნი რაოდენნიმე კაცნი და ქალნი მათ მივეც, რომ ყოვლად მოწყალის კელმწიფის წინაშე ნათლად გამობრწყინდება და მახლობელთა ოსმანთა შიში მიეფინება მეთქი; და ეს ასერიგად იქცევა, რომ უფროსად განაძლიერებს და მკნე ჰყოფს მტერთა. თუ ურჩეულესი ვინმე გვებოძება სხვა, რომ ჩვენს სიტყვას ვასმენდეთ, და აქაური გზები და მისვლის ამბავი დია ჯეროვნად ვიცით, და მრავალგზის გვინახავს, რომელსაცა

ურჩევდეთ დაგვემორჩილებოდეს, თუ ადრე სახელოვანი ძლევა ვერ აღვადგინოთ, ჩვენი სიტყვა უმტკიცო და შეურაცხი ყოფილა; და თუ არაფერს გაგვიგონებს, ჩვენ ყოვლად მოწყალის ჴემწიფის შიშით ვერაფერი გვიწყენია და ბრალეულობისაგან თავისუფლებას ვითხოვთ, და ნება მათის მოწყალებისა იყავნ ყოველსა შინა.

ერთს ამას ვითხოვ თქვენის ბრწყინვალებისაგან, რომ მოზდოგს მაიორის კამანდაში განწესებულია, სახელად ეფრემ თამაზოვი ჰქვიან, ბრძანება იყოს,—რომ მებოძოს ენის შესაწევნელად, რომ ჩემგან მისის პირით ეუწყებოდესთ ამბავი.

სეკდემბერს 19, 1770 წ.

40. Д. VII. 19 Сентября 1770 г. Представленіе царя Соломона имп. Екатеринѣ II.

მოიხილე დედობრივითა წყალობითა დედაო ყოველთა ქრისტეს-მოსყიდულთა ერთა და იხილე განფენილი ვედრება ჩვენი! ოდეს მათი დიდებულების იმპერატრიცის მზისა უმბრწყინვალესი დიდთა და მცირეთა სწორად მიმფენი შარავანდედი წარმართთ საცთურითა დარულებულსა ქვეყანასა ჩვენსა გარდამოუფინა და სიმკნე-მეცნიერებით წურთილი ჯარი შესაწევნელად ჩვენდა მოიწია, — მიერითაგან ფიცითა ჯეროვანითა და მტკიცითა მათი დიდებ. იმპერ. ამაღლებულისა რქისა ერთგულობასა და განძლიერებასა ზედა საუკუნოსა აღთქმითა ჴელი მოვაწერეთ და ჩვენი სამეუფო მათსა განძლიერებულსა იმპერიასათანა შევრთევით, და რომელიცა მათის უმაღლებულობის რაიმე საგნო არის—მისიცა განცხადება აღვისთქვით. აწ ვხედავთ, ყ~დ უდიდებულესო ხელმწიფეო, და ვერ ძალგვიც დაფარვად შიშისათვის და აღთქმისა: ჯარისა სიმხნე სისრულისა წურთილება და ზედმიწევნილებით გამოცდილება ფრიად საკვირო და განსაცვიფროა, მარა რაოდენნიმე მიზეზნი მკედართ-მთავრისანი წინააღუყოფენ და დაამდაბლებენ, და მათსა ძლიერებასა ჰფარვენ, რომელი რაიცა მათი დიდებ. იმპერ. უკაზით გვებძანა, თუცა მკედართ მთავარსა ენება და ეწადა მისი აღსრულება, მათის უჴელმწიფესობის ძლიერებასა ვფიცავ, რომელ ფ~დნი სახელნი და სახელოვანნი საქმენი აღესრულებოდენ, და რამდენნიმე ქალაქნი ოსმანთ მიეღებოდენ; მარა უწესოდ მიმოკვეთება ფრიად შეაჭირვებს და აურვებს ჯარსა, და რომელიცა უმჯობე და რჩეული გზებია, ბრძანებისაებრ, რომ გამოუცხადებთ, ესრეთ თანწარჴდება ვით სავლტოსა რასმე ამაოსა; და მარად ვიურვით და ვწუხვართ, და სირცხვილისა ფარდა პირსა გვაფარია, რომე სხვათა მ~რ მრავალნი ძლევანი ისმიან და ჩვენ ესოდენსა ხანსა ერთი სადიდებელი და სათქმელი საქმე ვერ აღვასრულეთ; მარა დია თავისუფლებით მცხოვრი და სიტყვა შეუწყნარებელი კაცი ყოფილა, და რა ვყოთ არა ვუწყით, ყ~დ მოწყალეო? და მეორედ ჩამოვიდა ჩვენთანავე ქვეყანად, წინ მივეგებე მხიარულებით და წარუძღუ̂ ბაღდადის ციხესა, და მოვადგით, მარა არტილერიისა სიმარჯვე-წყობილებამან განმა-

კვირვა და მხიარულებითა აღავსო გონება ჩვენი, და სხვაცა მრავალი საგანსაცხრომო იმედი და ნუგეში ვისმინე მაშინ ღრაფისაგან, რომელი პირის-პირ მეტყოდა: თუცა პირველ აქედამ წასვლით შეგაწუხე, მარა ჯარი არ მყავდა საკმაო, და მის-თვის წაველ, აწ, რადგან ამდენი ხელოვანი ჯარი მომივიდა, ნახავ რამდენნი სახე-ლოვანნი და დიდნი საქმენი აღვასრულებინო. მე ამ ამბისა სმენითა მხიარულ ქმნილმან და უფროსად ჴელოვანისა ჯარისა მიერ ბაღდადისა ციხისა აღრე დამხო-ბისა მხედველმან, მათი დ. ი. წინაშე გამოვაცხადე მათი სიქველე; მარა აწ ვხედავ, რომ მხოლოდ სიტყვა იქმნა და არა საქმე. წარმოვედით მუნითცა და, ვითა წი-ნათ, მივეცით მათსა საუწყოსა, და ქუთაისის დანაშთენსა ციხესა მივადგი, რომელი სიყმილისაგან ფრიად მოუძლურებულ იყო და მიწევნილ იყო დანთქმასა, მარა ჩემნი კაცნი შამოვაყენენ და მათ ვარწმუნენ ადვილად აიღებენ, და უფროსად დიდი შიში და ძრწოლა მიეფინებათ სხვათა ქალაქთა, და მათის ძლიერების კმა განისმის მეთქი, მარა მან ჩემი კნიაზი და სხვანი უბრალეულონი კაცნი დაიჭირა — ოსმანთ შემწენი არიანო. ყ̃დ უამაღლესო ხელმწიფეო, ათექვსმეტი წელი სრულ იქმნა, რომ ოსმანთ ბრძოლაში ვიჭირვი და ვშჳრები, და რამდენნი ბრძოლანი და განსაცდელნი გარდამხე-დიან თითოეულად არ წარმოითქმის, და მათნი შემწენი რამდენიმე მოვსწყვიდენ, რამდენნიმე დავაბრძენ, და მრავალნი სულნი ჩვენის სამეფოჲთ წარვსდევნენ, და თუ ესენი ჩემნი მტერნი და ოსმანი შემწენი ყოფილიყჳნენ, მათი ჩემთან ყოფა ვითა ეგებოდა, მარა დია სწრაფათ და გაუშინჯავად მხედველობს. აწ კიდენ ჩვენის ქვე-ყნის სანაპიროს ადგილებზე, ზღვის პირათ, ციხეები არის ოსმანთა, და ვაიძულე მათზედან მისვლა. დია შორად განმიკიდა და არც პასუხი მიგო რიგიანი, თანა-წარმხდა და ახალციხეს განემზადა წასავალად, დია სწრაფით, და ჯარისთვის საზრდე-ლის შეწევნა ითხოვა და, რომელიც ჩვენგან შეიძლებოდა, განუმზადეთ. ვგონებ ნაკლებობა არაფერი ჰქონდათ საზრდელისა. განვამზადე მეცა თავი ჩვენი მუნ წასასვლელად და ვაუწყე ღრაფსა: რადგან მიხვალ, მეც ჩემის ჯარით ჴელმწიფის ჯართან მოვწყდები მეთქი. და რომელიცა მათის დ. ი. წყალობა გვებოძა ჯარის ჴელის მოსამართავად ვითხოვე: და არც ჩვენი წასვლა ინება და არც დ. ხ. წყალობა მოგვცა. ასე მიპასუხა: თუ ხუთასის კაცით წამოხვალ, წამოდიო, და თუ მეტს წა-მოიყვან, შენი წამოსვლა არ იქნებაო. მე ამის სმენა დია მეოცა და განვკვირდი, — ხონთქრის ბრძოლა და დიდროანის ქალაქების დაპყრობა ხუთასის კაცით როგორ იქნებოდა? და დავიდუმე. ამას წინათ მეფე ერეკლესთან წავიდა ახალციხეს და დია უჯეროდ და ურგებად დაბრუნდა, და ახლა კიდევ ეს იყო წავიდა და გზიდამვე და-ბრუნდა, და აქავ ჩამოვიდა, და ასე უსარგებლოდ და უხამსად მიმოკვეთება დია შესაწუხებელი და სასირცხვილოა, და განსაღაღებელია მტერთა. ჩვენის დაშლით და რჩევით ვერაფერი ვასმინეთ, და რა ვყოთ?

აწ ესე ყოველი ჭეშმარიტი ამბავი მათის მოწყალების წინაშე განგვიფენია და ნება ყ̃დ მ. ხ. თუ არ გამოგვეცხადებინა და დაგვეფარა, მათს მრავალს მხედ-ველს თვალს არ დაეფარებოდა და შემცოდედ გამოვჩნდებოდით. აწ რადგან

გამოვაცხადეთ, ბრალეულობისაგან თავისუფალნი ვართ. თუცა მათი დ. ი. უკაზისაებრ აღესრულებინა და ჩვენ და მეფე ირაკლი ერთმანეთისაგან არ განვეწვალენით, და ჩვენი უმჯობესის გზების დანახვება შეესმინა, და მაშინ კეთილად ვერ წარმართებულიყო ყოველი საქმე—დია ბრალეულნი ვიქნებოდით, მარა რადგან მე და მეფე ირაკლი განგვწვალა, და არც ჩვენი რჩევა და სიტყვა შეიწყნარა, მათის აღსრულებისა საქმისაგან დია უბრალო ვართ. თუცა მათი დ. ი. ბძანება იქნება და სხვასა ვისმე ურჩეულესსა ებძანება მკედართ-მთავრობა, რომელიცა მათი უდიდებულესობის ასამაღლებელი იყოს, და რადგან მათის იმპერიასთანა ჩვენც შეერთებულნი ვართ, სიტყვასა და ურჩეულესის გზების დანახვებასა ჩვენც გვისმენდეს; თუ ადრე ვერ ვასმინოთ მათს უ̃დ ამაღლებულს იმპერატორობას სახელოვანნი ძლევანი, ჩვენი სიტყვა უმტკიცო ყოფილა, და თუ ჩვენი სიტყვა არ შეიწყნარება და აქაური გზების და მოსვლის ამბავი არაფერი გვეკითხება, ჩვენც ბრალეულობისაგან თავისუფლებას ვითხოვთ, და ნება მრავალმოწყალის ხელმწიფისა იყავნ მარადის.

სეკდემბერს 19, 1770 წელსა.

41. 24 Сентября 1770 г. Письмо царя Ираклія къ кн. А. Р. Моуравову.

რომელიც თ. ბ. ჩვენთვის წერილით ეთხოვნა—თქვენის თხოვისაებრ ბძანება მიგვიცია: ზემოქართლის ქვეყანაში რომ მ. ი. დ. ჯარს პური მიჰყიდონ, და რომელიც კაცი რაოდენსაც პურის ფასს მიუტანს, იმოდენს პურს მიჰყიდიან; ხარისა და ურმისა თვით თ. ბ. მოეხსენება, რომ როდესაც ღრაფ ტოტლებენი ჩვენს ქვეყანაში იყო თუ როგორ ძალადართმევდა, რომ საბრალო გლეხს კაცს ერთს ფულს ქირას არ აძლევდა, და კიდეც უხოცდენ ხარსა და უჭამდენ, და ჩემის ბძანების შიშით პატრონი ხმას ვერ ამოიღებდა, და ახლა ხომ რაც ქრცხილვანში და იმის კლობაზედ ურემი და კარი ყოფილა სულ ძალად წაურთმევიათ და წაუყვანიათ, და სხვა, რომელსაც ტოტლებენის ბძანებით როგორც რომ აწიოკებენ და აწუხებენ ზემოქართლის გლეხთკაცთ და შეურაცხებაში ჰყავსთ თ. ბ. ესეც კარგად ესმის და იცის. მე ჩემსა და ჩემის ქვეყნის უბედურებას ვაბრალებ ამისთანას შფოთის შემთხვევას, რასაც მწუხარებაში ღრაფ ტოტლებენისაგან შეუყენებელნი ვართ. მე სპარსეთში სხვას კაცის ამხანაგათაც ვყოფილვარ და სპარსეთის კელმწიფისთვისაც მიმსახურია, მაგრამ მე ჩემს ჟამში ამისთანას შფოთსა და მწუხარებას არ შევწრებივარ, და აღარც ამდენის ქვეყნის იმისგან გასწყულებისა და უსამართლოდ და ურიგოდ მოქცევის მოთმინებაღა შემიძლია. ვგონებ, რომ სულ ზედმიწევნით იცოდეს შემნა ბრწყინვალებამ, და სულ ჩვენის დიდთა და მცირეთაგან გესმოდეს, რომ რა ყოფა დაჭმართებია ხოლმე ტოტლებენისაგან, ჩემის მტერობით, ჩემის ქვეყნის კაცთ.

ახლა ხომ იარაღალ მაიორი იმერეთს იმყოფება და ჯარიც თან ახლავს; ვალდებული იმერეთის ქვეყანა არის, რომ ჯარი, ურემი და პური რაც ჯარს ეჭირება— იმათ მოუმართონ კელი. ახლა როგორ შეუძლია ზემოქართლს, რომ ლაშქარსაც გამოვიდეს, შინჩამოდგომილს მტერს, ლეკსაც, პასუხი გასცენ და შინ საბრალოს გლეხს კაცს რაც კარი და ურემი ჰქონდეს ისიც წაერთვას? თუ მისის ი. დ. ჯარი ჩემს ქვეყანაში იყოს, რაოდენ შეიძლება ყოვლის სამსახურის თანამდებობა გვაქვს, და სანამდის იყვნენ კიდეც, სამსახური გასწივეს, მაგრამ იმერეთის მაგიერ ჩვენი ქვეყანა რად უნდა პურსა და ხარსა, და სხვის სამსახურისათვის სწუხდეს? მაგრა ტოტლებენი ჩემი მტერია და ჩემის გულისათვის აწუხებს საბრალოს ჩემს ყმებს, და წელსაც იმ მკარის კაცნი უხნავნი დარჩნენ.

როგორადაც ახლა თქვენი ჩემთან მოწერილი წიგნი აცხადებს, რომ მოგიწერიათ: ღრაფ ტოტლებენი იწერებაო სადმე მე კაცი დამეყენებინოს და პეტრებრუხიდგან ღრაფთან მომსვლელს კაცს და ღრაფიდამ პეტრებრუხს წამსვლელს კაცს ვაჭერინებდე, რომელიც ეს სიტყვა სატანისაგან არის სიცრუით გაკეთებული და მოგონილი, და ვინც ამ საქმეში ცრუი და მტყუანი არის სატანისავე დამცემელი და შემმუსვრელი დასცემს და შემუსრავს, და რუსეთის დიდის მონარხის რისხვასაც საუკუნოდ მისცემს; მე ამაში ყოვლითურთ მართალი ვარ, რომ ეს ჩემგან ქმნილი საქმე არ არის, ეს მტერობით მოგონებული და ტყუილი არის. შენმა ბრწყინვალებამ გასინჯოს, რომ იმისი რაღა უნდა დაიჯერებოდეს ჩემი და ჩემის ქვეყნის მტერობა, და თქვენ ვალდებული ხართ, რომ მისგან ჩემი და ჩემის ქვეყნის ეს ყოფაები უმაღლესად მოახსენოთ. ახლა დუშეთიდამ რომ გამოვილაშქრეთ, ღმერთს ვიმოწმებ, რომ არ შემეძლო, ავადაც ვიყავ, რომ თვით თქვენვე იცით, მაგრა მე მ. ი. დ. სამსახური ასე მსურს ვითა თვით ქრისტესი, და ამისთვის ჩემს შეუძლებლობას არ მივხედე და გამოველ მ. დ. მტერზედ ბრძოლად, და წინააღდგომად. არ ველი მ. დ. ყოვლად მოწყალის კელმწიფისაგან, რომ ჩემი და ჩემის ქვეყნის შეწუხება და შეურაცხება არ მოიკითხოს.

დაიწერა სეკდემბრის 24, წელსა 1770, ალგეთზედ.

42. Д. VIII. 26 Сентября 1770 г. **Письмо армянскаго епископа Исаiи къ царю Ираклiю и примѣчанiе этого послѣдняго.** Пер. т. I. № 75.

მონა იესო ქრისტესი და თქვენი ფეხთა მტვერი ისაია ეპისკოპოსი, დღე და ღამ თქვენი მლოცველი და თქვენი გამარჯვების მონატრე! ჩვენო ბედნიერო კელმწიფევ, ახლა აქ [ვარ] და ახლო შევიქენით: წაველი მაჰმედა ქურდისტანს, იეზიდების უმფროსი ვნახე, თქვენი ბედნიერი რაყამ უჩვენე—დიდად გაეხარდათ, თქვენი (?) თავ-

ზედ დაიდვეს და თქვენი მორჩილი შეიქნენ. ჩემო ჴემწიფევ, ამას გეხვეწებიან, რომ ღვთით გამარჯვება მოგეცეს; ხოშომას ციხეს თხოულობენ: ცარიელი ციხე ჩვენ მოგვცესო, საქონელი არ გვინდაო, რომ თამამი იეზიდხანა იქ მოვგროვდეთო. ამ წყალობას ეძებენ თქვენგან, ამას მოვახსენებ ჩვენ მწყალობელს ჴემწიფეს, რომ დიალ კარგი ვაჟკაცები არიან; მოსულს აქეთ რაც იეზიდები არიან სულ ამის მორჩილი არიან, თავი იეზიდებისა ეს ჩობან-აღა არის, ჩემო ჴემწიფევ.

დაიწერა მარიამობის თვის ი~გ გასულს, ქკს უნჱ.

(აზის ბეჭედი სომხური ზეწარწერით).

ქ. ეს ესაია აისორთ ეფისკოპოზის მოწერილია; ამას თქვენი მაღ. ღრაფ. ბრწყ. გაშინჯავს. თუ რუსეთის ჯარი და მეფე სოლომონ და ჩვენ ამ ზაფხულ ერთად ვყოფილიყავით, ჩვენს ქვეყნებსაც მტრისაგან დავიცავდით, ესენიცა და ამ მხრის ქრისტიანენიც ჩვენ შემოგვიერთდებოდნენ, და დიდი ძალი მოგვემატებოდა საზოგადოთ ქრისტიანეთ მტერთ ოსმალთზედ. ეს წიგნი მომივიდა სეკდემბრის კვ, წელს ჩღო.

ირაკლი.

43. Д. VIII. 26 Сентября 1770 г. Письмо вартапета Исаіи къ царю Ираклію.

მონა იესო ქრისტესი, თქვენი ფეხთა მტვერი და თქვენი ბძანების მორჩილი, და ნიადაგჟამ თქვენი გამარჯვების მლოცველი ესაია ვართაპეტი—მოგახსენებთ! ჩვენ ბედნიერს ჴემწიფეს ამას მოგახსენებთ: თქვენი ბედნიერი ოჯახიდამ რომ წამოვედით აპრილის კ~ა, მოველი ერევანს საღამოთათ, გვინდოდა ერევნიდამ ჩუმათ წამოვსულიყავით, რომ არავის არ ვეცნეთ ვისმე. ერთიც ვნახოთ ეჩმიაძინის კათალიკოზმა იასაულები გამოგვისია, დაგვიჭირეს, წაგვიყვანეს ეჩმიაძინს, ბევრი დარდუსარი გავწიეთ, თქვენის წყალობით ჩითჩიოღლი გურგინა იქ მოგვესწრო, იმან მოგვარჩინა, იმ დარდით გზაზედ ავათ გავხდი, იმ დღეს შეუძლოთ გახლდი, მასუკან თქვენი წყალობით კარგათ შევიქენ, წავედი იეზიდებიც ვნახე და აისორის კათალიკოზიც სიყვარულობით თქვენი ყული შეიქნენ, ჩემო ჴემწიფე. მე რაც თქვენი ბრძანება იყო ყოველს კუთხეზედ გავისარჯეთ. სანამ ცოცხალი გახლავართ, თქვენი მლოცველი და თქვენი მოსამსახური გახლავარ. ამას გეხვეწებით ჩვენს ბედნიერს ჴემწიფეს, რომ დიალ მეშინიან—ერთი თქვენი წყალობის ყმობის წიგნი გვიბოძოთ. ერთ ამას მოგახსენებ, რომ ამ იეზიდებს, ამ კათოლიკოზს სიმონს ერთი თქვენი წყალობის წიგნი უბოძოთ ქართულსა ენით, რომ ამით გულიც გაუმაგრდესთ. დაიწერა მარიამობის თვის იე, ქკს უნჱ.

(აზის სომხური წარწერით ბეჭედი).

ქ. ასურთ ეპისკოპოზი ისაია, რომელიც ამის უწინარეს ჩვენთან მოვიდა და გვითხრა: ასურთ შემოერთება უნდათ თქვენიო,—ეს იმის მოწერილია, და იმ ასურთ მოციქულიც იყო ჩვენთან დიდის ვედრების ხმით, რომელიც უწინ ამისსა მაღალს კარს მოვახსენეთ, რომ ამათ ჩვენი შემოერთება უნდოდათ. ეს წიგნი მომივიდა სეკტემბრის კვ, წელსა ჩღო.

ირაკლი.

44. Д. VIII. 9 Октября 1770 г. **Письмо царя Ираклія къ гр. Н. И. Панину.** Содержаніе т. 1. № 50.

საჭიროდ თანაგჳაცს, რათა მარადის ჩჳენი ვითარება უმაღლესსა კარსა მოჭხსენდეს:

ოდეს მტრის ადგილიდამ მოვბრუნდით და ჩჳენი კურიელი, რომ წარმოიგზავნა უმაღლესსა კარსა, შემდგომად ამისა, რაოდენ ჩჳენგან შეიძლებოდა, არ ვაცადეთ ოსმალთა ზედა მტერობაჲ. აწ განცხადებულ იქმნას თქჳენისა მაღ. ღრაფ. ბრწყ. წინაშე, რომ ამ მახლობელ დროსა სამგზის და ოთხგზის ჩვენმა ჯარებმა კმასაყოფელი ძლევაები მიიღეს ოსმალთა და ლეკთა ზედა, ეგე ვითარი, რომ მათი კმასაყოფელი იყო წყალობისა ღვთისათა და ბედნიერობითა მ. იმპ. დიდებ., სხჳაგჳარ მტრის ქჳეყნის დარბევასა და წარმოტყჳევნჳასა გარდა, რომელთაცა პირჳელი გამარჯჳება მოუვიდათ კნიაზ მელიქოვთა ავთანდილს და გიორგის ოსმალთა ზედა, რომელთაცა მრავალი მოკლეს და მრავალი შეიპყრეს, და გზის სიშორისგან უნამეტნავესი ვერ გამოვგზავნეთ ბრძოლასა ამასა შინა დაშთომილი კაცი, და არს გამოგზავნილი სამი ოსმალი,—ერთი ფაშის შვილი და ორი სხჳა, და ამ ბრძოლასა შინა მოიკლა ჩჳენის მხრიდამ კნიაზი ბაადურ ციციანოვი, ბრძოლასა შინა გამოცდილი. და კვალად ათხუთმეტსა აგვისტოს კუმუხის მთავრის შვილმან, ჭაჯი გერეიბეგის ძმამ, მაჭმად, რომელმაც რომ ათას ორასის კაცით გამოიარა ახალციხის მისაშველებლად კახეთის უშენის ადგილებიდამ, და გზიდამ გამოპარვით გამოვლო, და ბორჩალუს უეცრად გამოიარა, და რომელიც ჩჳენგან გაგზავნილი თოფჩიბაში კნიაზ გიორგი მოურავოვი და სულთანი ბაიდრისსა, და ბორჩალუს ველქილი ჯარით იმ ადგილის მცველად დაგვედგინა — ესენი უკანიდამ მოეწივნენ და შეებნენ, და კმასაყოფელი მოსწყვიტეს და შეიპყრნეს ლტოლვილნი, ზოგნი უკან გაიქცნენ და ზოგნი ახალციხისკენ გაიცქნენ; და ამასა ძლევასა შინა შეპყრობილი სამი ლეკი წარმოვავლინეთ ამავ ოსმალოს ტყჳეთაგანა, რომელიც არის ერთი ანდიელი ფირ-მაჭმად და ერთი შამხალის კაცი, და ერთი ქოდალელი.

ამ კუმუხის მთავრის შვილის ჭაჯი გარაი ბეგისაგან და იმისის ძმებისაგან დაბარებულნი თუშეთის მახლობელნი ოთხი ათასი დაღისტნის ლეკნი ოცს აგვისტოს თუშეთს მოუხდნენ, და რომელიც თუშეთის მოურავი კნიაზ ჩოლაყოვი

დურმიშხან თუშეთს გაგვეგზავნა თუშეთის ჯარის შემოსაყრელად, ვინათგან გვეგულვებოდა მტერზედ წასვლა, ეს კნიაზ ჩოლაყაევი თავისის თანხლებულის კაცით იქ დაესწრა; ცხოველის მყოფელის ჯუარის ძლიერებით ამან თუშნი თანშემოიყარა, ჰსძლიეს და გააქცივნეს ლეკნი თუშთა და ამ კნიაზთან მყოფთა კახელებთა, დიდად მათთვის კმასაყოფელნი კაცნი მოსწყვიტნეს, რაცა ჩუენ მოგუართვეს ნიშნად ძლევისა მტერთა ცხვირები და ან კიდევ თუშებს რაც თითონ მოეწყვიტათ ნიშნად, თავიანთ წესისაებრ, მარჯუენა მოეჭრათ მოკლულის მტრისათვის, რიცხვი აღვიდა ათშვიდმეტი, და მეორეს დღეს კიდევ ათხუთმეტი ლეკი დაეჭირათ ამავე თუშთა, და დაეხოცათ; და ჩუენის მხრიდამ მოკუდა თუში ხუთი და დაიჭრა ათხუთმეტი.

კუალად ეს განეცხადოს თქუენს მაღ. ღრაფ. ბრწყ.—ჭარელნი ლეკნი, შემორიგებულნი რომ იყუნენ ჩუენნი, და ამ ახლანდელის გარემოებისაგან ჩუენთან მშვიდობა დაარღვიეს, ესენი შეჰკრბენ და გამოვიდნენ ორი ათასი კაცი ოც და ექუსს აგვისტოს ქისიყის სოფლების ბოლოს. ღუთითა და მისის იმპერატორების დიდებულების ბედნიერებითა, ვერა ავნეს რა; და კუალად გამოვიდნენ ოცდა ცხრას აგვისტოს სამიათას ხუთასი კაცი ლეკნი ჭარელნი და ბელაქნელნი, და თალელნი ამავე ქისიყს, და შემოზმოდნენ და დიდი ომი გარდაკდომოდათ, და ქისიყის სარდალი კნიაზ ანდრონიკოვი იქ დაჰსწრებოდა. წყალობითა ღუთისათა და ბედნიერებითა მათის იმპერატორების დიდებულებისათა ჰსძლიეს, გააქცივნეს და მრავალნი ლეკნი მოსწყვიტნეს—რიცხვით ას ოთხმოცდა შვიდი, და ჩუენის მხრიდამ მომკუდარ იყო კაცი ცხრა, დაჭრილ იყო ათხუთმეტი. და აგრეთვე ჩუენნი კაცნი ქისიყელნი მიუხდენ ამ ჭარელთა ლეკთა კაკის სოფლებსა, მრავალი სოფლის კაცნი მოკლეს და ოცდაათხუთმეტი სული დაატყუევეს, და პირუტყვი სამი ათასზედ მეტი მოიყუანეს; ამათ უკან მდევარი გამოუდგათ მიუბრუნდენ იმ ლეკებსა ქისიყელნი, ჰსძლიეს, გააქციეს და მოუკლეს ლეკთა კაცი ორმოცდა შვიდი, და ჩუენის მკრიდამ მოკლეს კაცი სამი და დაჰსჭრეს კაცი ხუთი. კუალად ჰაჯიგარეისა და ამის ძმის ჯარი მიუხდნენ ჩუენნის ქუეყნის ადგილს ფამბაკსა ახალციხის ქვეყნიდამ: იქ ჩუენგან იმ ადგილის მცუელად დადგინებული კნიაზ ვაჩნაძე პაპა შეება, ღუთითა და მის დიდებულების ბედნიერობით კმასაყოფელი ძლევა მიიღეს და მოუკლეს მტერსა კაცი ასორმოცდა ათშვიდმეტი, და ცოცხალი შეიპყრეს ორმოცდა ათორმეტი, და ამ ძლევისა ნიშნად წარმოგვივლენია ლეკი ერთი. კუალად ოსმალთა მრავლის მიცემითა და ქადებითა ხუნძახის ბატონის გარდა და იმის ამყოლს კაცს გარდა, რაც დაღისტნის უფროსნი და ავაზაკნი ქურდნი ლეკნი არიან ჩუენს ქუეყანაში აგვისიეს, და რაც მტერობა შეუძლიათ ცდილობენ, და იმათგანნი გაპარვით ზოგნი ახალციხესაც მივიდნენ, და იქიდამ ჩუენს ქუეყანას ჰსცემენ; და ეს დაღისტნის უფროსნი ჰაჯი გირეისა და იმის ძმებისაებრ მართალია ოსმალთან თვით თავის თავადკი არ არიან მტრის ლაშქარში, მაგრამ თავიანთ კელსქუეშ მყოფთა და ყმათაც, და ან ვინც იმათის სიტყვის დამჯერონი არიან ახალისებენ და ჰსჯულის სარჩელზე აწვევენ, და ჰგზავნიან. აქაურის საქმისა თანამდებობა გვაქვს, რომ უმაღლესს კარს

ჭეშმარიტი მოვახსენოთ, რომელნიც დაღისტნელნი უფროსები და ქვეყნები მისის იმპერატორების დიდებულების საფარველს ქუჱშე შერიგებით იმყოფებიან, ისინი რომ შეშინდნენ ძალითა, თუ რომლითამე სახით, და იმათი ყმა და ჴელსქუჱშ მყოფნი იმათ დაიჭირონ, და სხვა რომელიც ლეკნი მთის კაცნი არიან, რომ იმ ზემოჴსენებულთ ლეკის უფროსთა და ქვეყნებმა დაბლა ვაკეში იმათი ოთხფერკი და საქონელი აღარ ჩაუშვან, და აღარც სავაჭრო ავაჭრებინონ, ვჰგონებ, რომ ისინიც დადგნენ, და ამ საქმით უფრო ბევრი სიავკაცე მოიშალონ.

და ამ ლეკებს გარდა ვისაც შეძლება ჰქონდათ, წარმართთა, ჩუჱნს გარეშემო მეზობელთა, ზოგნი ცხადად და ზოგნი ფარულად ჩუჱნს მტერობას ცდილობდენ: რომელ ერთი ამათგანი არს ერევნის ხანი, რომელმაც რომ აიხადა საფარველი საქართუჱლოსი, რომელიც საფარუჱლი ჰქონდა, და დჰარღვივა ის მორჩილების პირობა, რომელიც რომ ჩუჱნსა და იმათში პირობა იყო დადებული, და ოსმალთ მიენდო ყოვლითურთ თავისა თჳსისა და თავის ქუჱყნის მიცემითა, მრავლის ჴელის მომართვითა და პრავიანტის მიცემითა, რომელმაც ყარსს მოსრულს სარასკარსა მრავალი პრავიანტი მისცა და მრავალი ჩემი სამტერო საქმეები იმოქმედა ხვანთქართან მიწერითა, სარასკართან და ახალციხის ფაშასთანა, ესენი ხომ ჩუჱნნი მტერნი არიან, და კიდევ ქარიმხანთან, ყუბა ხანთან და კიდევ სხუჱბთან ცდითა,— და ამას ფრიადის წადიერებით ცდილობდა; ესენი სულ გაერთხმაებინათ და ჩუჱნზედ სამტეროდ აღეძრა, რომლისა ძალი და ცდა, ღუთითა და მის იმპერატორების დიდებულების ბედნიერობით, ჯერხანად უფროს დედაზარდილის ქსელისაგან უძლიერესად აღმოჩნდა და კვალადცა უუსუსტეს აღმოჩნდება; მაგრა ესე ყოველი ღრაფ ტოტლებენის მიზეზით დაგვემართა, რომელიც რომ ჩემზედ და ჩემს ქვეყანაზედ იმოქმედა სრულებით თქუჱნსა მაღალ ღრაფობის ბრწყინვალებას მოხსენებია, რომელმაც მათის დიდებულების ჯარი მომაშორვა. ამ საქმით მაჰხმადიანთ, რომელნიც ჩუჱნს მკარეს მეზობელნი არიან ურთიერთთა მიმართ დიდი ელჩების გზავნა აქვსთ და ოსმალთაგან ხაზინების ქადება და დაპირება, მითომ რომ ლეკებსავით ეს ადრიბეჯანის ხანებიც შეიერთონ, და თუ ამათ რომლისამე ჯარისა და ძალის ჩუჱნებით დარბანდიდამ კმა შემოესმათ, ასეთს ზარსა და შიშსა მიემთხუჱვიან, რომ დიდად შეინანონ.

თქუჱნის მაღლის ღრაფობის ბრწყინჳალების წიგნი რომ მოუვიდა იმერეთის მეფეს სოლომონს წარსრულს წელიწადებში და როგორათაც მისის იმპერატორების დიდებულების ბრძანება იყო ამ მკარეთ მყოფთა ქრისტიანეთა ზედა მისის იმპერატორების დიდებულების მტერთა ზედა ბრძოლა და ჩუჱნ ან პირუჱლ თუ ვითარი წადიერება ვაჩუჱნეთ იმათ შემოერთებაზედ, და ან ახლა თუ რავდენ გზით მოსწრაფება ვაჩვენეთ იმათს შემოერთებაზედ ვედრებითა და რჩევითა, რომ ისინი ჩუჱნთან მოსულიყუჱნენ და შემოგუჱრთდენ, და ან ჩუჱნ თავისთან მივეშვით და შევეერთებინეთ ამ კეთილს საქმეზედა, მაგრა არ ინებეს და ამაზედ დიდის მწუხარებით ვიყოფები, რომ აქეთნი საქმენი მისის დიდებულების სამსახურით

ფრიადსა წარმატებასა მიიღებდა, მაგრა ამათ მიზეზთათვის დაგვშთნენ აქამომდე, და ამასიქით ღ̃ნ წარმართოს.

წარსრულს წელსა გრაფი ტოტლებენი რომ იმერეთიდამ ქართლად გარდმო-ვიდა იმის გარდმოსვლას იმერეთის მეფე სოლომონ და მისი ძმა კათოლიკოსი და მათნი განმზრახნი ასე ჰსდებდნენ ვითამ ჩუჱნ ერთის ნივთით და მისაცემელით რითმე მოგვებიროს და დაგვეჯერებინოს, რომლისთჳსცა, ვჰგონებთ, იმერეთი-დამაც მოხსენებული ჰქონდეს მაღალს კარსა, რომელზედაც გრაფ ტოტლებენი და ნადვორნი სოვეტნიკი კნიაზ ანტონი მოწამენი არიან, რომ ამ საქმეში სრუ-ლიად უბრალონი ვართ. როდესაც რომ მე და გრაფ ტოტლებენი ახალციხე-ზედ წასვლას ვაპირებდით, მაშინ რავდენგზის ვაწვივეთ, და აგრეთვე სურამს ლაგერში ჩუჱნ და გრაფ ტოტლებენ რომ შევიყარენით მაშინ იქ იმერეთის კათოლიკოზიც მოსულ იყო, და იმერელ მეფის თანგანზრახი აბულაძე ქაიხოსრო-თანა ახლდა იმერეთის კათოლიკოზსა; და ჩემთან მოსულმან ამ მეფის თანგანზ-რახმან აბულაძემ ორგზის და სამგზის ლაპარაკში ასე მითხრა გაკვირვებითა: შენგან არ მიკვირსო ასე ცოტას რუსეთის ჴელმწიფის ჯარს როგორ აჰყევიო და ხვანთქარს აეშალეო, ამით ხვანთქარს რა უნდა დააკლო შენაო? ხვანთქარმა რომ ერთი სერასკირი წარმოაყენოსო და იქიდამ დაღესტანს უბძანოსო—მასუკან რი-ღათი შეიძლებო იმათს წინააღმდგომასაო? და ჩუჱნ პასუხი მივეცით: ჩუჱნ ღ̃თის და მართლის სარწმუნოების მქონებელს მართლმადიდებელს დიდს ჴელმწიფეს მივნდობივართ, ამაზედ რაც მოგვადგება ყველას სიხარულით მივიღებთ; და ესეც უთხარ: ღ̃თით ჩუჱნ ახლა მტერთზედ მივალთ და თუ თქუჱნ არ წახვალთ, რომე-ლიც რომ მისის იმპერატორების დიდებულების ერთგულებასა და სამსახურზედ ტფილისის ქალაქს დაგვიფიცავს, ის ფიცი გატეხილი შეიქნება თქუჱნგან; და დიად დიდი პირობა მომცა, რომ უთუოდ როდესაც რომ წახვალთ—მეფე სოლომონ შე-მოგეყრებათო; მაგრამ, ხომ მოგხსენებიათ, რომ აღარ მოვიდა მაშინ მეფე სო-ლომონ, და გრაფ ტოტლებენმაც მათის იმპერატორების დიდებულების ჯარი, რომელიც რომ ჩემის ჯარის განსაძლიერებლად ბოძებულ იყო, მისის დიდებულების უკაზის ბრძანებისამებრ, ჯარი და წყალობა მომაშორა. და რაოდენიც ცდა შემეძლო სიმდაბლის სახით და სიტყვით ვეცადე და ურჩივე, რომ აქაურნი საქმენი ყველა უმაღლესის კარისათვის ორთავ მოგვეხსენებინა, და სანამდის იქიდამ ბრძანება მო-გვივიდეს ჩუჱნც ერთმანერთს შევფიცოთ მისის დიდებულების ერთგულობაზედ, და მტერზედ ერთად მივიდეთ, და მასუკან რაც ბრძანება მოგვივიდეს ის აღსრულ-დეს, მაგრამ არ ინება.

ჩემზედ რაც უნდა მტერობა გამოეცხადებინათ, მაგრამ მისის იმპერატო-რების დიდებულების სამსახური არ უნდა ჩემის შურით უკანდაეგდო. მარ-თალია ერთი ქუთათის ციხე და ორი სხუა სიმაგრე აიღეს, მაგრამ მართალი უნდა მოგხსენდეთ: ასპინძას და აწყურს ოსმალთა და ლეკთა ამოწყუჱტამ და სამგზის იმათზედ გამარჯვებამ, და კიდევ იმათის ადგილების ჩემის ჯარებისგან რბევამ,

რომ აღარ მოვაცალეთ, და ხუნძახის ბატონის დაღისტანელებთან შეუერთებლობაშ აღებინათ ციხე, თჳარემ ოსმალნი და ლეკნი ჯარსაც დაუყენებდნენ და საზდოსაც შეუტანდნენ იმ ციხესა და სიმაგრეთა, და არც კატისა და ესე ვითართა ოთხფერხ-თა კორცსა ჰსჭამდნენ მეციხოვნენი, და ამ სუსტს საქმეზედ ასე მოსცდნენ.

ამისებრივითა შურითა დადიანი, რომელიც რომ ოდიშის მფლობელი არის, შე-მოუერთებული ჰყავსთ აქამომდე, და აწ თუ შეიერთებენ—არ ვიცით, რომელსაც დიდი წადიერება აქჳს მისის იმპერატორების დიდებულების სამსახურისა, და რომელიც არა მცირედი გამოსაყენებელი არის აქეთმკარეს მათის დიდებულების სამსახურში; და მე, რომელიც რომ ან უწინარეს ამისა, და ან ახლა უმაღლესისა კარისთჳს მო-მიხსენებია ჩემი განზრახჳა, თუ ყოველივე სიმართლით ყოფილა ღ̃ისა და ჩემის მართმადიდებელის სარწმუნოებისა და ყოვლად უმაღლესისა რუსეთის იმპერატო-რისა მართმადიდებელის კელმწიფის ერთგულობასა და სამსახურზედ,—ვსასოებ ღ̃საგან, რომ მისის იმპერატორების დიდებულების წინაშეცა მართლად აღმოვჩნდე და ჩემმიერ მათის იმპერატორების დიდებულების სამსახურმან წარმატებაც მიიღოს.

მრავალჯერ თქჳენს მაღალს ღრაფობის ბრწყინჳალებას ჩემგან თავი შეჰს-წყინდა წერილის სიგრძითა და სიმძიმითა, მაგრამ ქჳეყნის ვითარებანი გუაიძულებს: თუ არ თქჳენს მაღალს ღრაფობის ბრწყინჳალებას, ვის უნდა გამოუცხადოთ ჩჳე-ნი და ჩჳენის ქჳეყნის საქმენი, და ან ვის უნდა მივანდოთ?

ეს რიცხვით ათერთმეტი წიგნი სხჳა და სხჳა უმაღლესს კარს რომ მოვართუ-ვით—ორნი მიზეზნი მაქჳნდნენ: პირველი ეს, რომ აქეთის ქჳეყნების ამგჳარის ამბების განცხადება უმაღლესსა კარსა ჩემი თანამდებობა მგონია, და მეორე, ჩემი პირველის და ახლის მოხსენებულის სიმართლისთჳს, რომ მე ასე ვიცი უმეტეს სიფრთხილესა შინა ვიმყოფებოდე დიდის რუსეთის უმაღლესის მონარხის სამსა-ხურსა შინა, ჩემსა კეთილ ცხოვრებასაც ამ საქმით ვსასოებ; და ამისთვის წარმო-ვგზავნეთ უმაღლესსა კარსა ჩჳენი აზნაურშვილი თარხანი, და ვითხოვთ თქჳენი მაღლის ღრაფობის ბრწყინჳალებისაგან, რომ უწინდელისა და ახლანდელის მოჰხ-სენებულის პასუხი მალე გვებოძოს.

დაიწერა ბორჩალუს. ოკტომბერს 9 დღესა, წელსა 1770.

45. Д. VIII. 10 Октября 1770 г. Письмо царя Ираклія къ гр. Н. И. Панину. Пер. т. I. № 76.

ეს განეცხადოს თქვენს მაღალს ღრაფობისა ბრწყინვალებას, რომ ეს ჩვენი აზ-ნაურშვილი თარხანა წარმოსრულ იყო, კვალად კაცი მომივიდა,—ყარსისა სარასკი-რის ელჩი მოვაო,—რომელსაც შეუთვალე: ყოვლად მოწყალის ხელმწიფის იანარალი

ამ ქვეყნებში არის და იმასთან, თუ ჩემთან სიტყვა გაქვსთ სათქმელი, ამას გამოუცხადეთ, და ჩემთან ნუ მოხვალთ, რომ ჩემგან თქვენ მშვიდობის ხმას ვერ გაიგონებთ,—და ამ სახით გავაგდევ.

უწინარეს ამისა თქვენს მაღალს ღრაფობის ბრწყინვალებას მოხსენებული აქვს: ჭარელნი ლეკნი და თალალელნი, და ბელაქნელნი, რომელნიც კახეთის მამულში სახლობენ, ახლა აგვეშალნეს ამ ჩვენს ახალციხეზედ წარსვლისთვის, და ფრიადის წადიერებით არიან ოსმალთ მიდგომილნი რაც შეუძლიათ ყოვლითურთ, და მათი გარდახდევინება ღვთით ზამთარში ადვილი არის ჩვენგან, მაგრამ შირვანელნი უშველიან ხოლმე, რადგანაც ერთსარწმუნოებისა არიან. მე იმ შირვანელებს ასერიგად ვეცდები, რომ უფრო შემორიგებაზედ განვამტკიცო, და სხვა მეშველი—ზამთარია, ამათს მეტი არა ჰყავსთ: დაღისტნის ლეკებს თოვლი შეუკრავს გზასა, და, თუ მისის იმპერატორობის დიდებულების ჯარს ამ ზამთრობით ჩვენს ქვეყანაში მოუხდეს დგომა ზამთრის მიზეზით, რომ ახალციხისა და ყარსისაკენ ძნელად შეიძლება ლაშქრობა ზამთარს, რადგანც დიდი მთები და ცივი ქვეყნები არის, და ან კიდევ სხვას მიზეზით ლაშქრობა არ მოუხდესთ ოსმალეთზედ, თუ შეიძლებოდეს ბრძანება ჰქონდესთ აქ მყოფთ რუსეთის ჯართ,—თუ ვამჯობინო, ერთად ვილაშქროთ ერთს თვეს ამ ჭარელთა და ბელაქნელებზედ; და ასეთი ადგილიც არის, რომ ზამთარ კარგად იქნება ლაშქრობა და პროვიანტსაც მე მივცემ უფასოდ ამ ერთის თვისას მათის იმპერატორების დიდებულების ჯარსა, თუ არა და, ნება მათის დიდებულების ყოვლად მოწყალე ხელმწიფისა არის; და რადგანაც რუსეთის დიდებულის ხელმწიფის ჯარი ჩვენთან იქნება, შირვანის ქვეყანას ასეთი შიში მიეცემათ, რომ იმათ ისინი ვეღარ უშველიან. მე ესენი ამისთვის მოვახსენე თქვენს მაღალს ღრაფობის ბრწყინვალებას, რომ ოსმალთა და დაღისტნელთა შეერთებისა დიდნი მიზეზნი ესენი არიან და შემწენი, და თუ რუსეთის ჯარი და იანარალი ახალციხეზედ და ყარსზედ წავლენ ამავე ზამთრობით, მე დიდის მხიარულის გულით მწადე ვარ—ან თვით გავყვები თან, და ან ჯარს ვაახლებ; და თუ მე თან არ გამიყოლა და არ შემიერთა, ჯარს ვაახლებ იანარალსა, და მე სხვას მტერობას ვეცდები. შირვანელნი ამ დროებში ჩვენთან შემორიგებულნი არიან.

დასასრულ ამას ვითხოვ ვედრებით თქვენ მაღალ ღრაფობის ბრწყინვალებისგან, რომ ეს ჩვენი კაცი აზნაური თარხანა მალე გამოისტუმროთ.

დაიწერა ჭაპალას. ოკტომბრის 10 დღესა, წელსა 1770.

46. Д. VIII. 30 Ноября 1770 г. Представленіе отъ царя Ираклія имп. Екатеринѣ II. Пер. т. I. № 108.

დროსა ამა თ. ი. დ. უქაზით ბრძანება და ზეპირდაბარებულება გვებოძა, და მოვისმინეთ ღვარდიის კაპიტანის უფლის ნიკოლაი დანილოვიჩის იაზიკო-

ვისაგან, რომლისაგან ესრეთ განცხადებულ იქმნა, რომ ჩუ͠ნს ქვეყანაში თ. ი. დ. ბრძანებით გამოგზავნილს ჯარის თავს იანარალ მაიორს და რომელთამე იმის კამანადასა მყოფთა და ჩუ͠ნ შორის რომელმანც შფოთებმან გაიარა—იმა საქმისაგან რომელნიმე უდიდებულესობისა თქვენისა უმაღლესსა კარსა მოხსენებია, და მის-გამო თ. ი. დ. წმიდა სული შეწუხებულა; და ეს საქმე ჩვენდა უდიდესისა მწუხა-რებისა მომცემელი შეიქმნა, და ჩუ͠ნმან ადრინდელმან უბედურებამან განიღვიძა, და თუსადმე მყისთანად თ. ი. დ. უკაზსა შინა და თვით ამ ღვარდიის კაპიტანის ნიკოლა იაზიკოვისაგან წყალობისა და მფარველობისა ნუგეში არ მიგვეღო, ფრია-დსა უნუგეშინისცემობასა მივეცემოდით. და ვინათგან ყოვლად მ. კ. ესრეთ გან-გიგიეს და ესრეთ ჰნებავს უ. თ., რათამცა აქაურნი წარსრულნი შფოთნი ეგნენ საუკუნოდ მოუგსენებლად, და აწ მყოფსა ჟამსა ახლად ვჰყოთ ჩვენ და იანარალ მაიორმან, რომლისაცა თანამდებობა გვაქვს ორთავე, და რათა ვერწმუნნეთ ორნივე ბრძანებასა ი. დ. თ. ოსმანთა და მიმდგომთა მათ მტერობად, და კუალად განზრახ-ვით ურთიერთა მიმართ დავამტკიცებდეთ საქმეთა უმჯობესთა, რომელნიცა მტერთა ზედა გვეგმარებოდენ, და ესე ყოველი თ. ი. დ. ბრძანებულნი სრულის მორჩილებით მიგვიღიეს და ყოვლითურთ შედგომილ ვიქმნებით ყოვლად სასურ-ველისა ჩვენისა სამსახურის თქვენისა კეთილ წარმართებისა მოქმედნი. რატიევსა და ჩოღლუკოვსა და სხვათა ებრძანნეს რა ი. დ. თ.—იმათთვის უწინარეს ამათსსა მოგვიხსენებიეს,—და ჩოღლუკოვი ყარაულით გამოგვიგზავნიეს, და მოზდოკს მიჰბარებიეს. და კვალად რომელნიცა ჩვენგან თ. ი. დ. უმაღლესსა კარსა რამდენიმე გზის კაცნი წარმოივლინნენ ვედრით იმათსაცა რეზოლუციასა, და მაშინც რო-მელსაც თ. ი. დ. გვებრძანება შეძლებისაებრ ჩვენისა ყოვლითურთ მორჩილნი და აღმასრულებელნი ვიქნებით.

დასასრულ ესეცა მოჰკსენდეს ყოვლად მოწყალებასა ი. დ. თ.—ზანდ ქარიმ-ხანისაგან, რომელიც წიგნი მოგვივიდა, და ან ჩვენ იმისი მაგიერი პასუხი მივჰსწე-რეთ——ორივე წიგნი მოგვირთმევიეს უმაღლესსა კარსა.

დაიწერა ქალაქსა გორს. 1770 წელსა, ნოემბერს 30 დღეს.

47. Д. I. 2 Декабря 1770 г. Письмо царя Ираклія къ кн. Заалу Орбеліани.

ქ. ჩვენ მაგივრად ჩვენს დიდს იმედსა და არაოდეს არ დასავიწყარსა, ჟამ და ნიადაგ დაუვიწყრად სახსოვარ-საგონებელსა ბრწყინვალეს კნიაზს ორბელიანს ზაალს მრავალი მათის კაის თავს საკადრი მოკითხვა ეუწყოს. მერმე შენ ხომ ჩვე-ნის ქვეყნისა დიაღ კარგი ბელადი ხართ და აქაური ჰამბავი დიაღ კარგად იცით: ჭა-რელნი და ყუბა, თუმცა არ ერთობენ, მაგრამ არცარასა კი მტერობენ; რითაც გზით

და გვარით იყოს და შეიძლებოდეს უნდა პირველს მინისტრს მოხსენდეს შენგან, რომ რომლითაც გვარით იყოს ყუბახასსა და ჩვენს შუა დოსტობის სიმტკიცე მოახდინოს და ჩვენთან განამტკიცოს. ეს საქმე დიად უცხო იქნება და ჭარელთ ამ მიზეზით მაშველი დაუძვირდებათ, და ძალი მოაკლდებათ, და ჩვენ რომ მტერზედ ღ̃თით გავილაშქრებთ, ისინი ჩვენის ქვეყნის მტერობაზედ მოსუსტდებიან.

არტილერიის საქმეზედ ამ კაპიტანსაც წიგნი მოიწერა მაღალს კარზედ და შენც დიდად ეცადე რაცკი შეიძლო და სიტყვა გაიყვანო მის მაღალს ღრაფობის ბრწყინვალებასთან, რომ არტილერია დროზედ მალე ამავ ზამთარსვე წამოვიდეს, და დიდროანები იყოს ციხისა და გალავნის დასანგრევად, რჩეული არტილერია იყოს.

დაგვავედრებთ და გამცნებთ კარგსა და რჩეულსა ქაღალდსა და ლაქასა საყოფუნალსა და კმასაყოფელსა.

მეფე ქართლისა და კახეთისა

ირაკლი.

აღიწერა ქალაქსა გორს. წელს 1770, დეკემბრის 2 თთვესასა.

ქ. პირველად არ გვინდოდა ამისთანა სამწუხაროს ჴამბის მოწერა და შენი შეწუხება, მაგრამ სხვათა წიგნებისგან შეიტყობდი და ჩვენც იმისთვის მოგწერეთ: ღ̃თან შენს მტერს მისცეს (რომ) ჩვენ მწუხარება მოგვევლინა,—ჩემი საყვარელი და ჩემი სასურველი მამუკა მიმტაცა სოფელმან, ჩემის ცოდვით, და ჩემი გული უთმინოს და გამოუთქმელს მწუხარებას მისცა.

48. Д. VII. Февраль 1771 г. Представленіе отъ царя Соломона имп. Екатеринѣ II. Пер. т. I. № 124.

უყოვლადესსა და უყყოვლად დიდებულსა აღუსტასა ყ̃ვბით ვრცელისა როსიისასა, დედასა ყოველთა მართლ-მადიდებელთა შორიელ-მახლობელსა ქრისტიანეთასა, ყოვლად უმოწყალესსა კელმწიფესა იმპერატრიცა ეკატერინას ალექსიასა.

გამკაცრებით მოვახსენებთ—უმდაბლესი მონა მათი აფხაზ-იმერთა მეფე სოლომონ:

რა ბრწყინვალე ღენერალ მაიორი ტოტლებენ გაემართა ძლიერისა და მკნე-შემმართებულისა ჯარითა ფოთის ციხის დასამხობელად და დასაპყრობელად, რაოდენიმე დაყვეს ახალციხის შემომზღუდველთა და, რა მცირედი ჟამი გავიდა, დადიანმა, ჩვენმა კნიაზმა, და გურიელმა ოსმანთ პირი მისცეს, და ჯარი მოიხმეს კელოვანის ჯარის სავნებელად, და დაივიწყეს აღთქმა და ფიცი ყ̃დ ძლიერის კელმწიფის

წინაშე! როს ეს მათი ხუნეში და უქმი ძმაცულება (?) სრულებით ვსცან, და ოსმანთ ჯარის შემოსვლა გურიის ქვეყანას დავიმტკიცე, მივმართე სწრაფით ჩემის ჯარითა, და ვეღარ ვეწიე მათსა ბრძოლასა, უკუნქცეულ იყვნენ მათსავე მამულსა და საზღვარსა კდემულნი; და გურიის ქვეყანა, რომელთაცა ფიცი და აღთქმა დაეხსნათ, დავიპყარ მაგრიად და დავმძევლე, და მტკიცე წიგნი გამოვართვი ერთობით ყოველთა, რომელიცა დიდებულის კელმწიფის წინაშე გამოცხადდება, და გურიელობა უპირველესს ძმას მიუთვალე, და განვაკრძალე, და უკუმოვიქეც თქვენის მოწყალების საფარველით დაცული მშვიდობით.

აწ ეს ჩვენი ვედრება განფენილი მიიუწყოს მათმა უ̃დ ვრცელმა მოწყალებამ:

პირველითგან დადიანი ჩვენი თავადი ყოფილა, გვარით სადიძე, და ჩვენთა მამა-პაპათა, მეფეთათვის, გულითადად და ერთგულად უმსახურებიათ. მათცა ერთგულად მსახურებისათვის აღუმაღლებიათ და ოდიშის დადიანობა მიუციათ, ესე იგი არს მანდატურთ-უხუცესობა ეშიკაღასბაშობისა. ამ ჟამში ღვთის მოძაგებულნი ოსმანნი განძლიერებულან და სამცხე-საათაბაგო და აფხაზ-იმერთა სამეფოისა პირველი ქალაქი ნიკოფსი, რომელ არს ანაკოფია, და აფხაზეთი მძლავრებით დაუპყრიათ და ქრისტიანობა შეუვიწროებიათ. ამავჟამს, ფოთსა და შერევნაში, ეს ჩვენგან გაკეთებული დადიანი გაგვდგომია, ახალციხით ოსმანის ჯარი მოუყვანია და თვითაც თავისის ძალით შესწევნია იმერეთის აღსაოხრებლად და დატყვევებად. მაშინ პაპაჩვენი მეფე ალექსანდრე სრულ ერთობით იმერეთის ჯარითა იმ ხსენებულს დადიანს და ოსმანის ჯარს წინაგასწყობია და ქრისტეს ღვთისა შეწევნითა გაუქცევია, და მოუწყვედიათ თვითონ ის დადიანი შვილებით და სახლისკაცებით, ორგულნი მთლად დაუჭირავთ და დაუკოცნიათ, რომ ერთი არა-ცოლთან შობილის მეტი იმათგანი აღარავინ გარდარჩენილან; და ის არა-ცოლთან ნაყოლიც მეფე არჩილს რუსეთს წაუყვანია, და მათგანი აწცა ყოვლად მოწყალის კელმწიფის საიმპერიაში იყოფება. ამის შემდობად იმავ მეფის ალექსანდრეს თანაგამზრახი და ერთგული დაბალი აზნაურშვილი ყოფილა გვარით ჩიქოვანი კაცია, და ამ კაცისთვის მიუცია დადიანობა ეშიკაღასბაშობისა. მისა შემდგომად მისის შვილისავ გიორგისათვის მიუცია დადიანობა ეშიკაღასბაშობისა, და ჩიქოვანისთვის ჩამომავლობით სახასოს და საუფლისწულოს ლეჩხუმის მოურაობაცა. მცირეს ხანს უკან, მიშვებითა ღვთისათა ცოდვათა ჩვენთა სიმრავლისაგან, განძლიერებულან ოსმანნი და ღალატით იმერეთის მეფე ალექსანდრეც მოუკლავთ, და დიდის ჭირითა, მოწყვედითა და იწროებითა იმერეთის მეფობა და სამეფო დაუმდაბლებიათ; ამასჟამსა გიორგი დადიანსა და ლეჩხუმის მოურავსა ოსმანნი შესწევიან და ოსმანთ ზურგითა და იმედითა ისიც გაგვდგომია, და ჩვენგან მიცემული სახელი დადიანობა და ლეჩხუმის მოურაობა თვით თავის თავისათვის დაუჭირავს, და ოსმანთა შეწევნითა თავის თავად განთავისუფლებით უცხოვრია; ვინადგან ოსმანნთ, ჩვენის მტერობით, საიმერეთოს გაგლეჯა უნდოდათ და დასუსტება, ამისთვის დადიანთ ზურგი მოაბეს, რომ თავისუფლებით ყოფილიყო ჩვენი წინა-

აღმდეგი. ხვანთქარმა რომ ჩვენი შერიგება მოინდომა და ფარმანი ებოძა, იმასაც მოკითხული ქნა, და ძველითგან ჩამომავლობით რომ ჩვენი იყო, იმასაც ისევე .ებოძა, ხომ ის ფარმანიც ყოვლად მოწყალის ჴემწიფის წინაშე გამოცხადდა.

აწ ამას ვედრებასა ფრიად დიდითა შიშითა და მოკრძალეულებით ვკადრებთ, და მუხლდადგმით მრავლითა ვედრებითა შეუვრდებით მათის ყოვლად უდიდებულესის იმპერატორობის წინაშე, რომ სათნო იყოს მათმან დედობრივმან ყოვლად მოწყალებამ,—და, როგორათაც ძველითგან ჩვენი ყმა და მოხელე ყოფილა დადიანი, ისევ გვიწყალობოს და გვიბოძოს, და ჩვენი სახასო მამული ლეჩხუმი რომ სამოურაოდ ჰქონებია, ისიც ისევ სახასოდ გვიბოძოს,—ამის მეტი განდგომილი და მაშფოთებელი მტერი ჩვენს სამეფოს არავინა ჰყავს. და ამის წყალობაც რომ დაგვემართება, ყოვლად მოწყალის ჴემწიფის შეწევნითა და ძალის მიცემითა, ჩვენც უფრო შინაურის მტრისაგან მოცალე შევიქმნებით და რაც ერთგულობა პირველ ყოვლად მოწყალის ჴელმწიფისათვის ფიცით მოგვიხსენებია უმეტესად ანთებულის გულითა უმკურვალესად განვემზადებით სიკვდილად და სისხლთა დათხევებად თავისა, შვილისა, ძმისა, სამეფოისა,—სადაც ყოვლად ძლიერი ჴელმწიფე გვიბრძანებს მისს მტერს ზედშევაკვდებით მათი საუკუნოდ მკვიდრი მონა-საიმპერიონი.

ამ ზემოხსენებულის გურიელების დაპყრობასა და დამძლევლობაშიდ ჩვენთან დაესწრა ივანე ლავრენტიისი, კაპიტანი, რომელიც ბრწყინვალე ღრაფს და ნიკოლა კაპიტანს წარმოეგზავნათ ჩვენთან ფოთით თათრის ჯარის ჩამოსვლა რომ შეეტყოთ, და ვჰგონებ, რომ ყოველივე ნათლად გამოაბრწყინვოს მათის დიდებულების წინაშე.

თებერვალსა, ხოლო წელსა 1771.

49. Д. VII. 17 Іюня 1771 г. Записка царя Соломона къ неизвѣстному.

ქ. ეს სიტყვა წინაშე ღ~თისა და თქვენისა აღსარებად გამიცხადებია: თუ რომ ჩვენის დადიანის წყალობა ისევ ჩვენვე დაგვემართება და გვებოძება დიდებულის ჴელმწიფისაგან, ას ქისას ჩვენებურს თეთრს ვისაც მიბძანებ მას მივაბარებ თქვენთვის, და დიდად გევედრები, რომ საიდუმლოდ დაჰფაროთ, და არ გეწყინოსთ. ივნისს 17, წელსა 1771.

(სოლომონის ბეჭედი უზის).

50. Д. III. 1771 г. Письмо Давида Сахлтъ-хуцеса (министра-двора) царя Соломона къ кн. А. Р. Моуравову.

მისს მაღალ კეთილშობილებას ესრეთ ეუწყოს: თქვენი მაღალ კეთილშობილება და უფალი ივან ლავრენტიჩი, კაპიტან პორუჩიკი, რომ აქ იყავით, მაშინ ივან ლავრენტიჩი ასე ამბობდა, რომ თეთრს მოვიტანო და პური უნდა დამზადდესო. ახლა მისმა სიმაღლემ (სოლომონმა) ბძანება გასცა და პური მზადდება, და თეთრიკი არსად ჩანს, რომ პურის პატრონებს მიეცეს; და მისმა სიმაღლემ მე მიბძანა, რომ თქვენ მოგწერო, რომ ამ თეთრს გზა როგორ მიეცემა—გვაცნობოთ.

დავით.

მარტის 17, ქქს აქეთ 1771 წ.

51. Д. VII. 17 Іюня 1771 г. Письмо царя Соломона къ гр. Н. И. Панину. Пер. т. I. № 130.

მეფე სრულიად იმერთა სოლომონ დავითიანი ალექსანდრეს ძე მრავალკეცად შეკონვილსა სიყვარულისა კონასა ცისა ეპითვანიისაებრ გაკრცელებულად მოგიძღვნებ.

რა თქვენის დაზენაებულის ბრწყინვალების წიგნი მოგვერთო, ვარსკვლავისაებრ გამობრწყინდა, და რომელიცა გებძანათ გამოწვლილვით მოვისმინე, არა მცირედი მადლობა მოგიძღვანე: ჭეშმარიტს ვიტყვი, უეჭველად ირწმუნეთ, რომ რომელიც უყოვლად მოწყალესის ჴელმწიფის ბრძანება გამობრწყინდება, ჩვენი დამაკნინებელიც რომ იყოს, რადგან უ͠დ დიდ. ხელმწ. ერთგულობაზედ ჯვარი მომიწერია და ფიცით დამიმტკიცებია, მაინც მადლობით და სიხარულით მივიღებ. დადიანის შერიგება, და შემდგომად სამართალი რომ გამოგეცხადებინათ—ჩვენი სიტყვა ამასწინათაც დ. ხ. წინაშე განვაცხადეთ და რაოდენსამე შ͠დ სამართალში გამოვაცხადებთ ნათლად; მარა ამას ახლავ ვითხოვ თქვენის წარმატებულის ბრწყინვალებისაგან, რომ ოდეს უ͠დ დ. ხ. ჩვენი ბჭობა-სამართალი ვრცლად იუწყოთ, და თანაშემწე გვექმნნეთ სამართლით, და ვგონებცა, რომ პირველითგანვე ნათლად უწყოდეთ, და ახლა თქვენის ბრწყინვალის წიგნით ვუწყით, მადლობით მიმიღია და ყოვლითურთ მორჩილ ვარ, აღსრულებას ვეცდები სრულის გონებით. მეორედ ამას გევედრები: თუცა ჩვენსა და ოსმანთ შუა შერიგება ინებოთ, უმჯობესისათვის, ვითხოვ ვედრებით უ͠დ დ. ხ., რომ როგორადაც უტყუელის და ჭეშმარიტის

უკაზით გამოცხადებული გვაქვს, ჩვენიცა თანშერიგება და განთავისუფლება სრულჰყოთ, რომ ჩვენსა და ოსმანთ შუა სამტრო საქმე აღარაფერი იყოს. დიდად გევედრები ღმობიერებით, რომ ეს აღგვისრულოთ, და არ დაგვივიწყოთ. ხოლო დასასრულსა ჩემი ყოველი ვედრება ეს არის, რომ დაუვიწყებელ და საუკუნო ჰყო ჩვენი მეგობრობა, და ნილოსისებ ჩემს გონებას მარად მორწყვიდე დაუვიწყარად თქვენის ამოუბედნიერის ამბის სმენითა, ხოლო ყოველთა დღეთა შინა მშვიდობით და სიმთელითცა მივი უკუნისამდე.

თვესა ივნისა 17, წელსა 1771.

52. Д. VIII. 3 Іюля 1771 г. Письмо царя Ираклія къ гр. Н. И. Панину. Пер. т. I. № 142.

რომელიც მისის დიდებულების უკაზთან თქვენის მაღალ ღრაფობის ბრწყინვალების წიგნი მოგვივიდა, და ვითარცა ბრძანებული იყო დიდის მონარხისა უკაზსა შინა ეგრეთვე და წიგნისაგან თქვენისა გამოგვეცხადა: რათამცა წარმოვიდეს აქეთ მყოფი კორპუსი რუსეთადგვე აქაურთა უნაყოფოებათათვის და ურთიერთადმი შეუერთებლობისა, და ყოველთა ქრისტიანეთა საზოგადოსა მტერთა მიმართ უბრძოლველობისათვის, და მხოლოდ ოდენ თავთა ჩვენთა გამოჩენისა და სახელისა მოხვეჭისათვის, და ამისებრთა საქმეთავის, და კორპუსსა ამას მგზავრობასა შინა შევეწივნეთმცა;—და ბრძანებისაებრ იმპ. დ. მათისა აღსრულდა, და ეგრეთ გამომგზავრდა იანარალ მაიორი თავისის ჯარითა.

თქვენმან მაღალმან ღრაფობის ბრწყინვალებამ იცის და კვალადცა ჩემგან მდაბლად მოიხსენე: ეს საქმე ჩვენის და ჩვენის ქვეყნის ოკრება არის და არ არის სხვა რამ,—ასე მოკლედ მომიხსენებია.

მოიხსენოს მ. ბრ. ღრაფობისა თქვენისამან: ორი იანარალი მოსულა მ. ი. დ. თავიანთ კორპუსით ამ ქვეყნებისათვის წყალობად; პირველის იანარალის საქმეებში გაუმართლებივარ პოლკოვნიკს იაზიკოვს, რომელიც აქაურის და ჩვენის საქმეებისათვის იყო ბრძანებით მოსული, და მეორეს იანარალს საქმეებში ვარ გამართლებული თვით სუხოტინის იანარალისაგან; და თუ ჩემზე არ არის ეს ბრძანება და იმერეთის მფლობელებზე არის, რომ არ შეერთდნენ, რომელსაც შეერთებასა მათსა, ბრძანებისაებრ ყოვლად დიდებულისა კელმწიფისა, ვეცადე რჩევითა და ხვეწნითა და, ვინადგან ბრძანება არ მქონდა, ძალითკი არ ვსცდილვარ,—მაგრამ არც ჩემი სიტყვა მიიღეს და არც იანარლებისა, და არცავისი, რომლისათვის ამ საქმეებში ყოვლითურთ უბრალო ვარ. აწ შემდგომი ჩემი სიტყვა და სავედრებელი ეს არის თქვენის მაღალ ღრაფობის ბრწყინვალებასთან: ღვთისთვის და ყოვლად მოწყალის კელმწიფის დღეთა სიგრძისათვის მე და ჩემს ქვეყანას სხვათ დანაშაული ნუ

გვეკითხება და უსჯულოთა წარმართთა გულისაებრ და წადილისაებრ მათისა ნუ აჴარებთ, დასაცინელად მათდა ნუ დავიდებით; რომელიცა უწინარეს ამისაცა მოგართვით ამ კორპუსის წარმოსვლის შეტყობაში წიგნი სავედრებელი, რომელიც უწინარეს ჩემს ძმასთან და ჩემ ძესთან წარმოვგზავნე, და ის არის ჩემი ვედრება წინაშე ყოვლად დიდებულისა დიდისა მონარხისა და ეგრეთვე წინაშე თქვენის მაღალ ღრაფობის ბრწყინვალებისად.

ივან ლვოვისა აქ განწესებისათვის, რომელიც გებრძანათ, ჭაზრისაებრ თქვენისა, ყოვლითურთ ჩვენგან შეძლებისაებრ ჩვენისა შეუწუხებლად გებას ვეცდებით, და რომელიც ჩვენი თანამდებობა იქნება ყოველთვის ჯერისაებრ გაუგონებთ.

უწყოდეს თქვენმან მაღალ ღრაფ. ბრ. რომელიც ახლა კვალად ჩვენთა საქმეთათვის გვესაჭიროვა უმაღლესისა კარისად მოხსენება წერილით გამოუცხადეთ ამ ივან ლვოვს, რათამცა მოართვას უმაღლესსა კარსა, და კვალადცა მთხოველი ვართ თქვენგან, რომ უმჯობესისა ჩვენისათვის, რომელიც მოგვიხსენებიეს ყოვლად მაღლისა მონარხისა და ეგრეთვე თქვენთვისვე, ამა ყოველთათვის იზრუნო ამდენის სულის ქრისტიანეთათვის.

შემდგომად შევვედრებ ძმასა და ძესა ჩემსა, რათა მოწყალებით იზრუნოს ბრწყინვალებამან მაღალისა ღრაფობისა თქვენისამან, ვითარცა მარადის შემოვედრებულ ვარ თავით და ქვეყნით ჩვენით.

დაიწერა ქალაქსა ტფილისს. 1771 წელსა, იულისის 3 დღესა.

53. Д. VIII. 1771 г. Письмо царя Ираклія къ гр. Н. И. Панину.

Пер. т. I. № 137.

მათს მაღალ ღრაფობის ბრწყინვალებას ეს მდაბლად განეცხადოს: მრავალჯერა მოგხსენებიათ როდესაც ყოვლად დიდებულისა რუსეთის დიდის მონარხისა ბრძანება საქართველოებში განეცხადნა, რომ თურქთა მიმართ ერთობით მტერობა გვემოქმედებინა, ყოვლის ჩვენის შეძლებით ვეცადე, და რომელნიც ჩემის მხრიდამ შემეძლო, არ დამიცადებია თურქთა მიმართ მტერობისა სახე, არათუ ჩემის ძალით და არცა რომლისა შეძლებით ყოვლად მოწყალისა ხელმწიფის ძალისა, და საბოლოოდ შემწეობისა და წყალობის იმედით. ეს მეშვიდე თვე არის, რომ იანარალი სუხოტინი მოვიდა ჩვენს ქვეყნებში, რომელიც მათის იმპერატორობის დიდებულების ჯარის სამსახური გვირჩია და მვთხოვა ბარგის გარდმოტანა, თუ ურმების მოხმარება, ან პროვიანტი ეჭირვებოდა, ან არტილერიის ზიდვა, ან ცხენები გვთხოვა, ეგრეთვე და მტრის შამულის დარბევა და ჯარების გასევა,—ყველა აღვასრულეთ. და როდესაც თვით სუხოტინი ალექსი ნიკოლაიჩი ფოთზედ წარვიდა, ჩვენ კიდევ დაგვაპატიჟა ერთს ახალციხის მხარეზე გალაშქრა, რათა ახალციხიდამ

ჯარი ფოთს არ მიშველებოდა, და რომელნიც პაემანი დაგვიდვა ეგრეთ აღვასრულეთ; ამავ დროს დაღისტანის ჯარი თუშეთს მოვიდა და ჩვენი ჯარი ზოგი იქ გუვანდა მისაშველებლად გაგზავნილი, რომელთაც ღ̃ვთითა და ყოვლად მოწყალის ხელმწიფის ბედნიერებით სახელოვნად გაუმარჯვათ. ჩვენ თრიალეთს ყოფაში მაშინ ხერთვისის ციხის და ქალაქის გამომცემი, ერთი იქაური ბეგი, საიდუმლოდ მალვით მოვიდა თავის ნათესავებთან ციციანოვთან და ფიცით პირობა მოგვცა: ჩვენც ჩვენის ჯარით ორმოცდა ათს ვერსამდის ჯარით მივედით, და იქიდამ ჯარი გავგზავნეთ, და შევიდნენ ციხეში, და წარმოსტყვენეს, და დაწვეს, და ეს თუ ვითარ იქმნა ლვოვის კაპიტანის წიგნისაგან სცნობთ, რომელიც წიგნი ჩვენ მოგვიწერია.

უწყის უბრწყინვალესობამან მაღლის ღრაფობისა თქვენისამან—მრავალი წელიწადი არის საქართველოს აქვს ვედრება და მიმართება რუსეთის დიდის ხელმწიფისა, რათამცა ძალითა და საფარველითა მოწყალებისა თვისისათა შემოზღუდოს და დაიფაროს, და განცხადებულად ყველასთან აღმოჩნდეს, რათამცა მიღებულ ვიქმნნეთ მოწყალებასა ქვეშე დიდებულებისა მისისა, და რაოდენ გვაქვს შეძლება სამსახურისა, და ვითარებაცა მისი აღთქმითა გამოგვიცხადებია, და გვალად აგრეთვე თხოვნა-ვედრებაცა ჩვენი მოგვიხსენებია ცალკე წერილით თვითოეულად თქვენის მაღალ ღრაფობის ბრწყინვალებასთან, რომელსაც მოგართმევენ თვით ჩემი ძმა უწმიდესი და ძე ჩემი ლეონ, და ვითხოვთ თქვენის ჩემდამი სარწმუნოს წყალობიანის გონებისაგან, რათამცა ღ̃ვთისათვის და მართლისა სარწმუნოებისათვის წინაშე ყოვლად დიდებულისა მონარხისა მეოხად აღიძრათ ამათ მორთმეულისა მოხსენებულისა ჭაზრისა ჩვენისა, და აღგვისრულდეს შეწევნითა თქვენისა მაღალ ღრაფობის ბრწყინვალებისათა წადილთ-სათხოვნელნი იგი ჩვენნი, და დაგვადვათ ვალი ჩვენ და ჩვენსა სამეფოსა თქვენის სამსახურისა.

მეათექვსმეტე თვე არის, რომ უმაღლეს კარს ჩვენი აზნაურშვილი გამოვგზავნეთ და ჯერ ვერ შეგვიტყვია——დასტური ბოძებია, თუ არა.

54. Д. IX. 1771 г. Письмо царя Ираклія къ Ст. Сов. Петру Васильевичу (?).

მაღალშობილს და მაღალ პატივცემულს უფალს სტატსკი
სოვეტნიკს, ჩემს კეთილ საიმედო მეგობარს პეტრე ვასილიჩს.

მარადის თანამდებად ჩვენდა უწყით, რათამცა მათის იმპ. დ. უმაღლესსა კარსა მოსახსენებელი ნუუდა გვაქუნდეს რა, თქვენს მაღალშობილებას კეთილ მეგობრობისა სახით გამოუცხადოთ, და რაოდენ პატიოსნებასა და ყოვლად მოწყალის ხელმ-

წიგისა თქვენსა ერთგულობასა შევნიდეს, ეგრეთ შეწევნა ჰყოთ ჩვენთვის, ვინათგან ქრისტიანენი ვართ და უერთგულესნი მონანი ყოვლად დიდებულისა მონარხისანი.

აქაურნი საქმენი რომ ყოველივე მოხსენებული გაქვსთ, და აწ წარმოიგზავნნეს ჩვენ მიერ უმაღლესსა კარსა მათის ი. დ. ყოვლად მოწყალის კელმწიფისა თაყუანისსაცემელად ძმა ჩემი, ამისი უწმიდესობა, და ძე ჩემი ლეონ, და ჩვენმიერნი სათხოველნი და ვედრებანი ამათ მიერ ყოველივე განგეცხადებისთ; და კვალად ამას ვითხოვთ მაღალშობილებისაგან, რათა ვითა ჰშვენის ღ̃თის მსახურსა გონებასა, ეგრეთ შეგვეწივნეთ, ჩვენის სათხოველისა კეთილ-წარმართებასა ეცადნეთ და ჩვენ და ჩვენს ქვეყანას დიდი ვალი დაგვსდვათ და გვიმსახუროთ. სხვა რომელნიც ჩემნი აზრნი დაჰბარებოდეს თქვენს მაღალ კეთილშობილებისადმი ჩემს ძმასა და ძესა ჩემსა—ის კეთილად მოისმინეთ, და ამას დიად გევედრები, და ჩემი ახლა ამ დროებში ყოველი საქმენი მომინდვია თქვენთვის.

55. Д. VII. 27 Октября 1771 г. Письмо царя Соломона къ имп. Екатеринѣ II. Пер. т. I. № 138.

მათის ცაებრამაღლებულის იმპ — ის დიდ—ბის მონა, მეფე იმერთა სოლომონ დავითიანი მრავალგზის სიმდაბლით თაყვანისცემასა და ქებამადლობასა შევსწირავ! აწ ამას მოვახსენებ მათ დიდ—ის იმპ—ს დიდის მოკრძალვით და გამკაცრებით: რა იარანალმა ალექსი სუხატინიმ ქართლით იმერეთად გარდმოსვლა გამომიცხადა, წაველ სწრაფით მხიარულ ქმნილი, და რომელიც შეწევნა შემეძლო ხარითა, ანუ ცხენითა დაუზრკოლებლად და უვნებელად ჩვენს ქვეყანაში გადმოვიყვანე; მერეთ, რაოდენისამე ჟამისა შემდეგ ინება ფოთით წასვლა, და მე დიდის ქენებით და ხვეწნით მოუშალე და ვაუწყე: ზაფხული არის და ფოთი დიდათ დამცდელი და ხაშმიანი ადგილი არის, როდესაც დრო იქნება და სნეულების ჟამი დასცხრება, გაუწყებ, მეც თანგამოგყვები, მივიდეთ, მოვადგეთ და რისაც ღონისძიებით იყოს ავიღოთ მეთქი. მან ასრე მიპასუხა: შენ რაც ცხენი და ხარი, ან იარაღი დაგვჭირდეს მოგვეც, და სურსათით კელი მოგვიმართე, და მე იმაზედ შეწევნას არავის გეხვეწები, და არც სიცხესა და ხაშმს დავეძებ, სამს, ანუ შვიდს დღეს დავდგებიო. რადგან ჩვენის დაშლით და ხვეწნით აღარფერი გაეწყო, რაც გვთხოვა ცხენი, ან ხარი, ანუ სხვა საჭირო ნივთები კელი მოუმართეთ და სრულებით მივეცით, და ჩვენც ჩვენის ჯარით ოსმანთ მოსასვლელს გზაზედ დავდეგით, და დაუმტკიცეთ, რომ თუ ოსმანნი თქვენზედ წამოვიდენ, ჩვენც მაშინათვე მოგეშველებით და თქვენთან მოვსწყდებით მეთქი. წავიდა, მოადგა ფოთს და მრავალი ჯარი მოსწყვიდა გაუსინჯავად, დაუჯერებლობით; და როდეს მისი უგუმოქცევა ვსცან, მეც დიდად ავად ვიყავი, და ჩვენც გამოვბრუნდით. მარა ჩვენი სიტყვის შე-

უწყნარებლობა და ჩვენი თანგაყოლა ამისთვის არ ინება, ვგონებ, რომ მხოლოდ თავის სახელის განდიდება უნდოდა, და უ̃დ დიდ—ს ჴელმწიფის ჯარისა და ხაზინისათვის არაფერი ეძება. რა ვქნა, არ ვიცი ჭ̃ტდ? ძლიერს ღმერთს ვფიცავ და დიდებულს ჴელმწიფეს, რომ დიდად მრცხვენიან, რომ ამდენი ხანი არის ამისთანა საკვირველი ჯარი აქ არის და, ჩემის უბედურობით, ერთი ჴელმწიფესთან გამოსაჩენი საქმე ვერაფერი ვქმენით; მარა თუ მათ დ̃დბის იმპ—ს უკაზის ბრძანებას არ ისმენენ, და რომელიც უმჯობესის გზების ჩვენება და მისვლა გვბრძანებია არ დაგვიჯერებენ,—რა ვქნათ? ჩვენი ბრალი აღარ იქნება; თუ უ̃დ მოწყალის უკაზის ბრძანებას არ ისმენენ, ჩვენ ვიღა დაგვიჯერებს? მარა ეს უფროსად მიკვირს, რომ ბრალს ისევ ჩვენ გვდებენ და საგინებელ-საყვედრებელ წიგნებს ჩვენვე გვწერენ! რადგან მათის ამაღლებულის ჴელმწიფისაგან მეფედ ჴმობილი ვარ,—ესე უსამართლოდ გინება არა ხამს, თვარა̃ნება ჴელმწიფისაა. სხვას ამას ვევედრები უ̃დ მოწყალეს ჴელმწიფეს დიდის ვედრებით და ღმობიერის ქენებით, რომ წყალობა ჰყოს და ტყვიისა და წამლის ბოძება ინებოს: თუ ავიღე ფოთი ჩემის ქვეყნის კაცით,— საქმე შემძლებია და ჴელმწიფის ერთგული ვყოფილვარ სრულის გონებით და არა ცრუდ მოლაპარკე, და თუ ვერ ავიღე, ჩემი სიტყვა შესაწყნარებელი აღარ იქნება, და ვითა გენებოსთ, ეგრეთ ჰყავით. ეს თხოვნა იარანალსაც გამოუცხადე, მაგრა დამაბრკოლა და არ ინება, და ახლა უ̃დ დიდ—ს ჴელმწიფისთვის მოგვიხსენებია, და ნება მათი იყავნ ყოველსა შინა. და სხვას ჩვენს სიტყვას ყოველსავე მათის დიდ—ს იმპ—ს წინაშე ჩვენი აზნაურშვილი იოსებ გამოაცხადებს.

აზის ბეჭედი წარწერით:
სოლომონ, დავითის ნორჩი,
ჯვარით მტერს მოკრჩი.

ოკდომბერს 27, წელსა 1771.

56. Д. VII. 1771 г. Договоръ, заключенный владѣтельнымъ кн. Гуріи Маміей и его подданными съ царемъ Соломономъ. Пер. т. I. № 125.

ქ. თავად დაუსაბამოსა ღ̃თსა და უ̃თა სათნოთა ღ̃თსათა თავდებობითა ესე უხერხო, უტყუელი, შეუცვალებელი წიგნი ფიცი და საფიცარი მოგართვით თქვენ, ჩვენს ჴელმწიფეს, ბატონს მეფეს სოლომონს ჩვენ გურიელმან მამიამ და შემოქმედელ მიტროპოლიტმან ნიკოლოოზ, ერისთავმან დავით, თავდგირიძემ მამუკამ, მაჭუტაძემ იოანემ, ნაკაშიძემ გიორგიმ, თანდარუხ საყვარელმა, გუგუნავამ, ჩითან შალიკაშვილმა, როსტომ და კიდევ როსტომ, და ერთობით ყორდანიამ, დ̓ ჭყონიამ ერთობით, ჯაყელმა ზაალ, და ერთობით ლეხეურ-

ლებმა, ერთობით ასკანელებმა, ერთობით ჩახათლებმა, და ერთობით გურუ-ლებმა, — ასე და ამა პირსა ზედა, რომე დიდებულის ყ̃დ მოწყალის კელმწიფის ჯარზედ უსჯულონნი აგარიანნი საბრძოლად წამოვიდნენ, თქვენც ჩვენ ქვეყანაშიდ აგარიანთ საომრათ ჯარითა მობრძანდით და ჩვენი ქვეყანა დიაღ უთავდარიგოთ ნახეთ, ამაზედ გაგვიწყერით და დაგვიმძლეთ, და ყველანი დიდებულის ყ̃დ მოწყალის კელმწიფის ერთგულებაზედ შეგვიფიცეთ: ასე პირობა მოგვირთმევია: თუ წმინდის გულით თქვენი ერთგული არ ვიქნეთ, უსჯულოს მტერზედაც რაც შეგვეძლოს არ ვემტეროთ, თუ ვერ შევიძლოთ, თქვენ არ მოგახსენოთ, ყ̃დ მოწყალის კელმწიფის და მისის ჯარის რაც შეგვეძლოს არ ვქნათ, — შეჩვენებული ვიყოთ წმიდის სამებისაგან, შვიდის კრებისაგან, ოთხის პატრიარხისაგან და თორმეტთ მოციქულთაგან, ჯერ ყ̃დ მოწყალის კელმწიფის ღალატად მან კელმწიფემ მოგვკითხოს და მერმეთ თქვესად სიკვდილად თქვენის რისხვით გაგვკითხეთ.

გურიელი მამია, და ათამდინ ჯვარი უზის.

57. Д. VIII. 1771 г. Представленіе отъ царя Ираклія имп. Екатеринѣ II.

თქვენის ყ̃დ დიდებულებისა ჩემზე ულირსი ზეგარდამოებრი წყალობა—ორდენი წმიდისა მოციქულისა ანდრია პირველ-წოდებულისა ბრილიანტისა ყოვლად მადლობით მივიღეთ, თუმცალა შესაბამ ვერ შესაძლებელ არს ჩუენდა მადლობაჲ, ვინაჲდგან ესოდენ მაღალ არს საიდუმლოჲ მოწყალებისა ყ̃დ დ. ი. თ. რომელ მახლობელთა და შორიელთა სწორადრე განუყოფს მიფენსა ღვთაებრთა შარავანდედთასა, და ამისადამი იწრო არს გონებაჲ შესაფერ მადლობად, ვინაჲცა ვმადლობთ სიტყვით და გონებით, და, რაოდენსაც ვერ შემძლებელ ვარ თქმად, დუმილით ვმადლობთ საჲდუმლოსა მას მოწყალებისა ღვთაებრისასა, რომელ ყოვლად აღსცალდების გონებასა ძალი საიდუმლოჲსა მოწყალებისა ყ̃დ დ. ი. თ.

და ვინადგან ბრძანებულ არს თ. ი. დ. რათამცა იმერეთის მეფისა და დადიანისა და სხვათა ურთიერთას დაგებად, და ქრისტიანეთა მტერთა ზედა ერთგმობით მტერობად,—რაოდენ ჩვენგან შეიძლებოდა, ვეცადენით დაგებად და განმტკიცებად შის მათდა, მაგრა არ ინებეს დაგებად; კვალად ღენარალ მაიორისა და ჩვენისა სურამს ერთად ყოფასა შინა უწმიდესი კათოლ. იმერეთისა მოვიდა. მისის სიტყვისა და საქმისა გვარს, და იმერეთისა ჭაშნაგს სრულებით, რომელნიც თანამდებნი იყუნენ მოხსენებისა თქვენისა, უმაღლესსა კარსა მოახსენებდნეს, და კვალადცა შეძლებისაებრ ურთიერთდა მიმართ მათსა დაგებასა თ. დ. სამსახურსა ზედა.

და კუალად ჩვენ და იარასალ მაიორი რაგვარადაც მტერზედ წავედით, და რაგვარიც მგზავრობა გვაქუნდა, და ან მტრის ციხეს აწყურს რომლის სახითაც ვებრძოლეთ, და ან იარანალ მაიორი რა დროს გამოგვეპარა ჩვენს შეუტყობრად,

და ან, ღვთით და თ. დ. ბედნიერობითა, როგორც მივედით მტრის ქჳყანაში — ესე ყოველივე ვრცლად პირველს მინისტრის წიგნში განგვიცხადებია, რომლის დამსწრე არის თავადი მოურავოვი და რამდენიმე რუსნი, და ყაზახნი თვით თვალითა თვისითა არიან მხილველნი, და ესე არა თუ ძალითა ჩვენითა იქმნა, არამედ ღვთისაგან და დიდებულებისა თქვენისა ბედნიერობისაგან.

თ. ი. დ. შარშანდელიდგან რამდენჯერმე აქეთმხრისა მყოფთა ქრისტიანეთა გებრძანა მაჰმადიანთა, ოსმანთა, მტერობა, რომლიც ჩემთვის სატრფიალო საქმე არს: რომელიც შეძლება მაქჳს სიმართლით მოვახსენებ კარსა, რომ არც თქჳნის დიდებულების სამსახურისათვის ჩემი თავი და ქვეყანა დამიცავს, და არც შ̃დ ვრიდებ თავსა ჩემსა თქვენს ყოვლად სახელისოსა სამსახურსა ზედა, და რამდენჯერმე მტერსა ზედა ყარსისაკენ ყოვლითურთ სრულიად მტერობა გამოვაჩინე, და ახლა რაც ახალციხის ქჳყანაში ღვთით რაც მოხმადიანთ სისხლი დაიქცა ჩვენგან ამ საქმეებით, რომელნიც ჩვენნი მეზობელნი ჩვენგან ზოგნი კეთილის მოქმედებით და ზოგჩი ძალით ჩვენთან დაგებულნი იყ̂ნენ, და როდესაც თქვენი უმაღლესი ბრძანება მოგვივიდა მოკმადიანთა ზედა მტერობისა ღვთითა და თ. დ. ბედნიერობით საქმით აღვასრულეთ, და მათზედ ჩვენ ყველაზედ ხელი ავიღევით, და ყოველნი ამ საქმეების შემდგომად მესისხლედ თვისად გჳხადიან, და აღარივინ გვეგულება ჩვენდა კეთილისმოქმედად ყ̃დ ძლიერისა ღვთისა და თ. დ. გიდე, და კმასაყოფელია ეს სასოება ჩვენდა, და უიჭველად გჳრწამს თ. ი. დ. ბრძანება, რომელნიც ყ̃დ მოწყალებითა თქვენითა ჩვენდა სასოება გიბრძანებიათ, რომ მარადის დაუგდებელნი ვიქმნებით ყოველსა დროსა.

58. Д. VIII. 19 Декабря 1771 г. Письмо царя Ираклія къ гр. Н. И. Панину.

თქუნს მ. ღ. ბ. მოჰხსენდეს თანამდებად ჩემდა მგონიეს, რათამცა დროსა შეხდომასა საქმისასა აქაურნი ჰამბავნი უმაღლესსა კარსა, რომელნიცა სათანმდებოდ ჩემდა აღმოჩნდებოდეს, მოხსენება ვჰყო: ჩღოა წელსა, ივნისში იაზიკოვი რომ წარმოვიდა იანარალ მაიორის სუხოტინისაგან, აქაურნი და ჩვენნი საქმენი სრულებით უმაღლესს კარს მაშინ უეჭველად მოჰხსენდა, და ამა ზემოხსენებულს პოლკოვნიკს მ. ი. დ. ჩჳნგან მოხსენება და ი. მ. ღ. ბ. წიგნი გამოვატანეთ, მაგრამ ვეღარ მოჰსწეოდა, და მასუკან მოზდოკის უფროსისაგან გამოგზავნილ იქმნა უმაღლესსა კარსა. და აწ ახლანდელი ჰამბავი ეს მოგხსენდესთ: ამავ წელს, ოკტომბერში, ხერთვისის ციხისა და ქალაქის აღება როგორც მოჰკლა და იქაურნი ერნი როგორადაც წაგდნენ ჩვენის ჯარისაგან, ღვთითა და ყოვლად დიდებულისა და ყოვლად მოწყალის კელმწიფის ბედნიერობით, ეს მოკლედ ივან ლვოვის წიგნის პირით მდაბლად გეუწყებათ. და ვინათგან ჩემის სიყრმითგან მსუროდა ყოვ-

ლად დიდებულის რუსეთის დიდის მონარხის თაყვანისცემა და ჩემი და ჩემი სამეფოების შემოვედრება საფარჳჱლსა შინა დიდებულებისა მათისასა, მაგრამ ჩჳჱნის ქჳჱყნის ვითარება და მეზობლებისა ჩემისა ზოგისა რომელისამე სიავემ და მიზეზმა ამისი თავისუფლება არ მომცა, ჩემად მაგიერად წარმოვგზავნე ძმა ჩემი უწმიდესი და ძე ჩემი ლეონ, ყოვლად დიდებულისა მონარხისა მონანი, და ყოველნი აქაურნი და ამა მჴრის საქმენი, და წიგნიცა იგი, რომელიცა მოგჳცა ლვოკმა კაპიტანმა, ყოველივე მოერთმის უმაღლესსა კარსა დიდებულებისა მათისასა, და ვითხოვ თქვენის ქრისტიანის სიმართლის მოყვარებისა და ჭეშმარიტისა განმსჯელობითისა გონებისაგან, რომ მოწყალებით ზედმიწევნით გასინჯოთ ყოველნივე ჩემნი და აქაურნი საქმენი.

და ამავე დროსა წარმოვგზავნეთ ბეგიცა, ხერთვისის ციხის და ქალაქის ჩვენდა მომცემი, ვინადგან თვითცა ინება სურვილით თაყვანისცემა უმაღლესისა კარისა, ლეონს ძესა ჩემსა გამოჰყვჳა.

თქჳჱნის მ. ლ. ბ. თუმცა უმსახურონი ვართ, მაგრამ თქჳჱნის ყოვლითურთის მართლმადიდებლობითის შემსგავსებულის მოქმედებისაგან ვითხოვ, რომ როდესაც შემდგომად ჩვენი კურიერი, ან წიგნი წარმოვიდოდეს, გზებზე დაუყოვნებლად თავისუფლება ჰქონდეს უმაღლესსა კარსა მალე მოწევისა.

დაიწერა ქალაქსა ტფილისს. 1771 წელსა, დეკემბერს 19 დღესა.

59. Д.VIII. 29 Декабря 1771 г. Списокъ подарковъ отъ царя Ираклія имп. Екатеринѣ II. Пер. т. I. № 141.

მისის იმპერატორების დიდებულების მისართმევი:

1. ინდის ჴელმწიფის მოღულის ნაქონი საცერე.
2. უნაგირი ოქროსი, მინაქარი, სპარსეთის ჴელმწიფისაგან ჩემთვის ნაბოძები.
3. რახტი ოქროსი, მინანქარი,— ესეც სპარსეთის ჴელმწიფისაგან ჩემთვის ნაბოძები.

ესენი მ. ი. დ. წინაშე დია მცირე და კნინი მისართმევი არს, და ძნიად გასაბედავი, მაგრამ, რადგან ჴელმწიფეთაგან ნაქონი იყო, მისთვის უმდაბლესის გაბედვით მოვართვით.

ერეკლე.

60. Д. VIII. 29 Декабря 1771 г. Списокъ подарковъ отъ царя Ираклія гр. Н. И. Панину. Пер. т. I. № 141.

თქჳენის მაღლის ღრაფობის ბრწყინვალებას ამა დროსა დიდის ბოდიშით მოერთმის ჩჳენმიერ კნიაზ არტემონ ანდრონიკოვის ჴელით: ორი ისპაანის დიბა—აზიის ადლი თერთმეტი, რომ თითო ხუთ-ხუთ ადლიანი და ნახევარი იქნება, და ორიც რახტი ვეცხლისა, ოქროთ დაფერილი, თავდაბეჭდილი ჩჳენის პატარის ბეჭდით. მცირის მოსართმევისთვის გულს ნუ დაიკლებენ, ესენი საჩქაროდ გამოიგზავნენ, და ამასიქით თქჳენის მაღლის ღრაფობის ბრწყინჳალებისა მარადის თანამდებნი ვართ.

61. Д. VIII. 30 Декабря 1771 г. Представленіе отъ царя Ираклія имп. Екатеринѣ II. Пер. т. I № 144.

უმწჳერვალესის სიმდაბლით მოვახსენებ, რომელიც აწ მყოფსა დროსა გვეგულების კადნიერება აზრისა ჩჳენისა მოხსენებად წინაშე დიდებულებისა თქვენისა:

არა თუ სამსახურსა ჯეროვანსა თანამდებსა, ან ყოვლად მოწყალებისა თქჳენისა განვრცელებულისა საჴელმწიფოსა დიდსა შესამატსა რასმე ვაჩვენებდეთ, გარნა ოდენ მართლ-მადიდებელის მონარხისა ქრისტიანობისათჳს გაუბედავთ ყოვლად მოწყალებასა თქვენსა.

ვინაჲდგან დედა ხარ ყოველთა ქრისტიანეთა, და ვედრებისა კმითა და ურთ-გულესითა გულითა, და დამდაბლებულისა სულითა ვითხოვ, ყოვლად მოწყალეო ჴელმწიფეო, რომელიც წინაპართა ჩამომავლობათა ჩჳენთა სუროდა, ვინადგან ვიმყოფებით იმ დროსა შინა, რომელიცა აქვს ყოველთა საქართჳელოსა გამოხსნისა ღირსად დიდებითგჳსენებულთა დიდთა ჴელმწიფეთაგან მოცემული იმედი, და ჩჳენცა უახლესი ბრძანება თქჳენის დიდებულებისაგან უკაზით სრული სასოება გამოხსნისა,—აჰა წარმოივლინენ ჩემგან დიდებულებისა თქჳენისა ჩემი ძმა კათალიკოზი და ძე ჩემი ლეონ, რათამცა მოართვან დიდებულებასა თქჳენსა წერილით, რომელნიც ჩემგან და ჩემისა სამეფოს ქვეყნისაგან შეიძლება სამსახურისა აღთქმა, და ეგრეთვე თქჳენის იმპერატორების დიდებულებისაგან ითხოონ წყალობა, რომელიცა მომიხსენებიეს ჩემისა ჴელწერილისა წერილთა.

ისმინე, ისმინე, მოწყალეო ჴელმწიფევ, უმაღლესისა დიდებულებისა თქჳენისა დღეთა სიგრძისათვის, და უკეთუ, ევროპისა და აზიურისა ჩვეულებისა სხვა და სხვაობისაგამო, შეუტყობარი რაჲმე ჩვენგან—დიდი, თუ მცირე დიდებულებასა

თქჳჱნსა არა სათნოსჩენოდეს, ის ავასხე ყოვლადძლიერსა ღთისა და ყოვლად მოწყალებასა დიდებულებისა თქჳჱნისასა: ვითხოვთ ყოვლითურთისა ვედრებითა, ვითარცა ბრძანებული არს თქჳენისა იმპერატორებისა დიდებულების უკაზებით, აწვე ასეთის საფარველით დაგვიფაროს მოწყალებამან დიდებულებისა თქჳჱნისამან, რომ თვით მეც დიდებულის რუსეთის საკელმწიფოსა კაცში აღრაცხილად დამინახონ მეგობართა და მტერთა, და ეგრეთვე სამეფოცა ჩემი რუსეთის საკელმწიფოდ გამოჩნდეს, ვითარცა განმიცხადებიეს მდაბლად უმაღლესისა კარისათვის.

დაიწერა ქალაქს ტფილისს. დეკემბერს 30, წელსა 1771.

62. Д. VIII. 1771 г. Представленіе отъ царя Ираклія имп. Екатеринѣ II. Пер. т. I. № 142.

თქვენისა დიდებულებისა უკაზი გვებოძა, რათამცა საქართველოებში გამოგზავნილი ჯარი წარმოვიდეს რუსეთადვე და გზასა ზედა შევეწივოთ, რომელი აღვასრულეთ, და ჯარიც წარმოვიდა ბრძანებისაებრ დიდებულებისა თქვენისა. უბრძანებიეს კელმწიფობასა თქვენსა — რომელიც შეუერთებელობა და საზოგადოსა მტერსა ზედა განუმკედრებლობამა, და უმოქმედობამ გარდაკლო, და ერთმანერთს მტერობით, ბრძანებისაებრ თ. დ., ამ წინამდებარეს საქმეებში სიმართლით არავინ გაისარჯა,— და ამ მიზეზთათვის საჯა ამ ჯარის დაბარება დ. თ. თ. უგანთლებულესობისა და ყოვლად მ. კ. ბრძანება ჭეშმარიტი არს, მაგრა ჩემ მდაბალის მონის თქვენისაგანაც მოწყალებით ისმინე ყოვლად მ. კ.

ჩემი აწინდელი კადნიერება მწუხარებისაგან არის,— დღეს ჩვენზედ იმისი მსგავსი დღე მოწევნულ არს ჩვენთვის და ჩვენის ქვეყნისათვის, როგორადაც სული და ხორცი განიწვალების: აქედამ ი. დ. კორპუსის წარმოსვლით იმისთანას სიმწარეს მივსცემულვართ, და არ გვაქვს თავისუფლობის შეძლება, ვითარცა დავიდუმეთ. რაიცა ამასუწინდელნი უნაყოფო საქართველოებში მოჴხდა თ. დ. ჯარის შეუერთებლობით ღრ. ტოტლებენის დროს, ის ხომ თ. კ. ბრძანებით ჩატარებულ იქმნა, და ვგონებ, რომ პოლკოვნიკის ნიკოლა დანიილიჩის აქაური იმ საქმეების განხილვით მე უბრალოდ ვიყო აღმოჩენილი. და ახლის იანარალ მაიორის სუხოტინის მოსვლა ესრეთ იქმნა: მოსვლაში გზის ან ხარჯი, ან ბარგის გადმოტანა და ან სხვა სამსახური დაგვდვა, და კიდევ რაც მტერზე მტერობა გვირჩია სწორეთ და ჩვენის შეძლებით ეგრეთ აღვასრულეთ, და, რადგანც მგზავრათ გამოიარა და ფოთს მივიდოდა, ჩვენ მაშინაც ყოვლითურთ ჩვენის შეძლებით ვცდილვართ უმჯობეს რჩევასაც და თქვენის კორპუსის შეერთებასაც, და არ მოკლდა, და ვგონებ, რომ თვით სუხოტინს უმაღლესის კარისათვის მაშინ ჩემი კეთილი მოეხსენებინოს.

მოეხსენება ი. დ. თ. იმერეთს სოლომონ მეფისათვის და სხვათა მფლობელთათვის რჩევითა და კაცის გზავნითა შეერთებისა მათისათვის უნამეტნავესისა გარჯითა ვეცადე, მაგრამ ჩემი რჩევა და მშვიდობითი სიტყვა არ მიიღეს და ძალით, რადგანც თ. დ. ბრძანება არ მქონდა, ძალს ხომ ველარ ვიკმარებდი.

ახლა ამადროს ამ ვედრებასა ვყოფ წინაშე დ. თ.—რაცა უწესონი საქმენი და შეურიგებლობანი მოკლა, რომლითაც სახითა და რომლისა გვამისაგანაც, ყოვლივე აპატივე შენსა შემყვარებელსა ქრისტესა, რომელმანცა გადიდა შენ, და ნუ მიგვცემ მოუთმენელსა მწუხარებასა და ქვეყნის აოკრებასა, და შენის საფარველიდამ ნუ წარსწყმედ მართალსა დამნაშავესათანა დღეთა სიგრძისა თქვენისათვის, და მოგვეც წყალობა, ვითარცა მომიხსენებიეს ჩემის ძმისა და ძის გამოტანებულისა არზებით, და ეგრეთვე დაბარებულობითა.

ვითხოვ ყოვლად მ. კ. რათა კანდიერებისათვის ფრიადისა უგანთლებულესი გონება დ. თ. არ წყენილ იქმნას, არამედ მიიღოთ მოხსენებული ჩემი.

63. Д. IX. 30 Декабря 1771 г. Письмо царя Ираклія къ вице-канцлеру кн. Голицыну.

თქ̂ჳ̂ნის ბრწყინჳ̂ალებისა მშვიდობის ამბის სმენა მარად გვსურს და გ̂ვწადსაცა, რათა გვესმოდეს თქვენის ბედნიერად ყოფისა და უჭირველად ცხოვრების ამბავნი. თუ თქ̂ჳ̂ნი ბრწყინჳ̂ალება აქეთმგრის ამბავს იკითხავთ, რომელიმე, ვჰგონებთ, მოხსენებული გექმნებათ და რომელნიმე აწ მოგხსენდებათ: ჩ̂ჳ̂ნ აწ დროსა ამას ამისი უწმიდესობა ჩ̂ჳ̂ნი ძმა და ძე ჩემი ლეონ წარმოვავლინეთ უმაღლესს კარს ყოვლად მოწყალის კელმწიფის თაყჳ̂ანისსაცემელად, და ჩვენნი ვედრნი, რანიცა გ̂ჳ̂აქ̂ჳ̂ნდეს, ყოველივე წერილითა და ზეპირ დაბარებულებით ამათგან განგეცხადებათ.

და ვითხოვ თქ̂ჳ̂ნისაგან ბრწყინჳ̂ალებისა, რათა რომელნიც სათხოველნი იყ̂ჳ̂ნენ ჩ̂ჳ̂ნნი და ამათგან განგეცხადოსთ, ამაებზედ შეგვეწიეთ, არათუ ჩ̂ჳ̂ნგან რომლისამე სარგებელისათვის, არამედ უფროსღა ქრისტესთჳს, ვინათგან ქრისტიანენი ვართ, და ჩვენ ჩვენი ქ̂ჳ̂ეყანა მარად თქ̂ჳ̂ნის ბრწყინჳ̂ალების სამსახურის თანამდებად იცოდეთ და გვიმსახურეთ.

დაიწერა ქალაქსა ტფილისს. დეკემბერს 30 დღეს, წელსა 1771.

64. Д. XV. 30 Декабря 1771 г. Представленіе отъ царя Ираклія имп. Екатеринѣ II объ условіяхъ, на какихъ онъ желалъ бы поступить подъ покровительство Россіи. Пер. т. I. № 143.

ყოვლად უგანათლებულესსა, უმპყრობელესსა, დიდსა კელმწიფესა იმპერატრიცა ეკატერინა ალექსიევნას, თჳთმპყრობელსა სრულიად რუსეთისასა, ყოვლად უმოწყალესსა კელმწიფესა.

რომელიც არის უკაზებისა ყოვლად მოწყალითა კელმწიფობისა თქვენისა ბრძანებული მოწყალებით თ. დ. მფარველობასა შინა და ჩვენად განსაძლიერებელად ჯარის ბოძება საქართველოებში—ამ ზემოჴსენებულის მოწყალების სიმდაბლით მმადლობელნი ამასაც მთხოველ ვართ, რომ აწვე გამოგვიყვანოს მოწყალებამან დ. თ. წარმართთაგან:

და გვებოძოს ჯარი რიცხვით ოთხი ათასი განსწავლებული, და, თუ სულ განსწავლებული არ იყოს, ნახევარი გაუსწავლებელი იყოს და ნახევარი განსწავლებული, საკუთრად ჩვენს მხარეს, რათამცა საერთოდ ვებრძოლოთ ოსმალთა, რადგანაც უწინდელს ჯარს ჩვენკერძო არა აქჳს მოცალება, და ვინც ჯარის თავი იქნება ჩვენს რჩევას მიიღებდეს და დაიჯერებდეს, ვინადგან ვართ აქაურთა საქმეთა შინა მყოფნი და მეცნიერნი ამისთვის.

კჳალად, ვითარცა ძველად ყოფილა ჩვენის ჩამომავლობის მეფობა, ვითხოვთ თ. დ. მოწყალებისაგამო ეგრეთვე საუკუნოდ უცვალებელად ეგოს მორჩილებასა ქჳყშე დიდ—სა თქვ—სა იმ მსახურებითა, რომელიცა ქვემორე აღიწერება.

მსგავსადვე კათოლიკოზიცა წესსავე თვისსა ეგოს მოუშლელად.

ვინაჲთგან ღვთითა და ბედნიერებითა თ. დ. ყირიმიდამ ეგოდენნი ჩჳყნის ქვეყნის კაცნი გამოიხსნენ, წყალობას ვითხოვთ ყოვლად დ. თ. რათამცა იმათ თავისუფლება მიეცესთ თავიანთ ქვეყანაში მოსულისა.

და როდესაც თ. ი. დ. ჯარი ამ ქვეყანაში მოვა, და ჩვენ და ისინი საერთოდ მტერს წართმეულს ქვეყნებს რომ წავართმევთ,—რაც კორპუსზედ ხაზინა დაიხარჯება ამ დაჭერილს ქვეყნებიდამ რამდენსამე წელიწადში ისევ უნდა ხაზინაში მოვართვათ; დალათუ ამაზედ თავისწყენისათვის მოვერიდებით ყოვლად დ. კ. თ., მაგრამ რადგან ამ საქმეზედ რამდენჯერმე ჯარების შეყრა მოგვიხდა, ჩვენთვის კმასაყოფელი ხარჯები დაგვემართა, და კიდევ გზებზედ ჯარისა და ბარგის გარდმოტანისთვის ბევრი დაიხარჯა, და თუ რამ დაგჳჭირდეს, რაერთიც ვითხვოთ ვედრებით, რომ ხაზინიდამ სესხად ჩვენის ჯარისათვისაც თეთრი გვებოძოს, და ისევე მიირთვას ყოვლად დ. თ.

და ამ წყალობაებისათვის, რომელიც ზემორე აღიწერა, მივართმევთ ძესა ჩვენსა რომელსამე და ეგრეთვე რაოდენსამე კნიაზსა თქვენს ყოვლად დ. კ. და აზნაურთაცა შეძლებისაებრ ჩვენისა.

დღეს ჩვენს ქვეყანაში რომლისაც ნივთის მადანი არის, და ან გამოჩნდება, იქიდამ სარგებელი მოიპოება _ ნახევარი თ. დ. ხაზინას მიერთმეოდეს; და კიდევ რაც ჩვენს მორჩილების ქვეშ კაცნი არიან ყოველწლივ ამათგან კვამლზედ თოთხმეტი შაური საკელმწიფოთ აიღებოდეს და მოგერთმეოდესთ. რაც ამ ქვეყანაში რჩეული ცხენი იშოება — თოთხმეტი ცხენი ნიადაგ წელიწადს ყოვლად დ. თ. მიერთმეოდეს.

როდესაც სპარსთ რომ ვეჭირენით მძლავრებით, და ხან ოსმალსა, სპარსნი ჩვენს სამეფოს ორს წელიწადში ერთხელ წაართმევდნენ ცხრას ტყვეს და კვამლზედ თოთხმეტს შაურს, და ამასაც იმ ტყვეების მოსახმარებელის ხარჯისათვის; და კიდევ ორმოცდა ათს საპალნეს რჩეულს ღვინოს თავისის ხარჯით თვით წაიღებდნენ საკელმწიფოთ, და ახლა ჩვენ ამ ღვინოს, რიცხვით ორი ათას ვედრას, რომელიც ჩვენ ქვეყანაში რჩეული ღვინო იშოება, ყიზლარს ჩვენის ხარჯით მივიტანთ საკელმწიფოთა.

როდესაც დ. კ. ჯარი მოვა ჩვენს ქვეყანაში იმათის შემწეობით სხვის ქვეყნების დაპყრობამდის ჩვენის ქვეყნებიდამ, რომელიც ქვეყანა დღეს გვიჭირავს, ეს ზემოხსენებულნი აღთქმულნი (?) მივართკამთ უდიდებულესსა კელმწიფებასა თქვენსა, და როდესაც სხვებს ქვეყნებს დავიპყრობთ თ. დ. ძალით, მაშინ იმ ადგილებიდამ როგორც ქვემორე მოიხსენება, იმსახით ვამსახურებთ.

როდესაც ძალითა და შეწევნითა თ. დ. კორპუსისათა რაც ოსმალთაგან წართმეულს ადგილებს დავიჭერთ ბედნიერებითა თ. დ. ამასაც, როგორც ზემორე დაგვიწერია, იმსახით ვამსახურებთ: კომლზე თოთხმეტს შაურს წელიწადში, და იმავ ადგილებიდამ წელიწადში აბრეშუმს ორას ფუთსა იმ ქვეყნებიდამ, და, თუ მეტი შევიძლეით, მეტს მოვართმევთ დ. თ.

კჳალად ვედრებით მოვახსენებ თქვენს ყოვლად მოწყალებასა, რათა ამავე გაზაფხულსა არ უტეონ დაუპყრობელად ქვეყანა ახალციხისა, და უკეთუ შერიგება მოხდეს თ. დ. სულტანისა, მაშინც გარეთ არ დარჩეს ქვეყანა ახალციხისა, ვინაჲდგან საქართველოსა შინა არის და ქართული ენა აქუსთ, და მრავალნი ქრისტიანენი არიან იმათში, და სხჳანიც ახალნი გარდაქცეულნი არიან მაჰმადიანობაზედ.

როდესაც დ. კ. ბედნიერობით წარმართთაგან განთავისუფლდება და დამშვიდდება ჩვენი ქვეყანა, მაშინ ჩვენის ძველად ქონებულის სამეფოდამაც და ახლად დაჭერილის ქვეყნებიდამაც მოვართმევთ თ. ი. დ. რაც რუსეთის იმპერიაში სულზედ სალდათი აძევს — ჩვენ იმედენს კვამლზედ მივართმევთ სალდათს თ. დ.

უკეთუ ღჳთითა და ბედნიერობითა თქვენითა — რომელიც სხვა მტერის ქვეყანა თ. დ. კორპუსის ძალით დავიჭიროთ, იმისი სრულიადი ნება თ. დ. არის.

ჩვენ რაც რამ სამსახურის აღთქმა შეგვეძლო და წყალობის ვედრება გვეჭირებოდა — ის მოვახსენეთ თ. ი. დ. და როგორც თქვენ ყოვლად მოწყალის კელმწიფის ნება იყოს, ეგრეთ დედობრივითა მოწყალებითა განაგოს ყოვლად მოწყალებამან დ. თ.

დაიწერა ქალაქს ტფილისს. დეკემბერს 30 დღესა, წელსა 1771.

65. Д. VIII. 21 Апрѣля 1772 г. Письмо царя Ираклія къ гр. Н. И. Панину. Пер. т. I. № 151.

თქჳჱნის მ. ღ. ბ. წიგნი ჩჳჱნის აზნაურშვილის შახოვისაგან მივიღე, რომელმანცა მრავლის ნუგეშინისცემით აღავსო გონება ჩემი, ამისგამო ვმადლობ თქჳჱნს მაღალ ღრ. ბოწყინვალებას.

ამაზედ ქრისტიანობრივ დაგაჯერებთ, რომელიც ახლა გებრძანნეს, რათამცა იანარალ მაიორს სუხოტინს შევერთდეთ, და რომელიც გვირჩიოს, დაუჯეროთ, რომელიც, თქჳჱნის ბრძანებისაებრ, ყოველთვის ცდა არ დაგვიკლია და დამიჯერებია. თვით აქაურნი საქმენი ყოველივე სუხოტინს იანარალსავე უმაღლესის კარისათვის მოეხსენებინა. ამაზედ აღარ გავაგრძელებ, რომ თქვენ თავი არ შეგწყინდესთ, მცირედი მოიხსენეთ: რა პირველად მეფეს სოლომონს თქვენის მ. ღ. ბ. წიგნი მოუვიდა და ჩემი სახელიც იმ წიგნში თქვენგან ნახსენები იყო, იმავ დროს ჩემის გონების შეძლება მოქმედებით ასეთის ჭეშმარიტის ერთგულების სიმტკიცესა ზედა დამიმყარებია და დამიმტკიცებია, ვითარცა შჳჱნის თავისისა სარწმუნოებისა ერთგულსა და ეგრეთვე თავისის სარწმუნოების ჴელმწიფის სიმართლით მონებრ სამსახურის მქონებელს გჳამსა, და რომლისაც შემძლებელი ვიყავ მე და ჩემი ქვეყანა—შემწეობა არ დაგვიზოგავს. და ახლა ჩემი ძმა და შვილიც ხომ მ. ი. დ. და ყოვლად უგუნათლ. ჴელმწიფას წინაშე წარმოვგზავნე, და ჩემის საქმეების ყოველი ნება ყოვლად მოწყალე ჴელმწიფეს მივანდევ. ახლა ამ კორპუსში [ბძანება] მოვიდა, რომ სახელმწიფოს ბრძანებით ესენი რომელნიც საქართველოებში განწესებული არიან, რათამცა რუსეთსავე უკუმობრუნდნენ, და ეს საქმე, ყოვლის წინადადებით, საქართველოს აღმაოკრებელია და ჩვენში ქრისტიანობის სახელის აღმომფხვრელია. ამაზედ შეგაწყენთ თავსა, რადგანც სარწმუნო ვართ, რომ ჩემი სრულიად მწყალობელი ბრძანდებით: თუ მე დანაშაული მაქჳს რამე საჴელმწიფოს საქმეებში, უწინ ჩემს ნათესავთაც ხომ მოურთმევიათ თავიანთი თავი და ქვეყანა რუსეთის ნეტარ-ხსენებულთ დიდთა ჴელმწიფეთათვის და ახლა მეც უნამეტნავესად ჩემი თავი რუსეთის დიდის მონარხისათვის ყოვლითურთ დამორჩილებით მომირთმევია, მე გარდამკდეს, რომლისათვისცა მადლობით მიმღებელ ვიქმნები, როგორადაც მ. ი. დ. ნება ჰქონდეს, და ამდენს მრავალ ათასს ქრისტიანებს ამ საქმით ნუ გაჭყრის თავისის საფარველიდამ და მოწყალებიდამ, რომ სრულიად წარმართთაგან მიმოსატაცნელნი და ამოსაწყვეტნი არ შეიქნენ.

ეს ასეთი ჟამი წარმოდგომილა, რომ დუმილის დრო აღარ გვაქჳს, წინაშე ყოვლად ძლიერის შემოქმედისა ღვთისა და წინაშე მ. ი. დ. სიმართლით ვიკადრნიერებთ და ვიტყვით ამას: სანამდის მ. ი. დ. ბრძანება მოგვივიდოდა თურქთ მტერობისათვის—დაზავებით და მშვიდობით ვიყავით ხვანთქართან შერიგებულნი

და დაწუნარებულნი; და სპარსეთის მფლობელს ხანებთან ასეთის საქმით ვიყავით— ზოგნი შეშინებულნი გვყვანდენ და ხარკს გვაძლევდენ, და ზოგნი მეგობრობით დაზავებულნი გვყვანდენ, და ზოგის შეშინებას ვცდილობდით, და ზოგნი ლეკნი მათის შეძლებით გვმტერობდენ და ქვეყნებს გვიკლებდენ, მაგრამ რამდენსამე წელიწადში ჩვენის ქვეყნის საქმეები ღვთით წარმატებაში მიგვყვანდა,—და ახლა ამ საქმეებითა და ამისთანას წინადადებათაგან, რომელიც ზემორე დაგვიწერია, საქართველოში ქრისტიანობა მოისპობის და სრულებით აღოკრდების, თუ ეს კორპუსი აქეთგან უკუმობრუნდების.

იუწყოს თ. მ. ღ. ბ.—ღვთის და ყოვლად მოწყალეს კელმწიფეს ჩამოღმა ჩემი თავი და ქვეყანა ყოვლითურთ თქვენთვის შემომივედრებია, ღვთისთვის და ყოვლად მოწყალის კელმწიფის დღეთა სიგრძისათვის ამაზედ მეოხად და შუამდგომელად აღიძარით თქვენის მაღლად მხედველობით, და წინაშე ყოვლად დიდებულის კელმწიფის რომელიც გვიჯობდეს და ან მოგვეხსენებინოს—ამის წარმართებაზედ ეცადენით, თქვენი ყოვლითურთ ქრისტიანობრივი კეთილი ამდენს ქრისტიანებზედ გამოაცხადე და ღმერთთან და კაცთან თქვენი სიკეთე ადიდე, და მე, როგორც გეპრიანებოდეს, ეგრე მიმსახურე. და მე იმ პირობას მოვართმევ ყოვლად დ. კ., რომელიც ჩემის ძმის კათოლიკოსისათვის და ჩემის ძის ლეონისათვის მომიწერია, ეგრეთ ვჰყო, რომელიც წერილი ყოვლად მოწყალის კელმწიფის წინაშე უნდა მიართვან.

დაიწერა ქალაქს ტფილისს. აპრილს 21, წელსა 1772.

66. Д. VIII. 2 Іюня 1772 г. Письмо царя Ираклія къ гр. З. Г. Орлову.

თ. მ. ღ. ბ. ამ დროს ეს მოკსენდეს ჩვენგან: როგორადაც მ. ი. დ. ბრძანება მოვიდა, აქ მყოფი კორპუსი ეგრეთ წარმოვიდა,—ამისთვის ვაწყენთ თავს თქვენ მ. ღ. ბ. ვინადგან ეს ამ ქვეყნის უმეტესის აოხრებისა ნიშანი არის. თუმცა ჩვენ თქვენი უმსახურონი ვართ და კადნიერება არ გვაქვს თქვენის თავისშეწყენისა, მაგრა, ვინადგან ყ̃დ დიდებულის და მართლმადიდებელისა კელმწიფისა წინაშე მეოხება ძალგიცსთ, და ჩვენც მართლმადიდებელნი ქრისტიანენი ვართ, და ჩვენი თავი და ქვეყანა ყოვლითურთ ყ̃დ მოწყალის კელმწიფის საფარველში ვართ შემოვედრებულნი, ამისთვის გაგიბედავთ:

აწ ვინადგან ამ კორპუსის წამოსვლით ამ სასოწარკვეთილებასა შინა არს მიწყევნილი ყოვლითურთ საქმე ჩვენი, რომ მისის ყოვლად დიდებულის საფარველიდამ განშორდომა არის, გევედრებით, რათა ჰყოთ შუამდგომელობა წინაშე დიდებულისა და ყოვლად-მაღლისა მონარხისა, და ჰყოს წყალობა ღედობრივი, და რომე-

ლიცა ძმისა ჩემისა და ძისა ჩემისა წარმოვლენსა მომეხსენებინოს ვედრებანი, ისმინოს ყოვლად დიდებულებამან და ყოვლად მოწყალებამან მისმან, და ამ მწუხარებისა და წარმართთაგან ნიადაგ ოკრებისა, და ახლანდელის კორპუსის წარმოსვლისთვის ყვედრებისაგან გამოგვიხსნას, რომ ამადროს უნამეტნავესისა სიხარულითა და საცინელისა საქმითა გვაყვედრიან და გვეუბნებიან: ვისგანაც სასოება გქონდათ — მიგეფარათ და ნუღარა [ხართ] სასოებით მათგანაო, — ამისებრითა სიტყვითა ნიშნს გვიგებს წარმართნი; და ამისთვის იღვაწოს ბრწყინვალებამან მ. დ. თ. ჩვენთვის და ჩვენის ქვეყნისთვის.

კვალად შეგვედრებ უწმინდესსა ძმასა ჩემსა და ძესა ჩემსა, რათა მოწყალებით ჰფარავდეთ ყოველსა შინა საქმეთა მათთა.

წელსა ჩღობ, ივნისის ბ.

67. Д. Х. 13 Іюня 1772 г. Письмо царя Ираклія къ капитану Ив. Лавр. Львову.

ვინათგან აქედამ კორპუსის წაუსვლელობისთვის უწინვე ჩემის ძმისა და და ჩემის შვილისათვის ასეთი წიგნი მიმიწერია, რომ თვით მათის დიდებ—ის მოხსენებათ უნდა მოახსენონ და თავი აწყინონ, და ეგრეთვე უბრწყინვალესს ღრაფებსაც შეეხვეწნენ და გაასინჯონ აქაური საქმენი, და ახლა ეს არის თქვენს მაღალმსვლელობას უცხადებ ჩემს და ჩემის ქვეყნის საქმეს, რადგანც მისის დიდებულობისაგან ამ ქვეყანაში ვექილად რწმუნებული ბძანდები, თვითვე მოგეხსენება და იცი, რომ როგორის გულის ტკივილით გმართებსთ ამდენის სულის შეწუხებულის და დაღონებულის ქრისტიანების შეწევნა; უეჭველია, თუ არ ყოვლის შემძლებელის და ყოვლად ძლიერისა ღ̃თისაგან, თვარემ, რა ეს კორპუსი აქედამ რუსეთად წავა, და ან მაგიერი არ მოვა, საქართველოები, ჭკუის დანახვით, აოკრებული არ დარჩება, და გაფიცებთ ღმერთსა და კელმწიფეს, რომ რაც შეგეძლოს, ჩვენს უმსახურობას ნუ მიხედავ, და გაისარჯე, და რომელიც ქვემორე დაიწერება ამაზედ შეგვეწიე, თვარემ სხვა წამალი ჩვენს დიდის ხნის სნეულებას არა არგებს რა. ხომ ხედავს მაღალმობილება ჩვენის ქვეყნის შეწუხებას და გლოვას, რას მწუხარებით ვიმყოფებით და როგორი შფოთი და ვაების კმა არის განფენილი. პირველად ესე, როგორადაც ჩემის ძმის და ჩემის შვილისათვის გამიტანებია მოხსენებანი მისის დიდებულობის მიმართ, რომ ყმად დაგვიჭიროს და დაგვაფაროს საფარველი თვისი, როგორადაც მოგვიხსენებია, და ეს იქნება ჩვენი სრულიად დაფარვა, და მაშინ ვიქმნებით ყოვლითურთ გამოხსნილი მტერთაგან. მაღალმობილებამან შენმან ესრეთ სცნას: რაც ეს ჩვენი სავედრებელი დაიწერა, ჩვენ ყოვლად დიდებულის და ყოვლად მაღლის მონარხის ნებისაებრ, ვით-

ხოვთ, და არც ჩვენ ვიკადრებთ ამ თხოვილის კადნიერებას, თუ არ ამისთვის, რომ ჩვენც სამსახური თანამდებობისაებრ ჩვენისა როგორადაც მოგვიხსენებია, იმ სახით არ გვედვას, და კიდევაც თუ უმეტესი შეიძლებოდეს, იმისიც აღმასრულებელნი არ ვიყვნეთ, მის დიდებულობას აღარ გაუბედავდით, მაგრამ მოხსენებულისა ჩვენისა და ფიცისაებრ ჩვენისა ყოვლითურთ ღვთით ვართ აღმასრულებელნი.

წელსა 1772, ივნისის 13 დღეს.

68. Д. IX. 24 Октября 1772 г. **Письмо царевича Леона и католикоса Антонія къ гр. Н. И. Панину.** Пер. т. I. № 160.

კადნიერ ვიქმნენით კუ̂ალად შეწუხებად თქუ̂ენისა მ. ღ. ბ. მიზეზითა, რომელსაცა ქუ̂ემო განვაცხადებთ:

წარმოსრულნი საქართუ̂ელოჲთ წელიწადსა 1772, იანუ̂არსა 5 წინაშე მ. ი. დ. წარმოგზავნითა საქართუ̂ელოჲსა და კახეთისა მეფის ირაკლისაგან სარგებელისათჳს როსსიის მონარხიისა და საჭიროებათათჳს რომელთამე თჳსთა—მოვედით ასტრახანს მარტს 6, და აქამომდე აქა მყოფნი არა მცირედსა შინა მწუხარებასა და ჴიმწარესა, რომელ ვითარცა ტყუ̂ენი ვიყოფებით დაკლებულნი მამულისაგან ჩუ̂ენისა და ვერ მიწთომილნი სრულყოფად კომისიისა, რომელიც გვრწმუნებიეს მეფისა ირაკლისაგან, მრავალნი საქმენი თანანადებნი ჩუ̂ენნი მამულსა შინა ჩუ̂ენსა განსაგებელნი ჩუ̂ენგან, რომელიცა საჭიროდ თანაგუ̂აძს, მდგომარებენ ვერ მიწევნითა დასასრულისათა, და აქა ჩუ̂ენ ყოვლითურთ მოცლილნი, უქმად მყოფნი მივცემულ ვართ, ჴაერის სიმძიმითა ვერ შემწყნარებელნი უცხოჲსა კლიმატისანი, სნეულებათა განგრძობილთა, რომელთაგამო იჭუ̂ამდე სიკუ̂დილისა ზედმოსუ̂ლასაცა გულის-ვსიტყუ̂ავთ,—ამისთჳს თ. მ. ღ. ბ. ცრემლთამდე ვედრებით ვთხოვთ, რათა განვთავისუფლდეთ ჩუ̂ენ აქათგან და ღირს ვიქმნნეთ წინაშე მ. ი. დ. წარდგომად,—არა რაჲმესა შეწუენისა და წინააღმდგომებრისა სათხოვარისა მქონებელნი, თჳნიერ მ. ი. დ. შესამატისა და როსსიის იმპერიის სასარგებლოჲსა, და რომელთამე საჭიროთა მეფის ირაკლისათა თხოვათა.

ვიცით, რომელ თ. ბ. თავისწყენის მრავალ კადნიერებაჲ არა გვივის ჩუ̂ენ, მაგრა ვინმე იყოსმცა გარდა თ. მ. ღ. ბ. სხვაჲ შემწე და ნუგეშინისმცემელი ჭირთა ამათ შინა ჩუ̂ენთა, ანუ სხვაჲ ვინმე, რომელისადმცა თანაგუ̂ელდუა მოგსენებად საქმენი ჩუ̂ენნი? და მესამედ, ვიცით, რომელ მეფესა ჩუ̂ენსა აქუ̂ს მ. ღ. ბ. მოწყალებისაგან იმედი სრული შესაბამთა საქმეთა თჳსთა წარმართებისა, ამისთჳს სიმდაბლით თხოვაჲ ესე ჩუ̂ენი მიღებულ იქმნას თ. მ. ღ. ბ. კეთილმსახურებრ, რომელ საჭიროებისა ამისგან განგუ̂ათავისუფლენ ყოვლად უმაღლესისა მიმართ მონარხინაჲსა შუ̂ამდგომლობითა, რათა რომელიცა ნებასა შინა მ. ი. დ. არს,

რომლისაცა ღირს ვართ, ეგე ვითარი თავისუფლებითი რეზოლუციაი მივიღოთ არ გვიანად.

და ჩჳჱნ უმწჳჱრჳალესისა მმადლობელყოფისა თქჳჱნისადმი მ. ღ. ბ. თანამდებ ვიქმნეთ მარადის გებულნი ერთგულებასა შინა თქჳჱნისა ბრწყინჳალებისასა.

ანტონ კათალიკოსი. მეფის ძე ლეონ.

ოკტომბერსა 24 დღესა, წელსა 1772.

69. Д. VIII. 16 Марта 1773 г. Письмо царя Ираклія къ гр. Н. И. Панину.

კადნიერება ესე თქვენდამო მიმალებინა უმეტესმან მწუხარებამან, ვინადგან ძმა ჩემი კათალიკოსი ანტონი და ძე ჩემი ლეონ უმაღლესსა კარს უ̃დ უმდაბლესად ვაახელ, რომლისა სასურველისა ჩემის მოხსენებულის უდიდებულესისა და ყოვლად უგანათლებულესისა, და სრულიად აღუსტას ჩემის მოწყალის კელმწიფისად სავედრებელისა საქმისათვის,—და აქამომდესაც ვერ მივემთხვივე მოწყალების რეზოლუციასა, რომელისათვისცა კვალად მარადის ვარ მავედრებელი არა მე მხოლოდ, არამედ სრულიად ესე ჩვენი საქრისტიანო ქვეყანა წინაშე თქვენის მაღლის ღრაფობის ბრწყინვალებისა დაუგვიანებლობისათვის უმაღლესისა ბრძანებისა.

თუმცა ამის მაღალ კეთილშობილებას და ვექილს საკელმწიფოსა საქმესა შინა ივანე ლვოვს ვკითხავთ ხოლმე,—ეგების ამას უმაღლესისა კარისაგან მოწყალებით მოსცემოდეს რამე რეზოლუცია, მაგრამ პასუხს მაძლევს, რომ ჯერ არაფერი მოხსენებულისა, თქვენის ბრწყინვალებისათვისა ბრძანება არა მომსვლია რა,—და არც უიმისოა, რომ სწუხს. ამ ჟამებში ასტრახნიდამ ძმასა ჩემსა კათალიკოზს ანტონის და ძესა ჩემსა ლეონს ჩემთან თავისი კაცი გამოეგზავნათ, და როდესაც გამოსულიყო სამზღუარს ამა ქვეყანასა—არ მოეცადნა თანწამოსაყოლნი კაცნი, რათა წარმოეყვანათ ფთხილათ და მშვიდობით, თავის თავათ საჩქაროდ წამოსულიყო ჩემთან, და გზაზე დახვედროდნენ ახალციხიდამ თავის საქმისთვის წარგზავნილნი დაღისტანში მცირე რაიმე ქურდნი ლეკნი და დაეჭირათ, და შთავარდა მტრის კელში თავისის ყოვლის წიგნებით, და აწცა არვიცით მართლად საითკენ წაუყვანიათ; და მხოლოდ ესე ვცანით იმ ქვეყნის კაცთაგან, რომელიც იმას ჩვენი ქვეყანა გამოევლო, რომ ჩვენთან მომავალებულიყო ის ჩემის ძმისა და ძის კაცი იმ ამბავით და წიგნებით, რომ ვითამ უმაღლესის კარიდამ მოსვლიყოთ მოწყალების ბრძანება, რათა ასტრახნიდამ ეგენი თვით პეტერბურხს ჩემს უ̃დ მოწყალეს და სრულიად აღუსტას კელმწიფეს უმდაბლესად ხლებოდენ, და ჯერაც არ ვიცით მართლი, იმ კაცის მოუწევნელობისათვის, თუ სად იმყოფებიან ეგენი.

კვალად, რომელი ანათებს ყოველსა ქვეყანასაზედა სრულიად, უმაღლესსა რუსეთის ტახტს და ჩემს ყოვლად მოწყალეს, და სრულიად აღუსტას კმწიფეს

შევვედრებ თავსა ჩემსა და ამ ქრისტიანეთა ქვეყანასაც, რათა მოწყალებით მიიღოს, და თქვენი უმაღლესი ღრაფობის ბრწყინვალება საქმესა შინა შუამდგომელ გვექმნას, რომელს ჭეშმარიტად უეჭველად კიდეც ვსასოებთ დაუგდებლობასა ყოველსა კეთილსა საქმესა შინა თქვენგან, და ვგონებთ არა უმეცნიერნი იქმნებით, ვითარ ჟამითი ჟამად გვემატების ბარბაროზთა თესლთაგანნი ქრისტიანეთა ნათესაობის მტერნი და მარადის გვაყვედრებენ უგუნურობითა თვისითა წარმართნი, მეზობელნი ჩვენნი, რომ დაგდებულნი ვიქმნებით რომელი ანათებს ყოველსა ქვეყანასა რუსეთის ტახტისაგან, და წარმოგზავნილნი ჩემგან ძმა და ძე ჩემი იმყოფება აქამომდისაც ასტრახანს და შეწყნარებულიცა არ იქმნებიანო — ერთბამათ ხედვენ ვითამ ეგ იყოს მის ნიშანი.

ეგრეთვე აქაურნი ამბავნი, ჩვენ და ლეკთ, და ახალციხელთაგან ურთიერთადმი მტრობა და ჩვენის ქვეყნის შეწუხება, და თურამ აქაურნი მოსახსენებელნი საქმენი არიან, ვგონებ ყოვლიფერი უფალ ლეიბ ღვარდიის კაპიტანი იოანნე ლვოვის მიერ წიგნით წვლილად უმდაბლესად მოგხსენდესთ.

სხვა კვალადცა უმეტესის სიმდაბლის ვედრებით თავს გაწყენთ ჩვენის მოხსენებულის წარმართებას: თქვენი მაღალი ღრაფობის ბრწ. ნებისაებრ ყ̃დ დიდებულის და ჩემის სრულიად აღუსტას მოწყალის კელმწიფისას ეცადოს, ჩვენ და ჩვენის ქვეყნის ამდენი სულნი ქრისტიანენი ბარბაროზთ უღლისაგან გამოიხსნას, და გვამყოფოს უმდაბლესი ყმა და მოსამსახურე, მოხსენებულისა მოწყალებით რეზოლუცია დაგვმართოს, და რომელიც წარმოგზავნილნი ძმა და ძე ჩემი არიან, ეგენი მიიღოთ, და რაც მაგათაც ჩვენი დაბარებული საქმე ჰქონდესთ მოწყალებით ჩამოართოთ და მიიღოთ.

16 მარტის დღეს, ჩღოგ წელიწადს. ტფილისის ქალაქი.

70. Д. IX. 27 Апрѣля 1773 г. Представленныя гр. Н. И. Панину царевичемъ Леономъ и катол. Антоніемъ условія, на какихъ царь Ираклій желалъ поступить подъ покровительство Россіи. Пер. т. I. № 143.

ბრძანებული ჩვენდა მეფისა ჩვენისა ირაკლისაგან მოხსენებად თქვენის მაღალის ღრაფობის ბრწყინვალებისა მიმართ, რომელიცა ქვემოწერილთა ამათ პუნქტთა შინა ცხად იქმნების:

მისის იმპერატორობის დიდებულებისგან ყ̃დ უქვემოესად ითხოვს მეფე ჩვენი, რომელ განვთავისუფლდეთ აწვე წარმართთაგან, და როგორც უკაზით ებრძანა მეფესა ჩვენსა საქართველოსი მფარველობასა შინა თვისისა დიდებულებისასა მიღება, რომ ბრძანებული ესე აღუსრულდეს.

მოეცეს ჯარი კაცი რიცხვით ოთხი ათასი რეგულარნი და, თუ სულ რეგუ-

ლარნი არ იქნებოდეს, ნახევარი რეგულარნი და ნახევარი ურეგულო, საკუთრად ჩვენს მხარეზედ, რათა ებრძოდენ ესენი და მეფე ჩვენი ზოგად ჩვენის მხრიდამ ოსმალთა, და როგორც მეფე ჩვენი ისმენდეს ამა თქმულის კორპუსის კამანდირი-სას, ეგრევე კორპუსის კამანდირიც ისმენდეს ჩვენის მეფისას, ვითარცა იქაურთა საქმეთა გამოცდილისასა.

რათა ეგოს მეფობაჲ ქართლისა და კახეთისა უცვალებელად, ვითარცა პირველ ყოფილა და აწ არს, მაგრა მორჩილებასა ქვეშე და მსახურებასა მისის იმპერატო-რობის დ. რუსეთის მონარხისასა—ესე ვითარისა მსახურებითა, რომელიცა ქვემო-აღიწერება.

ეგრეთ კათოლიკოზიცა ეგოს განწესებასავე შინა თვისსა უცვალებელად.

რადგან შეწევნითა ღ̃თისათა და ბედნიერებითა მ. დ. ეგოდენ ტყვენი გან-თავისუფლდნენ ყირიმითგან ქართველნი, რომელ იმათ თავისუფლებაჲ მიეცეს საქართველოდვე წარსვლისა.

როდესაც მისის დ. კორპუსი, საქართველოში მისული, და მეფე ჩვენი ზოგად-ბრძოლობით მტერს ჩვენის სამეფოს ნაწილს, რომელიც დღეს წართმეულია, კვა-ლად წაართმევენ, რაც კორპუსზე ხაზინა დაიხარჯება ამ დაჭერილის ქვეყანიდამ რამდენსამე წელიწადს უკან ისევ საკელმწიფოს ხაზინაში უკუიზღვის.

თუმცა მ. დ. თავისწყენის ვერ კადნიერ იქმნების მეფე ჩვენი, მაგრამ კორ-პუსის გარდმოსვლაში, ჯარის ბარგისა და არტილერიის გადმოტანაში თეთრი იხარჯებოდა, და თვითონ ჯარების შეყრაში ჩვენს მეფეს კმასაყოფელი ხარჯები დაემართა, თუ რომ ახლა დაგვჭირდეს, როდესაც კორპუსი ჩვენს ქვეყანაში გარდ-მოვა, ამისთვის ხაზინიდამ თეთრი მიეცეს სესხათ, და ჩვენის ჯარისთვისაც სეს-ხადვე, და ისევ ხაზინისა მიმართ უკუიზღვიოს მეფისაგან ჩვენისა.

ესე ვითარისა წყალობაებისა ჩვენებისათვის, ნიშნად მადლობისა, მოართმევს დიდებულებასა მისსა მეფე ჩვენი ძესა თვისსა რომელსამე და ეგრეთვე რაოდენთამე კნიაზთა, და აზნაურთა შეძლებისაებრ მისისა.

რაც დღეს ჩვენს ქვეყანაში მეტალი არის და ან ამიერითგან იპოვება, და იქი-დამ სარგებელი მოიპოვება — ნახევარი მისისა დიდებულების ხაზინას მიერთმის.

რაოდენიცა ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებელნი არიან ყოველს წელიწადს ამათ-გან თითოს კომლზე თოთხმეტი შაური იმის დიდებულების ხაზინას მიერთმეოდეს.

რაოდენიცა ჩვენს ქვეყანაში რჩეული ცხენი იშოვება — ათოთხმეტი ცხენი ყოველს წელიწადს იმის დიდ—ებას მიერთმეოდეს.

როდესაც მძლავრებით სპარსნი ფლობდეს საქართველოსა ზედა, ორს წელი-წადში ერთჯერ, ცხრას ტყვეს წაართმევდიან და გლეხის თითოს კომლზე ათოთ-ხმეტს შაურს მოჰკრეფდიან ამავ ტყვეების სახმარისათვის, და კვალად ორმოც და ათს საპალნეს რჩეულს ღვინოს თავიანთის ხარჯით წაიღებდნენ საკელმწიფოდ, და ახლა ჩვენ რიცხვით ორიათას ვედრას ჩვენის ქვეყნის რჩეულს ღვინოს ყიზ-ლარს საკელმწიფოდ ყოველს წელიწადს ჩვენის ხარჯით მოვიტანთ.

როდესაც იმისის დიდებულების კორპუსი გარდმოვა ჩვენს ქვეყანაში და იმათის შეწევნით სხვის ადგილების დაპყრობამდენ [ესე იგი ოსმალთაგან წართმეულის ჩვენის სამეფოს ნაწილებისა], რომელსაც დღეს ქვეყანასა ზედა უფლობს [მეფე ერეკლე] აქათგან თქმული აღთქმულნი მიერთვას მ. იმპ. დ., და როდესაც წართმეულს ადგილებს დაიპყრობს ძალითა მისის დიდებულებისათა, იქიდგან ქვემოწერილისაებრ ჭმსახუროს მისსა დიდებულებასა: შემდგომად დაპყრობისა ოსმალთაგან ჩვენის წართმეულის ადგილებისა იმ ახალ დაპყრობილთა ადგილთაგან მიერთმეოდეს ხარჯი საკელმწიფოდ რაოდენსაც რუსეთში სოფლების პატრონების გლეხნი აძლევენ—იმის ნახევარი.

თუ კახეთის მამულები, რომელიც წართმელი აქვს, დაიპყრობს ბედნიერებითა დიდებულებისა მისისათა, იმათგანაც თქმულისაებრ თვითოს გლეხის სახლითგან ათოთხმეტი შაური საკელმწიფოდ მიერთმეოდეს ყოველს წელიწადს, და კვალად ორასი ფუთი აბრეშუმი; და თუ ის მამულები მეტს შეიძლებენ, მეტი მოერთმის. კვალად დიდის უქვემოესის ვედრებით ითხოვს იმის დიდებულებისაგან, რომ არ დაშთეს ამის უფრო გრძლად დაუპყრობლად ქვეყანაჲ ახალციხისა, რომელიც ჩვენი ადგილი იყო, და თუ შერიგება იქნება, მაშინაც თურქის საკელმწიფოდ არ დაშთეს, არამედ გამოერთვას, რადგან საქართველოს მიწა არის და მრავალნი ქრისტიანენი არიან მას შინა, და ყოველს წელიწადს მძლავრებით მახმადიანად მრავალს გარდააქცევენ.

როდესაც მისის დიდ. ბედნიერებით ჩვენი ქვეყანა წარმართთაგან განთავისუფლდება და დამშვიდდება, მაშინ ჩვენის მამულიდამ, ქონებულისა და ახალ დაპყრობილიდამ, მიართვამს იმის დიდებულებას გლეხის სახელზედ სალდათს რაოდენსაც სულზე რუსეთი აძლევს.

თუ შეწევნითა ღვთისათა და ძლიერითა საჭურველითა მისის დიდებულებისათა სხვა და სხვა მტრის მამული დაიჭირება მისის დიდებულების კორპუსის და ზოგად ჩვენის მეფის ბრძოლითა,—ის დაპყრობილი ადგილები ნებასა შინა მისის დიდებულებისასა იქნების.

ანტონ კათოლიკოსი საქართველოჲსა.

საქართველოს მეფის ირაკლის ძე ლეონ.

ჩღოგ წელსა, აპრილის კზ რიცხვსა.

71. Д. VIII. 23 Іюня 1773 г. Письмо царя Ираклія къ гр. Н. И. Панину. Пер. т. I. № 162.

მე თქვენი გრძელად წერილით მარადის თავისწყენა უნამეტნავესად მეზარება, მაგრამ საქმენი მაიძულებენ, და რაც საქართველოებისს უწინდელნი და ახლან-

დელნი გარემოებანი მოქმედებენ, და ცხადად ჩანან, ესენი თქვენდამი მოჴსენებისა თანამდებობასა მაძლევენ, და ესე არს მიზეზი.

აწ მოიხსენოს თქვენმა მაღ. ღრ. ბრწ., რომ რასაც დროს მათის ყოვლად დიდებ. დიდის ალვისტოს ნებისაებრ ბძანება თქვენის პირველის წერილით გამოგვეცხადა, რომელიცა ყოველთა საქართველოთა მეპატრონეთა სახეთა მომართ გებძანათ წვევა მტერობისა თურქთა მიმართ, ვგონებთ, რომ, თუ ჩემს უბედურებას არ უმოქმედებია და ჩემს მტერს ვისმე სხუებრ არ გაუსინჯებიათ თქ̂ჳნთვის, რომ კარგად მოჴსენებული გქონდესთ, მასაქეთ თუ ვითარი მტერობა არს ჩვენსა და თურქთა და დაღისტნელთა ლეკთა შორის. იუწყოს თქ̂ჳნმან მაღ. ღრ. ბრწ. ესენი უწინარეს ამისა, რომ ჩემდამო მტერნი იყ̂ნენ, მაგრამ თურქთა, თუ არ სპარსეთის აშლის მიზეზით, ჩვენთან მტერობა არა ჰქონებიათ მოქმედებითა, თუ არ გონებითა. რა შაჰნადირმა ისინი საქართველოდამ ძალითა გაყარა, ეგების რომ ჩვენთვის ლეკებს ტყვე მოეტაცოს ქურდობით მცირეს კაცისა და ის ახალციხეს გაეყიდნოს, ისიც დათვარვითა, თვარემ სხვა მტერობა არ გამოუჩენიათ ჩვენდა მომართ; მაგრამ ახლა განცხადებით და ყოვლისფრით გამოჩენით, თავიანთ სარწმუნოებისა და შჯულის შურით, გუმტერობენ, და ეგრეთვე ჩვენც ვმტერობთ, და რაც შეძლება გვაქ̂ს ვაწუხებთ; და ამ ჩვენის წუხებით აქეთის მკარისა თურქის სულთანის შემწედ ბევრი კაცი აღარვინ მიდის, და რომ იბარებენ აქეთს კაცს მისაშველებლად, მიზეზად ჩვენ გუდებენ, და უმრავლესნი ამ მიზეზით აქეთვე რჩებიან; თუ რომ ისინი როგორც იბარებენ აქეთის მკრის ჯარსა სრულებით მიდიოდენ, უმეტეს მტერობას ვაჩვენებდით.

ეგრეთვე დაღისტნელნი ლეკნიცა რისაც შემძლებელნი არიან, უმეტეს შეძლებისა შეწევნას და ძალს აძლევენ თურქთა, და ჩვენ რომ იმ დაღისტნელს ლეკებთან ზოგთან დაუხარჯავად გუქონდა შერიგება, და ზოგთან დახარჯვითა, და ზოგთა, რომელთა მიმართ გ̂აქუნდა მტერობის რიგი, თუმცა მრავალნი იყ̂ნენ იგინი, მაგრამ რითაც იყო ჩვენის საქმის წარმართებას ვცდილობდით; და რომელიც საქმის დაწყობილება გვქ̂ონდა ან თურქთან, ან ლეკთან, ახლანდელის გარემოებით, რადგანც დაიხსნა, დადგა ახლა. ამის გამო უმეტეს ყოვლითურთ რისაც შემძლებელნი არიან ჩვენდა მომართ მტერობას მოქმედებენ. წარსრულსა წელიწადსა მ. იმპ. დიდ. არმიისა და თურქთ სულტანის ჯარს საშუალ რომ ბრძოლა დაეყენა დრომდე შერიგებისა და შეურიგებელობისა გარდაწყვეტისა, მაშინ კიდევ ახალციხის მკრიდამ და ყარსის მკრიდამ, თანშეერთებითა დაღისტნელთ ლეკთათა, დაუცხრომელი მტერობა გვაჩვენეს, და არ დაიცვეს პირობები დრომდი, რომელიც ზემორე მოგვიხსენებია.

კვალადცა მოიხსენოს თქ̂ჳენმან მ. ღ. ბ. პირველად სპარსთაგან და შემდგომად თურქთაგან ვითარ დაჩაგრულ არის საქართველო, ეგრეთვე მახლობელს დროებში დაღისტნელთა ლეკთაგან ძალდატანებული და შეწუხებული ვართ; მაგრამ რადგან ახლა მომატებული მტერობა აქ̂უსთ თურქთა და ლეკთა, როგორათაც

ზემორე ამავ წერილში გაგვიცხადებია, აწ ამაზედ და ამისთვის, რადგანც მაღლის და უმაღლესის მონარხისაგან სათვარვლისა და წყალობის ნიშანი გუბოძებია, და ეგრეთვე თქვენგან მრავალჯერ იმედი აღგუთქმია, და თქვენის მეოხების სასოებითა უიჭველად ვსასოებთ, და წყალობითაც არს ხედვაჲ თქვენი ჩემდამო, და უმეტესისა ვედრებითა გევედრებით, რომ არ დაგვაგდოთ და თქუენი ჩემდამი კეთილ მოქმედებითისა სასოებისაგან არ მოგვაკლოთ, და რომელიც მ. ი. დ. წინაშე სავედრებელნი და სათხოველნი ჩემს ძმას და ჩემს ძეს ლეონს გამოვატანე, და ეგრეთვე თქვენის მ. ღ. ბ. მიმართაც მეოხებისა ვედრებანი მოგახსენე, — ესენი ყოვლად უგანათლებულ. დიდის მონარხისაგან მოწყალებით უფროს ამისა აღარ დაგვიგვიანდეს, წყალობით სავსე რეზოლუცია გვებოძოს, და უ̃დ მოწყალის დიდ. ჴელმწ. მოწყალებითა და შუამდგომელობითა თქუენითა ჩვენის მწუხარებისაგან განვთავისუფლდეთ. სხუანი აქაურნი საქმენი და ჰამბავნი ძმისა ჩემისა და ძისა ჩემისა პირით წყალობით მოისმინეთ.

შ̃დ ამ წიგნების დაწერისა უგან:თლებულესს იმერეთის მეფეს სოლომონს და მე შეურა მოგვივიდა და ერთობის წერილი [დავსწერეთ], რომელიც დავბეჭდეთ ორთავე და მოგართვით. მე მაშინვე დადიანის და გურიელის შემოერთება ვურჩივე ბრძანებისაებრ მ. ი. დ., მაგრამ არ მოაკდინეს, და მე, რომელიც შეერთების წიგნი დამიბეჭდავს მეფე სოლომონთან საზოგადოდ მტერზე, ჩემის შეძლებით, ყოველთვის დავიცავ იმის ძმობასა, და რაოდენ შემიძლია ვიქმნები აღმასრულებელი, და ეგრეთვე თვით მეფე სოლომონ მოვალე არის საზოგადოსა მტერზედა, და ესენი ყოველი შეიძლება სასოებითა ყოვლად უგანათლებულესობისა ყოვლად მოწყალისა ჴელმწიფისა ჩვენისა დედობრივისა მოწყალებისა სასოებითა; და თუ უნდა მეფე სოლომონ ჩემთან სწორეთაც არ დადგეს, მე კიდევ ჩემის შეძლებით, როგორც პირობა მომირთმევია, მტერზე არ დავშალო მტერობა. და შემდგომად მდაბლის მოხსენებითა კიდემ ვითხოვ ჩემის მოხსენებულის რეზოლუციას, ნებისაებრ მ. ი. დ. წინაშე, რომელიც ჩემს ძმას და ჩემს შვილს ლევანს გამოვატანე.

წელსა ჩღოგ, ივნისის კგ.

72. Д. Х. 27 Іюля 1773 г. Союзный договоръ, заключенный между царями Ираклiемъ и Соломономъ, и присланный ими къ гр. Н. И. Панину для представленія имп. Екатеринѣ II. Пер. т. I. № 170.

ვითარცა გვაქვს უმეტესი მორჩილება და უგულსმოდგინესი ს̃დ ყმობისა მოცემულობა სრულიად უგანათლებულესის დიდის ჴელმწიფისა ჩვენის იმპერ. ეკატერინა ალექსის ასულის და თვითმპყრობელის სრულიად რუსეთისას, ჩვენ, სა-

ქართველოსა და კახეთის მეფე ირაკლი და სრულიად იმერეთის მეფე სოლომონ, ს̃დ უგანათლებულესის მათის იმპ. დიდებ. დედობრივის ბძანებით ამ ვალდებულობისა ჩვენის ჴელწერილობით ურთიერთას შორის მეგობრობისა პირდაუფერებლობით დადგინებულობას ვაწესებთ: საერთოსა შურის მეძიებელის ქრისტიანეთა მტერთა ზედა მოქმედებად და ვალდებულებისა მებრ ურთიერთას შორის გულს მოდგინებით შესაწევნელად, როგორც ამ ქვემორე პუნქტებში ვრცელად აცხადებს:

ა) ყოველნი, რომელნი ამას წინათ ურთიერთას შორის გულნაკლულევანება ერთმანეთში გვქონდა,—საუკუნოდ დაუტევებთ.

ბ) პირ-და-პირ შურის მეძიებელის სრულიად რუსეთის იმპერიის და ს̃დ ქრისტიანეთა მტერთა ზედა, რომელ არს ურუმისა და ყოველთა, რომელნიც იმათონი შემწენი არიან, რაც უნდა ხალხი იყოს, რომელსაც ჩვენ მოვსწუდებოდეთ და შეიძლებოდეს ყოვლისფრით ჩვენის შეძლებით და ძალით სწორესა ჩვენის სიმართლით,—იმათზედ მტერობით ვიმოქმედოთ.

გ) ვინიცობა არის რასაც დროს ჩვენს ქვეყანაში მტერი შემოვიდეს, ერთმანერთს მსწრაფლად ჯარით მივეშველნეთ და ყოვლისფრით რაცკი შეიძლებოდეს გავისარჯნეთ.

დ) როდესაც ჯარი ვისმე ჩვენში ერთმანეთს სჭირდეს და რომელმანც მეპატრონემ ჯარი შესაწევნელად ერთმანერთს სთხოვოს, იმ დროს ვისიც ქვეყანა იყოს, იმ ქვეყნის მეპატრონემ იმ ჯარს სურსათი მისცეს და გააძლებინოს; და ვინიცობა არის ჩვენ ორნივ მეპატრონენი ჯარებით მტრის ქვეყანაში შევიდეთ, იმ ჟამს ყოველმან მეპატრონემან თავ-თავის ჯარს სურსათით, თუ სხვით რითმე, თვითონ ჩვენ ჩვენის შეძლებით გავაძლებინოთ.

ე) დღეის იქით დამნაშავე ჩვენზედა, რაც უნდა რიგი კაცი იყოს ჩვენნი ყმანი თავადნი, თუ აზნაურნი ერთი ერთმანერთს, თვინიერ ნებით გარდასახლებულნი ორსავ მჴრიდამ, გლეხი, თუ სხვა, დაუყოვნებლივ მივსცეთ.

ვ) ვინიცობა არის, რომლისაგან მარადის ღმერთმან დაგვიცვას სწორედ, ჩვენსავე ქვეყანაში ერთი ერთმანერთისაგან შფოთი აღიძრას, ვისგანც უნდა იყოს, მაშინვე ერთმანერთს მივეშველნეთ, და რითაცკი შეიძლებოდეს ისე დავაწყნაროთ, თუ გინდა ჩვენი ძმაცა და შვილიც იყოს, თუ უსამართლოთ იყოს, ისინიც დავაწყნაროთ და ავად მოვეპყრათ, ამისთვის, რომ ის უბედურება იმ ქვეყნისაგან ამოიგდოს და აღარ მოძრაობდეს.

ზ) დასასრულსა ამისისა, ვინათგან ყოველივე საქმენი დროსა და სწორესა ჟამსა წინაშე საერთოსა მტრის ვალდებულობისამებრ შემწეობით უნდა წინაუძღვეთ, ამისთვის რომ იმ დროს რიცხვით ჯარის განწესება ჯერ არ შეგვიძლიან, და ამა ყოველსა დაუტევებთ მომავალსა მშვიდობისა და კეთილის დრომდის; და უნდა ვეცადნეთ, რათა ჟამითი ჟამად ერთი ერთმანერთს სიყვარულობით და ერთობით, სწორისა და პირდაუფერობლობისა, კაის რიგით აღვასრულოთ, და მივსცეთ კეთილი რიგი; და სრულიად ესე ზემოხსენებულნი პუნქტები სწორესა ჩვენის

ქვეყნის მშვიდობისათვის, არათუ ჩვენს ამ ქვეყნის მოვლისა და მეპატრონებისა ჟამსა შინა იმოქმედოს, არამედ ვამტკიცებთ, რათა ჩამომავლობამანცა ჩვენმან უთუოდ და უცვალებელად ეს პუნკტები კეთილად აღასრულონ, და არც უნდა ერთმანერთს ასე საქმე გაუჭიროთ, რომ იმის მიზეზით ის პუნკტები დაირღვას, რომელსა შინა შეგვეწევის ჩვენ ღმერთი უფალიც, და რათა ძალნი ესე მოქმედებანი, რომელნი დაგვიდგინებიან ურთიერთთა მეგობრობის და სიყვარულობისა შესაწევნელნი პუნკტები, ჩვენ ყოველმან და ჩამომავლობამანცა ჩვენმან უნდა უკეთესისა და სწორის საქმითა ყოველს შინა დაურღვეველად დაიცვან, და ან განწესებულობისა რიგითა გულსმოდგინებით იქცეოდეს და ირჯებოდენ.

უ̃დ უმდაბლესად ვითხოვთ ჩვენ თქვენის მაღლის ღრაფობის ბრწყინ., რომ ეს პუნკტები მის დროს მათს იმპ. დ. და ჩვენს დიდებულს მფარველს სრულიად უმაღლესის გასასინჯავად უმდაბლესის მირთმევით ღირს გვყოთ, რომელი ჩვენ ეს ჟამსა აქ ჩვენთან ვექილი მათის იმპ. დ. საქმესა შინა ლეიბ ღვარდიის უფლის კაპიტანის ლვოვის ყოფნასა შინა ჩვენის ბეჭდით დავბეჭდეთ და სწორედ ჩვენი ხელი მოვაწერეთ, და წარმოსაგზავნელად თქვენის მაღალის ღრაფობის ბრწყინვალების წინაშე ამას მივართვით. ივლისის დღესა კზ, ჩღოგ წელსა. სანგარსა შინა, სიახლოვესა სოფლისა მავდარასა.

მეფე ქართლისა და კახეთისა
ერეკლე
(ბეჭედი)

სრულიად იმერეთის
მეფე სოლომონ.
(ბეჭედი)

73. Д. XI. 1 Сентября 1773 г. **Представленіе отъ царей Ираклія и Соломона имп. Екатеринѣ II.** Пер. т. I. № 176.

უ̃დ მოწყალისა კელმწიფობისა თქჳ̃ნისა მსასოებელნი მივიღებთ კადნიერებას და საჭიროცა არს ჩვენდა მოხსენებად აწინდელსა აქაურთა საქმეთა გარემოებისა, რათამცა მოვახსენნეთ თქჳ̃ნის იმპ——ს დიდ——ბასა, რომელიცა ორთავე ერთობა და სიყვარული ამადროს, სამსახურისათვის და ბრძანებისათვის თქჳ̃ნის იმპ — ს დიდ., განვაახლეთ და დავამტკიცეთ, რომელიც ღვარდიის კაპიტანის ლვოვის თანდასწრებით წარსულს აგვისტოში უმაღლესს კარს მოვახსენეთ, და მოხსენებულისა ჩვენისაებრ, რაოდენ შეიძლებოდა ჩვენგან ჯარები გავიკეთეთ და ახალციხის ქვეყანაში შევედით, და, უ̃დ ძლიერის ღ̃თით და თქვენის ბედნიერობით, რაც მტერს დააკლდებოდა, სრულის ცდით ვეცადენით მათს აოხრებასა, და არა მცირედი მიიღეს ვნება. კვალადცა მოხსენდეს უ̃დ უგან—ბასა იმპ—ბისა დიდ—ბისა თქვენისასა: ვინაიდგან უბედურობა ჩვენი გვეწია მიზეზითა უდიდესისა სნეულებისა გამო, მსწრაფლად უკუმოქცევა შეგვემთხვა, რომ მოხსენდება უმაღლესსა კარსა უ̃დ

მოწყალისა თქჳ̃ნისასა, და უკეთუ ამა სამძიმოსა ჩვენსა მიზეზსა არ მივცემულვიყავით და მცირედსა დროსა მტრის მამულში დაგვცალებოდა, უდიდეს ვნებასა და ოხრებასა მიიღებდნენ, მაგრამ კვალადცა გვაქვს იმედი ყ̃ დ ძლიერისა ბედნიერობისა თქვენისა ყ̃ დ უდიდ—გან, რომ თავთავის დროს რაოდენად შევიძლებთ თქვენის მოწყალებით მტრის მტერობა არც დაგვიკლია და არც დავაკლებთ. აწ ვითხოვთ უდიდესისა და უმდაბლესისა ვედრებით ყ̃ დ მოწყალებისაგან თქვენისა, ვინადგანცა თქვენი იმპ—ბის დიდ—ბის ელვარე გონება ჩვენის და ჩვენის ქვეყნების გარემოთა სრული მეცნიერი ბძანდება, ყოვლითურთ და ყოველსა შინა დაუგდებელნი და დაფარულნი [ვიყვნეთ].

1773 წ. დეკემბერსა ა. ტფილისის ქალაქსა.

74. Д. VII. 1 Декабря 1773 г. Письмо царей Ираклія и Соломона къ гр. Н. И. Панину. Пер. т. I. № 175.

თქვენის მაღლის ღრაფობის ბრწყინვალებისათვის მოგვიხსენებია წარსრულს აგვისტოს რომელიც ჩვენ შორის ერთობა და სიყვარული დამტკიცდა თანდასწრებით ღვარდიის უფლის კაპიტანის ლვოვისათა, და როგორადაც თქვენდამი მოგვეხსენებინა ოსმალთა ზედა მტერობა, შეძლებისამებრ ჩვენისა გვემოქმედებინა: რაოდენ ჩვენგან შეიძლებოდა ორნივე ვეცადენით ჯარის გაკეთებასა და მივედით ახალციხის ქვეყანასა და მამულსა შინა, და რაოდენ იქ დავგვეცადა ყ̃ დ ძლიერის ღვთის იმედით და მათის იმპ. დიდ. კმასაყოფელი ვნება მიიღო მტერმან და მათმა ადგილებმა წარმოტყვევნვით, და სიკუდილით, და დაწვით და დაქცევით, და უკეთუ უბედურობისაგამო სნეულება საწინააღმდგოდ არ აღგვჩენოდა, მტერნი უდიდესსა ვნებასა და ოხრებასა მიიღებდნენ, მაგრამ მტრის მამულში მცირედნი დღენი დავჰყავით, და ამ დროს ამით გარდარჩნენ უმეტესსა უბედურობასა. თუმცაღა იმათაც მომშველნი აზრუმიდამ და ყარსიდამ, და სხვას ადგილებიდამაც ჰყვანდათ, და ლეკიც ყოველთვის ჰყავსთ, მაგრამ ჯერ ღვთის ძალისაგან და მასუკან ჩვენის დიდებ. მონარხის ბედნიერებისაგან ჩვენთან პირდაპირობა ვერ გაბედეს და თუ ზაფხული ყოფილიყო, თავიანთთვის მომშველებელს უმეტესს იშოვიდნენ; და სხვა აქაურნი გარემონი საქმენი ყოვლითურთ ივან ლვოვის უფლის კაპიტანისაგან მოგხსენდებოდათ. ეს კჳ̃ალად იუწყოს თქვენმა მაღალ ღრაფობის ბრწყინვალებამ, რომ რაოდენ შეგვძლებია თავ-თავის ჟამზედ და დროზედ თურქთა მიმართ მტერობა არ დაგვიკლია და არც შემდგომად ჩვენის შეძლებით დავდგებით მათის მტერობისაგან.

შემდგომად შევვედრებთ თავთა და ქვეყანთა ჩვენთა თქვენის მაღ ღრაფ. ბრწყ. მომართ, რათამცა დაუგდებლად გვაქჳ̃ნდეს მეოხება თქვენი მ. დ. იმპ. წი-

ნაშე, რათამცა მათმა უ̃დ მოწყალებამან ამდენის სულის ქრისტიანებისთვის ხანგაუგძლელად ამავე დროსა ინებოს ამათი მტრისაგან მორჩომა და თავისი უ̃დ მოწყალებისა საფარველითა ამათი გულნი დაიფაროს და მშვიდობის განსვენებაში შეიყვანოს თავისის დღეთა სიგრძისათვის. საქართველოთა და საიმეროთა მეფენი ერეკლე და სოლომონ.

1773 წელსა, 1 დეკენბერს. ტფილისის ქალაქი.

75. Д. VIII. 24 Августа 1774 г. Представленіе отъ царя Ираклія имп. Екатеринѣ II.

თ. ი. დ. მოწყალებით ჩემი ძმა კათალიკოსი და ძე ჩემი ლევან მშვიდობით მოვიდნენ, რომლისათვისაცა ვმადლობ უ̃დ მოწყალებასა თქვენსა. უდიდესო, უ̃დ მოწყალეო კელმწიფევ, კვალადცა ვსასოებ მოწყალებასა თქ̃უენსა, მაგრამ აწმყოსა დროსა ვიმყოფები მგლოვარისა და მწუხარისა გონებითა მე, მონა თ. ი. დ. შევრდომით გევედრები რომელიც ამ არზით თქვენის უ̃დ უგანთლებულესობის დიდის კელმწიფობისათვის მდაბლად მოგვეხსენებინოს, მოწყალებით აღიძრათ ჩვენდამო და წყალობით მოისმინოთ:

უ̃დ მოწყალეო დიდო მონარხო, ამავ დროებში ვსასოებდით რომელნიც ჩვენნი მოხსენებულნი ნუყდანი იყვნენ თ. ი. დ. მიმართ—იმათს სრულს რეზოლუციას მივიღებდით და საუკუნოდ ჩვენს ჩამომავლობას და ჩვენს ქვეყნებს ყოვლის მტრისაგან გამოვიხსნიდით მცირისა რომლისამე მოწყალებითა თქვენის უ̃დ უგანათლებულესობისათა, რომელიცა ჩვენ ფრიად და დიდ-მიზეზ გვექმნებოდა მტერთაგან თავისუფლების მიღებისა, რომლისაცა თ. ი. დ. სრულიად დაუსაკლისის საქმით აღგვისრულდებოდა, და ესეცა უიჭველად ვიცოდით, რომ თ. დ. სატახტოს არა მცირედნი შესამატნი გამოჩნდებოდენ და თქ̃უენის უ̃დ მოწყალის მცირედის წყალობისა ჩვენზედა გამობრწყინვებით ჩვენნი გარეშემონი მტერნი ყოველნი შეშინდებოდნენ და დაიჩაგროდნენ. მაგრამ ვინადგან ამა დროსა ჩემმა უბედურებამ დააგვიანა, ამაზედ კვალადცა ვმადლობთ უ̃დ ძლიერსა ღმერთსა, — ნება ყოვლად დიდებულობისა თქვენისა იყოს.

რომელიც იმედიანი წყალობის უქაზი კათალიკოზისა და ძისა ჩემისა ლეონისათვის გამოგეტანებინათ და ჩემ მონისა თქუჱნისათვის გებოძათ—მივიღე და ვსასოებ მოწყალებითა თქვენითა არ დამაგდოთ, და ჩემი უერთგულესის გონების თქვენის სამსახურის სურვილიცა და, თუ რამ მიმსახურია თქვენს უმაღლესს კარს, არ დამიკარგოთ. ამაზედ სრულის ვედრების ხმით გევედრები თქვენს უდიდესსა და უმაღლესსა მონარხობასა, და ეგრეთვე ოსმალთ პორტის სულთანის შერიგებაშიაც რაგვარადაც გიბძანებიათ, იმ რიგად დაუვიწყრად იმ წყალობით გვიპ-

ურათ. შემდგომად კვალადცა მივიღებ მდაბლად კადნიერებას წინაშე თ. ი. დ. რომელნიცა საკედრებელნი უპირველესისა მინისტრისათვის გამომეცხადებინოს, ის მოხსენებული თქვენს უმწვერვალესის უ̃დ მოწყალებით მშვიდობით მოისმინოთ დარაც თქვენის უდიდესის კელმწიფობის ნება იყოს, იმ წყალობით აღგვისრულოთ, და ამისცა მდაბლის ვედრებით მთხოველ ვართ თქვენის დედობრივის უ̃დ მოწყალებისაგან ამ კადნიერებისათვის თქვენი უგანთლებულესი გონება ჩვენზედ წყალობა-ნაკლებად არ შესცვალოთ.

დაიწერა ქალაქს ტფილისს. აგვისტოს 24 დღესა, 1774 წელსა.

76. 24 Іюля 1783 г. Договоръ, постановленный между Ея Императорскимъ Величествомъ [имп. Екатериной II] и царемъ Карталинскимъ и Кахетинскимъ Ираклiемъ Вторымъ. Пер. см. Полное Собр. Законовъ Росс. Имперiи. Т. XXI. Спб. 1831; стр. 1013 — 1017.

არა ერთგზის მიურთმევიათ თხოვაჲ ტახტისადმი ყოვლისა რუსეთის თჳთ-მპყრობელთასა წინაპართა ჩუჱნთა, მეფეთა ქართლისა და კახეთისათა; ხოლო ჰმსგავსად მათსა ტახტისადმი აწ ბედნიერად მმეფობისა იმისის იმპერატორების დიდებულებისა ეკატირინა მეორისა, იმპერატრიცასი და თჳთ-მპყრობელისა ყოვლისა რუსეთისა: მოსკოვისა და სხვ. (როგორც ქვემოთ არის ჩამოთვლილი) მივართჳთ უმდაბლესი თხოვაჲ ჩუჱნ, ირაკლი მეორემან, მეფემან ქართლისა და მეფემან კახეთისა და სხვ. (როგორც ქვემოთ არის ჩამოთვლილი) მიღებისათჳს ჩუჱნისა და მონაცუალეთა ჩუჱნთასა მფარუჱლობასა ქუჱშე იმისის იმპერატორების დიდებულებისასა, და აღსარებისათჳს ჩუჱნკერძო უზენაესისა კელმწიფებისა მისისა და მენაცულეთა რუსეთის საიმპერატორო ტახტისათა ქართლისა და კახეთისა მფლობელთა ზედა, და უკანასკნელ მივიღევით იმისის იმპერატორების დიდებულებისაგან მოწყალებითი ნებაჲ ამასზედა, რომელსაცა დასამტკიცებლად ცხადითა და ორითვე კერძოჲთა მსგავსითა განწესებითა აღვარჩიეთ და სრულისა-ძალისა-მქონებელ ვჰყავით ჩუჱნკერძო საყუარელნი და ერთგულნი ყმანი ჩუჱნნი: კნიაზი იოვანე კონსტანტინოვიჩი ბაგრატიონი, მხედრობისა ჩუჱნისა მემარცხენე სპასპეტი, რომელსაცა აქუნ ჰრწმუნებულ საქმენი ერევნისანი, და კნიაზი გარსევან რევაზოვიჩი ჭავჭავაძე, ჩუჱნი მანდატურთ-უხუცესი და ზედამხედველი ყაზახისა სამთავროჲსა, რომელთათჳსცა მიგვიცია სრული-მინდობაჲ, რათა მისისა იმპერატორების დიდებულებისაგან განწესებულთა სრულის-ძალის-მქონებელთა თანა: რაჲცა განაწესონ, დაამტკიცონ და მოაწერონ ტრაქტატთა მფარველობისათჳს ჩუჱნ ზედა მ—ს იმპ—ს დ—ს და მაღალთა მენაცულეთა მისთასა, და ჩემმიერ აღსარებისათჳს უზენაესისა კელმწიფებისა ყოვლისა რუსეთის თჳთ-მპყრობელთასა

ქართლისა და კახეთის მეფეთა ზედა აღვსთქუამ ჩუჱნისა მეფობითისა სიტყჳთა, რომ კეთილად მივიღებ და უიჭუჱლად აღვასრულებ ყოველსა მას, რაჲცა კნიაზ იოანე ბაგრატიონისა და კნიაზ გარსევან ჭავჭავაძისაგან, ძალითა აწინდელისა სრულისა-ძალისა-მქონებლობისათა, აღითქმიან, განიწესებიან და მოიწერებიან,— ესრეთვე მიეცემისცა ამათზედა რატიფიკაციაჲ ჩუჱნი განწესებულსა დროსა, რომლისაცა დასარწმუნებლად ამას სრულსა-ძალსა ჩუჱნ საკუთრითა ჴელითა ჩუჱ-ნითა მოვაწერეთ და უბრძანეთ დამტკიცებად სამეფოჲთა ბეჭდითა ჩუჱნითა. მიეცათ სამეფოსა ქალაქსა ჩუჱნსა ტფილისს, ივნისის 28 დღესა, წელსა შობით-გან ქ͞ესით 1783, ოცდა მეათცხრამეტესა წელსა მეფობისა ჩუჱნისასა.

ერეკლე.

თავადი დავით ორბელიანი

თავადი ქაიხოსრო ჩოლაყაშვილი.

ყ͞დ უგანათლებულესი უთჳთ-მპყრობელესი დიდი ჴელმწიფე იმპერატრიცა ეკატერინა ალექსიევნა, მპყრობელი ყოვლისა რუსეთისა: მოსკოვისა, კიევისა, დიმირისა, ნოვოღოროდისა, მეფა ყაზანისა, მეფა ასტრახანისა, მეფა სიბირისა, ჴელმწიფა პსკოვისა და დიდი მთავრინა სმოლენსკისა, მთავრინა ესტლანდიისა, ლიფლანდიისა, კორელისა, თვერისა, იუღორსკისა, პერმსკისა, ვიატკისა, ბოლ-ღარიისა და სხჳათა, ჴელმწიფა და დიდი-მთავარინა ნოვოღოროდისა, ნიზოვისა ქუჱყანათა, ჩერნიგოვისა, რეზანისა, როსტოვისა, იაროსლავისა, ბელაოზერისა, უდორისა, ობდორისა, კონდიისა და ყოვლისა ჩრდილოეთისა კერძოთა, მბრძანე-ბელი, და ჴელმწიფა ივერიისა ქუჱყანისა, ქართლისა და საქართუჱლოსა თავადთა და ყაბართოს ქუჱყნისა, ჩერქეზთა და მთიულთა თავადთა და სხჳათა.

მემკჳდრე ჴელმწიფე და მფლობელი ირაკლი მეორე წყალობითა ღ͞თისათა და თქუჱნის იმპერატორების დიდებულების კეთილ-ნებობითა მეფე ქართლისა, ვლამეფე კახეთისა, მემკჳდრე მფლობელი სამცხე-საათაბაგოსი, მთავარი ყაზახისა, მთავარი ბორჩალოსა, მთავარი შამშადილიისა, მთავარი კაკისა, მთავარი შაქისა და მთავარი შირვანისა, მფლობელი და მბრძანებელი განჯისა და ერევნისა.

თქუჱნმა იმპერატორებისა დიდებულებამან მიიღო ყოვლად უმოწყალესო-ბით თხოვა ჩუჱნი უსამღუდელოესისადმი საყდრისა თქუჱნისა მორთმეული მიღე-ბისათჳს ჩუჱნისა და მონაცუალეთა ჩუჱნთასა ყოვლითა სამეფოთა და სამფლო-ბელოთა ჩუჱნითა ყოვლად უმაღლესსა მფარუჱლობასა შინა თქუჱნსა და მენაცუ-ლეთა საყდრისა თქუჱნის იმპერატორებისათა აღსარებითა კერძოჲთ ჩუჱნით უზენაესისა ჴელმწიფისა ყოვლისა რუსეთისა იმპერატორთასა მეფეთა ზედა ქართ-ლისათა და ყოველთა ზედა სამფლობელოთა მათთა, მონარხობითითა თქუჱნითა ჩუჱნდამო წყალობითა და მოწყალებითა ინებეთ დამტკიცება ახლითა წინდითა,

რომელიცა დამტკიცდა თქუენის იმპერატორების დიდებულების სრულის-ძალის-მქონებლისაგან და ჩუენმიერთა სრულის-ძალის-მქონებელთაგან დღესასწაულობითითა პირობითა, რომელნიცა არიან აქა შემოხმულ ლექსითი ლექსად.

სახელითა ღთისა ყოვლისა შემძლებელისა, ერთისა, სამწმიდაობასა შინა დიდებულისათა!

აღრითგან ერთმორწმუნეობამან ყოვლისა რუსეთისა იმპერიისათანა ქართუელთამან ჴმსახურა მფარუელობითა, შეწევნობითა და შესავედრებელობითა მათ ერთათა და უგანათლებულესთა მათთა მფლობელთათა წინააღდგომად მაჭირვებელთა, რომელთაცა ქვეშევრდომილ იყვნენ იგინი მეზობელთაგან თჳსთა; მფარუელობამან ყოვლისა რუსეთისა თჳთ-მპყრობელთაგან მეფეთა მიმართ საქართუელოჲსათა, ნათესავთა და ყმათა მათთადმი მინიჭებულმან გამოიყუანა მოკიდულებაჲ იგი უკანასკნელთა ამათ პირუელთა მათგან, რომელიცა უფროსღა იჩუენების რუსეთის საიმპერატოროჲსა ტიტლოსაგან. აწ ბედნიერად მმეფობმან იმპ—ბისა მ—სისა დიდ—მან ცხად ყო ერთა ამათ ნამდვილითა სახითა მონარხობითი თჳსი კეთილნებობაჲ და დიდ-სულობითი მსურუელობაჲ კეთილობისათჳს მათისა თჳსითა ძლიერითა მეცადინეობისა მართვითა განთავისუფლებისათჳს მათისა უღლისაგან მონებისა და საყვედრელისაგან ტყვედმიცემისა ვაჟთა და ქალთასა, რომლისაცა რომელნიმე ერნი ამათგანნი მიცემად შეკრულ იყვნეს, და განაგრძელებს თჳსსა მონარხობითსა მოხედუასა მფლობელთა მათდამი,—ჴაზრთათა ამით სიმდაბლედ შთამოსრულმან თხოვასა ზედა უგანათლებულესისა მეფისა ქართლისა და კახეთისა ირაკლი თეიმურაზოვიჩისა, რომელიცა მოღებულ იქმნა ტახტისადმი მისისა დიდებულებისა მიღებისათჳს ყოვლითა მემკვიდრითა და მენაცუელითა თჳსითა და ყოვლითა სამეფოჲთა და სამფლობელოჲთა თჳსითა მონარხობითსა მფლობელობასა ქვეშე მისისა დიდებულებისასა და მაღალთა მემკვიდრეთა მისთა და მოსაყდრეთა უზენაესკელმწიფედ აღსარებითა ყოვლისა რუსეთის იმპერატორთა მეფეთაზედა ქართუელთა და კახეთისათა, ყ̃დ უმოწყალესობით ინება აღდგინება და დამტკიცებაჲ მეგობრობითისა პირობისა ხსენებულისადმი უგანათლებულესისა მეფისა, რომლისაცა ღონედ ერთკერძო უგანათლებულესობა მისი სახელითა თჳსითა და თჳსთა მონაცუალეთათა აღიარებს უზენაესსა კელმწიფობასა და მფარუელობასა მისისა იმპ—ს დიდ—ისასა და მაღალთა მოსაყდრეთა მისთა მფლობელთა ზედა და ერთა სამეფოჲსა ქართლისა და კახეთისათა, და სხუათა სამფლობელოთა შესაბამთა მათდამი, რათა დანიშნულ ჴყოს დღესასწაულობითა და ნამდჳლითა ხატითა შეკრულება თჳსი განსჯითა ყოვლისა რუსეთისა იმპერიისათანა; ხოლო მეორით კერძო დიდებულებაჲ იმპ—ბისა მისისა ესრეთვე შემძლებელ არს, რათა დანიშნულ ჴყოს დღესასწაულობით—თუ ვითარი აღმატებულებაჲ

და სარგებელი მიენიჭების მოწყალისა და ძლიერისა მარჯუჸენისაგან მისისა ხსენებულთა ერთა და უგანათლებულესთა მთავრობელთა მათთა. დასამტკიცებლად ესე ვითარისა პირობისა ინება დიდებულებამან იმპ—სა მის—მან სრულისა ძალისა მქონებლად უგანათლებულესი კნიაზი იმპერიისა ჴრომაულისა გრიგორი ალექსანდროვიჩი პოტემკინი, მხედართა თჳსთა ღენერალ ანშეფი, მბრძანებელი სუბუქისა ცხენოსნისა განსწავლულისა და გაუსწავლებულისა, და სხჳათა მრავალთა სამხედროთა ძალთა, სენატორი, სახელმწიფოჲსა სამხედროჲსა კოლლეღიისა ვიცეპრეზიდენტი, ასტრახნისა და სარატოვისა, აზოვისა და ნოვოროსიისა მოადგილე ჴელმწიფისა, ღენერალ-ადიუტანტი თჳსი და დეისტვიტელნი კამერღერი, კავალერღვარდიისა კორპუსისა პორუჩიკი, ლეიბღვარდიისა პრეობრაჟენის პოლკის პოდპოლკოვნიკი, უპირჱლესი მთავარი პალატისა სამჭურჭლოჲსა ჴელოვნებისა, კავალერი ორდენთა: წმიდისა მოციქულისა ანდრეასი, ალექსანდრე ნევსკისა, სამხედროსა წმიდისა დიდისა მოწამისა გიორგისა და წმიდისა მოციქულთა სწორისა ვლადიმირისა დიდთა ჯუარითა, კოროლთა პრუსიისა შავისა და პოლშისა თეთრისა არწივისა, და წმიდისა სტანისლავისა, შვეციისა სერაფიმთა, დაცკისა სპილოჲსა და ღოლსტინიისა წმიდისა ანნასი, — ესე ვითარითა ჴელმწიფებითა, რათა არუოფისა მუნ თჳსისა აღირჩიოსმცა ნებითა თჳსითა სრულისა-ძალისა-მქონებლად ვისცა კეთილად განსაჯოს მან; რომელმან რომლისათჳს აღირჩია და სრულითა-ძალითა მქონებელ ჰყო მაღალმსჳლელი უფალი მისის იმპ—ის დ—ს არმიის ღენერალ-პორუჩიკი, ასტრახნის ღუბერნიის მხედრობისა მოკამანდე, მ—ს იმპ—ს დ—ს დეისტვიტელნი კამერღერი და ორდენთა რუსეთისათა წმიდისა ალექსანდრე ნევსკისა, სამხედროსა დიდის მოწამის და ძლევაშემოსილის გიორგისა და ღოლსტინიის წმიდის ანნას კავალერი პავლე სერგიევიჩი პოტემკინი.

ხოლო უგ—მან ქართლისა და კახეთისა მეფისა ირაკლი თეიმურაზოვიჩისამან აღირჩია და სრულითა-ძალითა ჰყუნა კერძოჲთ თჳსით ბრწყინვალენი: სამხედროსა თჳსისა მემარცხენე სპასპეტი კნიაზი თავადი იოანე კონსტანტინოვიჩი ბაგრატიონი და მისის უგ—ბისა თავადი გარსევან ჭავჭავაძე, მანდატურთ უხუცესი.

ხსენებულთა მათ, სრულისა-ძალისა-მქონებელთა და შეწევნითა ღ̃თისათა საქმისა მიმართ მიწევნულთა, ნაცვლისა-მგებელთა სრულისა-ძალისა-მქონებლობისა მიერ, მებრ ძალისა მათისა, დაადგინეს და დაამტკიცეს, და მოაწერეს შემდგომთა არტიკულთა, ანუ წევრთა:

არტიკული პირუელი.

უგ—ბა მისი, მეფე ქართლისა და კახეთისა სახელითა თჳსითა, მემკჳდრეთა და მენაცვალეთა თჳსთა დღესასწაულობით უკუნსთქუამს ყოველსა ვალობასა, ანუ ვითარსამე ტიტლოსა ყოვლისაგან მოკიდებულებისა სპარსთასა, ანუ სხჳათა

მპყრობელთასა და ამით ცხად ჰყოფს წინაშე პირსა ყოვლისა სოფლისასა, ვითარმედ არა შერაცხს იგი თჳსზედა და მენაცჳალეთა თჳსთა ზედა სხჳასა თჳთმპყრობელსა თჳნიერ უზენაესისა კელმწიფისა და მფარველობისა მ—ს იმპ—ს დ—სა და მაღალთა მისთა მემკჳდრეთა და მონაცჳალეთა სამღჳთოჲსა ტახტისა ყოვლისა რუსეთისათა, აღმთქმელი ტახტისა მის ერთგულებისა და მზაყოფისა შეწევნისათჳს სარგებლისა საკელმწიფოჲსა ყოველსა შინა შემთხვევასა და დროსა, სადაცა ესე ითხოვებოდეს მისდამი.

არტიკული მეორე.

დ—ბა იმპ—ისა მისისა მიმღებელი უგ—გან მისისა ესოდენისა უზაკველისა აღთქმისა, აღსთქჳამს თანასწორადვე და იმედეულ ჰყოფს იმპ—ბრითა სიტყჳთა თჳსითა თავისა თჳსისათჳს და მოსაყდრეთა თჳსთათჳს, ვითარმედ მოწყალება და მფარველობა თჳსი უგ—სთა მეფეთა ქართლისა და კახეთისათა აროდეს მიელების, რომლისაცა დასამტკიცებლად დიდებულება მისი აძლევს იმპ—ებრსა თავსმდებობასა თჳსსა მთლად დაცჳასა ზედა აწინდელთა სამფლობელოთა მისისა უგ—სა მეფისა ირაკლი თეიმურაზოვიჩისათა და წინადასდებს განვრცელებასა ესე ვითარისა თავსმდებობისასა ეს გუარსა ზედა სამფლობელოსა, რათა რომელნიცა წარმდინარეობასა შინა დროთასა გარემოებითა და განრჩევითითა ხატითა შესაბამად სამფლობელოჲსა მისისა იპოვებიან, პოვნილნი იგი სამფლობელოჲსა მისისა მიმართ დაიმტკიცებიან.

არტიკული მესამე.

განცხადებასა შინა ამის უზაკველობისასა ვითარითა ხატითა უგ—ბა მისი მეფე ქართლისა და კახეთისა აღიარებს უზენაესსა კელმწიფებასა და მფარველობასა ყოვლისა რუსეთისა იმპერატორთასა განიწესების: ვითარმედ ხსენებულნი იგი მეფენი ოდეს იგი მიიწევიან მემკჳდრეობით სამეფოსა ზედა მათსა, მსწრაფლ აუწყებდენ ამისთჳს კარსა საიმპ—როსა რუსეთისასა და ითხოვდენ დესპანთა თჳსთა მიერ სამეფოსა ზედა თჳსსა იმპ—ებრსა დამტკიცებასა ინვესტიტურისა წერილითა, ესე იგი არს ბოვრავი (?), ანუ დროშა ყოვლისა რუსეთისა ღერბითა, მქონებელი საშუალ თჳსსა ჰხსენებულთა სამეფოთა ღერბისა, კრმალი, კვერთხი საბრძანებელი, მანტია, ანუ წარმოსასხმელი ყარყუმისა. ნიშანნი ესე ანუ დესპანთა ერწმუნების, ანუ მესამზღურეთა მთავართა ძლით მიიწევის მეფისადმი, რომელიცა მიღებასა ზედა მუნდასწრებითა რუსეთისა მინისტრისათა თანამდებ არს, რათა იფიცოს დღესასწაულობით ერთგულებისათჳს და გულსმოდგინებისა იმპერიისა რუსეთისა და უზენაეს შერაცხისათჳს კელმწიფებისა და მფარველობისა ყოვლისა რუსეთისა იმპერატორთასა ესე ვითარითა ხატითა ვითარცა დადებულ არს ფიცი იგი არტიკულთა ამათ თანა, წესი ესე თანა აძს აღსრულებად უგ—ლესსა მეფესა ქართლისა და კახეთისა ირაკლის თეიმურაზიჩსა.

არტიკული მეოთხე.

დამტკიცებისათჳს ვითარმედ ჰაზრი მისისა უგ—ბისა განსჯითა ესოდენ მჭირსისა შეერთებისა ყოვლისა რუსეთისა იმპერიისათანა და აღსარებისათჳს უზენაესისა ჴელმწიფებისა ყოვლად უუბრწყ—სის ამის იმპერიისა მფლობელთასა, ვითარმედ არიან უზაკუელ, აღსთქუამს უგ—ბაჲ მისი, რათა უწინარეს თანხმობისა უპირუელესისას მესამზღურისა მთავრისა და მინისტრისა მ—სის იმპ—ის დიდებულების ჰრწმუნებულისა არა აქუნდეს მიწერმოწერაჲ გარემოთა მფლობელთა მიმართ, ხოლო ოდეს იგი მოვალნნ მათმიერ დესპანნი, ანუ წერილნი, ჰყოფს განზრახვასა უპირუელესისა მიმართ მესამზღურისა მთავრისა და მინისტრისა მ—სისა იმპ—ბის დ—სა უკუექცევისათჳს დესპანთასა და შესაფერისათჳს სიტყჳსგებისა მფლობელთა მათმიერ.

არტიკული მეხუთე.

რათა ადგილად აქუნდესმცა ყოველივე იგი საჭიროჲ მიწერმოწერაჲ და თანხმობაჲ რუსეთისა საიმპ—როჲსა კარისა თანა, ჰსურს ამისთჳს უგ—სა მისსა მეფესა ირაკლის, რათა ჰყვისმცა წინაშე კარისა მის მინისტრი, ანუ რეზიდენტი; ხოლო დიდებულება იმპ—სა მისისა, მოწყალებით მიმღებელი მისი, აღსთქუამს, ვითარმედ იგი კარსა ზედა მისსა მიღებულ იქმნების რიცხუსა შინა სხუათა მფლობელთა მინისტრთა თანაჰსწორითა ნიშნითა თჳსითა, და გარდა ამისსა ჰნებავს, რათა კერძოჲთცა თჳსით ჰყუესმცა მინისტრი რუსეთისა წინაშე მისისა უგ—ბისა.

არტიკული მეექუსე.

დ—ბა იმპ—სა მისისა მიმღებელი კეთილ-ნებობით აღსარებისა უზენაესისა ჴელმწიფებისა და მფარუელობისა სამეფოთა ზედა ქართლისა, კახეთისა და საქართუელოჲსათა, აღჰსთქუამს სახელითა თჳსითა და მოსაყდრეთა თჳსთათა: პირუელად, ერთა მის სამეფოჲსათა შერაცხს ყოფად მჭირსითა კავშირითა სრულებითა თანახმად იმპერიისათანა თჳსისა, მაშასადამე, მტერთაცა მათთა შეჰრაცხს მტრად თჳსსა, რომლისთჳსცა პორტის ათამანისათანა, ესე იგი ხონთქრისა, ანუ სპარსეთისა, ანუ სხუათა მპყრობელთა და სამფლობელოთათანა მშვიდობაჲ დამტკიცებული სათანადო არს, რათა განგრძელდეს დიდებულებისა მისისა და საფარუელთა ერთაცა ამათ ზედა; მეორედ, უგ—სსა მეფესა ირაკლის თეიმურაზოვიჩსა და სახლისა მისისა მემკჳდრეთა და მენაცუალეთა და ტომთა დაიცავს უცუალებელად სამეფოთა ზედა ქართლისა და კახეთისათა; მესამედ, შინაგანსა ჴელმწიფებისა მმართებელობასა თანაშეუღვლითა მსჯავრსა და სამართალსა, და შეკრებასა მისაცემელისა ხარკისასა დაანებებს მისსა უგ—სა მეფესა სრულსა შინა ნებასა და სარგებელობასა მისსა, და დააყენებს მთავართა სამხედროსა და სამოქალაქოსათა აღრევად ვითარისაცა იყო განწესებაჲ ერთა მათ ხსენებულთა.

არტიკული მეშვიდე.

მისი იგი უგ—ბა მეფე, ღირსთანამდებობითითა კრძალულებითა მიმღე-ბელი ესოდენ მოწყალებითისა იმედოვნებისა მისისაგან იმპ—ს დ—სა, აღჰსთ-ქუამს თავისა თჳსისა და ტომთა თჳსთათჳს: პირუელად, რათა იყოს ნიადაგ მზაჲ სამსახურსა ზედა მ—სა დ—სასა მხედრობითა თჳსითა; მეორედ, მთავართა-დმი რუსეთისათა, რათა იქცეოდესმცა სამართლისობათა მიწერ-მოწერითა რაჲცაღა თჳსეუვის მისისა იმპ—ის დ—ისა სამსახურსა, და ხმაჴყოფდეს თხოვათა მათთა, და ყმათა მისის დ—ისათა სცვიდეს ყოველთაგან განსაცდელთა და შეიწრო-ებათა; მესამედ, განწესებასა შინა კაცთასა თჳსისა სამფლობელოჲსათა ადგილთა ზედა და აღყვანებასა ზედა მათსა ხარისხთა შინა, ანუ აღსავალთა რომელთამე, რათა უსაკუთრესად იხუმნოსმცა უდიდესობაჲ მსახურებისათჳს რუსეთის იმპე-რიისა,—ესე ვითარსა პატივისცემასა ზედა მოკიდულ არს განსუენება და ბედ-ნიერება ქართლისა და კახეთისა სამეფოსაჲ.

არტიკული მერვე.

დასამტკიცებლად უსაკუთრესისა მონარხიულის კეთილნებობისა მისის უგ—სა მეფისადმი და ერთა მიმართ მისთა, და უმეტესისა შეერთებისა რუსეთისა თანა ამათ ერთმორწმუნეთა ერთა თანა, ინებებს მისი იგი დიდებულებაჲ, ვითარ-მედ კათალიკოზსა, ანუ უმთავრესსა არხიეპისკოპოზსა მათსა, რათა აქუნდეს ად-გილი რიცხუთა შორის მღუდელ-მთავართასა მერვესა შინა ხარისხსა, ესე იგი არს შემდგომად ტობოლსკისა, და ყოვლად უმოწყალესობით მიუბოძებს მას ნიადაგ ტიტლოსა უწმინდესისა სინოდის ჩლენობისასა, ხოლო მართებისათჳს საქართუ-ლოჲსა ეკკლესიათასა და მიწერ-მოწერათასა, თუ ვითარი სათანადო არს რუსეთისა სინოდისადმი,—ამისთჳს უკუჱ დაიწერების სხუა არტიკული.

არტიკული მეცხრე.

განვრცელებისათჳს მოწყალებისა თჳსისა ყმათადმი მისისა უგ—სა მეფი-სათა, თავადთა და აზნაურთათჳს, განაწესებს დ—ბა იმპ—სა მისისა, ვითარმედ ყოველნი იგი ყოველსა შინა ყოვლისა რუსეთისა იმპერიასა იქმნებიან ესრეთ მსარგებლებელ ყოვლითა მით უპირატესობითა და სარგებელითა, რომელნიცა შეეფერებიან რუსეთისა კეთილშობილთა. ხოლო უგ—ბა მისი მიიღებს მადლო-ბით ესოდენ მოწყალებითსა ყმათადმი მისთა სიმდაბლით შთამოსუჱლასა და შეიკრ-ვის წარგზავნად კარისადმი მისისა დიდ—ბისა ნუსხასა კეთილშობილთა გუარ-თასა, რათამცა მით შესაძლებელ იყოს ცნობად ნამდვილი ზედმიწევნილობაჲ—თუ რომელსა ვითარიმე ეშესაბამების სამართალი.

არტიკული მეათე.

განიწესების, ვითარმედ ყოველნი საზოგადოდ შობილნი ქართლისა და კა-ხეთისანი შემძლებელ არიან რუსეთსა შინა დასახლებად და კვალად უკუქცევადმვე

დაუყოვნებლად; ხოლო ტყჳჱნი, უკეთუ საჭურჭლითა, ანუ გამოხსნითა რომლითამე თურქთაგან და სპარსთა, ანუ სხჳათა ერთაგან განთავისუფლდიან, რათა განტევებულ იქმნენ ქჳჱყანასა თჳსსა წადილისაებრ თჳსისა, მაგრა რაცაღა იგი წარგებულ არს გამოხსნასა და მოყჳანებასა ზედა მათსა, გარდაიხადონ იგი; თჳთ უკჳჱ ამასვე უგ—ბაჲცა მისი მეფე აღჳსთქჳამს წმიდად აღსრულებად განჳსჯილთა რუსთა ტყჳჱთათჳს, რომელნიცა დატყჳჱვებულ იქმნეს მეზობელთაგან.

არტიკული მეათერთმეტე.

ვაჭრობასა ქართლისა და კახეთისასა აქვს თავისუფლებაჲ, რათა განავაჭრონ სავაჭრო თჳსი რუსეთსა შინა, და ისარგებლონ მითვე სამართლითა და პატივისცემითა, რომლითაცა მკჳდრნი რუსეთისანი სარგებლობენ; ნაცჳლადვე მისსა აღჳსთქჳამს მეფეჲცა განწესებად თავთა მთავართა მესამზღჳრეთა, ანუ მინისტრთა მისის დ—სათა ყოვლითა ძალითა აღსუბუქებად ვაჭრობისა რუსთასა სავაჭროთა შინა სამფლობელოთა შინა თჳსთა, ანუ მგზავრ-განმვლელთა რუსთა ვაჭრობისათჳს სხჳათა შინა ადგილთა, ამისთჳს რომელ გარდა ეს გჳარისა ნამდვილისა განწესებისა და ზავისა სარგებელთათჳს ვაჭრობისათა ადგილი ქონებად შეუძლებელ არს, ესე იგი არს, სხჳა გვარ ვაჭრობად შეუძლებელ არს.

არტიკული მეათორმეტე.

ზავი უკჳჱ ესე, ანუ პირობა, იქმნების საუკუნოდ, მაგრა უკეთუ განხილულ იქმნეს რაჲმე საჭიროდ შეცჳალებად, ანუ დართულად ურთიერთისათჳს სარგებლისა, აქჳს მას ადგილი ორთავე კერძოთა თანახმობისა.

არტიკული მეათსამეტე.

უმაყოფისათჳს აწინდელისა ტრაქტატისა სათანადო არს ურთიერთ არს შეცჳალებულ ყოფაჲ ექჳსთა თთჳჱთა შინა კელისმოწერითა, ანუ უკეთუ უმსწრაფეს შესაძლებელ არს.

რომლისა დასარწმუნებლად ქვემომოწერელთა სრულისა ძალისა მქონებელთა მებრ ძალისა სრულძალმქონებლობისა მათისა მოაწერეს არტიკულთა ამათ ზედა და ამასთანა თჳსნიცა დასხნეს ბეჭედნი. თუჱსა იჳლისსა 24 დღესა, 1783 წელსა. გიორგის ციხეში.

პაველ პოტემკინ.
თავადი იოანნე ბაგრატიონი.
თავადი გარსევან ჭავჭავაძე.

მე უკჳჱ ქვემოჴსენებული აღუთქვამ და ვიფიცავ ამას ყოვლისა შემძლე-ბელითა ღჳთითა, წინაშე წმინდისა სახარებისა მისისა, ვითარმედ მნებავს და თა-ნამდებცა ვარ მისის იმპ—ს დ—სა ყოვლად უბრწ—ისა და უმპყრობელესისა დიდისა ჴელმწიფისა იმპერატრიცაჲსა და თჳთმპყრობელისა ყოვლისა რუსეთისა ეკატერინა ალექსიევნაჲსა, და მისისა ყოვლადსაყვარელისა ძისა, უ~დ უბრწ—სა ჴელმწ—სა ცესარევიჩისა და დიდისა კნიაზისა პავლე პეტროვიჩისა, ყოვლისა რუ-სეთისა საიმპერატოროჲსა ტახტისა ჱსჯულიერისა მემკვიდრისა და ყოველთა მაღალთა მოსაყდრეთა მის ტახტისათა, რათა ვიყო ერთგულ, სარწმუნო და კეთი-ლისმწადნელ,—აღვიარებ სახელითა ჩემითა სამეფოთა და სამფლობელოთა ჩემთა საუკუნოდ უმაღლესსა მფარჳჱლობასა და უზენაესსა ჴელმწიფობასა მისის იმპ—ს დ—სა და ყოველთა მაღალთა მოსაყდრეთა მისთასა ჩემზედა და მოსაყდრეთა ჩემთა ქართლისა და კახეთისა მეფეთა ზედა, რომლისაცა შედგომითა განვაგდებ ყოველსა ჩემ ზედა და სამფლობელოთა ჩემთა ზედა, ვითართამე მასდე-ბელთა ტიტლოთა, ანუ წინადადებათა ვითარისამე უფლებისა, ანუ ჴელმწიფებისა სხვათა ჴელმწიფეთა და მპყრობელთასა, და უარვყოფ მფარჳჱლობასა მათსა, შე-ვიკრვი წმინდითა ქრისტიანებრითა სჳნიდისითა ჩემითა, ვითარმედ მტერთა რუ-სეთისა საჴელმწიფოჲსათა ვრაცხდე საკუთრად მტრად ჩემდა, ვითარმედ ვიყო მორჩილ და მზა ყოველსა შინა დროსა სადაც სახმარ ვიყო მსახურებასა შინა მი-სისა იმპ—ის დ—ბსსა და ყოვლისა რუსეთისა საჴელმწიფოჲსასა, და ამას შინა. ყოვლითურთ არა შევიწყალო სიცოცხლე ჩემი ვიდრე უკანასკნელ წვეთადმდე სისხლისა. სამხედროთა და სამოქალაქოთა მისისა დ—სა მთავართა მიმართ და მსახურთა ვიქცეოდე უმწჳჱრვალესითა თანხმობითა; და უკეთუ ვითარიმე საწყენი სარგებელისა და დიდებისა მისისა დ—ბისა და მისისა იმპერიისა ვსცნა საქმეჲ, ანუ ჱაზრი, მეის განვაცხადო იგი. მოკლედ უკჳჱ ვიტყვი, ესრეთ ვიქცე-ოდე, ვითარცა ერთმორწმუნე რუსეთისა ერთადმი და შეკრულებისა ძლით ჩემისა განსჯითა მფარჳჱლობისა და უზენაესისა ჴელმწიფებისა მისის იმპ—ის დ—სათა შესაბამ და თანამდებობით. ხოლო დასასრულ ჩემისა ამის ფიცისა ამბორს უყოფ სიტყვასა და ჯუარსა მაცხოვრისა ჩემისასა, ამინ.

მსახურებს სახე ესე ყოფადთაცა შინა შემდგომთა მეფეთა ქართლისა და კახეთისათა ყოფისათჳს ფიცითისა აღთქმისა მეფობად მომავალთა, ოდეს იგი მიიღებენ დამტკიცებითსა წიგნსა და ინვესტიტურთა, ბოძებულთა რუსეთისა საიმპერატოროჲსაგან კარისა, რომლისაცა დასარწმუნებლად ქჳჱმომწერელთა სრულისა ძალისა მქონებელთა მებრ ძალისა სრულძალმქონებლობითა მოვაწე-რეთ სახესა ამას ზედა და დავბეჭდეთ ბეჭდითა ჩჳჱნითა. თჳჱსა იჳლისსა 24 დღესა, 1783 წელსა. გიორგის ციხეში.

პაველ პოტემკინ.
თავადი იოანე ბაგრატიონი.
თავადი გარსევან ჭავჭავაძე.

ყ. ღ.-უგანათლებულესი და სხვ. (იმპერატრიცა ეკატერინეს ტიტული...) და ირაკლი მეორე, წყალობითა ღ.თისათა და თქუენის იმპ—ის დ—სა კეთილნებობით მეფე ქართლისა, მეფე კახეთისა და სხვათა, მფლობელი და მბრძანებელი განჯისა და ერევნისა.

ვითარცა განწესებასა ზედა სრულისძალისმქონებელსა თქუენის იმპ—ს დ—სა და ჩუენთა სრულისძალისმქონებელთაგან პირობისა მიღებისათჳს ჩუენნისა სამეფოთ და სამფლობელოთ ჩუენით უმაღლესსა მფარველობასა ქუეშე თქუენის იმპ—ს დ—ბისასა და უზენაესისა ჴელმწიფებისა უმჯობესისათჳს სარგებლისა ჩუენისა დაიმტკიცნეს ოთხნი სეპარატისა არტიკულნი, სახელით:

სეპარატისა არტიკული პირუელი.

ჭაზრი მტკიცე მისისა იმპ—ის დ—ისა, რათა ერთმორწმუნენიმცა ერისა მისისანი ესოდენ მჭირსითა საკრუელითა შეერთებულნი მისისა თანა იმპერიისა ეგნენ ურთიერთარს მეგობრობასა შინა და სრულსა თანხმობასა საშიშრად მოშურნეთა მეზობელთა მათთა და მოსაწყლუელად შეერთებულითა ძალითა მათდა, რომელნიცა შეეხებიან ვნებად თავისუფლებასა, განსუენებასა და კეთილდღეობასა მათსა, რომლისათჳს უკუე აღიძრჳს დიდებულება მისი მისისა უგანათლებუ—სადმი მეფისა ქართლისა და კახეთისა ირაკლი თეიმურაზოვიჩისა მიცემად მეგობრობითისა ჭაზრისა და განზრახჳსა (ესე იგი ჭრჩევისა) დაცჳსათჳს მეგობრობისა და კეთილისა თანხმობისა უგანთლ—სისა მიმართ იმერთასა სოლომონისა განწესებისათჳს ყოვლისა მის რაჲცაღა შესაძლებელ არს ოდენ ღონიერყოფად, წინათუჭსწრობად ყოვლისა ვერგულისსაყოფელისა, აღჭსთუქუამს იმპერატ—რითა სიტყჳთა თჳსითა არათუ ოდენ შეწევნად მეცადინობითა თჳსითა ყოფისათჳს ესოდენ სასარგებლოჲსა ამის საქმისა, არამედ ამას ესე ვითარსა ზედა მშვიდობასა და თანჭხმობასა მისცემს თჳსსა თავსმდებობასა. უგან—ბა მისი მეფე ირაკლი, მიმღებელი თანამდებობითითა მადლობითა დიდსულობისა მისისა დ—სა ჭზრუნვისასა დაცჳსათჳს მეგობრობისა ერთა შორის ერთგუართა და ერთჭსჯულთა, და უმაღლესსა თავმდებობასა მისსა, აღიარებს ამით, ვითარმედ ურთიერთთა შინა საქმეთა მათთა უგ—სადმი მეფისა სოლომონისა აწ და შემდგომად შეჭრაცხს მისისა იმპ—ს დ—სა სრულიად მეშუამავლედ და განაგდებს მისისა მიერ უზენაესისა განჩინებისა, ანუ განჩენისა ვერ გულისკმისსაყოფელთა შფოთთა შორის ორთა ამათ მფლობელთა, უფროს ყოვლისა მოლოდებისა გამოსრულთა.

არტიკული მეორე სეპარატისა.

დაცჳსათჳს სამფლობელოჲსა ქართლისა და კახეთისათა ყოვლით კერძო შეხებისაგან მეზობელთასა და სიმტკიცისათჳს მხედრობისა მისისა უგანათლ—ბისა

მეფისა დ—ბა იმპ—ისა მისისა აღჰსთქუამს შენახვად სამფლობელოთა შინა მეფისათა ორსა ჰსრულსა ბატალიონსა ქუეითსა ოთხითა ზარბაზნითა, რომელთაცა პროვიანტი და საჭმელი უსიტყუოთა ხარისხისაებრ მხედრობისაგანთა მათ მიეცემის, და პროვიანტი იგი და საჭმელი უსიტყუოთა სყიდულ იქმნების ნაყოფიერების ძლით ქუეყანისა თანხმობითა მისის უგ—სითა თავისა თანამესაზღვრეთა მთავართა დადებულითა ფასითა.

არტიკული მესამე სეპარატისა.

დროსა ბრძოლისასა უთავესი იგი მთავარი მესამზღურე მისისა იმპ—ს დ—სა კერძოთ ნიადაგ სრულისა ძალისა ქონებად თანამდებ არს, რათა უგ—ბასა მისსა მეფესა ქართლისა და კახეთისასა ეთანახმოსმცა და დაჰსდუას ჰაზრი შეწევნისათჳს თჳმულთა მათ ქუეყანათა და წინააღდგომისა მტერთასა მოქმედებისათჳს, რომელიცა არ ჰსხუებრ, არამედ ვითარცა საერთოდ მტრად შერაცხუად სათანადო არს. ამასთანა განიწესების ესეცა, ვითარმედ უკეთუ რაოდენიმე მკედრობა ქართლისა და კახეთისა კმარებულ იქმნეს სამსახურისათჳს მისისა იმპ—ს დიდებულებისა გარეგან საზღუართა მათთა, მაშინ განიჩინების მათთჳს შესანახავი სრული, თანასწორი მისისა დ—ბისა მკედართა.

არტიკული მეოთხე სეპარატისა.

დ—ბა იმპ—სა მისისა აღჰსთქუამს, რათა დროსა ბრძოლისასა იკმაროსმცა ყოველი შემძლებლობაჲ მეცადინობისა ღონითა საჭურჭლისათა, ხოლო დროსა მშჳდობისასა დაზავებისა მიერ უკმოქცევისათჳს ქუეყანისა და ადგილთა მტერთაგან ქონებულთა და ძუელადვე სამეფოჲსა მიმართ ქართლისა და კახეთისა შერაცხილთა—ესენი უკუე დაჰშთებიან სამფლობელოდ მუნებურთა მეფეთა საფუძუელსა ზედა თჳმულთა ჰაზრთასა, რომელნიცა ითქუნეს მფარუელობისათჳს და უზენაესისა კელმწიფებისა ყოვლისა რუსეთის იმპერატორთა.

ამათ სეპარატისა არტიკულთა აქუსთ ესე ვითარივე ძალი, ვითარცა თჳთ ზემოწერილნი იგი ტრაქტატნი ზემოწერილისაებრ ლექსითი ლექსად შემოყუანილ ქმნილ-იყუნენ, რომლისათჳსცა სრულყოფასა ამისსა იგივე პაემანი აქუს შეცუალებასა ზედა, ანუ დართუასა.

სრულისა ძალისა მქონებელთა, მებრ ძალისა სრულ-ძალ-მქონებლობისა მათისა, მოაწერეს არტიკულთა ამათ ზედა და ამისთანა თჳსნიცა დაჰსხნეს ბეჭედნი, გიორგის ციხეში, იულისს 24 დღესა, 1783 წელსა.

პავლე პოტემკინი (აზის ბეჭედი), თავადი იოანე ბაგრატიონი (ბჭ.), თავადი გარსევან ჭავჭავაძე.

ჩუენ, მიმღებელნი ამათნი, თანამდებობითითა კრძალულებითა დამამტკიცებელნი ყოვლისა მის, რაჲცა ჩუენთა სრულის ძალის მქონებელთაგან მუნ განი-

წესნენ, აღუსთქუამთ მეფობითითა სიტყჳთა ჩუენითა ღონითა ამის მოქმედებისათა, რომელიცა ჴელითა ჩუენითა მოწერილ არს და სამეფოთა ბეჭდითა ჩუენითა განმტკიცებულ, წინაშე ღუთისა და უსამღუდელოესისა თქუენის იმპ—ბის საყდრისა ჩუენთჳს და მენაცუალეთა ჩუენთათჳს, და ყოვლისა სამეფოსა, და სამფლობელოსა ჩუენისათჳს წმიდად, მთლად და დაუჴსნელად დაცუად, და აღსრულებად. დასასრულ ამის მოწყალებისა და კეთილ-ნებობისა თქუენს იმპ—ს დ—ბას მივაბარებთ თავსა ჩუენსა და სამეფოსა სახლსა ჩუენსა ყოვლითა სამფლობელოჲთა ჩუენითა. სატახტოსა ქალაქსა შინა ჩუენსა ტფილისს, თუესა იანუარს 24, წელსა შობითგან ქ~ს 1784, მეფობისა ჩუენისა მეორმოცესა წელსა.

ერეკლე.
თავადი ორბელიანი დავით.
თავადი ქაიხოსრო ჩოლოყოვი.

მიმცემელი ღირსთანამდებობითისა კრძალულებისა ესოდენთა თ—ს იმპ—ს დ—ს მოწყალებათა ჩუენსდამო, ტომთა და ერთა ჩუენთა ზედა ჩუენებულთათჳს, ჩუენ დღესასწაულობითთა ამათ მოქმედებათა ჴელითა ჩუენითა მოწერილთა და სამეფოჲთა ბეჭდითა ჩუენითა განმტკიცებულთა მიმღებელი და დამამტკიცებელი ყოველთა ქმნილთა და განწესებულთა ჩუენთა სრულისძალისმქონებელთაგან აღვიარებთ, ვითარმედ იგი კმა ჰყოფს სრულებით წადილსა ჩუენსა და იმედებულ გუყოფს დროთა აწინდელთა და შემდგომთა სახლისა და მამულისა ჩუენისა განსუენებათა და კეთილდღეობათა, რომლისათჳსცა აღვსთქუამთ მეფობითითა სიტყჳთა ჩუენითა წინაშე ღ~თისა ყოვლისა-შემძლებელისა, წინაშე უსამღუდელოესისა თქუენის იმპ—ის საყდრისა და წინაშე პირსა ყოვლისა სოფლისასა ჩუენთჳს და მენაცუალეთა ჩუენთა და ყოვლისა სამეფოსა და სამფლობელოსა ჩუენისათჳს, ვითარმედ ყოველი პირობასა ამას შინა აღთქმული ნამდჳლსა ძალსა და სწორესა გულის-კხის-ყოფასა შინა იქმნების წმიდად, მრთლად და დაუჴსნელად დაცული და აღსრულებული. დასასრულ ამისა მოწყალებისა და კეთილნებობისა თქ—ს იმ—ს დიდ—ბას მივაბარებთ თავსა ჩუენსა და სამეფოსა სახლსა ჩუენსა ყოვლითურთ სამფლობელოჲთ ჩუენით. სატახტოსა ქალაქსა შინა ჩუენსა ტფილისს, თთუესა იანუარსა 24 დღესა, 1784 წელსა შობიდგან ქრისტესა, მეფობისა ჩუენისა მეორმოცესა წელსა.

ერეკლე.
თავადი დავით ორბელიანი.
თავადი ქაიხოსრო ჩოლოყოვი.

---

77. Д. XXIII. 23 Мая 1784 г. Представленіе отъ царя Ираклія имп. Екатеринѣ II.

მომრთმელი წიგნისა ამის კნიაზ გარსევან ჭავჭავაძე თქვენის იმპერატორების დიდებულებისადმი წარმოვგზავნეთ სამყოფელად უმაღლესა კარსა ზედა თქვ. იმპ. დიდ—სა, ძალითა უ̃დ მოწყალებითისა ტრაკტატისათა, მეხუთისა არტიკულისა, რომელსაცა შევვედრებ მოწყალებითსა მფარველობასა თქვ. იმპ. დიდ—სა ვითარცა შვილსა ჩემსა და სარწმუნოსა ყოველსა საქმესა შინა, რომელსაცა აქვს რწმუნებულ ყოველნი საქმენი ჩვენნი მოსახსენებელნი უმაღლესისადმი კარისა თქვ. იმპ. დიდ—სა.

მაისს კგ, წელსა ჩვპდ.

78. Д. XXIII. 23 Декабря 1786 г. Сообщеніе въ Иностр. Коллегію отъ кн. Гарсевана Ревазовича Чавчавадзе.

კნიაზ ციციანოვი, რომელიც წასულ იყო სპარსეთში თავის ნათესავების სანახავად, იმყამად აღამამადხან, სარდალს, დაეჭირა ისპანი და მთელი ჴერანი,, რომელსაც რომ ჴყავს თავის მონებაში ორმოცი ათასი ჯარი. ამ ზემოხსენებულს სარდალს აღამაჴმადხანს გამოესტუმრებინა ეს კნიაზ ციციანოვი მათს სიმაღლეს მეფეს ერეკლესთან და ასრე დაებარებინა: მე თქვენთან დიდის დოსტობისა და მეგობრობის მონდომე ვარ, მსურს, რომ მე და შენს შუა სიყვარული და მეგობრობა იყოს. ამ პირობასაც აძლევს: ადრიბეჟანის ალაგები, რომელიც თქვენი მხარე-პრავინციაები იყოს, თქვენთვის მიიღევით სამკვიდროდ, როგორც ერევანი გიჭირავსთ, და კიდევ ეძებს რუსეთის უ̃დ მოწყალის ხელმწიფის ერთგულობას მეფე ირაკლის შუამდგომელობითა და სიტყვითა, და ჴპატიჟობს მეფეს, რომ რუსეთსა და იმას შუა საქმის დამწყობი იყოს და თავის მხრიდამ ნებას აძლევს,—ესეები კნიაზ ციციანოვისათვის დაებარებინა.

79. Д. XXIII. 2 Марта 1787 г. Письмо кн. Г. Р. Чавчавадзе къ гр. И. А. Остерману.

ჩემს პეტერბურხს ყოფნაში თქვენის ღრაფობის ბრწყინვალებისაგას ნასტავლენიე მებძანა, რომ მოსკოვიდამ ცოლშვილით მოღილევს მათს უგ—ას კნიაზ პოტემკინს ვხლებოდი. გზა დიახ ავი შეგვხვდა და დიახ შეგვაწუხა, და სხვა მიზეზიც მოგვეცა, რომელიც გარჩევით მანდ რომ თათრულის მწერალი მირზა აბუ-

თურა გახლავსთ იმისთვის მომიწერია, რომ თქვენს ბრწყინვალებას თავი აღარ ვაწყინო, მიხაილ მიტრიჩის პირით მოგხსენდებათ; ამ მიზეზის გამო ჩემი ცოლი დიახ ავათ გახლავს, წასვლა ველარ შეიძლო და მე, თქვენის ბრძანების მორჩილე-ბის გამო, აღარც მე გაუშვი და აღარცა წაველ; იმის უგანათლებულესობას წიგნი ვაახელ და ყოველი ჩვენი თანამდებობა გამოუცხადე: მე აქიმის ბრძანების მაყუ-რებული ვარ, როგორც ბრძანება მომივა, ისე უნდა ვქნა. მე ჩემ თანამდებად ვი-ცოდი, რომ ესე ჩემი ვითარება თქვენის ბღწყინვალებისათვისაც გამომეცხადე-ბინა.

და ვითხოვ თქვენის ღრაფობის ბრწყინვალებისაგან დაუგდებელი ვიყო, და მე მიგულვებდეთ იმავ ერთგულებით თანშეკრულს, როგორც ვყოფილვარ და ვარ.

პოლნომოჩნი მინისტრი თავადი გარსევან ჭავჭავაძე.

მარტის 2, წელსა 1787.

80. Д. XXIV. 17 Января 1793 г. **Представленіе отъ царя Ираклія имп. Екатеринѣ II.**

ქ. ქრისტეანებრითა აღთქმითა მაქვს ყოველივე ძალი ჩემი გამზადებულ ყოველსა დროსა და ადგილსა მონებრ მსახურებად უდიდებულესობისა თქვენისა და მაქვს იმედოვნება უ͞დ უმოწყალესობისა თქვენისაგან, რათამცა დედობრივითა უმოწყალესობითა ბოძებული ეკატირინისაღრადში დაშთომილი არტილერია გვე-ბოძოს თავისის გაწყობით, რომლითა ღირსმყოს ღ͞თნ მტერთა ზედა რუსეთის იმპერიისათა უღრმესითა ერთგულებითა მსახურებად.

იანვრის 17, წელსა 1793.

81. Д. XXIV. 10 Февраля 1793 г. **Представленіе имп. Екатеринѣ II о Союзномъ договорѣ, заключенномъ между царями и владѣтелями Грузіи.**

ადრითგანვე უმაღლესი კარი უდიდ—სა თქვენისა ყოვლითა წერილითა და პირითა ელჩითათა ნიადაგ ვალდებულ გვყოფდა ამასზედა, რათამცა შეერთებულ ვიქმნეთ ჩვენ, მეფენი ყოვლისა ივერიისანი, რომლისათვისცა საუკუნოთა ამით ტრახტატითა შეერთებულ იქმნა თანახმობა ჩვენ, მეფეთა და მთავართა ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდოშისა და გურიისათა ესრეთ მტკიცედ, ვითარ ესე ცხად არს ტრახტატსა ამას შინა ერთგვარად შეერთებისა ჩვენისასა. ამიერიდგან ქრისტეა-ნებრითა ერთგულებითა, ყოვლისა ივერიისა მეფეთა და მთავართა გვისურს მო-

ნებრ მსახურება უდიდებულესობისა თქვენისა ვითარცა ქრისტეანესა მონარხი-ნაისა, და ვითარცა თანმორწმუნენი ესოდენი ქრისტიანენი ვითხოვთ ვედრებით, რათა არა განყოფილ იქმნას საუკუნოდ ერნი ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისა რუსთა იმპერიასა ზედა მიწერით, და რათა მსგავსად საქართველოჲსა მთელი ივერია იყოს მიწერილ იმპერიასა ზედა რუსეთისა ტრახ-ტატისა ამის ჩვენისაებრ მფარველობითა თქვენისა უავგუსტესისა კარისათა, და თუ ვითარ და რომლითა ღონითა იქმნების ესე, მოვანდობთ ამას ყოველთა ქრის-ტიანეთა ზედა დედობრივსა კეთილმზრუნველობასა უდიდებულესობისა თქვენი-სასა, და ვითხოვთ გულსმოდგინედ, რათა იმპერიისათვის როსსისა მონებრ მსა-ხურებად შეერთებულნი ესე ყოვლისა ივერიისა მეფენი და მთავარნი ყ̃დ უმოწყა-ლესითა საეროთა მფარველობითა განგვათავისუფლოთ ხელთაგან მოხმადიანთა მონარხთასა, რომლითა ვეგებით ნიადაგ.

მეფე ქართლისა, კახეთისა და სხვათა ერეკლე.
მეფე სრულიად იმერეთისა და სხვათა სოლომონ.
მთავარი ოდიშისა და სხვათა გრიგოლ.
მთავარი გურიისა ვახტანგი.

(ქართულს დედანს არ უზის არც ბეჭედი, არც რიცხვი).

82. Д. XXIV. 25 Февраля 1793 г. Письмо царя Ираклія къ С. Л. Лашкареву.

კეთილმოქმედება თქვენი განმრავლებულ არს ჩვენდა მომართ, რომელსაცა ცხად ჰყოფ ნიადაგ. ამასწინად ჩვენს სარწმუნოს მეგობარს მაღალკეთილშო-ბილს დოხტურს იაკობს ჩვენთვის წიგნი მოეწერა და თქვენის მაღალმსვლელო-ბისაგან ჩვენდა მომართ ბოძებული ბევრის რიგის სნეულებისა სამკურნალო წამლები წარმოეგზავნა, რომ სრულებით მოგვივიდა, რომლისათვის დიდათ მად-ლობელი გახლავარ და დავადგენ თავსა ჩემსა უსარწმუნოესად მეგობრად და სამ-სახურის მოწადინეთ მაღალმსვლელობისა თქვენისა, რათა ჩვენცა შემძლებელ ვიქმნეთ სიამოვნისა თქვენისა. ამ მეგობრობისა მწყალობლობითა გვაქვს იმე-დოვნება, რომ კეთილნებობით შეიწყნაროთ ჩვენ მიერ წარმოგზავნილი ესე თა-ვადი ბებუთოვი ავეტიკიჩი დარჩია, რომელიც ჩვენი ნამსახური არის, და ეს გვარი ფიცხელი სენი ეკუ̂ჶთა, რომ აქაურ მკურნალთა გამრთელება ვერ შეიძლეს, და როსიის იმპერიად წარმოვგზავნეთ; ვითხოვ გულმოდგინეთ მაღალმსვლელო-ბისა თქვენისაგან, რომ ამაზედ კეთილმზრუნველობით ბრძანდებოდეთ, რომელიც უკეთესი პროფესორი იყოს მკურნალობისა ამის მოვლაზედ გულსმოდგინე ჰყოთ.

წელსა ჩღჟგ, თებერვლის კე.

83. Д. XXVI. 12 Декабря 1793 г. Представленіе отъ царя Ираклія имп. Екатеринѣ II.

ვინადგან უ̃დ უმოწყალესობითმან მოვარველობამან უდიდებულესობისა თქვენისამან არა დაუტევა კეთილმზრუნველობა ჩვენი შერიგებასა შინა პორტი-სასა და ინება უმოწყალესობამან თქვენმან უსახსროდ განთავისუფლება ტყვეთა საქართველოსათა,—ამასზედა უ̃დ უმდაბლესად ვმადლობთ უდიდებულესობასა თქვენსა, რომლისათვისცა ესოდენთა ქრისტიანეთა ნივთად შუამდგომელობისა ჩვენისა გვაქვს სახელი ქრისტესი, და ესე კმაიყავნ მსხვერპლად შეწყალებისა ჩვე-ნისა წინაშე უდიდებულესობისა თქვენისა, და რავდენნიცა აზრნი დამჭირნეო-ბისა ჩვენისანი მდგომარესა ამას ჟამსა წერილით განგვიცხადებიეს უმაღლესისა კარისადმი, ვითხოვთ უმდაბლესად, რათა 'კეთილმზრუნველობით მიიღოთ, უ̃დ უმოწყალესო ხელმწიფეო.

დეკემბერს იბ, წელსა ჩღჟგ.

84. Д. XXIII. 12 Декабря 1793 г. Представленіе отъ царя Ираклія имп. Екатеринѣ II.

ტრაქტატსა შ̃ა, უ̃დ უმოწყალესისა ბრძანებისამებრ უავგუსტესისა, მეხუ-თისა არტიკულისა, გვაქვს თანამდებობა, რათამცა უმაღლესს კარზე იმყოფებოდეს კაცი სარწმუნო ჩვენი, რომლისათვისცა მონებრითა ერთგულებითა წარმოვგზა-ვნეთ უმაღლესისა კარისადმი პოლნამოშჩნი მინისტრი ჩვენი, ღენერალ ადიუ-ტანტი და ნამესნიკი ყაზახისა კნიაზ გარსევან ჭავჭავაძე, ერთგულესი ძე მამუ-ლისა თვისისა, რომელსაცა შევვედრებ უ̃დ უმოწყალესობასა უდიდებულესობისა თქვენისასა, ვითარცა უსარწმუნოესსა მისანდოსა ჩვენსა.

დეკემბერს 12, წელსა 1793.

85. Д. XXIV. 12 Декабря 1793 г. Письмо царя Ираклія къ гр. П. А. Зубову.

შევრაცხეთ საქებელად სიკეთე პატიოსნებისა თქვენისა და სურს გონებასა ჩვენსა ნიადაგ პატივისცემა თქვენი, რათამცა განმრავლებულ იქმნას ჩვენ შორის ნივთი უმტკიცესი სიყვარულისა, რომლისათვისცა მიზეზ განმაღვიძებელ მექმნა მე წერილითა ამით განცხადება მეგობრობისა ჩემისა თქვენდა მომართ. წიგნი უფლის პოლკოვნიკის იაკობ რეინიღისა, რომელიცა ცხადჰყოფდა ფრიადსა კე-

თილმწადნელობასა თქვენსა ჩემდა მომართ, რომელ წარმოგევლინნესთ ჩვენთვის წამალნი სახელითარსება სიცოცხლისა, ვმადლობთ ფრიად ბრწყინვალებასა თქვენ-სა და ვითხოვთ გულსმოდგინეთ, რათამცა ჩვენ მიერ უმაღლესისა კარისადმი წარმოგზავნილი ესე პოლნამოშჩნი მინისტრი ჩვენი, ღენერალ ადუტანტი და ნა-მესნიკი ყაზახისა კნიაზ გარსევან ჭავჭავაძე კეთილნებობით შეიწყნაროთ, რათამცა უდიდებულესობისა მათისაგან აზრთა თხოვილთა ჩვენთა ზედა, რომელიცა კნიაზ გარსევან ჭავჭავაძისაგან განეცხადების ბრწყინვალებასა თქვენსა, ჩვენდამომართ კეთილმზრუნველობითა თქვენითა მივიღოთ უდ უმოწყალესი რეზოლუცია.

დეკემბერს იბ, წელსა ჩღჟგ.

86. Д. XXIII. 9 Апрѣля 1794 г. Письмо княг. Маріи Чавча-вадзе къ С. Л. Лашкареву.

უმდაბლესის პატივისცემით მოკითხვას მოგახსენებ, თქვენს მშვიდობის ცხოვრების ამბავს ვისურვებ, მარადის მშვიდობით იმყოფებოდე თქვენის საყვარ-ლის შვილებით. ვიცი მწყალობ—კადნიერებისათვის არ გამიწყრები, ამისათვის გავბედე თქვენთან წიგნის მოწერა: რახანია ჩემის კნიაზისა არა ვიცი რა, არცა რა ჩემის ძმის გიორგისა, მისთვის ვწუხარ; აქ ხმა დააგდეს ვითომ ჩემი კნიაზი წამო-სულიყოს. თუ მართლა წამოსულ იყოს, მაგათთან მოწერილი წიგნი თქვენთან დარჩეს, თუ არა და, წყალობას ვითხოვ ეგ ისევ ჩემს კნიაზს უბოძო. ვითხოვ თქვე-ნის მაღალმსვლელობისაგან: ვინცა ვინ ჩემნი იქ იმყოფებიან დაუგდებელნი იყვნენ თქვენგან, და თუ მეც არ დამაგდებ, მადლობელი ვიქმნები.

თქვენის მაღალ მსვლელობის მდა-
ბალი მოსამსახურა კნეინა მარიამ
ჭავჭავაძე.

თქვენს საყვარელს შვილებს თავს დაუკრავ, მოკითხვას მოგახსენებ; ალექ-სანდრემ თავი დაგიკრათ თქვენცა და თქვენს შვილებსაც.

87. Д. XXIII. 19 Октября 1794 г. Письмо кн. Г. Чавча-вадзе къ гр. А. А. Безбородко.

მათის მაღალმსვლელობის ივან ვასილიჩის ღუდოვიჩისაგან რომელნიც ჩემთან გამოტანებულნი ოფიცარნი იყვნენ—ამათ თავისი თანამდებობა გულს-მოდგინებით აღასრულეს და მადლიერიცა ვარ, ახლა აქ ჩემთვისაც საჭირო აღარ არიან და თვითცა წასვლა სურსთ, ვითხოვ, რომ გაისტუმროთ; და უმეტესად ჩემ-თან ყოფილმან პრისტავმან მაიორმან ახვერდოვმან შეძლებისა მებრ თვისისა

მისცა სისრულე თანამდებობასა თვისსა, და ამისათვის ვითხოვ თქვენის ღრაფობის ბრწყინვალებისაგან, რომ ამ მაიორს ახვერდოვს ებოძოს ყიზლარის გარნიზონის პირველის ბატალიონის კამენდირობა, და ან მისვე ყიზლარის პოგრანიჩნის ტამოჟნის დირექტორობა, და ეგრეთვე ეს ორნი ოფიცარნი, პოდპორუჩიკი დუბინინი და პრაპორშჩიკი როსთევანოვი, დაუგდებელ ჰყოთ, რომლისათვისცა დიდათ ვალდებულ მყოფთ.

საქართველოს პოლნომოჩნი მინისტრი თავადი გარსევან ჭავჭავაძე.

ოკდომბრის ით, წელსა ჩღჟდ.

88. Д. XXIV. 17 Января 1795 г. Представленіе отъ царя Ираклія имп. Екатеринѣ II.

უერთგულესი შეკრულება ჩემი საიმპერატოროსა უმაღლესისა კარისადმი ვალდებულ მყოფს მე განცხადებად დამჭირნეობისა ჩემისა წინაშე უდიდებულესობისა თქვენისა და საქმეთა ეგე ვითართა მოხსენებად, რომელიცა სარგებელ ექმნების იმპერიასა დიდისა რუსეთისასა; აზრნი ესე ჩემნი წერილით განმიცხადებიეს მინისტრისა ჩემისა კნიაზ გარსევან ჭავჭავაძისადმი და ვითხოვ მონებრ უმდაბლესად, რათამცა ღ̃თის საკურთხეველსა მაგას გონებასა წმიდასა უდიდებულესობისა თქვენისასა დასდვათ მსხვერპლად შუამდგომელობისა ჩემისა სახელი ქრისტესი, რომლითაცა აზრთა თხოვილთა ჩემთა მისცეთ დაუგვიანებლად უმოწყალესობითი რეზოლუცია.

იანვრის 17, წელსა 1795.

89. Д. XXIV. 27 Января 1795 г. Письмо царя Ираклія къ гр. А. А. Безбородко.

ვიცი ნიადაგ კეთილის მოქმედება თქვენი ჩემდა მომართ და გმადლობ ესოდენთა ქრისტიანეთათვის კეთილმზრუნველსა მამაკაცსა; ვითხოვ პირველად, რათამცა იყო მეგობარ ჩემდა საუკუნო, და მეორედ, რათამცა წერილით ზრახვა ჩემი კეთილმწადნელობით მიიღო და ჩემმიერ უმაღლესისა კარისადმი უმდაბლესად მოხსენებულთა აზრთაზედა, რომელიცა მინისტრისა ჩემისა კნიაზ გარსევან ჭავჭავაძისა მიერ განეცხადების ბრწყინვალებასა თქვენსა, მისცეთ შეწევნა წინაშე უდიდებულესობისა მათისა, რათამცა მივიღოთ დაუგვიანებლად ყ̃დ უმოწყალესობითი რეზოლუცია.

იანვრის კზ, წელსა ჩღჟე.

90. Д. XXIV. 1795 г. Записка кн. Г. Чавчавадзе въ Иностр. Коллегію.

ოდეს მიღებულ იქმნა საქართველო მფარველობასა ქვეშე უმაღლესის რუსეთის იმპერიისასა, ტრაქტატის ძალით, ებოძა ორი ბატალიონი, რომ უნდა ყოფილიყვნეს მათს უმაღლესობას მეფესთან და ეგრეთვე ყოველთა ერთა ნიშნად მფარველობისა, და რომ მტერთა ჩვენთა ნახეს ესრეთი მფარველობა, იწყეს პატივად და განგდებად თვისის ჩვეულებრივის ბოროტმოქმედებისა, და ერნი ჩვენნი, განმხნობილნი ამით, აღავლენდნენ ღ̃თისადმი მადლობითსა ხმასა ძლიერისა ამის მფარველობისათვის უღლისაგან არმორწმუნეთა ქრისტესთა.

და როდისაც ათამანის პორტმა არა სამართლით გამოაცხადა ომი რუსეთის უმაღლესს კარს, მაშინ ჩვენ ვსასოებდით, რომ ამ ზემოხსენებულის ორის ბატალიონის სიმაგრისთვის მოემატება სხვა ჯარიც და გვსურდა, რომ ჩვენის მხრიდამაც მონური სამსახური და ერთგულება გვეჩვენა საერთო მტერზე, და შ̃დ წინაღმდეგ ამისსა იქ მყოფი მინისტრი და ბატალიონებიც წამოვიდნენ თვით საჭიროს დროს, და დავრჩით ჩვენ მარტო ჩვენის მტრების წინაშე და გავატარეთ დრო შერიგებამდინ ჩვენის მცირის ძალით რაოდენც ჩვენგან შეიძლებოდა.

და შ̃დ შეკვრისა თანა მშვიდობისა შორის უმაღლესის კარისა და ათამანის პორტისა მოხსენებულმან თვისისა ფიცისა და შეკრულებისა მეფემან ჩემმან უმაღლესისადმი კარისა ინება წარმოვლინება ჩემი ძალისაებრ ტრაქტატისა, მეხუთისა არტიკულისა, იმ წიგნებით, რომელიც თვით ჩემგან მიერთო, და მე მოწყალებით მიღებულ ვიქმენ, და მებძანა, რომ პასუხი მებრძანება, რომელსაც ჯერეთვე ველი მოსახსენებელად მეფისა ჩემისა.

ვინადგან ცვლილებისაგან ჟამისა განძლიერდა აღა მაჰმადხან და დაუახლოვდა უკვე საზღვართა ჩვენთა, რომელიც იმყოფება ახლა არდაველს, და აქვს განზრახვა, რათა საქართველო მოიყვანოს იმ მდგომარეობაში, ვითარცა ყოფილა ჟამსა სპარსეთის ყაენებისასა მძლავრებით.

მეფესა ჩემსა აქვს უძლიერესი მფარველი ახლანდელის დროთმჩემებელისაგან, რომლისაგანცა ითხოვს უ̃დ მოწყალებითს შეწევნას, რათა მიეცეს შეწევნა 6 ანუ ხუთის პოლკის რეგულის ქვეითის ჯარისა, და უწინ ჯარის გასტუმრებისა საჭირო არის, რომ გაისტუმროთ პრავიანტმეისტრი მოსამზადებლად პურისა, და მეფე თავისის მხრიდამ მისცემს ჭეშმარიტს ბრძანებას, რათა გასასყიდი პური იყოს ზომიერი ფასით რაოდენ შეიძლება; თუმცა თანამდებობდა აქვს მეფესაც და ერსა რათა სრულ ჰყონ რუსეთის ჯარი სურსათით, მაგრამ რადგან ჰყავს ახლანდელს დროებაში შეყრილი სხვა და სხვა ხალხი ჯარათ, რომლისაც თანამდებ არის მიცემად მათდა ყოვლისავე ჯამაგირისა, და ამ მიზეზით არღარ შემძლებელ არს თავისის ხარჯით განმზადებად სურსათის უმაღლესისა ხელმწიფის ჯარისათვის.

უკეთუ უმაღლესი მოწყალება და მფარველობა ჩვენი განიწესების, საჭირო არს, რომ ამავ შემოდგომაზე იქ ჯარმა მიაწიოს, რადგან იმ ადგილს არის უთბილესი ჰაერი და ზამთარი არ დამაყენებელ ექმნება მოლაშქრეს, და თუ მეფეს და ერს არ ექმნებათ საფარველი, მიიწევიან დროთმჩემებელის განზრახულისადმი და უძვირესს უბედურებაში ჩთაცვივიან, რომლისაგანცა დაიფარონ მაღალთა შ̃ა მეოფმა.

მეფე ითხოვს: რომელიც უწინდელის ზარბაზნების დარჩომილი არის, რომელიც უწინვე ებოძა, ის ებოძოს, და ერთი არტილერის გასწავლებული ოფიცერი უბოძოთ.

მოწყალეებით მიიღოთ ეს სავედრებელი ამას უმდაბლესად ვითხოვ თქვენის ბრწყინვალებისაგან და მოეხმარნეთ თქვენის მხრიდამ შუამდგომელობით წინაშე მონარხისას ტახტისა, რათა გვებოძოს მოწყალებით რეზოლუცია, რომელიც თქვენ სრულებით მოგეხსენებათ თუ ვითარი დამჭირნეობა აქვს მეფეს ჩემსა ადრე შეწევნისა, რათა ჰსცნას თვისი მდგომარეობა, რომლითაცა შეიძლოს უწინარეს მიღებად საჭიროთა ზომათა პირის-პირ წინამდეგისა თვისისა.

91. Д. XXIII. 24 Марта 1795 г. Письмо кн. Г. Чавчавадзе къ графу А. А. Безбородко.

თუმცა მეფის ჩემისგან არ მიმიღია წერილით ბრძანება, მაგრამ ეს უწყება ერთს ჩემს სარწმუნო მეგობრისგან მივიღე და ჯეროვნად ვრაცხ თქვენს ბრწყინვალებას გამოუცხადო: ამ წარსულს შემოდგომას რაოდენიმე ათასი თურქის და ლეკის ჯარი ჩასულა ახალციხიდამ იმერეთში მეფედ ყოფილის პრინცის დავითის შემწედ, რათა ისივ დაედგინად იმერეთის მეფედ.

იმერეთის მეფეს სოლომონს უთხოვნია შეწევნა მეფის ირაკლისთვის, რომელსაც წარუგზავნია თავის შვილი არტილერიით და მხედრობით შემწედ მეფის სოლომონისა, და იმერეთში ჩასულს თურქის ჯარს შებმიან, ღ̃თის შეწევნით ჩვენს ჯარს გაუმარჯვნია და რამთონიმე ათასიც დაუხოციათ, და დარჩომილი თურქის ჯარი დამარცხებული გაბრუნებულა, და პრინცი დავითიც თანგაჰყოლია ამ დამარცხებულს ჯარს, და ახლაც ახალციხეს იმყოფება.

მარტის 24, წელს 1795.

92. Д. XXIV. 1 Іюня 1795 г. Письмо царя Ираклія къ гр. А. А. Безбородко.

ჩვენ მიერ წარმოვლინებულსა ამას კნიაზ გიორგი ივანიჩს ავალოვს, ბაზი-

ერთხუცესსა და კაბინეთ-სეკრეტარსა ჩვენსა შევვედრებ ბრწყინვალებასა თქვენსა, რათა დაუგდებელ ჭყოთ კეთილმწადნელობისა თქვენისაგან.

ივნისის ა, წელსა 1795.

93. Д. XXVI. 6 Іюня 1795 г. Письмо царицы Даріи къ имп. Екатеринѣ II.

დამჭირნეობა ესოდენთა ქრისტეანეთა მაიძულებს მე ვედრებად უდიდ—ისა თქვენისადმი, რათამცა აღთქმისაებრ ყ̃დ უმოწყალესისა ტრაქტატისა ინებოთ შეწევნა ჩვენი აღამაჰმად-ხანს ზედა, რომელიცა მახლობელად ჩვენდა მდგომარე არს არმიითა თვისითა და ცდილობს დაპყრობასა ქვეყნისა ჩვენისასა, რომლისათვისცა ცრემლით გევედრები, უდიდებულესო ხელმწიფეო, შეიწყალენ ესოდენნი ქრისტიანენი ბრძანებითა ან-შეფის გუდოვიჩისათა, რათა მოგვცეს შეწევნა უძლეველითა მხედრობითა, რომლითა ხსნილნი მტერთაგან მმადლობელნი დავშთებით.

ივნისის ვ, წელსა ჩღჟე.

94. Д. XXIV. 22 Іюня 1795 г. Письмо кн. Г. Чавчавадзе къ графу А. А. Безбородко.

ჩემის მოსვლის შ̃დ სერგეი ლაზარიჩის [ლაშქარევის] პირით მებძანა, რომ თქვენი ბრწყინვალება დამიბარებს და ჩემი მეფისაგან მობარებულს კამისიაზე მელაპარაკებით, — იმ ჟამის შემდგომად ველი თქვენს ბრწყინვალებას. აქამდინ მრავლის საქმის გამო ვერ შეგაწუხეთ, და ახლა ყოველთვის ჩემის მეფისაგან წიგნი მომდის და პასუხსა მთხოვს, რომ მივართო. წყალობას ვითხოვ ჟამი დამინიშნოთ და ინებოთ ჩემთან საქმეებზე ლაპარაკი.

წელს 1795, ივნისის 22.

95. Д. XVIII. 3 Ноября 1795 г. Письмо кн. Г. Чавчавадзе къ С. Л. Лашкареву.

ნიკოლა პეტროვიჩი სკვარცოვი პორუჩიკი, რომელიც ივანე ვასილიჩიდამ გამოტანებულია ჩემის ფამილიისათვის, ამ ხსენებულის ოფიცარისა დიახ მადლობელნი გახლავან, რომ გზაზედ დიახ გარჯილა და კარგა უმსახურნია, და თუ წინამდეგი არ იყოს და შეიძლებოდეს, ვითხოვ ჩემის მეგობრობისათვის გაისარჯო

და მათს ბრწყინვალებას ღრაფ ალექსანდრე ანდრეიჩს [ბეზბოროდკოს] სთხოოთ ჩემ მაგიერ ამის ერთის ხარისხის მომატება, რომელითაც მე ვალდებულ მყოფ.

ნოემბრის გ, წელსა ჩღჟე.

96. Д. XXIII. 3 Ноября 1795 г. Письмо кн. Г. Чавчавадзе къ графу А. А. Безбородко.

რომელიც ჩემზედ სახელმწიფო ბოძებული ხარჯი იყოს ყოვლისა რისამე ვითხოვ ერთიანად გარდაჭრით თეთრად მებოძებოდეს, რადგანაც ახლა ფამილიით ვცხოვრებ პეტრებურღს და ჟამიც განსხვავებულს მდგომარეობასა მთხოვს.

ნოემბრის გ, წელსა ჩღჟე.

97. Д. XXIII. 23 Ноября 1795 г. Записка кн. Г. Чавчавадзе въ Иностр. Коллегію.

თუმცა თბილისიდამ გასულა აღამაჰმადხან, მაგრამ შორს არ არის, და მესმის, რომ დაღისტანსაც ელაპარაკება და იწვევს კახეთზედ მრავლის თეთრის დაპირებით, თითონაც დიახ საფიქრებელი არის, რომ არ დაუბრუნდეს, ამისათვის რომ აქაური ჯარი არ დააყენებს იმ დროს ლაშქრობას, და ამ ზამთრობითვე იმათ ასეთს ძვირს შეამთხვევს, რომ გაზაფხულზე თქვენგან მიშველება იმათთვის უსარგებლო იქმნება, და ან სრულიად თავის ნებასა და მორჩილებაზედ მიიყვანს,—მე ჩემს თანამდებად ვიცი, რომ ეს თქვენს ბრწყინვალებას განუცხადო და მოვახსენო: თუ ამ ზამთრობით ასეთს ძალას არ ისტუმრებდეთ, რომ მეფეს იმათზედ მისვლა შაეძლოს, მაშინ საჭირო არის და უმდაბლესად ვთხოვ ამ ზამთრისათვის, თუ უმეტესი არა, ორი პოლკი მაინც წარიგზავნოს თავისის პრავიანტით, რომ ეს ახლანდელი შეწევნა ყოვლის იჭვიდამ გამოიყვანს იქაურს ხალხსა, და ამით განმხნობილნი გაზაფხულამდის თავიანთ თავს მშვიდობით დაიცვენ მანამდინ აქედამ სრული შეწევნა გარდავა.

და თუ მთის მიზეზით ვინმე აბრკოლებდეს და გარწმუნებდეთ, რომ გარდასვლა და ან პრავიანტის გარდატანა შეუძლებელი იყოს, მე, როგორც პატიოსანი კაცი და ერთგული ძე მამულისა, ისე მივიღებ ამ კამისიას, რომ მთას აქეთ ჩვენს გრანიცამდის, რომელ არს პირველი შენობა სტეფან-წმიდა, იქ მომბარდეს ჯარიცა და რაც გარდასატანი არის—ისიც, იმას იქით ჩემი თანამდებობა იყოს იმათი მთას მშვიდობით გარდაყვანა.

თქვენის ბრწყინვალების ჩემგან მოხსენებით დამძიმების მიზეზი პირველი ეს არის: რომელიც აბიდა აღამაჰმადხანმა დიდს რუსეთს უფო საქართველოს

წახდენით, იმაში უმაღლესს კარსაც ვაჩვენო ჩემი მონური სამსახური და ჩემს მშობელს ქვეყანასაც, და მეორე, რომ ამ თანამდებობაში ვარ შეკრული, სიტყვა არცერთის მხრიდამ არა მომადგეს რა, და ნება თქვენის ბრწყინვალებისა არის, რომელმაც განზომა საქმეთა უმჯობესად იცით.

პოლნომოჩნი მინისტრი თავადი გ ა რ ს ე ვ ა ნ ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე.

ნოემბრის 23, წელსა 1795.

98. Д. XXIV. 31 Декабря 1795 г. Письмо царя Ираклія къ гр. А. А. Безбородко.

პატივსაცემელი წიგნი ბრწყინვალებისა თქვენისა, დ სეკდემბერს დაწერილი, კზ ოკდომბერს ხელითა კაპიტნის ფილიპესითა მივიღე მადლობით, რომლითა სიმრავლე კეთილ-მოქმედებისა თქვენისა. ჩემდა მომართ ყოველთა დროთა შინა კეთილ-მწადნელობით მიღებისათვის ვედრებისა ჩემისა ვალდებულ მყოფს მე მადლობად ღ̃თისმსახურისა მაგის ბრწყინვალებისა თქვენისა, რომლისათვისცა ამ მდგომარეს ჟამში მოწევნილისა ჩვენზედა განსაცდელისათვის დიდად დამჭირნენი გევედრებით, რათამცა წინაშე მათის იმპ-ის დიდ—სა ინებოთ კუალად შეწევნა ჩვენი უმდაბლესად თხოვილთა აზრთა ჩვენთა ზედა, რომელიცა მინისტრისა ჩვენისა კნიაზ გარსევან ჭავჭავაძისა მიერ განეცხადების ბრწყინვალებასა თქვენსა.

დეკემბერს 31, წელსა 1795.

99. Д. XXIV. Январь 1796 г. Письмо царицы Даріи къ имп. Екатеринѣ II.

ნუგეშინისმცემელი უკაზი ყ̃დ უმოწყალესობისა თქვენისა, თვით ხელითა თვითმპყრობელითა უმოწყალესობით აღწერილი, მივიღე უმდაბლესად თაყვანისცემით, რომელიცა წარმოგზავნა ჩვენდამომართ კნიაზ გარსევან რევაზოვიჩს ხელითა კაპიტნის ფილიპესითა, რომლისათვის მონებრ უმდაბლესად ვმადლობ უმაღლესსა მფარველობასა უდიდებ. თქვენისასა; და განსაცდელისა ამის ჩვენზედა მოწევნილისათვის, ესოდენთა ტყვედ მიცემულთა ერთათვის, უზომოსა მწუხარებასა შინა მყოფი, წინაშე დიდებ. თქვენისა უხილავად მუხლთა ზედა მდგომარე, ყ̃დ უმდაბლესად გევედრებით: ტყვეთათვის, ჩჩვილთა, მოხუცებულთა და ჭაბუკთა, რომელთა ტანჯვითა უწყალოთა და დაწვითა ეკკლესიებისათა განმწარებული გული ჩემი შეიწყალეთ, ყ̃დ უმოწყალესო ხელმწიფევ, რათა მივიღოთ უმოწყალესი რეზოლუცია თხოვისა მის, რომელიცა მეფისა ჩვენისაგან მოხსენდების იმპ. თქვენი-

სასა, და თუ ამავ ზამთარს უფალი ღენარალ ღუდოვიჩი არ მოგვეშველა, ვითარცა გიბრძანებიესთ უმაღლესითა უკაზებითა, უთუოთ კიდევ წავხდებით, და იყავ ნება უოველსა შინა მოწყალებისა თქვენისა ჩვენდამო.

იანვარს, წელსა 1796.

100. Д. XXIV. Январь 1796 г. Представленіе отъ царя Ираклія имп. Екатеринѣ II.

მივიღე უკაზი ავღუსტესისა მფარველობისა უ̃დ უმოწყალესობისა თქვენისაგან, რომელიცა წარმოეგზავნა ჩვენდამომართ კნიაზ გარსევან რევაზოვიჩს ხელითა კაპიტნის ფილიპესითა, რომლითა ნუგეშისცემულნი ვიქმნენით, რომ, თხოვისა ჩვენისაებრ, უმაღლესი ბრძანება მოეცა უფალს ღენერალს ანშეფს ღუდოვიჩს შეწევნად ჩვენდა უძლეველითა მხედრობითა და არტილერიითა პირის-პირ აღამაჰმადხანისა. ღირსისა ამის ჩვენდამომართ მოწყალებითისა უკაზისათვის ერთობით საქართველო, უ̃დ უმდაბლესად მმადლობელნი უდიდებ. თქვენისანი, გევედრებით, უ̃დ უმოწყალესო ხელმწიფევ, გვალადცა შეიწყალეთ ქვეყანა ესე, მონდობილი მფარველობასა უდიდებ. თქვენისასა, რათა მივიღოთ უმდაბლესად თხოვისა ჩვენისა უ̃დ უმოწყალესი რეზოლუცია.

იანვარს, წელსა 1796.

101. Д. XXIV. 8 Января 1796 г. Представленіе отъ царя Ираклія имп. Екатеринѣ II.

თქვენის დიდებ. ტრაქტატის ბძანებით გვაქვნდა იმედი თქვენის უძლეველის მხედრობის მალე მოშველებისა, ველარ მოგვასწრო და წაგვახდინეს, როგორადაც გარსევან ჭავჭავაძისაგან მოეხსენებათ; და აქამდინ რომ ვერ მოვახსენეთ დიდებ. თქვენსა, ბევრის სხვასა და სხვას მიზეზებისაგან მოხდა. უმოწყალესო ხელმწიფევ, აღამაჰმადხან, თუმცა მალე და საჩქაროთ დაბრუნდა ჩვენის ქვეყნიდამ, მაგრამ შორს არ წასულა, მუღანის საშვალს ადგილსა დგას, რომელიც ჩვენიდამ იქამდინ სამასამდინ ვერსი იქმნება, და იქიდამ კიდევ სათუოთ არ არის ჩვენზედ იმისი მოსვლა, თუ კიდევ თქვენი უძლეველი მხედრობა ლინიიდამ მსწრაფლად არ მოგვეშველა და შიშმა არ დააყენა, იმას სხვა საქმე არ აქვსრა, თუ არ ჩვენ და შუშის იბრეიმხან. ამ დეკემბრის თთვეში თქვენის დიდებ. უძლეველი მხედრობა გვებოძა,—ამაზედ ვმადლობთ უ̃დ ძლიერსა ღ̃თსა და თქვენსა დიდობრივსა ჩვენზედ მზრუნველობასა, და დაგვიცს თავი ჩვენი თქვენის დიდებ. ერთგულობასა ზედა ესრეთ

ვიდრე წვეთამდე სისხლისა. ხელმწიფეო ჩვენო, ღ̃თის ქვეშეთ ჩვენი სასოება თქვენ-ზედ არის დადებული და ჩვენი ცხოვრებაც თქვენზედ არის დამოკიდებული, თუ აღგვადგეს ამავ ზამთარს და მოგვცემ ხელსა წყალობისასა, ყოვლითურთ წარმარ-თებულ იქმნება ჩვენი საქმე, და თუ ამავ ზამთარ თქვენი უძლეველი და იმის მო-პირდაპირე კმასაყოფელი მხედრობა არ გვებოძება, უიჭოთ წაგვახდენს, და ჩვენ, საქართველოს ხალხნი, დიდს განსაცდელში ვიქმნებით და ვართ; და სხვანი, რომე-ლიც ქვეყნები ჯერ არ დაუპყრია, ზოგთ შიშით და ზოგთ ძალით დაიმორჩილებს; იქმნება სხვანიც, რომელნიც დიდნი და ერთსარწმუნოებისანი არიან, ისინიც შე-ირიგოს, და მასუკან უფრო დასამძიმებელი საქმეები გამოჩნდეს; ახლა კიდევ ორი თავისი სარდარი სულეიმანხან და მუსტაფახან, და ნუხის სელიმხან თა-ვის ქვეყნის ხალხით აყრილნი არიან და სიმაგრეში დგანან დახიზნულნი, რომელნიც დროს მაყურებელნი არიან, და თუ აღამაჰმადხანს, ან თქვენის რისხვით, და ან სხვა განსაცდელი არა მიადგა რა, შირვანსაც სრულად დაიჭერს; და იმ ჯარისაგანაც ჩვენს ქვეყანას ნიადაგდღე შიში აქვს, რომელნიც ახლა ნუხას არიან, და ნუხის გრანიციდამ ჩვენის ქვეყნის, კახეთის, გრანიცამდინ ოცი, ანუ ოცდა ათი ვერსი იქ-მნება, აწ, თქვენად სადღეგრძელოდ, აღდეგ და კვალად ხელი წყალობისა აღგვიპყარ, და გვიბოძე ამ სამუდამოს ჯარს გარდა ამავ ზამთარს, ვითარცა თქვენს დიდებ. უბძანებიეს, იმის მოპირდაპირე ჯარი, რომ ჩვენს მტერთ ღ̃თისა და თქვენი რის-ხვა მივაგოთ, და იმდენი სული ტყვე რომ ჰყავთ წაყვანილნი, ღ̃თით გამოვიხსნათ თქვენად სადღეგრძელოდ, და როდესაც თქვენს იმპ. დიდებ. ნებავდეს, ის ჯარი ისევ ბრძანებით წაიყვანეთ ამ ორი ათასს ჯარს გარდა, და ესენი კი ჩემთან იყვნენ.

წელსა 1796, იანვრის 8.

102. Д. XXIV. 8 Января 1796 г. Письмо царя Ираклія къ гр. Остерману.

აზრი ვედრებისა ჩემისა ეს არის თქვენს ბრწყინვალებასთან, რომ უმაღლესის კარისათვის კვლავაც მოგახსენებია: ორმოცდახუთი წელიწადი არის ერევანი ჩვენი იყო, და იმას უწინაც ბევრჯერ სჭერია ჩვენს ოჯახს ერევანი, და იმისის დიდებ. მფარველობას ქვეშ განჯითა და ერევნით შემოვლით; აღამაჰმადხანმა ორივ წაგ-ვართვა, და ახლა კიდევ ჩვენი სამფლობელო ფამბაკი, ყაზახი და ბორჩალო ფარმანით ერევნის ხანისათვის მიუცია, რომ თვით ერევნელებისაგან ყაზახთათვის მოწერილი წიგნი კნიაზ გარსევან ჭავჭავაძისათვის გამოგვიგზავნია, იმისგან მოხ-სენდება თქვენს ბრწყინვალებას. თუმცა ეს ჩვენი სამფლობელო ფამბაკი, ყაზახნი და ბორჩალო შორს არიან აღამაჰმადხანის მორჩილებისაგან, და არც უნდათ იმისი მონებას ქვეშ შესვლა, მაგრამ, თუ ამავ ზამთარს უძლეველის მხედრობით კმა-საყოფელი შეწევნა ვერ მივიღეთ, ესენიცა და სხვა ჩვენთან შემოერთებულნი მე-

ზობლებიც, უილაჯობით, იმისნი შეიქმნებიან, რომლისათვისცა ვყდრებით ვითხოვთ კეთილ-მწადნელობისა თქვენისაგან, რომ წინაშე მათის იმპ. დიდებ. ისებოთ შეწევნა ჩვენი, რომ ამავ ზამთარს რვა ათასი რიცხვი მხედრობისა ყ̃დ უმოწყალესობით გვებოძოს, რომლითაც აღამაჰმადხანისაგან მიტაცებული ზემოხსენებული ადგილები ისევ დავიპყრათ და იმოდენი რიცხვი ქრისტიანე-ტყვენსი, რომელნიცა განჯასა, ერევანსა და ნუხას იმყოფებიან, ისინი გამოვიხსნათ.

იანვარს 8, წელს 1796.

103. Д. XXIII. 7 Марта 1796 г. Представленіе отъ кн. Г. Чавчавадзе имп. Екатеринѣ II.

მის სიმაღლემან მეფემან ირაკლი, ხელმწიფემან ჩემმან, მომივლინა მე წერილობითი ბრძანება თვისი, რათა თქვენის იმპ. დიდებ., ყოვლად უმოწყალესსა ხელმწიფესა, მფარველსა და შემწესა ქართლისა და კახეთისა და სხვათა ქვეყანათასა, რომელთაცა არს იგი მბრძანებელ, ყოვლად უმებრივესად მოვახსენო, რომელნიცა არიან შემდგომნი:

პირველი, შემდგომად უმაღლესისა თქვენის იმპ. დიდ. ბრძანებისა, რომელიცა მივლენილ არს უფლისა ღენერალ-ანშეფ ღუდოვიჩისადმი შესწევნელად მეფისა, ხელმწიფისა ჩემისა, მხედრობითა, არტილლერიითა და სხვებითა პირის-პირ მტრისა ჩვენისა აღამაჰმადხანისა,—ბრძანებითა მისის სიმაღლისათა, დაუკარგავად ჟამისა, დაწყებულა კეთება გზათა თბილისით ვიდრე ჩვენს საზღვრამდე, ვ̃ა მთას აქეთ, ეგრეცა იქით გამართულ და გაკეთებულ არიან, არა თუ ოდენ განსატარებლად მხედრობათა, ა̃დ, საიმედოთ, მხედრობათათვის, არტილლერიისა, ბარგთა და ყოველთა სიმძიმეთა, რომელთაცა აწ გარდატანა ძალუცთ თვინიერ მცირისა შრომისა.

მეორე, მომზადებასა ძლევაშემოსილთა თქვენის იმპ. დიდ. მხედრობათათვის სურსათისათა, მეფე, ხელმწიფე ჩემი, წმიდად არწმუნებს, რომელ იგი მიღებისამებრ ზომისა დამზადებულ იქმნება არა თუ ოდენ კმასაყოფელი ათისა, ანუ თოთხმეტის ათასის მხედრობათათვის, არამედ, უკეთუ სახმარ იქნება, უმეტესიცა, მაშინ არა ექნება მათ ნაკლულევანება და მხედრობა არა მოიჭირვებს სურსათისათვის.

მესამე, უფალს ღენერალს-ან-შეფს ღუდოვიჩს მიეწერა მეფისათვის, რომელ იგი ნებითა თქვენის იმპ. დიდებ. უვლინებს ორი ათასსა მხედრობასა, რომელიცა უკვე მისულა, რომლისათვისცა მისი სიმაღლე, მომღები თქვენის დიდებულებისადმი სარწმუნო უმებრივისა მადლობისა, ყ̃დ უმწვერვალესად სთხოვს თქვენს იმპ. დიდებ., რათა უჩვენოთ მას აწინდელსა უბედურებითსა მდგომარეობასა შინა მისსა ყ̃დ-უმოწყალესი შემწეობა მივლინებითა მისდამი

განგრძელებისავე ზამთრისასა კ̃დ რვა ათასისა ძლევაშემოსილისა მხედრობისა თქვენისათა უზრუნველობისათვის თვისისა და სამფლობელოსა მისისა მტრისაგან მისისა აღამაჴმადხანისა, და მოსაზრუნვებელად მისგან მიტაცებულთა ტყვეთა-ქრისტიანეთა, რომელნიცა იმყოფებიან აწ განჯასა შინა და სხვათა მეზობელთა ალაგთა.

ადრიბეჟანის ხანები ვ̃ა ჰ̃ლ, ეგრეთცა აწ საუბართა შ̃ა თვისთა აცხადებენ, რ̃ლ, უკეთუ კმასაყოფელი რიცხვი რუსეთის მხედრობათა შესაწევნელად საქართველოისა არა იქმნება მოვლენილ, მაშა მათ, სუსტძალოებისამებრ თვისისა, არ ძალუძსთ პირისპირ დგომა აღამაჴმადხანისა, რომლითაცა ჩვენ დავშთებით დათრუგ-ვნილ, ა̃დ, უკეთუ მიივლინება კმასაყოფი შეწევნა, მაშინ იგინი თანხმაობენ ყო-ფვად მორჩილებასა მეფისასა და აღსრულებასა ნებისა მისისასა.

ოდესცა შეუდგების ყ̃დ უმაღლესი ბრძანება მისავლენად მეფისადმი მხედრობათა ამასვე ზამთარსა, მაშინ შესაძლებელ არს დამორჩილება ყოველთა მათ ადგილთა, რომელნიცა მდებარებენ აქეთ კერძო არეზისა; დაღესტნის თავადებიცა, რომელთაცა ჯერეთ არ მიუღიათ რუსეთის ყმობა, იწყებენ ძიებასა შემთხვევისასა შესასვლელად მას შინა. თანასწორითავე ხატითა ყ̃ლნიცა იგი ხალხნი, რომელნიცა აკრავან დარბანდს, შეერთდებიან ზოგად ჩვენთანა და აღუდგებიან პირისპირ აღამაჴმადხანისა. ა̃დ, უკეთუ მოლოდება ესე არა შეუდგეს, მაშინ აწ ჩვენთან თანხმანი ხანნი და დაღესტნის ხალხნი, სუსტძალისაებრ თვისისა, იძულებულ იქმნებიან აღსრულებად ბრძანებათა აღამაჴმადიხანისათა. და ოდესცა დაასწრობს იგი დამორჩილებასა ხანთა ამათ და დაღისტნელთასა, მაშინ უფრო ადვილ ჰპოვებს მეგობრობასა ოთამანის პორტისათანაცა; და ამით საქმენი ჩვენნი მიიღებენ ავსა სახესა, ვიდრელა ვითარსაცა შ̃ა აწ იმყოფება, და საქართველო შთავარდება თვით უბედურებითსა მდგომარეობასა შინა.

მეოთხე, შემთხვევისამებრ ვინადგან იტვირთა საქართველომან აღამაჴამადხანისაგან უკიდურესი დაქცევა, უცილოდ საჭირო არს გამტკიცება და გასმართვა მისი მოყვანად მისსა უმჯობესსა მდგომარეობასა შინა პირისპირ მტრისა მისისა, იმის სიმაღლე მეფე ყ̃დ-უუმესად სთხოვს თქვენს იმპერატორობის დიდებულებას, რათა უბოძოთ მას სესხად ერთი მილიონი რუბლისა, ყავლითა, ვითარსაცა ინებებთ დანიშვნად, თანასწორივე გარდახდაცა კერძო-კერძად; და რათა ყოველი იგი აღსრულებულ იყოს სამდვილად, მეფე წინდად ზემოხსენებულისა ჯამისა წარადგენს სამფლობელოსა თვისსა, და შ̃დ მისსა მემკვიდრეთა მისთასა.

მეხუთე, ყვანებისამებრ მოხსენებისა ჩემისა მეფისადმი, რ̃ლ თქვენის დიდებულებისაგან ნაბოძებისა მის სიმაღლისადმი არტილერიისა დანაშთომსა ნახევარსა, შედგომითა უმაღლესისა ბრძანებისა თქვენისათა, მიუტანეს მას, გარნა მეფესა იგი არა მისვლია, და უწყებაცა მისთვის რუსეთის მხედართ-მთავრისაგან არა აქვს, მაშა არა სათნო იჩენთა აბრძანებად, რათა ხსენებული არტილერია მეფეს მიუტანონ?

შეექმნა, წადილითა მეფისათა უმაღლესი თქვენის იმპ—ის დიდ. შეუდგა ნება, რათა თავიმთავარი ღენერალი გუდოვიჩი შეეყაროს მის უმაღლესობას საჭიროთათვის საქმეთა პირის-პირ; გარნა ჟამმან და გარემოებამან დააბრკოლა მისდამი; აწ მეფე ითხოვს, რ̃ლ შ̃დ გამოცხადულისა ნება ეცეს მას, ანუ ვისაცა რწმუნებულ ექმნება სამხედრო საქმე კერძოთა მათ, რათა შეეყაროს მის სიმაღლეს სალაპარაკოთა.

ყოველთამებრ დანიშნულთა პუნკტთა მეფემმან, ხელმწიფემან ჩემმან, სახელითა თვისითა მარწმუნა მე, ვ̃ა სარწმუნოსა ძესა მამულისასა, რათა დავსდვა ყოველი ქაღალდსა ზედა და წარუდგინო თქვენს იმპ. დიდ—ს, რ̃ლ ამით აღმასრულები, დავამხო თავსა თვისსა ყ̃დ-უსამღვდელოესადმი ფერხთა თქვენისა იმპ. დიდებ., და, სიმოკლისამებრ ჟამისა, მივიღებ კადნიერებასა ყ̃დ-უუმეს თხოვად თქვენისა დიდ—გან უმაღლესისა მასზედა ბრძანებისა, რ̃ლიცა აცხოვნებს ვ̃ა მეფესა, ხელმწიფესა ჩემსა, ეგრეთცა ყ̃ლთა ერთგულთა ერთა, უბედურებითსა მდგომარეობასა შინა მყოფთა.

მარტის ზ, წელსა ჩღჟვ.

104. Д. XXIII. 5 Апрѣля 1796 г. Записка кн. Г. Чавчавадзе въ Иностр. Коллегію.

რუსეთის საიმპერატოროს მინისტერიის ამ წლის კთ მარტის ჩემდა ზიარყოფილისა წერილისა ძლით, ჩემად სათანადოდ ვრაცხ მისდა უმდაბლესად მოხსენებად.

განცხადებისათვის ჩემდა რუსეთის საიმპერატოროს მინისტერიათაგან ხსენებულსა წერილსა შ̃ა მ. იმპ. დიდ. უმაღლესისა ნებობის შედგომისა შეყენებითსა ქმნულებასა შ̃ა ჩემით წარდგინებულსა ნებისამებრ მეფისა, ხელმწიფისა ჩემისა, სხვათა და სხვათა აწმყოთა გარემოებითთა მორთმეულთა თხოვილთათვის, დავამხობ მე ყ̃დ უმოწყალესისა ხელმწიფისად ქვეშემვრდომებისა ერთგულებითსა მადლობასა. შედგომასავეთანა უმაღლესისა ნებისა, მე, არა მცირედ დამყოფნებელი, საგანგებოთა კურიერითა მოვახსენებ მეფესა, ჩემსა ხელმწიფესა; ვითარცა უმაღლესობა მისი, ესრეთვე ყოველნი ქვეშემვრდომნი მისნი იქმნებიან გამოუთქმელად მხიარულნი დაუგდებლობისათვის მათისა ყ̃დ უმოწყალესითა შემწეობითა და ძლიერითა საფარველითა თვისითა, რ̃ლ რომლისათვისცა არიან უკვე მინიჭებულნი მისისა დიდებულებისმიერ სათანადოითა მიწერილობითა და მოძღვრებითა მემთავრენი რუსეთის საიმპერატოროს მხედრობათა საქართველოსა და მისდამი მდებარეთა ადგილთა შ̃ა, უფალნი ღენერალ-ანშეფ გუდოვიჩი და ღენერალ-პორუჩიკი გრაფი ზუბოვი; მაშინ ყვანებისამებრ ამისა ვიკადნიერებ რუსეთის

საიმპერატოროს მინისტერიათად ჟ̃დ უმდაბლესად თხოვად მონიჭებისათვის ჩემდა უწყებისა შედგომილთა დანიშნულთა მოწყალებათა მ. იმპ. დიდ. მიწერილებათათვის, რ̃ამცა უძლო მე გარემოებათა მათთა მოხსენებად მისისა უმაღლესობისად და უფროს მისსა მით მხიარულმყოფად.

უკეთუ კეთილსთნო იქმნეს მ. იმპ. დიდ. წარგზავნა ჩემი აქაით სამსახურისა ჩვენებისათვის რუსეთის საიმპერატოროს კარისა და სამეფლისა ჩემისა აწინდელთა გარემოებითთა ჟამთაშიერ დახმარებად საქმესა შ̃ა, მაშინ ვითხოვ მომანდვათ მე უმაღლესითა ნებობითითა უწყება აღსასრულებელად ერთმთავრინაისა ნებისა, რ̃ლსა თვით მეფე, ჩ̃ი ჴელმწიფე, შეუდგებისცა.

თუმცა არა მქონან მე არცამცირედნი კანონნი თხოვად მონიჭებისა წარსვლისათვის ჩემისა და შესახვისათვის თავისა ჩემისა დროსა მათ ადგილთა შ̃ა ყოფნისასა, გარნა უბედურებითისა შემთხვევისა თბილისის ქალაქისა და მოკლებული მყოფი ყ̃ლისა თვისისა ქონებისა ძლით, ვიკადნიერებ შემვრდომებად თავისა მაღლისა ერთმთავრინასა მოწყალებასა და კეთილნებობასა შ̃ა, და ვინაიდგან მეუღლე ჩემი მოების აქა, მაშინ არა კეთილსთნო იქნესა აწ ჩემდა წარმოებულისა ერთმთავრინაისა სიუხვისამიერ როჭიკისა მდგომარესა სტოლისა თეთრთა შ̃ა, ეტლთა, შეზმათა და ორთა მსახურთასა მოქცევად სარგებელსა შ̃ა მისსა მის, და თვით იეთრთა მიცემითა, რ̃ლითაცა ძალუდეს მას პყრობა თავისა შეუწუხებლად.

კურიერად წარმოგზავნილსა ჩემდა ჴელმწიფისაგან ჩემისა კაპიტანს ფილიპ იაგოროვს უკუნაქცევ მე მისისა უმაღლესობისადმი სასიხარულოთა მოხსენებითა, რ̃ლისათვისცა ვითხოვ მინიჭებულჴყოთ კურიერებრითა პოდოროჟნითა თბილისისადმდე.

აპრილის ქ, წელსა ჩღჟვ.

105. Д. XXIII. 6 Февраля 1797 г. Письмо Ираклія къ гр. Безбородко.

თქვენს ბრწყინვალებას რომელიც ჩვენის დესპანის კნიაზ ჭავჭავაძისაგან ჩვენი საქმეები მოხსენდება, გთხოვ, ვითარცა სარწმუნოსა მეგობარსა, რათა აჩვენოთ ამ საჭიროებითს დროს კეთილისმოქმედობა თქვენი ჩვენზე და სამეფოსა ჩვენსა ზედა, რომელსაც უსაკუთრესად მოვანდობ თქვენს ბრწყინვალებ—ასა ყოველსა სასარგებლოსა ჩვენსა, და დავშთები უსრულესითა იმედოვნებითა.

ფებერვალს 3, 1797 წელსა. თბილისი.

106. Д. XXIII. 3 Февраля 1797 г. Письмо царя Ираклія къ гр. Остерману.

თუმცა მცირეხან შეგვხდა ერთათ ყოფნა, მაგრამ თვისის კეთილმოქმედებით და პატიოსანის ყოფაქცევით მოვალედ შემქმნა უფალმა ღენერალ ალექსანდრე მიხაილიჩ რომის-კორსაკოვმა, რომ თქვენს ბრწ—ას გამოუცხადო, და მსურს, თუ თქვენი ბრწ—ება აქავ ჩვენის მხრის თვისდამი რწმუნებული კომისია კვალად ხსენებულსა ამას ღენერალსა ერწმუნოს, რომლისათვისცა მე ვალდებულ მყოფ, და სხვებრ ყოველსა მოვანდობ თქვენის ბრწ—ს ჩვენდამო კეთილ-მზრუნველობასა.

ფებერვალს 3, 1797 წელსა. თბილისი.

107. Д. XXIII. 3 Февраля 1797 г. Письмо царя Ираклія къ гр. Остерману.

მე, მიმღებელმან ყ̃დ უმაღლესისა შემაწუხებელისა ხმისა და მასთანავე ნუგეშინისცემულმან, თანამდებობად ვრაცხე თქვენის ბრწ—დმი განცხადება მხიარულებისა ჩემისა აღსვლისათვის საიმპერატოროსა ყოვლისა რუსეთისა სამკვიდროსა საყდარსაზედა ხელმწიფისა ჩვენისა პავლე პირველისა, და წარმოვგზავნეთ წინაშე მათის იმპ. დიდ. ჰოლნომოჩნი მინისტრი ჩვენი თავადი გარსევან ჭავჭავაძე, რომლისგანაც მიიღებთ წერილსა ამას, და ამისმიერვე სცნობთცა ყოველსა ჩემმიერსა საჭიროებითსა თხოვასა, რომლისათვისცა გითხოვ და ვსასოებ, რომელ ყ̃ლსა შინა აჩუჳნებთ შემწეობასა, ვითარცა მაქვს იმედოვნება თქვენის ბრწ—გან. ბრწყინვალეო ღრაფო, თქვენგან ჩვენთვის სასარგებლოდ მოწერილი წერილი ზემორეხსენებულის თავადის გარსევან ჭავჭავაძისაგან მივიღე, რომლისათვისცა, უმდაბლესად უმეტესისა მადლობისა მომრთმევი, დავდებ თავსა ჩემსა თქვენ კერძო თანამდებად, ვინადგან ვართ თქვენ მიერ მარადის საქმესა შინა დაუვიწყებულ და ჩვენის სარგებლობისათვის იღვწით მარადის.

ფებერვალს 3, 1797 წელსა. თბილისით.

108. Д. XXII. 3 Февраля 1798 г. Письмо царя Ираклія къ С. Л. Лашкареву.

თქვენის მსჯელობისაგან ჩვენს საქმეზედ გარჯა და თქვენმიერ ნიადაგ ჩვენთვის კეთილისმწადნელობა განცხადებული გვაქვს, და სარწმუნო ვართ, რად-

განც ამ ქვეყნის შვილი ხართ, ამას იქითაც ამ ქვეყნის ბედნიერობისათვის მოღვაწეობა გექმნებათ და გარჯას არ დააკლებთ, ამისთვის მადლობელნი ვართ თქვენის მსვლელობისა.

ამჟამად პოლნომოჩნი მინისტრი, ჩვენი თავადი გარსევან ჭავჭავაძე, უმაღლესს კარზედ გამოვისტუმრეთ: ჩუჱნს ანბავსა და ამ ქვეყნის ვითარებას ყოველსავე ამისგან სცნობთ, და მოლოდება გვაქვს, რომ თქვენი მსვლელობა ჩვენის სარგებლობისათვის ჩვეულებრივ კეთილმოქმედებას არ დააკლებთ, და ჩვენ ვეგებით სრულითა პატივისცემითა.

ფებერვალს 3, 1797 წელსა. თბილისი.

109. Д. XXIII. 3 Февраля 1797 г. Представленіе отъ царя Ираклія имп. Павлу.

თქვენის იმპ. დიდ—ის მიერ სამკვიდროსა ყოვლისა რუსეთის საიმპერატოროს საყდარსაზედა აღსვლისათვის მოხარულ ქმნილთა, თანამდებობად ჩემდა ვრაცხავ წინაშე თქვენის დიდებულებისა ჩემგან სრულ-ძალ-მქონებელის დესპანის თავადის გარსევან ჭავჭავაძის ცხადყოფა, რომლისათვის, უ̃დ უმდაბლესად მომლოცველი თქვენის იმპერატორების დიდებულებისადმი, შევავრდომებ უმაღლესსა საფარველსა თქვენსა თვით თავსა, სახლსა და სამეფოსა ჩემსა, და ესრეთვე ყოვლისა რუსეთის უძლეველის მხედრობისმიერ განჯის დაპყრობისა, და მისით შემოზღუდვისათვის ჩვენისა, უმდაბლესისა მადლობისა მომდები, დავშთები უერთგულესისა გრძნობითა. უ̃დ უმოწყალესო ხელმწიფევ, თქვენის იმპ. დიდ. წინაშე ჩემგან ყოველსა შინა რწმუნებულს დესპანსს და ამის მიერ ჩვენის მოხსენების რეზოლუციის ბოძებას მოვანდობ უ̃დ უმოწყალესსა ნებასა.

თებერვლის 3, 1797 წელს. თფილისი.

110. Д. XXIII. 3 Февраля 1797 г. Представленіе отъ царя Ираклія имп. Павлу.

ვინათგან ყოვლისა შემძლებელისა და უ̃დ უმაღლესისა ნებისა მებრ ფრიად საყვარელსა მშობელსა თქვენსა და ყოვლად უმოწყალესსა ხელმწიფესა ჩვენსა იმპერატრიცა დიდსა ეკატერინა მეორესა შეეცვალა ცხოვრება თვისი საუკუნოსა ცხოვრებისადმი, ამისათვის ჩვენცა, ქვეშევრდომებრსა თანამდებობასა შინა მყოფ უკიდურესითა შეჭირვებითა ჩვენითა, გვაგო ყოვლით სახლეულით და სამეფოთ

ჩუმითურთ საგლოველსა მწუხარებასა შინა, რომლისაცა უმდაბლესად ცხადმყოფს ნუგეშმცემს აღსვლა ყოვლისა რუსეთისა საიმპერატოროსა საყდარსა ზედა უდიდ. თქვენისა, რომლისა მიერ დავშთები მსახოე ყოვლად უმოწყალესისა ნებისა.

ფებერვლის 3, 1797 წელსა. თბილისი.

111. Д. XXIII. 4 Февраля 1797 г. Письмо царицы Дарiи къ имр. Марiи Θеодоровнѣ.

ვინადგან ყ͠ლისა შემძლებელმან ღ͠თმან უ͠დ უმოწყალესი ხელმწიფე ჩვენი პავლე პეტროვიჩი თქვენის იმპ. დიდ—თურთ აღიყვანა სამკვიდროსა ყ͠ლისა რუ-სეთისა საიმპერატოროსა საყდარსაზედა, ამისთვის, უ͠დ უდიდებულესო იმპერა-ტრიცავ, სათანადოთ ვრაცხე მოხარულის გულით ქვეშევრდომებრივი ერთსულო-ბითი მოლოცვა თქვენისა იმპერატორებისადმი, რ͠ლისა შემდგომადცა უ͠დ კრძა-ლულებით ვითხოვ, რომ შემწე ექმნათ მათისა იმპ. დიდე—დმი მეფისა ჩვენისა თხოვილსა, რ͠ლიცა უ͠დ უმდაბლესად მოხსენდება მათს დიდებულებას მეფისა მიერ წარმოგზავნილის დესპანისაგან.

ფებერვლის 4, 1797 წელსა. თელავი.

112. Д. XXIII. 4 Февраля 1797 г. Письмо царицы Дарiи къ имп. Павлу.

ვინადგან ნებისამებრ უ͠დ შემძლებელისა ღ͠თისა ფ͠დ საყვარელსა მშობელსა თქვენსა და უ͠დ უმოწყალესსა ხელმწიფესა ჩვენსა იმპერატრიცა დიდსა ეკატერინა მეორესა შეეცვალა ცხოვრება თვისი საუკუნოსა ცხოვრებისადმი, ამისთვის მეცა, თანამდებობასა შ͠ა მყოფი, უმწვერვალესითა შეჭირვებითა მაგო საგლოველსა მწუ-ხარებასა შ͠ა, რომლისამიერ გავბედე უ͠დ უმდაბლესი მოხსენება ესე, და ამასთანავე განცხადება მხიარულებისა ჩვენისა აღსვლისათვის ყოვლისა რუსეთისა საიმპერა-ტოროსა საყდარსა ზედა უდიდებულესობისა თქვენისა, და ამისათვის, უმდაბლესად მომლოცველი და მთხოვნელი ღ͠თისდა მიმართ განძლიერებისათვის თქვენისა, გევედრები, უ͠დ უმოწყალესო ხელმწიფეო, რათა მეფისა ჩვენისა მოხსენებულსა საჭიროებითსა თხოვასა და წარმოგზავნილსა დესპანს მისცეთ მოხსენებულისა ვედრებისა მოწყალებით აღსრულებისა რეზოლუცია, რომელსაცა გვაიმედოვნებს უ͠დ განმდიდრებული კეთილნებობა თქვენი.

ფებერვლის 4, 1797 წელსა. თელავი.

113. Д. XXIII. 16 Апрѣля 1797 г. Письмо царя Ираклія къ А. А. Безбородко.

ვითარცა მე, ეგრეთვე წინაპართა ჩემთა ჰქონდათ სურვილი და აღრითგანვე ვართ შემოვედრებულ უმაღლესისა რუსეთის საიმპერატოროს ტახტისა, რომელიცა განფენილ და განცხადებულ არს ყოველსა ქვეყანასა ზედა, რომლისათვის ჩვენცა სარწმუნოდ მოიმედენი ვართ, რომ მათი იმპერატორობის დიდებულება ჩვენ საფარველს არ მოგვაშორებს, მარამ ახლა მესმა, რომ რადგანაც რუსეთის ძლევაშემოსილის მხედრობით სპარსეთში ამჟამად ლაშქრობა დაყენებულა, რაც ჩვენს მფარველად რუსეთის ჯარი იმყოფება—ამათაც წასვლა ებულებათ, რომელმაც დიდსა შერყევაში და მწუხარებაში შეგვიყვანა.

მოეხსენება თქვენს ბრწყინვალებას თუ ვითარი დაქცევა შეამთხვია აღამაჰმადხანმა თბილისსა და მრავალი სული ქრისტიანე დაატყვევა, ამისათვის რომელ იცოდა ქ̃ტის ერთგულობითი ყოფა საქართველოსი მათის იმპერატორების დიდებულების საფარველსა ქვეშე, და ჩვენ, რადგანაც რუსეთის დიდებულის ტახტისადმი უმეტესად მტკიცე შეკრულება გვქონდა, ღ̃ის მადლობის მირთმევით, ყველა მოვითმინეთ.

ბრწყინვალეო გრაფო, უმეტეს პირველისა ჩვენს სამტროდ მოქადულ და განძვინებულ იქმნა აღამაჰმადხან, რომლისაცა მოწერილი მექარის წიგნი აწ უმაღლესს კარს მოერთმევა, და ჩვენი მოხსენება ეს არის, რომ, თუ ახლა რუსეთის უმაღლესი საფარველი ახდილი ნახეს, რომელნიც აქამომდე ჩემს მეზობლებში მოგებულნი კაცნი მყვანდნენ, ისინიც მტერ მექნებიან, და უეჭველია, რომ საქართველო წახდება, ეკლესიები აოხრდება და ამდენი სული ქრისტიანე დატყვევდება, ამისათვის უმდაბლესად გთხოვ შეიწყალე უმაღლესის ტახტისა მაგის საფარველ ქვეშ მყოფი ქვეყანა ესე და ესოდენი მტერთა წარწყმედისაგან, და შეგვეწიენით მათის იმპერატორების დიდებულების წინაშე, რომ მოწყალების მოიმედენი უნუგეშოდ არ დავრჩეთ, რომ თვით თავი და ქვეყანა ესე, სამეფო ჩემი, შ̃დ ღ̃ისა, უსაკუთრესად მონდობილი არის უ̃დ მოწყალის ჩვენის ხელმწიფის მოწყალებასა ზედ. და ახლა ჩვენი თხოვა ეს არის: მათმა უდიდებულესობამ ინებოს მფარველად ჩვენდა ორს, ანუ სამს წლამდე ოთხი ათასი კაცი, ვიდრემდის ჩვენცა ძალი შევიმატოთ, და შემდგომად მისსა ნება მათის იმპერატორობის დიდებულებისა აღსრულდეს—რა ერთიც ინებოს, იმდონი დააყენოს; და რაოდენ ჩვენგან შესაძლო იყოს უმაღლესის კარისაგან სამსახური გამოგვეცხადოს, და ან ჩვენ გვებძანოს, რომ მოვახსენოთ, რომლითაც ჩვენი გონება უფრო მხიარული იქმნება და მოწყალებად მივიღებთ. და სხვანიცა ჩვენი ვითარებანი უმდაბლესად მოხსენდება უმაღლესსა კარსა პოლნამოჩნი მინისტრის ჩემის კნიაზ გარსევან ჭავჭავაძისაგან, რომელიცა უწინარეს ამისა, თებერვლის 5, წარმოგზავნილ არს ჩემიერ უმდაბლესისა მოხსენებითა.

აპრილის 16, 1797 წელსა. თბილისი.

114. Д. XXIII. 16 Апрѣля 1797 г. Представленіе отъ царя Ираклія имп. Павлу.

ვითარცა მე, ეგრეთცა წინაპართაცა ჩემთა ჰქონდათ სურვილი და ადრითგანვე ვართ შემოვედრებულ უმაღლესისა რუსეთის საიმპერატოროს ტახტისა თქვენისა, რომელიც განთვენილ და განცხადებულ არს ყოველსა ქვეყანასა ზ̃ა, რომლისათვის ჩვენც სარწმუნოდ მოიმედენი ვართ, რომ თქვენი უდიდებულესობა ჩვენ საქართველოს არ მოგვაშორებს, მარამ ახლა მესმა, რომ რადგანაც რუსეთის ძლევაშემოსილის მხედრობით სპარსეთში ლაშქრობა ამჟამად დაყენებულა, რაც ჩვენს მფარველად თქვენის იმპ. დიდ. ჯარი აქ იმყოფება, ამათაც წასვლა ებულვებათ, რომელმაც დიდსა შერყევასა და მწუხარებაში შეგვიყვანა. მოეხსენება თქვენს იმპ. დიდ. თუ ვითარი დაქცევა შეამთხვია აღამაჰმადხანმა თბილისსა, და მრავალი სული ქრისტიანე დაატყვევა, ამისათვის, რომელ იცოდა საქართველოსი ჭეშმარიტის ერთგულობითი ყოფა თქვენსის იმპ. დიდ. საფარველ ქვეშე, და ჩვენ, რადგანც თქვენის უმაღლესის ტახტისადმი უმეტესად მტკიცე შეკრულება გვქონდა, ღ̃ის მადლობის მირთმევით, ყველა მოვითმინეთ. უ̃დ უაღვისტესო ხელმწიფევ, უმეტეს პირველისა ჩვენს სამტეროდ მოქადულ და განძვინებულ იქმნა აღამაჰმადხან, რომლისაც მოწერილი მუქარის წიგნი აწ თქვენს უდიდებულესობას მოერთმევა, და ჩვენი მოხსენება ეს არის, რომ, თუ ახლა თქვენი უმაღლესი საფარველი ჩვენზედ ახდილად ნახეს, რომელნიც აქამომდე ჩემს მეზობლებში მოგებული კაცნი მყვანდნენ, ისინიც მტერ მექმნებიან, და უეჭველია, რომ საქართველო წახდება, ეკკლესიები აოხრდება და ამდენი სული ქრისტიანე დატყვევდება, ამისათვის უმდაბლესად გთხოვ და უმონებრიესად მუხლდადგმით გევედრები, უ̃დ უმოწყალესო ხელმწიფევ, გარდმოხედე სიმაღლისაგან ტახტისა თქვენისათა და შეიწყალე თქვენს საფარველს ქვეშე მყოფი ქვეყანა ესე და ესოდენი ქრისტიანე მტერთა წარწყმენდისაგან, და ინებეთ მფარველად ჩვენდა ბოძება ეგოდენისა ძლევაშემოსილისა მხედრობისაგან ოთხი ათასი კაცი ორსა, ან სამს წლამდე, ვიდრემდის ჩვენცა ძალი შევიმატოთ, და შემდგომად მისსა თქვენის იმპერატორების დიდებულების ნება აღსრულდეს,—რაერთიც ინებოს, იმდენი დაარჩინოს, და რაოდენ ჩვენგან შესაძლო იყოს თქვენგანაც სამსახური გამოგვეცხადოს, და ან ჩვენ გვებძანოს, რომ მოგახსენოთ, რომლითაც ჩვენი გონება უფრო მხიარულ იქმნება და მოწყალებად მივიღებთ. ნუ დაგვაგდებ თქვენის უ̃დ მოწყალების მოიმედეთა, რომ თვით თავი და ქვეყანა ესე, სამეფო ჩემი, შემდგომად ღ̃ისა, უსაკუთრესად მონდობილ არის თქვენს მოწყალებაზედ. სხვანიცა ჩვენნი ვითარებანი უმდაბლესად მოხსენდება უმაღლესს კარსა დესპანისა ჩემის კნიაზ გარსევან ჭავჭავაძისაგან, რომელიც უწინარეს ამისსა, ფებერვლის 5, წარმოგზავნილ არს.

აპრილის 16, 1797 წელსა. თფილისით.

115. Д. XXIII. 16 Апрѣля 1797 г. Письмо царицы Даріи къ имп. Маріи Θеодоровнѣ.

აწინდელსა დროსა შინა შეიწრებული მყოფობა ჩვენი კადნიერ მყოფს მე, რათა თვით თავით ჩემით მოვართო თქვენს დიდებულებას უმდაბლესი მოხსენება ესე, რომლისათვისცა ქვე-შევრდომით გავბედავთ თქვენდა მიმართ უქვენაესსა ვედრებასა, რათა ყოვლადსაყვარელისა ძეებითურთ თქვენით გვექნათ შემწე და შუამდგომელი წინაშე მათის იმპ—ის დიდ–სა თქვენს საყვარელ ქვეშე მყოფი ქრისტიანეთა ერსა ამას, რომელნიცა, მონდობილნი მხოლოდ თქვენის საყვარე-ლისა აწ უკუნქცევითა საქართველოჲთ რუსეთის უძლეველის მხედრობისათა, მო-უთმენელსა მწუხარებასა შ͠ა მყოფნი, მოველით მტერთაგან წარწყმედასა, რომლი-სათვისცა, უმდაბლესად მთხოველნი, ვსასოებთ განახლებად დამტკიცებისა უმაღლე-სისა საყვარელისასა, და მოვანდობ ვედრებასა ამას ჩემსა უ͠დ უმოწყალესსა გან-მსინჯველობასა თქვენსა, რათა გვამყოფოთ მათის იმპ. დიდ. მფარველობასა ქვეშე სისრულის სასოებასა შინა რწმუნებულნი.

აპრილის 16, 1797 წელსა. თბილისით.

116. Д. XXIII. 28 Апрѣля 1797 г. Отношеніе отъ кн. Г. Р. Чавчавадзе къ кн. А. А. Безбородко.

ვინადგან ვხედავ, რომ ამჟამს მრავლის საქმისაგან პყრობილ ხარ და წარ-სავლელიც ხარ, ამისათვის აწ რომელიცა მეფისა ჩემის ხელმწიფისაგან თქვენთან გამოსაცხადებელნი საქმენი მქონან დავიდუმებ და პეტრებურხს მივიღებ გამო-ცხადების პატივსა, და ახლა მხოლოდ ამასა ვსთხოვ თქვენსა უგანათლებულესობას: თუ საქართველოში რუსეთის მხედრობის დარჩომის ბრძანება არ წასულ იყოს, ებძანოს ლინიაზე მყოფს მთავარს, რომ იქიდამა ჯარის გარდმოყვანა არ დააშუ-როს მანამდის ჩემგან ჩემის მეფის დაბარებულობა მოეხსენდებათ, და შ͠დ რო-გორც ინებებთ, ნება თქვენისა უგანათლებულესობისა არის.

აპრილის 28, წელსა 1797. მოსკოვი.

117. XXIII. 9 Іюня 1797 г. Грузинскій переводъ фирмана, полученнаго въ Тифлисѣ отъ Аги-Магомедъ-хана Персидскаго на имя царя Ираклія.

ჩვენის დიდებულების ბრძანება არის: უმაღლესო საქართველოს ვალი ერე-კლე-ხან.

ღ̃ის წყალობის შ̃დ ჩვენის ხელმწიფობის წყალობით შენი თავი ამაღლე-დეს! ასე იცოდე, რომ რუსეთის საქმე და ცხოვრება ყოველს ჟამს აღებმიცემა, ვაჭრობა ბაგრასტისა და მაუდის ყიდვა არის, არას დროს იმათგან ხრმლისა, შუ-ბისა და ომის იარაღის მოხმარება არას კაცს არ უნახავს. გაბედეს და ჩვენის და-ჭერილის ქვეყნების საზღვარში შემოვიდნენ,—ამათი გარდახდევინება და ამოწ-ყვეტა ჩვენს მაღალს გონებაში გამოვისახეთ და ჩვენი ბედნიერი დროშები აქეთს მხარეს გამოუმართა. იმ რუსებმა რომ ჩვენის ბედნიერის დროშების ამ მხარეს წარმომართვა გაიგონეს, თავიანთის საძაგელის ადგილებისაკენვე დაბრუნდნენ. და ახლა ჩვენის ხელმწიფობის თვალნი ამას მჭვრეტელობენ, რომ რომელნიც (?) გარდავახდევინოთ და ამოვსწყვიტოთ, ამისათვის ჩვენის ხელმწიფობის დიდებუ-ლების ნათელი ამ ადგილებს მოეფინა და ამ მხარის ადგილებს მოეფინა, და ამ მხარის ადგილების მინდორვები ჩვენის ბედნიერის კარვების დასადგმელი ადგილი შეიქმნა. რადგან შენი სიმაღლე ერანის ქვეყნებში დიდის გვარისა და ჯსტიბრისა პატრონი არის, შენის პატივის სიმძიმე ჩვენის მწყალობელის თავადთა წ̃ე დამტკი-ცებული არის, ამისათვის ამ წყალობის კალმით იწერება, რომ პირველს ჟამიდამ აქა-მომდე წყალობა და სიკეთე შენს სიმაღლეზედ ნიადაგ ჩუენის ხელმწიფობის გულ-ში დამტკიცებულ იყო, და წყალობისა და სიკეთის გარდა ჩვენს გულში შენთვის არა იყო რა. ის საქმე, რომ მაშინ მოხდა, (თბილისის აოხრება)—ის შენგან დაიბადა. რადგან ჩვენი წყალობა ყოველგან მივენილი არის, ჩვენის სამართლიანის გონების საშვალ ეს არის დამტკიცებული, რომ შენმა სიმაღლემ და შენმა შვილებმა ჩუენის დიდებულების სიმდიდრისაგან წყალობის წილი მიიღოთ და დიდს ადგილს მიწე-ვნის წყალობა მოიპოოთ, ამიტომ ეს ჩუენი ფარმანი შენ მოგყვლინება, რომ ჩუენის ხელმწიფობის კარები შენს საწადელს პირზედ ღია გეგონოს, და რო-გორც ერთგულების რიგი და ჩვენის ხელმწიფობის წადილი არის, ამისმზგავსად სამსახურის გზაზედ უნდა დასდგე,—ან შენ და ან ერთი შენი შვილებიდამ, დიად იმედიანად და ხათრიჯამობით, ჩვენის ხელმწიფობის კარზედ მოხვიდეთ, და ჩვენ-გან ფერადი წყალობა მიიღოთ, და თუ რაც გვიბრძანებია იმას გარდახდი, და რომელიც გვიბრძანებია ასე არა ჰქმენ,—შენ იცი.

118. Д. XXIII. 10 Іюня 1797 г. Письмо царя Ираклія къ кн. А. А. Безбородко.

ძლევაშემოსილისა სამხედროსათანა მათის იმპ. დიდ. თანამოგზაური ამათი მაღალ ყ̃დ სამღვდელოება იოსებ, არხიეპისკოპოზი რუსეთში მყოფთ ჭაოსი-ანთა, კნიაზ დოლგორუკი-არღუთოვი მოვიდა აქა, საქართველოსა შინა, ნუ-გეშინისმცემელად ქრისტიანეთა ერთა, და გამომაცხადი თვისისა ერთგულობისა მათის იმპ. დიდ. უმაღლესის ტახტისადმი, და მექმნა მეცა ამას მწუხარესა ჟამსა

შინა ნუგეშინისმცემელ სამეფოთურთ ჩემით, რომელსაცა ადრე მოსწრაფესა თაყუვანისსაცემელად მათის დიდ—ბის საიმპ. ტახტისასა ექმნა მიზეზი დამაყენებელი, ვინათგან აქ ყოფა ამისი იყო სახმარი. აწ სურვილით მომავალი, ოდესცა ღირს იქმნება თაყვანისცემასა წმიდისა და უმაღლესისა ტახტისასა, უკეთუ ინებებს მათი იმპ. დიდ. მოწყალებით კითხვასა შეწუხებულისა ვითარებისა ჩემისა და ქვეყანისა ჩემისასა, მაღალ ყ˜დ საღმვდელოსა ამას, თვით თვალითა თვისითა მხილველსა, ძალუცს უმდაბლესად მოხსენება და ეგრეთვე ჩემისა მხურვალე ერთგულობისა ჭეშმარიტად ცხადყოფა. ჩვენ ამჟამად მათის იმპ. დიდ. პირის-პირ მოხსენება ამისათვის ვერ მოვართვი, ვინადგან პოლნომოჩნი მინისტრის ჩემის კნიაზ გარსევან ჭავჭავაძისა მიერ ჩემის მოხსენებისა ჯერ პასუხი არ მიმიღია, და ახლა კიდევ მოხსენება ვეღარ ვიკადრე, და თქვენს უგან. მოვართვი წერილი ესე.

ივნისის 10, 1797 წელსა. თბილისით.

119. Д. XXIII. 11 Іюня 1797 г. Письмо Ираклія къ кн. Г. Р. Чавчавадзе.

ბრწყინვალეო თავადო გარსევან ჭავჭავაძევ! თუმცა მსურდა მათის იმპ. დიდ. ამჟამად წერილი მომერთმევინა, და რადგანც შენგან მათის დიდებულების წინაშე უმდაბლესად მირთმეულის ჩემის სათხოვრის პასუხი არ მიგიღია, ამისათვის ვეღარ ვიკადნიერე, და როგორც შენს შენის მამულისათვის მზრუნველობას შევნოდეს, ისე მხურვალის გულით ეცადე ჩვენის საქმის წარმართებას და ჩვენის ვითარების უმაღლესს კარზედ ცხადყოფასა. მართალია ახლა დიდად შესაწუხებელი მდგომარეობა გვაქვს, რომ მტერი ჩვენს წასახდენად არის წამოსული, მაგრამ ჩვენ ყ˜დ მოწყალის ხელმწიფის მოწყალებისა და საფარველის მსასოებელნი ვართ, რომ დიდებულის ხელმწიფისაგან დაუგდებელნი ვართ; აქ მყოფის რუსეთის უძლეველის მხედრობით და ჩვენის ჯარით მომავალს მტერს დავხვდებით, და ღვთის მოწყალებით მოიმედნი ვართ, რომ პასუხი გავსცეთ. აქ თუმცა პური თბილისში პუდი ორმილანთულ ხუთ შაურათ გაიყიდა რამდენსამე ხანს და ახლა კი ორმილანთულად ისყიდება, მაგრამ რუსეთის მხედრობანი კი პუდს ისევ ცხრა შაურათ ყიდულობდნენ და ყიდულობენ, ორის თვისაც ნასყიდი აქვსთ, და სხვაც მრავალი მოსდით სასყიდელი პური, რ˜ლითაც კმანი არიან.

ერევნიდამ ალიყულიხანს ჯარი გამოეგზავნა ჩვენის ელების წასახდენათ, რ˜ლითაც საქონელი მოიტაცეს, და ჩვენი შვილი ალექსანდრე მოსწყოდა რაოდენისამე კაცით, საქონელიც წაერთმევინა, კიდეც დაემარცხებინა და ორასამდინ კაციც მოეკლათ.

დღეს რომ ამ თვის ცხრა იყო და ეს წიგნი დავსწერეთ, ჩვენი კაცი საფარა მოვიდა განჯიდამ და ეს ანბავი მოგვიტანა: აღამაჰმადხანის ჯარი არეზის პირ-

ზედ რომ მოვიდაო, იბრეიმხან მაშინვე შუშის ციხიდამ აიყარა, ცოლშვილით და ნათესავებით შირვანისაკენ წავიდა, და დაღისტანში მივაო, თუმცა ზოგიერთა თავის ფამილია უწინვე გაესტუმრებინა, მაგრამ მანამდის აღამაჰმადხანის ჯარი არეზის პირზედ არ მოსულა, თითონ შუშის ციხიდამ არ აყრილა, შ̃დ ისიც ღამით გაქცეულა. იბრეიმხანის გაქცევის სამს დღეს უკან აღამაჰმადხან შუშის ციხეში შემოსულა, და არეზის გამოსვლაშიაც ორიათასი კაცი დარჩობია, და კიდევ განჯის ჯავათხანიც აღამაჰმადხანის დაბარებული ყოფილა, და წასულა. და უკანასკნელ წერილისა ამის აღამაჰმადხანის სიკვდილის ამბავიც მოგვივიდა, რომ ციხეში შემოსული მეხუთეს დღეს, ხუთს ივნისს, თავის მოსამსახურეთ მოუკლავთ,— სარწმუნო არის, რომელზედაც ეჭვის მიღება არა გმართებსთ.

მართალია აქ მყოფს რუსეთის მხედრობას ბძანება მოუვიდა აქავ მოცდისა, მაგრამ მოქმედების ბძანება აქვსთ, თუ არა,—არ ვიცი; ეცადე, რომ აქ მყოფს ჯარს ებძანოს სათვარში ჩვენთან გამოყოლა, რომ ჩვენ ჩვენს საზღვრებში და ჩვენს შინაგანს ყ̃ლთვის მაშფოთებელს ჭარეთზე ვილაშქრებთ, და ესენიც თან გამოგვყვნენ, და აგრეთვე ჩვენი ახლანდელი დაკარგული მამულები, რ̃ლიაც რუსეთის უმაღლესს სათვარველს ქვეშ შემოვედით, ესე იგი განჯა ერევნითურთ, ჩვენთანვე უძლეველის საჭურველის ჩრდილის ქვეშ დაცვით მოვიბრუნოთ, და გარე საზღვრისა, თუ არა მათის იმპ. დიდ. უმაღლესის ბრძანებით, არსად მივსცე სახე წასვლისა, და არც ასეთს კერძოს შევეხო, რომ ან ხვანთქრის აშლა იყოს, და ან ჩვენის ყ̃დ უმოწყალესის ხელმწიფის ნების წინააღმდეგად დასანახველი იყოს; და სხვებრ ჩვენი თხოვა ისივ არის, რ̃ლიც შენთვის ან წერილით, და ან სიტყვით გვირწმუნებია, და როგორც შეგეძლოს, ვისთანაც მართებული იყოს ჩვენს საქმეში მყოფს გვამებთან, — ეცადე, რომ მათის შუამავლობით დიდებულმა ხელმწიფემ, მტრის ხელით გამომხსნელმა, ჩვენზედ თვისი უმაღლესი მოწყალება დაამრჩობლოს, და ჩვენნი ზემოხსენებულნი სათხოვრები დაპყრობით დაგვიმტკიცოს. რაოდენ შენგან შეიძლებოდეს ყ̃ლის ჩვენის მოხსენებულის პასუხი ჟამზედ გვაცოდინე, რადგანაც დიდად მარჯვე დრო გვაქვს, რომ ეს სასარგებლო და მარჯვე დრო არ დავკარგოთ.

ივნისის ია, წელსა ჩღჟზ. თბილისიდამ.

120. Д. XXIII. 11 Іюня 1797 г. Представленіе отъ кн. Г. Чавчавадзе имп. Павлу.

მათს იმპერატორების დიდებულებას საქართველოს მეფისაგან სრულძალქმნილის დესპანის თავადის ჭავჭავაძისა მიერ ყ̃დ ქვეშევრდომებრი მოხსენება.

მათმა უმაღლესობამ მეფემ ირაკლიმ თეიმურაზოვიჩმან, ხელმწიფემან ჩემმან, წარმომგზავნა მე დასავრდომელად უსამღრთოესისა თქვენის იმპ. დიდებ.

კჳარცხლბეკისა მიმართ და მოსალოცავად უავგუსტესის აღსვლისათვის თქვენისა სასქესოსა სამკვიდროსა ყოვლისა რუსეთისა საიმპერატოროსა საყდარსა ზედა; სრულძალმქონებელ მყო მე, რათა წარუდგინო თქვენს იმპ. დიდებ. რომელნიმე სათხოვარნი კერძოსა მისისანი, ვითარცა წერილსა შინა მისსა, ჩემ მიერ მდაბლად მორთმეულსა, მოხსენებულ არს მისთვის, რომლისათვისცა უ̃დ ქვეშემვრდომებრივითა და თანამდებობითითა კეთილ-კრძალულებითა დიდისა იმპერატორისა მიმართი ცხადვჰყოფ შემდგომთა:

ა. სათნო იყო ყოვლისა შემძლებელისა და შ̃დ მისა სანატრელად სახსოვარისა მშობლისა თქვენისა დიდებულებისა ხელმწიფა იმპერატრიცა დიდისა ეკატერინასი მიღება საქართველოს და კახეთის მეფისა, ჩემისა ხელმწიფისა, ყოვლითა მისითა თავადებითა, აზნაურებითა და ერითა უ̃დ მოწყალებითსა საფარველსა და ქვეშემვრდომობასა შ̃ა, დამტკიცება მისთანა მას ტრაკტატსა ზ̃ა სეპარატის არტიკულისასა ჩ̃ღპგ წელსა, ივლისის კ̃დ დღესა, რ̃ლისა იმედოვნებისა ძლით მეფე, ჩემი ხელმწიფე, და ყოველი ერი მისი არა თუ ოდენ აქამომდე იყო მოსვენებულ, ა̃დ აწ უმეტესიცა მიიღო სასოება აღსვლითა თქვენის იმპ—ბის დიდებ. ყოვლისა რუსეთის საიმპერატოროსა საყდარსა ზედა სახილველად მისა და ერისა მისისა შესაძლებელთა ნიშანთა და თქვენის იმპ. უ̃დ ძლიერის ხელისაგან მფარველობათა და უმაღლესთა მოწყალებათა, ვინაიდგან უფროს აწინდელი შესაბრალებელი და შეიწრებული, და დაქცეული მდგომარეობა მისი განცხადებულ აქვს თქვენს დიდებულებას.

ბ. მეფემან, ხელმწიფემან ჩემმან, და ერმან მისმან არა უწყიან და არცა საჭირო არს ცნობა თუ ვითართა მიზეზთათვის რუსეთის იმპერატორის მხედრობას მიეცა ბრძანება, რათამცა გამოვიდნენ სპარსეთიო და დაუტეონ საზღვარნი მისნი, მაგრამ მხოლოდ უმაღლესობა მისი და ყოველი ერი მისი უ̃დ ქვეშემვრდომებრივ ითხოვენ, რ̃ა მისცეთ უმაღლესი ბრძანება აწ საქართველოსა შინა მყოფსა რუსეთის მხედრობის დასსა, რ̃ლ დაშთნენ მუნ ვ̃დის აწინდელნი აღრეულნი გარემოებანი განვლიდნენ, და შ̃დ მისსა, ძალისა მებრ სეპარატის არტიკულისა, შესაძლებელ არს დაშთნენ მუნ ოდენ რიცხვნი იგი, ვ̃ა ინებებს თქვენი იმპ. დიდებ. მსგავსად დანიშნულისა ტრაკტატისა უ̃დ მოწყალებით მუნ დაშთომის ბძანებას. ხ მეფეცა, ჩემი ხელმწიფე, არ იკანდიერებს მასთან მყოფის რუსეთის მხედრობისას, თუ არ უსაკუთრესის უმაღლესის ბძანებით, საქართველოს საზღვარს გარე ხმარებას, და მეზობლებთა თვისთადმიცა იქმნების მქცეველ თვით უმეგობრესითა სახითა მას ჟამადმდე ვ̃დის იქმნების იგი სათნო თქვენის იმპ. დიდებ. და ებრძანების მას განგრძობა მისი, და თვითცა თავით თვისით არა რაჲსათვის და არა ვისთან არა ვითარსამე საქმესა ზედა იწყებს შებედვასა, თუ არ თქვენის მაღალმონარხობითის მას ზედა ნებობით, და ყოვლით იქმნების მეძიებელი ღონისა მეზობლებთა მისთადმი მშვიდად, სიყვარულით, მეგობრად და თანხმობით ცხოვრებისათვის. მუნ ყოფნა მხედრობისა ამის აძლევს მეფესა და ერსა ვ̃ა რ̃ლსამე საფარ-

ველსა და დიდსა სიმხნესა განსვენებითისა და უშიშროებითისა ცხოვრებისათვის მათისა, და გარდა ამისსაცა იპყრობს ყოველსა თანამდებობასა შინა თვისსა; და უკეთუ ვინმე ქვეშემვრდომთა მისთაგანმან ვ̃რითამე ბოროტგანზრახვითა მოინდომოს დარღვევა უ̃დ საზოგადოსა მშვიდობისა და განსვენებისა, მაშინ ესე ვითარისა ჟამისათვის შემძლებელ იყვნენ იგინი ბრძანების ქონებით მოსახმარებელად დამშვიდებისათვის მათისა. მხედრობასა მას ყოფნასა მუნ თვისა თავისათვის საზრდოდ სახმარებელსა სურსათსა და სხვათაცა სათადარიგოთა ხორაგთა შინა დღემდე არა ვ̃რნიმე დამძვირნეობანი არა აქვნ და შ̃დცა არა ექმნებათ, ვინადგან მეფე, ჩემი ხელმწიფე, ძ̃ლითა თვისითა მზრუნველობითა გადამატებით შეჰკრებს, რ̃ლ ყოველივე იყოს კეთილ დროჲსათვის მზა, რომელიცა ახლა არს თვით მცირეს ფასად, რომლისათვისცა მუნ მყოფს ღენერალს და ყოველთა მთავრობითა პოლკოვნიკთა ძალუძთ მოწმობა. ესრეთჳ̃ს საქართუ̃ლოსა შინა ჰაერი არს ყოველთათვის მრთელ და არა როგორმე მწყენელ აქაურისა მხედრობისა, და პირის-პირ მისა არს ყოველთათვის ვ̃ა მშობელი ქვეყანა.

გ. მეფე, მხილველი თვისსა მოხუცებულებითსა წელსა, რომ სისუსტენი მძლე ექმნებიან მას და დღენიცა ცხოვრებისა მისისანი ჰშთებიან მცირენი, და აღმრჩევი და შ̃დ თვისსა სჯულიერისა მემკვიდრის სამეფოსათვის ძისა თვისისა გიორგისა, უ̃დ უმდაბლესად სთხოვს თქვენს დიდებ., რათა გაგზავნოთ თქვენის უმაღლესის კარიდამ ერთი აქაური უფალი, რომლისაცა ნება იქმნეს უმაღლესს დასამტკიცებელად და ანუ განსამაგრებელად მემკვიდრისა ამის, და საცნობელად მისა ხალხისათვის მისისა, და წარსაგზავნელითა ამით მისცეთ მეფესა და ერსა მას ჰსჯული ყოვლისა რუსეთისა მმართებელობისათვის სახელმწიფოსა მისისა, რ̃თმცა მის ძლით აღმოიფხვრან რომელნიმე ძველადვე მიფარულნი აზიის უსამართლოებითნი სამართლისა წარმოებანი, რ̃ლიცა მსახურებს საწყენად და წინააღმდეგად მართლსადიდებელსა ქრისტიანებრსა აღსარებასა.

დ. ქართლსა და კახეთსა, რ̃ლიცა არს სიმაგრენი დღემდე უკეთესსა მდგომარეობასა შინა,—მათი უმაღლესობა და ერი მისი ითხოვენ მდაბლად, რათა მიიღოთ თქვენის იმპ. ცნობასა შინა შესაბამად, რომლისათვისცა კერძოთ თვისით იგი და ერისად ერთი (ერთხელ და) მარადის მიუთხრობს, რ̃ლ იგინი მდგომარებენ ჩრდილსა და ხელმწიფობასა ქვეშე თქვენის იმპ. დიდებ—სათა;—დაწესებისათვის მათ სიმაგრეთა შინა მთავართა, ანუ კომენდანტთა სდებს უმაღლესსა ნებასა ზედა თქვენის იმპ. დიდებ—სასა.

ე. ქართლსა და კახეთს სხვათა და სხვათა ადგილთა შ̃ა არიან სხვა და სხვანი მადანნი, მომცენი უხვად ოქროსსა, ვეცხლისა და სხვათაცა ნივთთა, ყოვლითურთ სახმარნი და სასარგებლონი, და რადგანაც მეფესა, ჩემსა ხელმწიფესა, არა აქვს შეძლება, რომ ისარგებლოს მათით და არცა ჰყვანან მცოდნენი კაცნი, და ვერცა მისაცემელად მათთა სხვის სარწმუნოების მქონთა ერწმუნების, ვინათგან იშიშვის მის ძლით არა გამდიდრდენ ურწმუნონი და არა გასმრავლდნენ სამეფოსა შ̃ა თვისსა

მახმადიანნი, უ̃დ ქვეშემვრდომებრივ წინა უდებს თქვენსს იმპ. დიდებ. და ჰსთხოვს, რ̃ა გაგზავნოთ ერთი, ანუ ორი მეცნიერი კაცი გასაჩხრეკელად მათდა, და მასვე დროსა მოწმობისათვის, რომელ მოხსენება მისი ამისთვის არის მართალ. ოდესცა უმაღლესი ნება შეუდგების საწარმოებელად მისა, მოქმედებასა შ̃ა მისსა, მაშინ არიან ოდენ საჭირო მცოდნენი მთავარნი, და (ხოლო) მუშაკნი მცირესა სახელმწიფოსა შ̃ა მისსა იპოებიან ზომიერის სასყიდლით, რ̃ლისათვის არ არს საჭიროება, რ̃ა გამოგზავნოს იგინი უშორესის ადგილით; და ოდესცა უმაღლესი კარი იხილავს სარგებელსა მოხსენებულთა მადნებთაგან, მაშინ მეფე, ჩემი ხელმწიფე, სასოებს, რომ ებრძანების მას უმაღლესის მონარხობითის მოწყალებისაგან ისარგებლოს, რ̃ლითამე მათ შემოსავალთა მიერ.

ვ. ვინადგან საქართველოსა შ̃ა მარადის კეთდების ყოველი მონეთი ოქროსი, ვერცხლისა და სპილენძისა ფრიად მცირე რაოდენობა, ამისათვის მათი უმაღლესობა მეფე ითხოვს, რ̃ა უ̃დ უმოწყალესობით ღირს ჰყოთ იგი და ქვეშემვრდომნი მისნი ბრძანებითა მით, რომ ერთ კერძოს გამოსახულ იყოს პორტრეტი თქვენის იმპ. დიდებ—სა, ანუ ასონი დამნიშვნელნი საღმთოსა თქვენის იმპ. სახელისა, და მეორესა კერძოსა ზედა ნიშანნი მეფისა და საქართველოჲსა, მხოლოდ მისთვის, რათამცა ამის ძლით შესაძლებელ იყოს ცნობა, რომ მონეთი იგი მოჭრილ არს საქართველოსა შინა: ოქრო და ვერცხლი საქართველოსი არს გამოცდილებით უპირველესი, ვითარცა დასაბამიდგან მარადის იყო.

ზ. მეფე, ჩემი ხელმწიფე, უ̃დ ქვეშემვრდომებრივ სთხოვს თქვენს იმპ. დიდებ—ას, უკეთუ ვინმე მეფის ფამილიისა მის ძეთა და შვილისშვილთაგანი სთხოვს მშობელსა, თვისსა ხელმწიფესა, რუსეთში შემოსვლას თქვენის იმპ. სამსახურსა შინა შესვლისათვის და იგი იქმნების მეფისა მისგან ქმნილ საიმპერატოროს კარის მდაბალს სასარგებლოდ, რომ მიიღონ იგინი თქვენის იმპ. დიდებ. სამსახურსა შინა, და მიეცეს მესამზღვრეს უპირველეს-მთავარს ესე ვ̃რი ბრძანება, რომ თავისუფლად აქეთ გამოუშვას, გამოცხადებითა მით თუ სადით ჯერ უჩნსთ მათ წარსვლა.

ჱ. განსჯასა შინა წარსულთა დაკარგვათა და განსაცდელებათა, რომელნიცა დაითმინა მან მეფემ და ერმან მისმან მოსვლითა აღამაჰმადხანისათა და წარტაცებისა ძლით ყ̃ლთა მისთა ხაზინათა და სხვათცა ქონებათა, უ̃დ ქვეშემვრდომებრივ ითხოვს მეფე იგი ბოძებისათვის მისსა სესხის სახელ ჯამთა რაერთსაცა ინებებთ, ყ̃ა ყოვლისათვის მცირეთა რიცხვთა საქართველოს მხედრობათასა, ესრეთვე განმართვისათვის საქმეთა თვისთა აწინდელთა გარემოებათა შ̃ა, რომელსაცა ჯამისა იქმნების იგი მომქცეველ დანიშნულთა დროთა, ანუ პაემანთა ზედა, და რ̃ლისაცა ძალუცს აღება მისგან მუნ საყოფელს აქაურს მინისტრს იქაურის შემოსავლიდამ.

ესე ვ̃რის მათის უმაღლესობის ჩემის ხელმწიფის სათხოვრით მოსკოვს მოსვლასა ჩემსა ვერ ვიკადნიერე მე დამძიმება თქვენის იმპ. დიდებ., ვინათგან არცა დრონი და არცა ჟამნი უ̃დ მხიარულებითნი დაგვირგვინებასი თქვენის დიდე-

ბულებისანი მაშინ ქმნასა მისსა არა მიბრძანებდნენ მე, და აწ, დამრვდომი თავისა თვისისა უსაღმრთოესისა თქვენის იმპ. დიდებ. კვარცხლბეკისა მიმართ, უ̃დ ქვეშევრდომებრივ ვითხოვ ღირს ჰყოთ სათხოვარნი იგი ჩემისა ხელმწიფისანი მაღალ მონარხობითსა სმენასა თქვენსა, და მომანიჭოთ მე უ̃დ უმოწყალესობითნი რეზოლუცია, რ̃ამცა ვიძლო მე, რომ მათს უმაღლესობას, ხელმწიფესა ჩემსა, დღემდე უამბოთ დაშთომილს და თვის შ̃ს მოვიქრებულს აწმყოთა შემჭიდროებულთა და უღონოქმნილთა მდგომარეობათა მისთა ზიარ ყოფითა თქვენსის დიდებ. უმაღლესის რეზოლუციისათა განმწერტელსა მწუხარებასა შინა მისსა ნუგეშვსცე და მოხარულ ჰყო, ანუ მდგომარეობამან მისმან გამომსახველმან სწორედ მისსავე მოუწოდოს მას და ერსა მისსა კ̃დ სახელისათვის თქვენისა ცხოვრებისა მიმართ.

თქვენის იმპ. დიდებ. უ̃დ ქვეშევრდომი, საქართულოს მეფის ჩემის სრულძალმქონებელი დესპანი თავადი გარსევან ჭავჭავაძე.

ივნისის ია დღესა, წელსა ჩღჟზ.

121. Д. XXIII. 23 Іюня 1797 г. Письмо царя Ираклія къ кн. А. А. Безбородко.

რომელიც მათის დიდებ. უ̃დ მოწყალის ხელმწიფისათვის ჩვენი თხოვა მოგვიხსენებია, რათგანაც ჯერეთ პასუხი არა გვბრძანებია, ამისათვის თქვენს უგანათლებულესობას სხვა საქმისათვის თავი არ უნდა ვაწყინოთ, მაგრამ ქრისტიანებრი მოვალეობა არ გვიტევებს, რომ ამ წინამდებარე აზრისათვის ჩვენი თანამდებობა არ აღვასრულოთ და თქვენს უგან. არ მოვახსენოთ: ყარაბაღში მყოფნი სომხის მელიქები, რომელნიც წარმართთაგან დიდს შეიწროებასა და მწუხარებაში არიან მიცემულნი, ამათ ადრით ყამითგანვე ჰქონდათ სურვილი, რომ იმათის ხელითგან გამოხსნილიყვნენ და ქრისტიანობაში ღირსებოდათ ყოფა და ცხოვრება, და აწ ამ დროს შეხვდა ყამი კნიაზ მელიქ შაჰნაზარისშვილს, მელიქ ჯიმშიტს და კნიაზ მელიქ ბეგლარისშვილს, მელიქ ფრიდონს, რომელნიც ყარაბაღიდამ გამოქცეულნი აქ ჩვენთან თავიანთის ამალით მოვიდნენ, და აქვსთ ამისი წადილი და ნდომა, რათა ყარაბაღში მცხოვრებნი სომეხნი ქრისტიანობაში მოიყვანონ და დაემკვიდრნენ, რომელთაც მოინდომეს უმაღლესს კარს წამოსვლა, და ვინათგან ამათი უ̃დ უსამღვდელოესობა ჰაოსიანთ გვართ არქიეპისკოპოსი იოსებ მხარგრძელ-არღუთოვი უმაღლესის ბრძანებით რუსეთის უძლეველს მხედრობას თანამოჰყვა და აქ ჩვენთან იმყოფებოდა, და აწ რუსეთადვე წამოვიდა, ხსენებული კნიაზ მელიქები ამათს უ̃დ უსამღვდელოებასთან გამოვატანეთ, რომელთაც რეკუმენდეციას მოვახსენებ თქვენს უგანათ—ს, რათა კნიაზ მელიქ ჯიმშიტ და კნიაზ მელიქ

ფრიდონ დაუგდებელნი იყვნენ თქვენის მოწყალებისაგან, და უკეთუ ღირს იქმნებიან და მანდ მოაწევენ, თავეთის საქმის ვითარებას თვით ესენი მოახსენებენ თქვენს უგანათ—ს. მდაბლად ვითხოვ, რადგანაც ქრისტიანენი არიან და მათი შრომა და ღვაწლი ქრისტიანეთ გამოხსნისათვის არის, ამათ თხოვას მათს დიდებ. უ̃დ მოწყალეს ხელმწიფესთან შეწევნა მისცეთ.

წელსა 1797, ივნისის 23.

122. Д. XXIII. 23 Іюня 1797 г. Сообщеніе кн. Г. Р. Чавчавадзе въ Иностр. Коллегію.

თუმცა ჩვენსავ იქ ყოფნაშიაც გვქონდა ეს გაგონილი, რომ აღამაჭმადხან გაზაფხულზედ ჩვენის საზღვრისაკენ აპირებდა წამოსვლას, და ახლაც მესმის გარეშე მცნობთაგან, რომ ხსენებული კაცი თავის ადგილიდამ დაძრულა და ჩვენს საზღვრებს დაახლოებია, მაგრამ ჩემის მეფისაგან კი ამ ჟამად წერილი არ მომსვლია, რომელსაც, ვგონებ, ეგების გზებზედ რჩებოდეს სადმე ჩემის უბედურობით, და ახლა ყოვლად უმდაბლესად ვითხოვ, რომ რაც პასუხი ჩემგან მორთმეულს წერილს ებოძებოდეს, მებრძანოს, რომ ჩემს მეფეს, ჩემგან უ̃ ლითვის თვისის პასუხის მომლოდინეს, მსწრაფლად მოვახსენო, რომელმაც თავისი აწინდელი მდგომარეობის ქცევა ჩემგან გაგზავნილის ამბვით სცნას, რ̃ა ეს უკანასკნელი საცთური უძვირეს პირველისა არ მოუხდესთ.

ივნისის კგ, წელსა ჩღჟზ.

123. Д. XXIII. 18 Сентября 1797 г. Сообщеніе кн. Г. Чавчавадзе кн. А. А. Безбородко.

თუმცა უმაღლესობა მისი მეფე, ჩემი ხელმწიფე, წერილითა ამით თვისითა ითხოვს ურუმელთ მცხოვრებელთ საქართველოში მოყვანისათვის შეწევნასა, მაგრამ ახლა რადგანაც ზამთარი არის წამომდგარი, ამისათვის გაზაფხულადმდე დაშთების აღსრულებლად. უკეთუ ნება იქმნების მოხედვად ყოვლად უმოწყალესითა კეთილმყოფობითა მეფესა ზედა ჩემსა და ერსა ზედა მისსა, ფიცით თქვენდამი ქვეშევრდომსა, მაშინ მე უმდაბლესად მოგახსენებ: ახლა უპირველესი სარგებელი მეფისა ჩემისა და ყოვლისა სამეფოისა მისისა მდგომარებს მას შ̃ა, რომ დავამდაბლოთ ახლონი მტერნი, მეზობელნი მისნი, ჭარს მცხოვრებელნი, რომლისათვისცა საჭირო არის, რომ ებძანოსთ საქართველოში მყოფს რუსეთის იმპერატორის მხედრობას დაშთნენ დასაფარველად მეფისა ჩემისა და ერისა მისისა, და ამავ ზამ-

თარ ერთათ საქართველოს მხედრობასთან ილაშქრონ ჭარელთა ზედა, ვინათგან ჭარელნი იგი გვშორვენ ჩვენ ოცდა ათის ვერსით, სადაც ზამთარი არ არის ცივი და არცა ძალუძს დაბრკოლება ჯარისა საქმესა შინა, და დროსა ზაფხულისასა არა ესრეთ შეიძლების; ამისთვის სჯობს, რომ საზოგადოსა სარგებლობისთვის ვიმოქმედოთ მათზედ ზამთრით.

სეკდენბრის ით, წელსა ჩღჟზ. ს. პეტერბურხს.

124. Д. XXIII. 30 Сентября 1797 г. Письмо кн. Г. Чавчавадзе къ кн. А. А. Безбородко.

რამთენიმე წერილი მოვართვი თქვენს უგანათლ. მათის მსვლელობის სერგეი ლაზარიჩის ლაშქაროვის ხელით, რომლისაც პასუხი ჯერეთცა თქვენგან არ მბრძანებია რა და ვერცა რა მე მიმიწერია მეფის ჩემის ხელმწიფისათვის. ჩემგან ამდენს ხანს წიგნის მიურთმევლობისა და თვისის საქმის მოუხსენებლობისათვის მიწერების მეფე ჩემი და მომდის წერილი, რომ გარემონი მტერნი ჩვენნი არიან წარმომდგარნი მისზედა, და ითმენსცა, ჩემგან უპასუხო, მეზობელთაგან თვისთა უპირველესთა განსაცდელთა, ვიდრემდა წარსრულთა; და აწ მე, რადგანაც აქამომდე თქვენის უგანათლ. საქმესა ზედა, ხილვით, ვერ მივიღე პატივი, ზემოხსენებულს ლაშქაროვს ვსთხოვ ხშირად, რომ თქვენის მხრით მაცნობოს რამე, და ის მარადის მეუბნების, რომ თქვენ თვით ინებებთ და მიბძანებთ თქვენთან ხლებას, და პასუხის თქმას პირის-პირ ღირსმეყოფთ, და, რადგანაც საგანსაცდელი მდგომარეობა ჩვენი ვერ ითმენს დაგვიანებასა, ამისათვის უმდაბლესად ვსთხოვ თქვენს უგანათლ., ვითარცა კეთილმზრუნველსა ჩვენსა, რაოდენცა შეიძლებოდეს ჩემის მოხსენებულის საქმეებისა, მიბრძანოთ რამე, რათა მეფემან, ჩემმან ხელმწიფემან, და სამეფომან მისმან, განსაცდელსა შ~ა მყოფთა, სცნან ძალი თვისისა უგანასკნელისა მდგომარეობისა, რ~ლისათვის ყ~ლი საზოგადოობა დავშთებით უმდაბლესითა მადლობითა.

სეკდემბრის ლ, წელსა ჩღჟზ. ს. პეტერბურღს.

125. Д. XXIII. 8 Декабря 1797 г. Письмо кн. Г. Чавчавадзе къ кн. А. А. Безбородко.

ს:ხელითა ყოვლისა საქართველოს ერისათა ვიკადრებ სათხოვრითა ამით დამძიმებასა თქვენისა უგანათლ—სა:

დროსა წამოსვლისა ჩემისა საქართველოთი ყოველთა მუნებურთა მცხოვრებთა დამძლევს მე ყოვლად უმდაბლესად გიხოვო თქვენ, უგანათლებულესო თავა-

დო, მოწყალებიანი შუამავლობა მათი მათს იმპ. დიდებ. დაუგდებელობისათვის მათისა შ̃ დგთა შ̃ა.

წელსა ტიბ (312) შ̃დ ქრისტეს შობისა, დროსა მეფის მირიან ხოსროიან ხოსროიანისასა, წმიდა ნინას მიერ მოტანილი ჯვარი მაცხოვრისა ჩვენისა საქართველოსა შ̃ა, რომლითაცა მოაქცია ყოველი მამული ჩვენი კერპთ-მსახურებითგან მო მართლმადიდებელობასა შ̃ა,— ჯვარი იგი, შ̃დ საქართველოით წამოსვლისა რუსეთსა შ̃ა ნეტარად სახსენებელის საქართველოს მეფის ვახტანგისა, საქართველოს არქიელის რომანოზისაგან საიდუმლოდ წამოღებული აქეთ და მიცემული დისა მისა ანნა იეგოროვნას ბაქარ ცარევიჩის მეუღლისადმი, დღემდე არის სახლსა შ̃ა ხსენებულის კნეინას შვილიშვილის, საქართველოს თავადის გიორგისასა, რომლისათვისცა ყოველნი მუნებურნი მცხოვრებნი, დამდებნი სასოებისა თვისისა თქვენს უგანათლებულესობასა და მართლ-მსაჯულებასა ზ̃ა მათს იმპ. დიდებ—სასა, ჩემ მიერისა ამით უ̃დ უმდაბლესად გთხოვენ მიქცევისათვის ჯვარისა მის უფლისა საქართველოის ერისადმი, ვ̃ა წმიდისა მფარველისა მისისა, და რომელიცა ყოველსა სიმართლესა შ̃ა ესათანადოების მას სამარადისოთ სამკვიდროდ მისა. მიღებითა მისითა გული ერისა განმხნდების, მიიღებს ახალსა გრძნობასა და მპოვნელსი თავისა თვისისათვის სასიხარულოჲსა კმაყოფისა, მით უმეტეს დაშოებიან მმადლობელ თქვენისადმი უგანათლ—სა.

დეკემბერს ლ, წელსა ჩღჟზ. ს. პეტერბურღს.

126. Д. XXIII. 31 Декабря 1797 г. Представленіе отъ кн. Г. Чавчавадзе имп. Павлу.

დღესასწაულებითისა დაარსებულისა შემაკავშირებელის დაზავებისა ძლისა მებრ თქვენის იმპ. დიდებ. იმპერიისა და საქართველოისა სამეფოის შ̃ს მათშა უმაღლესობამ, მეფემან საქართველოსამან, უუმოწყალესმან ხელმწიფემან ჩემმან, და ჩემგან სრულ-შემძლებელობითა განმამხნობელმან წარმომგზავნა უმაღლესსა კარისადმი თქვენისა, ვ̃ა თქვენის იმპ. დიდებ. სამკვიდროსა წინაპართა საყდრისა, კეთილმიღებით მიღების მოლოცვისათვის, რ̃ლისაცა მაქვნდა უკვე პატივი სრულ-ყოფად.

ეგრეთვე მოსახსენებლადცა თქვენის იმპ. დიდებ., ძალისა მებრ მის ტრაქტატისა, უ̃დ უმდაბლესთა სათხოვართა მეფისა მის და ერისა მისისა, რ̃ლთათვისცა არა დაუტევე მე წერილით ცხადყოფა უფალს კანცლარს უგანათლ. თავადს ბეზბოროდკას მოსართმეველად თქვენის იმპ. დიდებ., ვ̃ა, შ̃დ დ̃ისა, მხოლოდ მფარველისა და მფლობელისა მეფეთა საქართველოსათა,—ა̃დ დღემდე უ̃ლთა სათხოვართა მეფისა ჩემისათა სათანადოითა პასუხითა კ̃დ არა ვარ ღირსქმნილ, ხ̃ მოთქმიეს უკვე მე ლიტონის სიტყვით უფლის დეისტვ. სტ. სოვ. დაშქაროვი-

საგან, ვ̃დ სათხოვარნი მეფისა ჩემისანი არ ხელსაწიფებელ არიან დღეს კმაყოფად, რომლისათვისცა, უკეთუ ესრეთ სთნო იქმნებოდა უმაღლესისა კარისა, ჯერიყომცა გვბრძანებოდა უწინარეს წლისა, მაშინ მეფესა, ჩემსა ხელმწიფესა, შეეძლო მიღება სხვათა საზომთა დასაცველად სამეფოჲსა თვისისა; და მეცა არა ხელმეწიფების უბრძანო თავსა თვისსა ფიქრვა, ვ̃დ თქვენო იმპ. დიდებ., კეთილმსახურო, ყ̃ლის რუსეთის საყდრის მემკვიდრევ, რ̃ლ საღმრთოთა მაღალთა წინაპართა თქვენთა შეკრულებათა ხელიწიფებდით ყ̃ლსა რუსეთისადმი საუკუნოდ ქვეშემვრდომად მოსულის მეფის სქეს-ტომითა და ერითა თვისითა ესე ვითარითა პასუხთა მიცემასა, და დაურღნობილი სიწმიდეთა მათ ორისავ კერძოთ დღესასწაულებით შეკრულებათა მეფისა ჩემისა და სამეფოსა მისისა დაურღვეველად დაცულთა ზ̃ა, ოდესცა არცა მან და არცა ერმან მისმან არა დაზოგეს სისხლი თვისი სხვერპლებად მათთვის,—მივიღებ ყ̃დ დამდაბლებულსა კადნიერებასა ყ̃ლთა მათ ხსენებულთა სათხოვართა მეფისა ჩემისათა უსაშვალოთა ამით მოვაგონო თქვენს დიდებულებას და ყ̃დ ქვეშემვრდომებრივ გთხოვო: ინებებაა შენ, დიდო და თვითმპყრობელო ხელმწიფევ, პყრობასა ტრახტატისასა მის პ̃ლისა მებრ ძალისა შ̃ა თვისსა და ინებებთაა, მიცემასა მეფისა ჩემისა, ტრახტატისა მის შეკრულებათა გამო, შემჭიდროებულსა მდგომობასა შ̃ა მიყვანებულისა, აღთქმისა მისებრ, შეწევნასა? ანუ დრომდე, რომელთამე მიზეზთა მიერ, ქმნა მისი შეუძლებელ არს?

დიდო ხელმწიფევ, დირს ჭყავ გამოყვანა ჩემი უცნობელობისა გამო, და მოლოდება ყ̃ლისა საქართველოჲსა უმოწყალესითა ამას ზ̃ა პასუხითა, რათამცა მათი უმაღლესობა მეფე, ჩემი ხელმწიფე, და ერი მისი, დაშთომილნი მას უცნობელობასა შ̃ა, ვითარცა მე ვარ ამა დრომდე დაშთომილი, აღთქმითა მით საღრმთოსა ტრახტატისათა და თქვენის დიდ—დმი ერთგულებითისა ფიცისა ქმნითა—არა იყვნენ მიყვანილნი სრულსა წარწყმედასა შინა, და რათამცა მან, უფლებისა მქონემან საქმნელად ვისთანამე მეზობლებთა თვისთა ადერბეჟანისა მესაზღვრეთ, სპარსეთისა ხანებთა და მთიურთა დაღისტნისა მფლობელებთადმი საჭიროთა დასაცველად სამეფოსა მისსა მეგობრულისა მიწერ-მოწერისა დასაკვირველისა,—ძალიდვას წარდგომა მყოფმან საუკუნოდ სულით თვისით შენდამი ერთგულებითა და თანამვრდომობითა.

მეორესა სეპარატის არტიკულსა ზემოდანიშნულსა შემაკავშირებელსა ტრახტატსა შ̃ა დაწესებულ არს მათის სიმაღლის მეფის, ჩემის ხელმწიფის, წინაშე პყრობა ორის სრულის ბატალიონის რუსეთის ქვეითის მხედრობისა ოთხითა ზარბაზნითა, რ̃ლნიცა აძლევდა ქართველთა დიდთა სიმხნეთა და იმედოვნებათა, ხ̃ მეზობლებთაცა ღირსრწმუნებულ ჰყოფდა მას შ̃ა, ვ̃დ ყ̃ლი სამეფო იგი მდგომარებს საფარველსა ქვეშე ყ̃ლის რუსეთის უმაღლესისა კარისასა, და აყენებდაცა მათ უმოქმედობასა შ̃ა; და რადგანაც ბატალიონნი იგი არიან აქედამ გამოყვანილნი, მაშინ ყ̃დ უმდაბლესად გთხოვ უბრძანოთ მათ მიბრუნვება მუნვე, მარწმუნებელი, ვ̃დ მეფე, ჩემი ხელმწიფე, თვინიერ უმაღლესისა თქვენის დიდებ. ნებისა, არასადმე

იკადნიერებს ხმარებასა მათსა, და დააყენებს ქალაქსა შ̃ა თბილისს, მხოლოდ შიშისათვის მტერთა საქართველოსათა დასარწმუნებელად, ვ̃დ მაღალი თქვენის იმპ. დიდ. საფარველი არს სამეფოსა ზ̃ა მისსა აწცა, ვ̃ა პ̃ლ.

და უკეთუ ჯერ-არს, ვ̃დ ჟამადმდე სამეფო საქართველოჲსა უზენაესისა მპრძანებელისა თვისისა და მფლობელისა გამო შთებოდეს შეუწევნელად, და უკეთუ ჯერ-არს, ვ̃დ იგი საკუთარითა, არა დიადითა, ძალითა თვისითა ჰსცვიდეს თავსა თვისსა მტერთა გამო,—უბრძანე მესაზღვრეთა მთავართა შენთა არა დააბრკოლონ ჩერქეზნი, პირველისა მებრ, ხარჯთა ჩვენთა ზედა ჩვენთვის აღელვებულნი, პირისპირ მტერთა მსახურებად ჩვენდა,—ჩვენ, ნუ უკვე ყ̃დ ძლიერისა შეწევნასათანა, ვიპოებით, ვ̃დ მდგომარეობასა შ̃ა მისაქცეველად შიშთა მამულთაგან და წართმევად მტერთა ჩ̃ნ ზ̃ა დასხმისა ხალისთა დამცველნი მ̃დის ერთსარწმუნოებისა ძლით საყდრისადმი შენისა, საყდრისა მართლსადიდებელისა, უტყუველისა, ქრისტიანებრივისა თანამგრძნობრისა.

ყ̃დ უმოწყ. ხელმწიფევ, შემგომად მათსა ბრძანე მიქცევა მამულსა შ̃ა ჩემსა ჯვარისა უფლისა წ̃ის ნინას მიერ მუნ მოტანილისა და ს̃დ საქართველოს სამეფოს კერპთმსახურებით გამო მართლსადიდებელსა ქრისტიანებრსა აღმსარებლობასა შ̃ა მომქცევისა. ჯვარი იგი უფლისა დროსა საქართველოდამ სანატრელად სახსენებელის მეფის ვახტანგის გამოსვლისასა რ̃ლისამე მუნებურის არქიერისაგან საიდუმლოდ წამოღებულ იქმნა მუნით მონასტრით გამო, და შ̃დ რუსეთსა შინა მოტანისა მიეცა საქართველოს ბაქარ მეფის შვილის ცოლს, ცარევნას ანნას იეგოროვნას, და დღეს მყოფობს შვილისშვილისა ძის, საქართველოს თავადის გიორგისას; აწმყოთა მდგომარეობათაგამო უბედურნი ქართველნი, კ̃დ ნიჭად თვისად მიმღებნი ჯვარისა მის, სიწმიდითა მისითა განმხნდებიან, დამამტკიცებელნი თავისა თვისისანი სახარბიელსა იმედოვნებასა შ̃ა, და შ̃დ ესოდენთა სასჯელთა და ვნებათა მტერთაგამო მათთა, შთამოვალს კ̃დ მათზ̃ა საღმრთო მადლი, და შ̃დცა მისსა სცნობენ, ვ̃დ შენ, დიდო ხელმწიფევ და იმპერატორო ყოვლის როსსიისა, და მფლობელო სამეფოთა მათ, არა უტევებ მათ საფარველითა თვისითა.

ბრძანე ესრეთვე გაშვება საქართველოსა შ̃ა ზარბაზნებთა და ყუმბარებთა მათცა, მუნებურის ღერბით შთამოსხმულთა უმაღლესითა ბრძანებითა სანატრელისა და საუკუნოდ ხსოვნის ღირსის საყვარელის თქვენის დიდებულების მშობლისათა, რ̃ლნიცა უბოძა მან მეფესა, ჩემსა ხელმწიფესა, და რომელნიცა დღეემდე მუნით არ არიან გაშვებული, და არიან ლინიასა ზედა იეგორევის ციხესა შ̃ა. საქართველო, მხილველი მათისა თვისთანა, შერაცხს მასცა არა მცირედ ნუგეშად თვისად და მიიღებს ვ̃ა წინდსა მაღალ-მონარხობისა თქვენისა მისდამი კეთილნებობისასა.

განსადიდებელადვე მათის უმაღლესობის მეფის ჩემის უსაყვარლესის ხელმწიფის მოხუცებისა, რ̃ლი რაოდენცა სიღრმეთაგამო წელთა თვისთათა და უფროს მამულისათვის გულისა მისისა განმწერტელისა ჭირისაგან ნუ უკვე მდება-

რებდეს დღეს სასიკუდინესა ცხედარსა ზ̃ა, ანუ, უკვე საგლოველად ყ̃ლისა სამეფოსა, მიცვალებულ არს, დიდს ჭუავ წარგზავნა უმოწყალესისა შენის იმპერატორების მანუგეშებელისა წერილისა მისდამი, სამეფოსა, მემკვიდრისა და ერისადმი მისისა რაოდენცა წინდად მაღალ-მონარხობისა შენისა მათდამი კეთილნებობისა, ეგოდენცა უფროს განმამხნობელად, ვ̃დ მათ დაიცვან თავნი და სამეფო თვისი ძალისამებრ ზემორე დანიშნულისა მყოფის ტრაქტატისა უზენაესსა ხელმწიფებასა და მფარველობასა შ̃ა შენსა, და უ̃დ უმოწყალესობითაცა ბრძანე დღეს მუნით წარსვლა ჩემი, ვ̃ა დამოწმებისათვის მის მეფის ჩემის უსაყვარლესის ხელმწიფის, შენისა მისდამი კეთილმდგომობისა, უკეთუ დავახელებ მას ცოცხლად, ანუ ვიქმნე მგლოველ სხვათა თანა სადმრთოისა გვამისა მისისა, ესრეთცა მემკვიდრისა მის და ერისა მისათხრობელად შენთა მათდამი მაღალთ-მოწყალებათა, და ვ̃დ ესრეთვე დავესწრა სამეფოსა ზ̃ა დამტკიცებასა თანა მისსა; და ამასთანაცა უ̃დ ქვეშევრდომებრივ გთხოვ როჭიკსა ზ̃ა დასაშთომელთა აქა სახლეულობათა ჩემთა, ვ̃ა წარსულსაცა ჩღჟვ წელსა, დროსა წასვლისა ჩემისასა საქართველოსა შინა ჩვენებულ იყო უმაღლესი მოწყალება,—განაგრძოთ წარმოება თვით როჭიკსა მისვე, ვითარითაცა აქამომდე მაღალ-მონარხობის უხვებით გამო მაქვს ბედნიერობა სარგებლობად.

შეხებასავე მისსა ოდეს მამულსა შინა ჩემსა მივიქცევი მე უკუნ—ვითარნი მხილებანი მივცნე მე მუნ მეფესა, ჩემსა ხელმწიფესა, დიდშემძლეთა მისთა და ერსა, და ვ̃რნი მივსცნე მათ რწმუნებანი, ვ̃დ მდგომობდნენ მტკიცედ ფიცთა შ̃ა თვისთა, მათ მიერ ყ̃ლის რუსეთის საიმპერიოს საყდრის და მფლობელისა და მაღალთა მოსაყდრეთადმი მისთა მიცემულთა? ამისათვის მინისტერია თვისი დიდს ჭუავ ესრეთვე ბრძანებად: განმამხნონ მე წერილობითითა მოძღვრებითა, ვ̃დ შემძლებელი მე მამულისა ჩემისა სამსახურისა, არა განვეშოროცა მაღალმონარხობითსა ნებასა შენსა, ვ̃ა მხოლოსა ტრაქტატისა ძლით საქართველოსა შ̃ა უზენაესისა ხელმწიფებისა მპყრობელსა, და არა ვსცოდოთ არცა ყ̃დ ძლიერსა წ̃ე ღ̃თისა და არცა წ̃ე შენის იმპ. დიდებ—სა. ყ̃დ უუგანათლებულესო მონარხო, ვ̃ა ერთგული ქვეშემვრდომი, დამვრდომი თქვენის იმპ. დიდებ. უსამღრთოესთა კვარცხლბეკთადმი, გთხოვ განმამხნოთ მე წერილისა ამის ძლით ადრეთვე მოლოდებულის პასუხით, რათამცა კეთილდროთ უძლო მე მუნ მიტანა მისი.

დეკემბრის ლა დღეს, წელსა ჩღჟზ.

127. Д. XXVI. 5 Января 1798 г. Письмо царицы Даріи къ имп. Павлу.

უმაღლესი უკაზი თქვენის იმპ. დიდებ. გაქცეულის სალდათებისათვის, მოწერილი მეფისა მიმართ ჩემისა, მივიღე თაყვანისცემითა, და უმდაბლესად მოვახსე-

ნებ თქვენს იმპ. დიდებ., რომ მეფემან ჩემმან ვერ შეიძლო წაკითხვა თქვენის ბძანებისა, ეგრეთვე პასუხის მოხსენება, რადგანც არის თვე ექვსი, რომ სნეულია, და ჟამსა ამას უმეტესად შეწუხებული არის დიდათ, ამ მიზეზით გავბედავ და მე მოგახსენებ, რომ არც ერთი სალდათი არ მიღებულ იყოს ჩემის მეფისაგან. როდესაც მხედრობა თქვენის იმპ. დიდებ. საქართველოდამ გამოგზავრდა, მეფე ჩემი მაშინაც სნეული იყო, და ეგრეთვე იმჟამად ომარხანც დაღისტნის ჯარით ამ ქვეყანაზე ექვს ალაჯზე დადგა სამტეროდ, და იქმნება მოხსენებულიც გქონდესთ, კახეთში ექვსი დიდი სოფელი დაატყვევა და სრულებით დასწვა, სხვა სოფლებიც აყრილნი და სიმაგრეებში იყვნენ დახიზნულნი; და ამისთანას დროს რომ მოხდა აყრა და წამოსვლა თქვენის დიდებულების უძლეველის მხედრობისა, მოცალება აღარა გვქონდა, რომ გაპარული სალდათები დაჭერილ იყვნენ; და უფრო მრავალნი სხვას საბძანებელ ქვეყნებში გასულ იყვნენ. და ესეც გავიგონეთ, რომ იმათს უფროსსაც ურიგო ყოფაქცევა ეხმარებინოს, რომ თუ ვისმე გზაზე შეხვედრია და გაქცეული სალდათი მიუყვანია, მიმყვანს ავად მოპყრობია და დაუშინებია. შეუძლებელი იყო ჩვენგან და ჩვენს ერთგულთაგან, რომ თქვენის სალდათის მობირება მომხდარ იყო, რადგანაც გვსურს, რომ თვით ჩვენი შვილებიც თქვენს სამსახურში იმყოფებოდნენ და ყოველთვის ჩვენს დაფარვასაც თქვენის იმპ. დიდებ. მოწყალებით მოველით, ამისათვის გევედრები, რომ ჩვენი შეწუხებული მდგომარეობა შეიწყალოთ, და თქვენი უ̃დ მოწყალე გული ჩვენზე არ შესცვალოთ. რომელნიც დამალულნი ამ სამეფოს სოფლებში იქმნებიან—იმათ ბეჯითად ვაძებნინებ, რამოდენიც კიდეც მომიყვანინებია დაჭერილნი, რომ ახლა თქვენს ღენერალს გრაფ გუდოვიჩს მიებარება, და ამის გარდა რამდენისაც პოვნას შევიძლებთ, უკლებრად იმასაც საჩქაროდ გამოვგზავნით. ამაზედ თქვენს უდიდებ. ვარწმუნებ, რომ აქ არც ერთს სალდათს არ დავაყენებ, და ამაზედ კი ვსასოებ, რომ რომელნიც ჩვენს ქვეყანაში არ არიან და არც ჩვენი ძალი იმათზედ იმოქმედებს—იმათთვის არ გაგვიწყრებით. უგან. კნიაზს ბეზბოროდკასა ჩვენგან წერილით ერთი განცხადება მოერთმევა, და გევედრები ისიც მოწყალებით მოიხსენოთ. უ̃დ ღ̃ისა თქვენს საფარველს მოვაბარებ ძეთა ჩვენთა და საზოგადოსა ამას შეწუხებულთა ქრისტიანეთა.

იანვარს 5, წელსა 1798. თელავით.

128. Д. XXIV. 5 Января 1798 г. Письмо царицы Даріи къ имп. Маріи Өеодоровнѣ.

მათის იმპ. დიდ. ჩვენს უ̃დ მოწყალეს ხელმწიფესა უკაზი ებოძებინა ჩემის მეფისათვის, რომელიც გაქცეული სალდათებისათვის იყო მოწერილი, მაგრამ, რადგანაც მეფე ჩემი ექვსი თვე არის, რომ სნეულია და უმეტესად ამჟამად შეწუხებული იყო, ვერც წაკითხვა შეიძლო და ვერც პასუხის მოხსენება, ამისთვის მე,

მოვალეობით დიდად შეწუხებულმა, გავბედე და პასუხი მოვახსენე, და ყოველი მიზეზი თვით მათის იმპ. დიდებ. წიგნით განმიცხადებია, რადგანაც უწინარეს ამისაც თქვენის დიდებულების შემოვედრებულნი ვართ, გულსმოდგინედ ვითხოვ და გევედრები, რომ ჩვენი შეწუხებული მდგომარეობა შეიწყალოთ და ჩვენს ყოვლად მოწყალეს ხელმწიფესთან შეგვეწივნეთ, რომ მაგათის იმპ. დიდ. უმაღლესი მფარველობა და ნუგეში არ მოგვაკლდეს; უმეტესად ვარწმუნებ თქვენს დიდებულებას, რომ ჩვენი სასოება მხოლოდ მათის იმპ. დიდებ. ყ̃დ მოწყალების მონდობილია,—თქვენს შემწეობას შევვედრებთ ძეთა ჩვენთა და საზოგადოებასა ამას შეწუხებულთა ქრისტიანეთა.

იანვარს 5, წელსა 1798. თელავით.

12. Д. XXIV. 5 Января 1798 г. Письмо царицы Даріи къ кн. А. А. Безбородко.

გაქცეულის სალდათებისათვის მოწერილი მათის იმპ. დიდებ. უქაზი გამოეგზავნა გრაფ ღენერალ ივან ვასილიჩსა. თუმცა ჩვენს მეფესთან იყო მოწერილი, მაგრამ ვერც წაკითხვა შეიძლო და ვერც პასუხის მოხსენება, რადგანაც ექვსი თვე არის, რომ სნეულია, და უმეტესად ამჟამად იყო შეწუხებული, ამისათვის მე, მოვალეობით დიდად შეწუხებულმა, გავბედე და მათს იმპ. დიდებ. მოვახსენე პასუხი, და რაც მომიხსენებია, ვიცი თქვენი უგ—ბა იუწყებს: ჩვენი თხოვა და ვედრება ეს არის, რომ თქვენის ჩვეულებრივის კეთილმოქმედებით ჩვენი შემწე ბძანდებოდეთ, რომ მათის იმპ. დიდებ. უმაღლესი მფარველობა და ნუგეში არ მოგვაკლდეს, რომ მხოლოდ ჩვენის ყ̃დ მოწყალის ხელმწიფის საფარველისა და მოწყალების მონდობილნი ვართ.

იანვრის 5, წელსა 1798. თელავით.

130. Д. XXIV. 10 Марта 1798 г. Письмо царицы Даріи къ имп. Павлу.

უავგუსტესო ერთმთავარო,

ყ̃დ უმოწყალესო ხელმწიფევ!

კეთილნაწლეობით მონაწილეობისა მიღებითა სნეულებასა ზედა მეფისა ჩვენისასა უმეტესად განეცხადა თქვენის იმპ. დიდებ. ჩვენდამო აურაცხელი მოწყალება და სიბრალული, ვინადგან ყ̃დ უმოწყალესობით ინებეთ ბოძება გამოცდილისა მკურნალისა საწამლებელად მეფისა ჩვენისა, ეგრეთვე მსახურისაცა თქვენისა, ძისა ჩვენისა მირიანისა, ათოთხმეტ წელ ჩვენგან უნახავისა, სახილველად მისა დასა-

ტურისა ბოძება, რომელსაცა აქვნდა რწმუნებულ, რათა უმაღლესითა თქვენის იმპ. დიდებ. სახელითა ეწადა მისთვის მსწრაფლ განკურნება, გარნა სვემან ესრედ უბედური ჰყო სახლი მისი, რომელ მეფე ჩვენი, ვიდრე ზეციერისა მოწყალებისა ამის თქვენისა მისდამო მოწევამდე, იანვრის 11 მიიცვალა, რომელმანცა დაგვაგდო მე და შვილნი ჩემნი დაობლებული და არა გვივის ჩვენ სხვა ნუგეშინისმცემელი და შემწე, შემდგომ მ̃ღვთისა, გარდა თქვენის იმპერატორების დიდე—ბისა; და ვინადგან განსვენებულმანცა მეფემან ჩვენმან, დღესა აღსასრულისა თვისისასა განმიმეორა მე ჩვეულებრივი ბრძანება თვისი, რათა თავი ჩემი შვილებითურთ თვისით მარადის ვამყოფო უმაღლესსა საფარველსა ქვეშე და ერთგულობითსა სამსახურსა შინა თქვენის იმპ. დიდ̃ებისასა, ამისათვის დავამხობ წინაშე უმაღლესისა ტახტისა თქვენისა თავსა და დაობლებულთა შვილთა ჩემთა, დიდებულო ხელმწიფეო, გარდმოხედე ღ̃თეებრ მოწყალისა თვალით უბედურებასა ჩვენსა და ინებე, რათა უმაღლესი საფარველი თქვენი გვაქვნდეს ჩვენ ნუგეშად და მაცხოვარებად, და დიდებად უმაღლესისა თქვენის დიდებულების სახელისა, რამეთუ მასზედა დამოკიდულ არს ყოველი სასოება ჩვენი. თქვენის იმპ. დიდებ. უ̃დ უმოწყალესობით ბოძებულისა მკურნალისა ღერციუხისა ესდენ მუნ დაგვიანებისათვის უ̃დ უმდაბლესად ვითხოვ, რათა არა განმირისხდეთ, ვინადგან აწ სწამლობს იგი რომელთამე ძნელთა სნეულთა სახლისა ჩვენისათა, გარნა მომავალს აპრილს უთუოთ გამოვისტუმრებ ჩემის ძის მირიანითურთ; და მოსასაცა ამას თქვენსა, ძესა ჩემსა მირიანს, შევვედრებ თქვენს იმპ. დიდ. და ვითხოვ ფრიად უმდაბლესად, რათა ჩვეულებრივი უმაღლესი მოწყალება თქვენი ამას არა მოაკლდეს, ვინადგან ბედნიერობა ამისი დამოკიდებულ არს თქვენის იმპ. დიდებ. სათნოყოფაზედა, რომლითაცა არა მცირედ მიიდებს ნუგეშსა განმწარებული მწუხარებითა გული ჩემი; და აწინდელი აქაური მდგომარეობა ამისივე წერილით მოხსენდება თქვენს იმპ. დიდ—ს.

მარტის 10, წელსა 1798. თელავით.

მეფისა გიორგისა, შვილისა ჩემისათვის აღარ დაუმძიმე თქვენს დიდებულებას, რადგან თითონ ამზადებს კაცს დამტკიცებისათვის და ყუდრებისა არზის მორთმევით, რ ომელითაც უმდაბლესად გთხოვ მოწყალებით მიიღოთ ეს საბრალო ქვეყანა, ღ̃თისაგან თქვენდა მიბარებული.

131. Д. XXVI. 10 Марта 1798 г. Письмо царицы Дарiи къ имп. Марiи Θеодоровнѣ.

უ̃დ უავღუსტესო ერთმთავრინავ,

უ̃დ უმოწყალესო ხელმწიფავ!

თვით თავით თვისით ვერ გავბედავდი, რომელ აწინდელისა მდგომარეობისა ჩემისა მოხსენებითა დამემძიმებინა თქვენი იმპ. დიდებ., უკეთუ ყოველთა შეწუხე-

ბულთა მოწყალე და შემბრალე გული თქვენი, სოფელსა შინა განცხადებული, მიზე-ზად კადნიერებისა ამის არა მქონოდა, რომელმანცა აღმიხადა მე კრეტსაბმელი კრძალვისა მოხსენებად დიდებულებისა თქვენისა.

თქვენს იმპ. დიდებ. მოეხსენება, რომელ დიდის რუსეთის საიმპერატორო ტახტისა მაღალი მფარველობა მარადის ჰქონია ოჯახსა ჩვენსა და უმეტესად აწინ-დელთა დროთა შინა, და ვინადგან სვემან ესრეთი მოიღო უწყალოება, რომელ მან გაგვაუბედურა და დაგვაობლა მე და შვილნი ჩუენნი მეფისა ჩვენისა გარდაცვალებითა, რომელთაცა არ გვაქვს სხვა გზა მაცხოვარებისადმი, შემდგომ ღ~თისა, გარდა დი-დისა იმპერატორისა ჩვენისა; ამისათვის მუხლდადგმით შევმრდომი გევედრები შუამდგომელობასა, ვინადგან მცირეცა სიტყვა დიდებულებისა თქვენისა დიდად შემწე მექმნება წინაშე მისა, რათა ღვთიებრ მოწყალითა თვალითა მოხედოს მდგომარეობასა ჩვენსა და მაღალი საფარველი თვისი მე და ნაშობთა ჩემთა არ მოგვაკლოს, ვითარცა იმის იმპ. დიდ. ერთგულთა მოსამსახურეთ.

მარტის 10, წელსა 1798. თელავით.

132. Д. XXIV. Апрѣль 1798 г. Сообщеніе въ Иностр. Коллегію отъ Груз. посланника кн. Г. Чавчавадзе.

აპრილის 14 შტაფეტით წიგნები მივიღე მათის უმაღლესობის დედოფლისა-გან, რ~ლიც მათს მსვლელობას უფალს სერგეი ლაზარიჩისთვის მიმირთმევია, რომ თავთავის ალაგს მიართვას და მხოლოდ ამას მწერენ: შ~დ გარდაცვალებისა ნეტა-რად სახსოვარის მეფის ჩემის ირაკლისა მიუღია უფლობა სჯულიერს მემკვიდრეს მისსა გიორგის, რ~ლიც თვითან ამზადებს უმაღლესს კარზე გამოსაგზავნს კაცს ყ~ოვლის თვისის საქმეების ვედრებით, და ამჟამად თითონ ამისთვის აღარას იწერება, რადგან მრავლის გარემოების საქმის გამო არა ჰქონია მოცალება, როგორც თქვენც მოგეხსენებათ, არის ჩვეულება ამისთანა უბედურ შემთხვეულების დროსთვის.

აპრილს, წელს 1798.

133. Д. XXIV. 14 Мая 1798 г. Письмо царицы Даріи къ имп. Павлу.

ყ~დ უმდაბლესსა მოხსენებასა ჩემსა ზედა განმეცხადა მე წერილით უფლისა ღენერალ-ლეიტენანტისა გრაფ მარკოვისაგან თქვენის იმპ. დიდ. საქართვე-ლოს მეფის სახლისადმი კეთილმოაზრეობა და ტაგანროცკის პოლკის პოლ-პოლკოვნიკის სპეშნევისაგან პირის-პირ უმდაბლესთა მოხსენებულთა ჩემგან მუხლთა პასუხისა მოთხოვა, და, შემდგომად პოვისა მისისა, დასნაშავედ მიცემად

იგი სამხედროსა მსჯავრსა ქუეშე, ხოლო მე მსმენელი ზემოხსენებულისა ღ̃თეებრ მოწყალებისა თქვენისა, რომლისაცა ნაცვლად არა ძალმიცს სხვისა რაისამე მოღებად წინაშე უმაღლესისა ტახტისა,—მზა ვარ შვილებითურთ ჩემით მარადის თქვენის იმპ. დიდებ. სამსახურად ვიდრე სისხლთა ჩვენთა უკანასკნელ წვეთამდე. მსახურსა თქვენსა, ძესა ჩემსა მირიანს, თუმცა ვისტუმრებდი მე სამსახურად, გარნა მოუვიდა მას უეცრათ ბრძანება თქვენის იმპ. დიდებ. სამხედროს კოლეგიიდამ, რომლითაცა განეცხადა ნებითა თქვენის დიდებ. სამსახურიდამ განთავისუფლება, რომლისათვისცა ჯერეთ დავაყოვნეთ გამოსტუმრება, და ელის მწუხარე უმაღლესსა კეთილ-ნებობასა.

1798 წელსა, 14 მაისს. ქალაქსა თელავს.

134. Д. XXIV. 18 Мая 1798 г. Письмо царицы Даріи къ имп. Павлу.

უმაღლესითა კეთილნებობითა დიდებ. თქვენისათა გამოგზავნილი საწამლებლად განსვენებულისა მეფისა ჩვენისა დოხტური ღერციუს, რომელიცა უკვე გამოვისტუმრებია ადგილსა თვისსა მაისის 13, დიდად შეგვეწია გამოცდილებითა სამკურნალოსა ხელოვნებისათა და კეთილ-მცდელობითა თვისითა სასტიკისა მწუხარებისაგამო შემთხვეულთა სენთა შინა ჩვენ და სახლისა ჩვენისათა, ეგრეთვე მოცემულმან მისგან რჩევამან ქალაქსა ჩვენსა ტფილისს მომსვრელი სენი მსწრაფლ აღუმსუბუქა, რომლისათვისცა უმწვერვალესსა მადლობასა უ̃დ უმდაბლესად მოვიღებ წინაშე უმაღლესისა ტახტისა თქვენისა; ხოლო ვინადგან კეთილმზრუნველ მამად ქვეყნისა ამის ჩვენისა ვესავთ დიდებ. თქვენსა, ამისგამო გავკადნიერდები მოხსენებად, რომელ საქართველო ფრიად ნაკლულევან არს მკურნალობისა ხელოვნობითა, და მიზეზითა ამით არა მცირედი გვაკლდება უდროოდ ერი, რომლისათვისცა უ̃დ უმდაბლესად ვევედრები, რათა ზემოხსენებული დოხტური ღერციუს სათნოიჩინოთ რაოდენსამე ხანს ბოძებად განხელოვნებად მკურნალთა ჩვენთა, რომლისამიერცა ფრიადსა სასყიდელსა ჰყოფთ ერისადმი ჩვენისა.

1798 წელსა, 18 მაისს. ქალაქსა თელავს.

135. Д. XXIV. 30 Іюня 1798 г. Представленіе отъ царя Георгія имп. Павлу.

ყოველი სოფელი ამისა თანახმა არს, ვითარმედ დიდებასა და ჩინებულებასა თანასწორი აქვს ბრწყინვალება კეთილ-მოქმედისა გულისა თქვენისათანა. თუმცალა სიყრმით ჩემითგან მაქუნდა ნიადაგ წარმატება სურვილისა უფროს წინა-

პართა ჩემთა შემოსავრდომელად სამეფოთურთ ჩემით კალთისა ქვეშ პორფირისა თქვენისათა ჭეშმარიტითა ერთგულებითა, მაგრა დღესაქამდითი მდგომობა ჩემი მაქჳნდა შუა-კედლად, რომელსაცა არ ძალმედვა სურვილისა ჩემისა შესრულებით აღმოჩენა, და ვინადგან ფარდა ესე აღძრცვილ-იქმნა, ამად, აღმხილული თვალისა, აღგიარებ ჩემად უაღუსტეს მონარხად და ჩემად ხელმწიფედ, და ვსასოებ, რათამცა თქვენის იმჳ. დიდ—დმი განპყრობილი ხელი ჩემი თქვენი დიდებულებისაგან არ უგულებელ-იქმნას და ჩემს ვედრებას ნიადაგ აქუნდეს ადგილი თქვენს წინაშე, რომელ ესე, რათამცა თქვენის დიდებულებისაგან არ აღგვექარცოს ის მოწყალება, რომელიცა რატიფიკაციაში ხელმწიფურის სიტყვით აღგვეთქვა მე და კურთხეულს მამა ჩემს, და რაგვარადცა თქვენგან მე ვიყო დაუტევებელ, ეგრეთვე მემკვიდრე ჩემი დავით; და უკეთუ დიდებულებისა თქვენისა საფარველი მე და ჩემს სამეფოს აღხდილი გვექნება, მაშინ მეცა და სამეფოცა ჩემი ესე ვითარითა უბედურებითა განსაზღვრულ ვიქნებით, რომელ ყოველთვის თათართა მფლობელობისა შემაყურებელ უნდა ვიყუნეთ ყოვლითურთ უღონოქმნილი.—და შემდგომად, ოდესცა სჯულიერისა მემკვიდრებითა მივიღე ტახტი ჩემი და ვიქმენ მეფედ, ის თავისავე ჟამში თქვენს დიდებულებას გრაფ გუდოვიჩის ხელით მოვახსენე, რომელმანც წიგნმან ზემოხსენებულს გრაფს ვერ მოუსწრა ლინიაზედ, და არ ვიცი თუ რა იქნა.

1798 წელსა, იუნისის 30. თელავს.

136. Д. XXIV. 28 Іюля 1798 г. Письмо изъ Тифлиса къ арм. архіеп. Іосифу (Аргутинскому) отъ царевича Давида Георгіевича.

აქაურს ამბავს იკითხავ,—ბაბახანი ურუმიას მოვიდა და აქ ჩვენს ბატონთან იმისგან გამოგზავნილი ყაჯარი ნასახჩიბაში მამადხან ვინმე მოვიდა და შვილსა სთხოვს, და ფარმანიც მოეწერა; მე ფარმანი ვსთარგმნე და გრაფს მარკოვს გამოუგზავნე: «თუ შვილს არ მოგვცემ, რაც ბიძა ჩემმა გიყო—სამს იმოდენს მოელოდე ჩვენგანაო». და ახლა ამისმა უმაღლესობამ მეფემ გიბრძანა, რომ კნიაზ ბეზბოროტკოსთან და კნიაზ კურაკინთან გამოაცხადო, რომ ჩვენი ახლანდელი მდგომარეობა დიდად საწუხარო არის ჩვენთვის: თუ მაგათზედ ხელი ავიღოთ, გვრცხვენიან ჩვენის პირისა და ნამუსისა, რომ მაგათზედ ხელი როგორ უნდა ავიღოთ, და ჩვენ შორის მყოფისა ფიცისაც გვეშინიან, და თუ ხელს ვერ ავიღებთ, როგორც მეფის ირაკლის დროს ოხრება მოუხდა საქართველოს, უმეტესი მოხდის ეხლა, და ამისათვის დიდს იჭვში ვართ მიცემულნი. ეცადე, წყალობას ვითხოვთ, რომ, თუ ქართლი გინდათ და სახმარად რაცხთ ამ საქმეს, საჩქაროდ ერთი წამალი დაადვათ რამე. და უფრო მეტი ჩემი საწუხარო ეს არის, რომ, თუ ეს ქვეყანა მაგათის სა-

ფარველიდამ გავიდა, მე ჩემი პირმშოება მაგათ უნდა შევსწირო, ამისათვის, რომ ჩემის ხელმწიფის მუხანათი ვერ შევიქნები და მაგათის სამსახურში აღრიცხისათვის მეც არავინ დამინდობს. ჩვენ ხელმწიფესთან და ღრაფთან რომ წიგნები დავსწერეთ ხუთის დღეს უკან მოხდა ეს ამბავი. ვითხოვ, რომ ეცადო და ამისი პასუხი საჩქაროთ გამომიტანო. სერგეი ლაზარიჩისა რაც მოგეწერა—ისიც გავარიგე.

უსაკუთრესი მეფის ძე დავით.

ივან ლაზარიჩი და ეკატერინა ივანოვნა აგრათვინათი და ზაიცოვები მომიკითხე.

ივლისის 28, 1798 წელსა. თელავს.

137. Д. XXIV. 30 Августа 1798 г. Письмо неизвѣстнаго (С. Л. Лашкарева?) изъ С.Петербурга къ царю Георгію.

თქვენის სიმაღლის ბოძებული ღრამოტა მადლობით მივიღე და მადლობელი ვარ თქვენი წყალობისა, და ჩემის მხრიდამ თქვენს სიმაღლეს ვარწმუნებ, რაც შემძლებელობა მაქვს თქვენი სამეფო სახლისა და სამეფოს ერთგული და შემატების მცდელი ვარ, და ღ̃თ საქმეს აქამდინაც მოვაწევინეთ, რომელსაც თქვენის სიმაღლის დესპანი უფალი კნიაზ ჭავჭავაძეც მიმოწმებს, და თუ კნიაზ გიორგი ავალოვი გამოგებრუნებინათ, ახლა საქმე სრულებით როგორც თქვენი სამეფო სახლის შესამატი იყო, ისე შესრულებული იქნებოდა. კიდევ ბრძანება არის ჩვენის უ̃დ მოწყალის მისის იმპ. დიდ., რომა უ̃ი აღსრულდეს. სხვას არას მოველით, ყველათ მზათ ვართ, მარტო ავალოვის მოსვლას თქვენის სათხოვარის წიგნებითა.

წელსა 1798, აღვისტოს ლ. ს̃ტ პეტერბურღით.

138. Д. XXIII. 11 Октября 1798 г. Грамота царя Георгія князю Г. Чавчавадзе.

ჩვენს დესპანს თავადს გარსევანს ჭავჭავაძეს! სანატრელის მეფის მამის ჩვენისაგან რუსეთის უმაღლესს კარზედ სრულის-ნების-მქონებელ მინისტრად თქვენ იყავით გამორჩეული. ახლაც თქვენთვისვე გვიბრძანებია, და როგორც ნება გქონდათ, ისივე გქონდესთ, და მანდ იმყოფებოდეთ მეორეს ბრძანებამდე. სადაც ჯერ იყოს ამ ჩვენის ბრძანებით იქ გამოცხადდით, ჩვენს წიგნებს შესაფერი აუდიენცია უთხოვეთ და თქვენი თავი ჩვენს ელჩად გამოაცხადეთ. სხვებრ ჩვენ მარადის თქვენად კეთილის-მყოფელად ვეგებით.

ოკდომბერს ია, წელსა ჩღჟჱ. თელავი.

13. Д. XXII. 11 Октября 1798 г. Письмо царя Георгія къ С. Л. Лашкареву.

თქვენი მაღალ-მსვლელობის წიგნი მოგვივიდა, დიდის პატივით მივიღე და რაც მოგვეწერათ ყველა ვსცანით, და გმადლობთ ესოდენ კეთილმზრუნველობი-სათვის. რომელიც ჩვენი სათხოველი მაგათის იმპ. დიდებ. წინაშე არის ყოვე-ლივე ჩვენი სრული თხოვა რამდენისამე პუნკტებით მოგვიხსენებია და იმ ჩვენის სათხოვრის პუნკტების პირი თქვენთვისაც გამოგვიგზავნია, და გთხოვთ თქვენი მაღალ-მსვლელობა ყოველს ალაგს დიდის გულმოდგინებით გაისარჯოს ამ ჩვენს საქმეზედ და სრულება სცეთ თხოვისამებრ ჩვენისა, რომლითაცა უმეტეს ვალდე-ბულ გვყოფთ.

ოკდომბრის ია, წელს ჩღჟჱ. თელავს.

140. Д. XXIII. 11 Октября 1798 г. Письмо царя Георгія къ кн. А. А. Бебородко.

ჩემგან წარმოვლენილს თავადს გიორგი იოანეს ძეს ავალოვს ყოვლითურთ შემოვავედრებთ თქვენს უგანათლებულესობას, რომლისათვისცა მე ვეგები ულრ-მესსა სამსახურისა წადილსა შინა.

ოკდომბრის ია, წელს ჩღჟჱ. თელავს.

141. Д. XXIII. 11 Октября 1798 г. Письмо царя Георгія къ кн. А. А. Безбородко.

პატივ-საცემელმან თქვენმან წიგნმან თქვენი ჩვენზედ კეთილი განზრახვა და შეწევნის წადილი გვარწმუნა, რომლისათვის უმდაბლესად მრავალს მადლობას მოგახსენებთ. თქვენმა უგანათლებულესობამ იცის, როგორის მეზობლებითა ვართ გარემოცული, ან იმათ ჩვენზედ რაოდენის ხარისხით მეტი აქუსთ ძალი. ერთს მეზობლად ის სპარსნი არიან, რომელთაც წარსრულს წელიწადს ასე მოგ-ვაოხრეს, რომ დღესაც ჩვენ და ჩვენს დაგლახაკებულს ხალხს ერთმანერთი ველარ გვიპოვნია, მეორედ ოსმალნი, რომელთაც წარსრულს თვეს ლეკის ჯარი აიყვანეს და მრავალს ტყვესთან ჩვენი დისწული თავადი ციციანოვი დაიჭირეს და დღესაც ახალციხეს ტყვეთა ჰყავთ. მესამედ ლეკნი. მეორე საუკუნო არის, რომ ჩვენად სასოებად რუსეთის უმაღლესი კარი გვაქვს და ხსენებულს მეზობლებთან შერიგე-ბასა და დაგებას ვერიდებით: პირველად, ქრისტეს სარწმუნოების გამო, და მეო-რეთ, უმაღლესს ტახტთან ფიცით შეკრულობის გამო. ჩვენ, ამისთანა მდგომარეო-

ბაში მყოფთ, არას დროს მაგ კარზედ შემწე და ჩვენთვის მზრუნველი არა გვყო-ლია. სანატრელს მამა ჩვენს ჰქონდა სასოება დადებული კნიაზ პატემკინზედ, მაგრამ ის ჩვენ გვატყუვებდა, ის მხოლოდ თავის სახელის განდიდებას ეძებდა და არავის სხვისთვის ზრუნევდა. დიდიხანია მე თქვენი კაცთმოყვარება და მამულის-მოყვარება ვიცი, და ამისათვის ჩვენს თავსა და ჩვენს სამეფოს თქვენს უგანათლე-ბულესობას შემოვავედრებ: თქვენ უნდა იყოთ დღეისიქით ყ̃დ მოწყალე ხელმწიფეს-თან ჩვენი შუამდგომელი და შემწე. ახლა რამდენიმე პუნკტები დიდებულს ხელმ-წიფეს მოვართვით, რომლისაც პირი აქა ძევს; თქვენის მამებრივის ქველის გუ-ლისაგან ამას ვითხოვ, რომ ფორმალნის არზასა და პუნკტებს სხვის სათხოვრი-სასა ჩვენი მინისტრი მოართმევს,—იმას თქვენის წინამძღომლობით უთხოოთ აუდიენცია.

ოკდომბრის ია, წელსა ჩღჟჱ. თელავი.

142. Д. XXIII. 16 Октября 1798 г. Представленіе отъ царицы Маріи, супруги царя Георгія, имп. Маріи Θеодоровнѣ.

დედობრივი თქვენის იმპ. დიდებ. სიმდაბლით გარდამოხდომა ყოველ-თადმი ჩრდილსა ქვეშე პორფიროსა თქვენისა შემოვრდომილთა არა უსახო ჰყოფს მათ წარმოდგომად წინაშე უმაღლესისა ტახტისა თქვენისა მოსაოხებელად უმაღ-ლესისა საფარველისა, რომელთაგანი მეცა ვიკადრებ უმონებრიესითა ვედრებითა თხოვასა, რათა თქვენმა დიდებულებამ ღირს მყოს აღრიცხვად რიცხვსა შინა ერთ-გულთა თქვენთასა და სიმაღლითგან ტახტისა თქვენისა მომმადლოთ ნება ყო-ველთა შორის სადღესასწაულოდ სიქადულისა, ვითარმედ ვგიე.

ოკდომბრის ივ, წელსა ჩღჟჱ. თელავი.

143. Д. XXIII. Октябрь 1798 г. Представленіе отъ царя Георгія имп. Павлу.

ითხოვს აღსრული ჰსჯულიერსა თვისსა სამეფოსა ტახტსა ზედა, შემდგო-მად აღსასრულისა მამისა თვისისა მეფისა ირაკლი მეორისა, მეფე ქართლისა და კახეთისა გიორგი მეათსამმეტე, რომელსაცა შეუდგებიან:

პუნკტი

ა.

წელსა ჩღპგ გუ̂აქუ̂ნდა ჩვენ აღთქმა, რომ საქართველოსა ტახტსა ზედა აღ-სრულმან მოვახსენოთ იმპ. თქენისა დიდებ—სა ჩვენი სამკვიდროსა და ჰსჯულიერსა ტახტსა ზედა აღსლვა და თქვენის იმპ. დიდ—გან ვითხოვოთ ამის დამტკიცება.

ამ სათხოველს

ბ.

აწ, აღსრული ჴსჯულიერსა და სამკვიდროსა ჩემსა საქართველოსა და კახეთისა ტახტსა ზედა, უმდაბლესად ვითხოვ თქვენის იმპ. დიდ—გან ამისსა დამტკიცებასა და ჩემთანა პირმშოსა ჩემისა შვილისა, იმპ. თქვენის დიდებ. მაღალ-სახელოვანსა სამსახურსა შინა მყოფისა ღენერალ-მაიორად, დავითის ჩემად მემკვიდრედ მიღებასა და დამტკიცებასა.

მეფე ქართლისა და კახეთისა და სხვათა გიორგი მეათსამეტე

ყოვლად მოწყალევ ჴელმწიფევ, უმორჩილესად ვითხოვ თქვენის იმპ. დიდე—საგან ამ ჩემს სათხოვარს სისრულე უბოძოთ. ოკდომბერს, წელსა ჩღჟჱ.

ჴელს ვაწერ.

144. Д. XXIII. Октябрь 1798 г. Представленіе отъ царя Георгія имп. Павлу.

მონარხულისა მოწყალებითა აღვსილი თქვენის იმპ. დიდებ. გრამოტა გრაფის მარკოვის ჴელით გვებოძა, რომელმანცა აღამაღლა უმეტეს თავისა ჩემისა და განადიდა ჩემ შორის გრძნობა ერთგულობისა უმაღლესისადმი ტახტისა თქვენისა, რომლისადმი წინაპართა ჩემთა მარადის აქუნდათ. მსურის წარმატება ერთგულობისა მათგან და ღიცა შემეწეოდეს ამა აზრსა შინა; გარნა მაქვს სავედრებელი თქვენისადმი დიდებულებისა, რომლისათვის უმორჩილესად ვითხოვ, რათა განპრყობილი ჴელი ჩემი თქვენსდამი არა უგულებელს-ჰყოთ და ყოვლად მოწყალებით სიმაღლიდგან ტახტისა მოხედოთ.

სანატრელსა მეფესა, მამასა ჩემსა, აქუნდა ჩვეულებად მოწერა დამჭირნეობისა თვისისა მოსამზღვრის მთავრისა მიმართ, და ამით ესოდენ გრძელდებოდა და გვიანდებოდა საქმე—რაოდენ აგრძნა თფილისმან ჴელითა მტაცებელისა აღამაჰმადხანისათა, ამისათვის ვითხოვ, რათა მაქუნდეს ნება მოწერად პირის-პირ თქვენდა და მოგერთმეოდესთ ჴელითა თქვენისა მინისტრისათა, რომელსა მოართმევს ჩვენი მინისტრი.

მიუცილებელი ჩემი დამჭირნეობა ითხოვს, რომ ვითხოვო უმეტეს ყოვლისა ესე, რათა საფარველი თქვენისა დიდებულებისა საუკუნოდ გვედვას, რომ აღარ ვიყო დამჭირნე სხვისა რომლისამე კარისა შევრდომასა, ანუ შევედრებასა.

მსგავსად უმაღლესისა თქვენისა გრამოტისა დაამტკიცეთ ჩემი მეფობა და მემკვიდრეთ ჩემად შვილი ჩემი დავით, და ნუვინ შემომიხდება სამეფოსა ჩემსა შინა განმგებასა შინა, და ნუვინ უპატივო ჰყოფს თავადთა, აზნაურთა და გლეხთა ჩემთა თვინიერ ნებისა ჩემისა.

განმამხნევეთ ამა ხელმწიფურის განმხნობითა, რათა მემკვიდრესა და მონაცვალეთა ჩვენთა აქუნდეს საუკუნოდ და შეურყეველად.

დასამტკიცებელად თქვენის ჩემზედ უხვის მოწყალებისა მებოძოს სამი ათასი სალდათი თავისის ზარბაზნებით და ხარჯით უკვდავად და საუკუნოდ ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა.

როდისაც საქართველოში ძლევა-შემოსილი რუსეთის ჯარი ყოფილა ყოველთვის ავს კაცებს იმ ჯარის კამანდირებთან ჩვენი ენა უტარებიათ, ამის გამო ყოველთვის შფოთი და უთანხმობა გვქონია,—უმონებრესად ვითხოვ თქვენის იმპ. დიდ—გან, რომ ჩემთან მყოფის ჯარის კამანდირს ებრძანოს, რომ მხოლოდ ჩემთან ჰქონდეს საქმე და არა სხვას გჳამთან, რომელსაც ჩემგან არა ჰქონდეს ჰრწმუნებული, რათა მონარხულისა მოწყალებისაგან არ დავშორდეთ.

თუ ოდესმე საქმემ დაგვპატიჟოს და ჩვენ აქ მყოფის ჯარის კამანდირი რომელსამე ჩვენს სამზღვარზედ მისაყოლად მივიწვიოთ, ნუ დაგვეურჩება, მოვყვებოდეს ჯარითა, და თუ სამზღვარს გარეთ დაგვჭირდება, მაშინ თქვენს დიდებულებას მოვახსენებთ.

ვინადგან ქრისტიანებრითა ვართ შევრდომილ ჩრდილსა ქვეშ პორფირისა თქვენისათა, მისთვის უმონებრესად ვითხოვ, თუ ოდესმე სპარსთა, ან სხვის მძლავრს ჯარს ჩვენზედ მოსვლა ეგულვებოდეს, ამისათვის ლინიაზედ მყოფს ღენერალს ჰქონდეს ბრძანება მოუხსენებლად შვიდი ათასი სალდათი მოგვაშველოს და არა უმეტეს ამისა, ჩვენის პურით. უავგისტოესო მონარხო, თქვენის იმპ. დიდ—გან უმონებრესად ვითხოვ აქ მოხსენებული აზრები კადნიერებად არ შემერაცხოს და თქვენი მონარხული ყოვლად-მოწყალება ჩემზედ მიიღოთ, და ამით დაამტკიცოთ თქვენი ჩემზედ სიუხვე, რომ მეზობლებთან შევიძლო სადღესასწაულოდ და კადნიერად დაქადება.

ოკდომბერს, წელსა ჩღჟჱ. თელავი.

145. Д. XXIV. 1798 г. Списокъ инвеституръ и подарковъ, полученныхъ царемъ Георгіемъ отъ имп. Павла.

სია მათის იმპ. დიდებ. ყოვლად უმოწყალესის ხელმწიფისა სრულიად რუსეთისა, რომელნიც წყალობა-ინვესტიტურნი, სამეფონნი ნიშანნი და სხვა ნივთი გვებოძა ჩვენ, მეფეს სრულიად ქართლისა და კახეთისასა, და ფამილიასა ჩვენსა უფელის მინისტრის სტ. სოვ. პეტრე ივანიჩის კოვალენსკის მიერ.

სამეფო გვირგვინი ოქროსი, ჩაწყობილი ქვათა არა-ხშირათა, სკიპტრა — ეგრეთვე არა-ხშირათ მოჭედილი.

ხმალი მოჭედილი ოქროთი, მდინარითა თვლითა.

პორფირი სამეფო ხასყირმიზის ხავერდისა, ქვეშსადები ყარყუმი კუდებიანი, რომელსა ზედა ნაკერი აქვს ღერბი რუსეთისა და საქართველოსი, ორის ფუნჯებით.

თეთრი დროშა ორთავის არწივით შუაზედ, რომელშიც ღერბია საქართველოსი, ორის ოქროს დიდროანის ფუნჯებით.

ტახტი ხასყირმიზის ხავერდისა გარეშემოვლილი პოდზორით და მოკერებული განიერის ოქროს ბუზმენტითა.

აგრეთვე სამი ბალიში, შიგნით ტახტში—ღერბი საქართველოსი, გარეშემო—ღერბი რუსეთისა.

ტახტზედ ორი სტოლი დაბურკილია აგრეთვე ხავერდითა, ბუზმენტითა.

სტოლისათვის თითო ბალიში.

სამი ორდენი ალმასებით შემკული წმიდისა პირველ წოდებულისა მოციქულისა ანდრიასი, წმიდისა დიდისა ეკატერინასი და წმიდისა ანნასი პირველი კლასისა.

მათს უმაღლესობას დედოფალს მარიამს გიორგის ასულს კონა ოქროსი, რომ ეწოდების «ბუკეთ», ბრილიანტითა და რუსული მდიდარი ტანსაცმელი გარემოდებულის განიერის ყარყუმით თავის კუდებით.

ჩვენს შვილს შვილებს—ბეჭედი, და მერვესა—საათი ოქროსი მარგალიტითა.

ჩვენს ორს ასულთ, გაიანეს ოქროს საათი ბრილიანტითა და ოქროს ჯაჭვითა, თამარს—ბეჭედი ბრილიანტისა.

არხიმანდრიტს ეფთვიმეს—ჯვარი ოქროსი აქვა-მარინათი და ოქროს ჯაჭვითა.

ჩვენს სიძეს კნიაზ ბაგრატიონს—ოქროს კოლოფი ემალით და დახატული სურათით, და ბრილიანტით ნაპირდებულითა.

ჩვენს სიმამრს კნიაზ ციციონს—ბეჭედი დიდის ღრანატომ-ბროწეულის ფერისა, მოჭედილი ბრილიანტითა.

გიორგი.

146. Д. XXIV. 12 Ноября 1798 г. Письмо царицы Даріи къ имп. Павлу.

შემდგომად გარდაცვალებისა მეფისა ჩვენისათა, გაუბედურებისა ჩემისა, ვაასხელ არზი დიდებულებასა თქვენსა წარსრულსა მარტის 14, რომლითაცა შევვედრე თავი ჩემი შვილებითურთ თვისით უმაღლესსა კეთილნებობასა, რომელსაცაზედან უმოწყალესობითისა პასუხის მიღებას ვერ ვეღირსენით. აწ ვცან სხვათაგან, რომელ უმაღლესი ბრძანება დიდებულებისა თქვენისა, მოსვლია აწინდელსა მეფესა საქართველოსასა, რომელიცა მე არავისგან გამამცხადებია.

დიდებულებასა თქვენსა კმად მოეხსენება, რომელ განსვენებულსა მეფესა ჩვენსა აქვნდა მისამართად თვისდა მხოლოდ უმაღლესი ტახტი დიდებულებისა

თქვენისა, და სასმენელნიცა ჩვენნი არა ჩვეულ არიან სხვათა ხელმწიფეთა ბრძანებისა სმენასა, ამისთვის, მუხლდადგმით განმეორებელი თხოვისა ჩემისა, გევედრები, უკეთილმსახურესო ხელმწიფევ, მოგვხედე მამობრივ მოწყალითა თვალითა მე და შვილთა ჩემთა, ობლობით განმწარებულთა, და განგვამტკიცე უმაღლესითა საფარველითა თქვენითა, რათა ვერ ძალ ჰყონ მტერთა ჩვენთა დაჩაგვრა ჩვენი, და დავასრულოთ სიცოცხლე ჩვენი უმაღლესსა სამსახურსა შინა დიდებულებისა თქვენისასა, რომელსაცა ზედა დამოკიდებულ არს მაცხოვარება ჩვენი.

1798 წელსა, ნოემბერს 12. ანანურის ქალაქით.

147. Д. XXIV. 12 Ноября 1798 г. Письмо царицы Даріи къ кн. А. А. Безбородко.

თუმცა თქვენისა ჩემდამო ესდენ კეთილისმყოფელობის წილ ჩვენ ჯერეთ არა რაჲთ გვიმსახურია განათლებულებისა თქვენისათვის, რომლისაცა დამაბრკოლებელ მიზეზად შეგვესწრენ სხვა და სხვა სახედ ცვლილებანი მდგომარეობათა ჩვენთანნი, რომელნიცა თქვენდა კმად საცნაურ არიან.

აწ მათს იმპ. დიდ. მოვართვი მეორედ უმდაბლესი წერილი ჩემი, რომლითაცა შევვედრე უბედური თავი ჩემი შვილებითურთ თვისით და ერით უმაღლესსა საფარველსა ქვეშე და მამობრივსა მოწყალებასა იმის იმპ. დიდ., ამისათვის ვითხოვ განათლებულებისა თვენისაგან, რათა პირველი კეთილი გული თქვენი არ დაივიწყოთ და შეგვაბრალოთ მოწყალესა ხელმწიფესა, რომლითაცა ვალდებულ მყოფთ მე მარადის შესაბამითა ჭეშმარიტითა პატივისცემითა პატივისცემასა თქვენსა.

1798 წელსა, ნოემბერს 12. ანანურის ქალაქს.

148. Д. XXIII. 16 Декабря 1798 г. Сообщеніе кн. Г. И. Авалова въ Ин. Коллегію.

ოდესცა მიველ მე როსიით საქართველოსა შ͠ა და ვიუწყეცა, ვ͠დ სამეზობლოსა შინა მისსა მყოფობს ერთის ლეკის მთავრისას ტყვედ მოსამსახურე მათის იმპ. დიდ. უნტერ-აფიცერი ანდრია ალექსევი, წაყვანილი მათგან ტყვედ დროსა სპარსეთით როსიისადმი ყოვლისა როსიის ძლევამოსილის მხედრობის უკუქცევისასა, მაშინ განმადიდემან ქვეშემვრდომებრივისა დამოკიდულებისა მეფისა ჩემისა და ერდგულებრივისა მისის თანამვრდომობისა მათის დიდებულების ტახტისადმი, და ესრეთვეცა ერდგულებითისა გვაჯიობისა ძლით ჩემისა—არა დავჰყოვნე მე გამოყიდვა მისი, და, მომქცევი ქართლით აქათადმი, უკუსმოყვანაცა მისი

თვისთანა, რ̃ლიცა წარუყუენე მე გიორგის კრეპოსტსა შინა მის ბრწყინვალებას ღრაფ ირაკლი ივანიჩს მორკოვს, რ̃ლნცა, არა სათნო უყოფელმან აქ მოყვანისა მისისა, დაუტევა იგი კრეპოსტსა მას შინა მძლევლმან ჩემდა მისთვის ხმარებულისა ჩემ მიერ მისად სასყიდელად თეთრისა, ხოლო ოდესცა ყოველივე ჭაზრი ჩემი მდგომობდა მხოლოდ მის შორის, მით რ̃ლ დავემოწმო შემოუსაზღვრელსა ელთგულებასა ჩემსა მათის იმპ. ტახტისადმი, და მოხარულმან სულითა, ვ̃დ მაქვნდა მე ბედნიერობა ჩვენებად ესდენ მცირისა სამსახურისა ჩემისა, ამისათვის არა მივიღე მე მის მიერ თეთრი იგი, რ̃ლისათვისცა ყოვლად ქვეშევრდომებრივი გამომაცხადებელი და მომხსენებელი მით, რამეთუ ჩემ მიერ მოსყიდულსა მას მიმღებელსა თვისისა თავისუფლებისა აქვს გვაჯიური სურვილი განგრძობად მათის დიდებულების სამსახურისა, ვიდრე უკანასკნელად მინუტადმდე ცხოვრებისა თვისისა, უმდაბლესად ვსთხოვ მათის იმპ. დიდ. განმადიდებელი ტყვეობასა შ̃ა დათმენილისა ალექსევისა მის მიერ არა დააგდოს იგი გადმოუთხეველად მას ზ̃ა თვისისა უმაღლესისა მოწყალებისა.

თავადი გიორგი ავალოვი.

149. Д. XXIV. 2 Января 1799 г. Сообщеніе въ Ин. Коллегію отъ Груз. посл. кн. Г. Чавчавадзе.

ჩემ მაგიერ მიცემულითა მაღალ დიდებულისა მინისტერისადმი წერილებითა და სხვათა და სხვათა დროთა შინა სიტყვიერითა ცხადყოფითა არა ერთგზის მაქვნდა პატივი მინისტერისა მოხსენებად, ვითარმედ, ოსმალის პორტის ნებისა ქვეშე მყოფი ახალციხის ფაშა, მტერ ქმნილი საქართველოსა ზ̃ა, რათა ყოვლის გზით ამიზეზოს მას ვნება, ინახავს მამულსა შინა თვისსა წარმტაცთა ლეკის ერთა და უშვებს მათ სადავესა, რ̃ლ მარადის ეკვეთებოდნენ საქართველოსა, რ̃ლიცა ითმენს მისგამო უმწვერვალესსა დაქცევასა და აკლდების მრავალთა სახლეულობათაცა, რ̃ლნიცა ლეკთა მათ ყოველსა მომრბეველობასა თანამიჰყავთ ტყვედ, ვითარითაცა სახითა წარიყვანეს მათ თავადი ციციანოვი და მიართვეს მას, რომლისათვისცა ითხოვს მისთვის ნათესავთაგან მისთა გამოსახსნელად მისა სამას თუმანს და დღემდე ლეკისა ერნი იგი, მარადის მქცეველნი მისნი, არ აძლევენ არცა მცირესა მოსვენებასა. დღეს ვუწყით ჩვენ ვითარიცა კავშირი არსებობს ორთა დიდთა იმპერიათა ჩვენის მფარველის ყოვლის რუსეთის და ოსმალთა შორის, და ჩვენთვის წარმოდგომილის რუსეთის იმპერიასა არ ძალუცს არცა მცირისა მიზეზისა მიცემა დასარღვეველად ორისა იმპერიისა ამას შორის დაცულისა თანხმობისა, მაშა ყ̃დ უმდაბლესად ვითხოვ, მაღალ-დიდებულ მინისტერიავ, მიიღოთ განსადიდებელად ესე ვითარი მდგომობა ქვეშევრდომისა თქვენისა საქართუწლოისა, — მისწეროთ კოსტანტინეპოლში მყოფს აქაურს უფალს, რათამცა მან ხმარებულ ჭყოს

პორტისა თანაადგომილება თვისი ფიცხლად მიწერისათვის ახალციხის ფაშისადმი, ვ̃დ მან ზემოხსენებულნი ლეკნი მამულსა შ̃ა თვისსა არა მიიღოს, და ამიერიდგან სრულიად არ იყოლიოს იგინი; ხოლო ქართველნი იგი ლეკთა მიერ დღემდე ტყვედ წარყვანილნი იყვნენცა მოქცეულ ჩვენდა; და უკეთუ ესე ფაშის მის მიერ არა იქმნების ქმნილ, მაშინ მისა და საქართველოსა შორის არა ოდეს იქმნების მშვიდობა, და ესე ვითარსა ჟამსა მომავალსა დროსა შ̃ა არა გვრაცხდნენ ჩვენ მიზეზად, რომლისათვისცა მაქვს პატივი მაღალ-დიდებულისა მინისტერისა ამისთვის მოხსენებად.

პოლნომოჩნი მინისტრი თავადი გ ა რ ს ე ვ ა ნ ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე.

იანვრის ბ, წელსა ჩღჟთ.

150. Д. XXIV. 8 Января 1799 г. Письмо къ кн. Безбородко отъ кн. Г. Чавчавадзе.

დღეს ახალციხის ფაშა კ̃დ იყრის ჯარსა ლეკისასა და ინახავს მათ თავისთანა, რომლისა ძალითა საქართველოს, მამულსა ჩვენსა, ჰმართებს ჰქონდეს დიდი განუსვენებლობაი, რ̃ლისა მიხედვასაცა მისა უმდაბლესად ვსთხოვ თქვენს უგანათლებულესობას ბრძანებისათვის შუამავალობისა, რათამცა აწ რუსეთის კარიდამ ცარიგრადს შ̃ა წარსაგზავნელმან დესპანმან, ძალისა მებრ აწმყოსა ოთამანის პორთის მშვიდობისა და მეგობრობისა დაზავებისათანა, წინადაუგოს მუნ ახალციხეს შეუკრებელობა ლეკის ჯარისა და გაყვანაცა მათი, რ̃ლნიცა აწ მოსანადირებლად და შესამჭიდროებლად სამეფოჲსა ჩვენისა ჰყავთ შეყრილი. ესრეთვე უ̃დ უმდაბლესად გთხოვ, უგანათლებულესო თავადო, არა ერთგზის მრავალთა ჩემმიერ მორთუმეულთა საქმეთა ზ̃ა წერილნი თქვენისა უგან—მი არ მისცეთ დავიწყებასა, ვინადგან მე, არა მქონი მათთვის რეზოლუციისა, ვშთები წინაშე მეფისა ჩემისა დღემდე უპასუხოებასა შ̃ა.

უფროს ვიკადნიერებ მოხსენებასა მდგომარეობისათვის ჩვენისა თქვენისა უგან—დმი, რომელ დღეს ადგილსა ზედა აღა-მაჰმად-ხანისასა არს მეორე, რომელიცა ეცდება, ვ̃დ ჩვენკერძოთ აღვიაროთ ჩვენ იგი დიდებულს ხელმწიფედ, ამისათვის საჭირო არს, რათა გვამცნოთ ჩვენ რაიმე—თუ ამას ზ̃ა ვითარისა პასუხისა მიცემად შემძლებელ ვიქმნეთ, რომლითაცა არა იწარმოოს პირისპირ თქვენსა საწყენი და ჩვენთვის შემარყეველი სახე.

151. Д. XXIII. 18 Января 1799 г. Записка отъ кн. Г. Чавчавадзе въ Ин. Коллегію.

რადგანც ინება მათმან იმპ. დიდ. და უ̃დ უმოწყალესმან მფარველმან მეფისა და ყოვლისა სამეფოჲსა მისისამან ღირსყოფა მაღალმონარხულითა განდიდებითა

თვისითა უ͠დ ქვეშევრდომებრთა თხოვილთა მისთა, მაშინ მე, მქონებელსა მეფისა მის ჩემისა წოდებისა და ჩემ ზ͠ა მის მიერ დადებულისა საკუთარისა ბრძანებისა, მაქვს პიტივი მოხსენებად შემდგომთა სათხოვართა მაღლისა მინისტერიისა:

ა. და, ვ͠დ მისი უმაღლესობა მეფე, ხელმწიფე ჩემი, მიმღები სათანადოჲთა აღმსარებლობითა მაღალმონარხიულისა მისის იმპ. დიდებ. მიერ განდიდებისა თხოვილთადმი მისთა პირველადვე მისაქცევლად უ͠თა უწესოებათა ვითარნიცა იშობებიან, უ͠დ ქვეშევრდომებრივ ითხოვს, რომ ამჟამად საქართველოსა შ͠ა მისის დიდებულების უმაღლესის ნებით რუსეთის გასაგზავნელს ჯარში არავინ იყვნენ ქართველთაგანნი მიმსვლელნი მუნ ძალთათანა, ხოლო უფროს პოლკოვნიკი თავადი დიმიტრი ორბელიანოვი, რომელიცა, უკეთუ აქაურთა ჯართა თანა იქმნების მუნ გაგზავნილ, შეუძლებელი არის, რომ ჩემის მეფის ხელმწიფის საეჭვო და საწყენი არ იყოს.

ბ. ვ͠ა სამეფო საქართველოჲსა მოცულ არს ერთკერძოთ კავკასიის მთებითა და ჭარელთა ერითა, ესრეთვე მეორე ადირბეჟანის მხარეს თვით არეზით, მაშინ ამისთვის ითხოვს უ͠დ ქვეშევრდომებრივ მეფე, ჩემი ხელმწიფე, დროზედ, უკეთუ საჭიროება და აუცილებლობა მოითხოვს თვით მხედრობით წარსვლასა მისსა, ანუ რომელისამე მხედართმთავრისა თვისისა გაგზავნასა დამშვიდებისათვის ზემოხსენებულთა, ოდესმე შემაწუხებელთა მისთა, მეზობლებთა ზ͠ა, რომ მხედართმთავარს რუსეთის მხედრობისასა საქართველოსა შ͠ა დღეს და ერთგზის ჰქონდეს აქედამ მიცემული უმაღლესი ბრძანება წარვიდეს მშვიდობით თვისთერთად საქართველოჲსა მხედრობისათანა ოდესცა მას ებრძანების მეფისა კერძოთ თვისით აღმთქმელისა და ფიცით მარწმუნებელისაგან, რომ თუ არ გაჭირვებულის საქმით, რუსეთის მხედრობათა მათ არა იხმარებს არაოდეს, ხოლო ოდენ ჰსურს ჰყვანდეს იგინი მხედრობათა თანა თვისთა შესაშინებლად მტერთა და განსაოცებლად ხმისა, რომ რუსეთის მისის იმპ. დიდებ. მხედრობას საქართველოსა შ͠ა მყოფს აქვს ბძანება ერთად ქართლის ჯართათანა იმოქმედონ პირისპირ მტერთა შინაგან საზღვრებისა ამის, რომ თვით ამ საქმით შეიპყრობს უ͠ლთა მეზობლებთა ერთა მათ მეფე, ხელმწიფე ჩემი, სფეროთა შორის თვისთა, და გარეგან საზღვართა ამათ არა იკადრებს, თვინიერ უმაღლესისა მისის დიდებულების ჯარის მოხსენებისა, დაამშვიდოს ძლევამოსილი მხედრობა უ͠ლისა რუსეთისა, რომელისათვისცა, თანამდებობისამებრ ჩემისა გამომაცხადებელი, უმდაბლესად ვითხოვ ზემოცხადქმნილთა ნიშნებთათვის შ͠დ არდა უმეტეს დამაშვროთ და მიოხოთ უმაღლესი მისის იმპ. დიდებ. ბძანება.

152. Д. XXIII. 29 Января 1799 г. Письмо кн. Г. Чавчавадзе къ кн. Георгію Александровичу Багратіону.

ბრძანებით მეფისა, ხელმწიფისა ჩემისა, და ყოველთა სამეფოსა შ͠ა მისსა

ქვეშემრდომთა მისთა თხოვითა, ვსთხოვ თქვენს ბრწყინვალებას, რომ განუახლოთ მშობელსა ქვეყანასა თქვენსა წინაპართა თქვენთა სიყვარული და დასდვათ საუკუნოჲ ვალი ვითარცა მეფესა, ესრეთვე მუნებურთა მცხოვრებთა და ეკკლესიათა, მუნით წარმოღებულის წმიდის ნინას ჯვარის მუნვე წარგზავნითა, რომელიცა გაქვსთ დღეს თქვენ, და რომლისაცა ძალი არს შემძლებელ, კეთილ სასოებისამებრ თქვენისა, მუნითცა გფარვიდეს თქვენ და საყვარელთა სახლეულებათა თქვენთა.

ხოლო მე კერძოთ ჩემით ღირსრწმუნებულ ვჰყოფ თქვენს ბრწყინვალებას, რომ აღადგენთ მათ შორის დიდსა თქვენდა მომართსა განდიდებასა და შეჰკრავთცა სამმადლობელისა ნაცვლისა საყოფელად, რომელთაგანი ერთი მეცა ვგები დღემდე ცხოვრებისა ჩემისა.

ს. პეტერბურღით.

153. Д. XXIII. 15 Февраля 1799 г. Письмо кн. Чавчавадзе въ Ин. Коллегію.

მე, მიმღებელი აღრითვე მოლოდებულისა ჩემ მიერ სასიხარულოჲსა ამის ნოტისა მათის იმპ. დიდებ. მაღლისა მინისტრისაგან და მცნობელი მის ძლიით მაღალ-მონარხულის მოწყალებისა მისისა სამეფოსა ზედა მეფისა ჩემისა ხელმწიფისასა, მოვიღებ თქვენ მაღალისა მინისტრისადმი ერთსულობითსა მადლობასა კეთილ-მზრუნველობით მოპოვნებისათვის ჩვენდა უზესაესისა მის კეთილ-ნებობისა, და ვითხოვცა კვალად უმდაბლესად განახლებასა მისსა თავსაცა ზედა ჩემსა. რათა მიოხოთ ვითარცა მამამან შვილსა და გამოითხოვოთ მათის იმპ—ის დიდ. დიდის ხელმწიფისგან უმაღლესი ნება წარვლინებისათვის ჩემისა ხელმწიფისადმი საიანადოჲთა სახითა ფამილიითურთ ჩემით, ვითარცა მოწმად დასწრებისა მუნ მათდა ჩემისა, ვინაჲდგან დამიყვიეს აქა რაოდენიმე ჟამი და მიმიღიესცა მცირედი ცნობა შესაბამად მიღებისათვის მის მოწყალებისა, რომელიცა შეუდგების უმაღლესითა მით მონარხულითა კეთილნებობითა, ესრეთვე ესე ვითართა განმაცხოველებელთა მაღლისა საფარველისა და სიუხვისა მიმღებელებთა ძეთათანა საქართველოჲსათა დღესასწაულებად და პირისპირ მოხსენებად მეფისა, ხელმწიფისა ჩემისა, ზოგად მათისა ამის სასიხარულოჲსა მოწყალებისა და თქვენისაცა ეგე ვითარისა მისდამი კეთილმიდრეკილებისა, რომელი ვითარცა ვჰგონებ მე, დაუკარგავად დროჲსა უმაღლესითა ჯერჩინებითა თვისითა ცხადჰყოფს თქვენდაცა უზაკველსა მზგავსსა უმაღლესისა მოწყალებისა ამის მადლობასა; ხოლო მე კერძოთ თვისით დამაყუნებთ მარადის მოვალედ განსადიდებელისა მის სახისა თქვენისა, რომლისადმიცა დღემდე უღრმესითა პატივისცემლობითა ვჰგებ.

154. Д. XXIII. 22 Марта 1799 г. Выдержки изъ письма царевича Давида Георгіевича, представленныя княземъ Г. Чавчавадзе въ Ин. Коллегію.

გადმოწერილი ჩღჟთ წელსა, ფებერვლის გ რიცხჳსა, მათის უგანათლებულე-სობის საქართველოს მემკვიდრის მეფის ძის დავითის მოწერილის წერილით ბრძანებითა მშობლისა მისისა, მათისა უმაღლესობის მეფის გიორგისათა, სრულ-შემძლებელ დესპანს თავადს ჭავჭავაძესთან.

ა. ორი თქვენი წერილი მივიღეთ, რომელშიაც იწერებით, რომ უ̃დ უმო-წყალესმა ხელმწიფემ გვიწყალობა ჯარი და ლინიაზედ დარჩომილი არტილერია. უწყით თქვენ არაკი ქართული: ჯერ-არს, რათა იყოს საქმე თვისსა დროსა შ̃ა ხმარებულ, ხოლო სხვას ჟამს არცალათუ მსახურებს ყურადმღებლობასა; და არცა მოუხდების სამეფოსა ჩვენსა საქმე უჭანებული ყოვნებით.

ბ. დღეს, გ რიცხვს ამ თვისას, მოვიდა ერევნიდამ მოსაქმე ჩვენი ჯადათა-შვილი: ერევნის ხანი გვწერს წერილითა თვისითა, ვ̃დ დღევანდელი სპარსეთის სარდარი ბაბახან ითხოვს მისგან ოცდაათი ათასს თუმანს და თორმეტს ჩინე-ბულთა სახლთაგან მძევალთ, — თვითცა ხსენებული ბაბახან ახლანდელს გაზა-ფხულზედ განიზრახავს მოსვლას გოგჩად წოდებულს ტბაზედ, რ̃ცა არის მდებარე ქართლისა და ერევნის სამფლობელოსა შორის.

გ. გარდა ამისა წერილებით გამოგზავნილი ელჩი მათს უმაღლეს—ბას მე-ფესთან მოვიდა სამეფოსა შ̃ა ჩვენსა, მაგრამ დღემდე არ უნახავს მეფე, რ̃ლისა-თვისცა არა ძალმიცს თვითოეულად მოწერა თქვენდა ხსენებულთა წერილთა შ̃ს მპყრობილთა ძალთა.

დ. ყარაბაღის იბრეიმ-ხანმან მისწერა ბაბა-ხანს სარდალს, ვ̃დ «მეფე საქარ-თველოჲსა და ს̃დ საქართველო ითხოვენ უმაღლესისა ყოვლისა რუსეთის ტახტი-საგან საფარველსა შენგან განსარინებელად თავისა და სამეფოსა თვისისა», რომლი-თაცა მისცა მიზეზი საქართველოსა ზედა დაახლოვებისა დასამორჩილებელად მისა; ჩვენცა, უმაღლესისა დიდისა ხელმწიფისა კეთილნებობისა მოლოდებასა შ̃ა მყოფნი, ვაკლდებით ყოველთა შესაძლებელთა ღონეთა.

ე. აუცილებელი მოსვლა სპარსეთის ხანისა ამის საქართველოსა ზ̃ა გვაიძუ-ლებს ჩვენ ვითხოვოთ შენგან ვითარიმე ამას ზ̃ა სასარგებლო რჩევა, — ვითარ ჰგონებ შენ, რაი თანაგვაცს ჩვენ ყოფად მიღებადმდე ჩვენგან მისივე ხვედრისა, ვითარნიცა მივიღესით ჩვენ დასხმისა ძლით აღამაჰმად ხანისა? მერწმუნე მე, უკეთუ ძალი შემძლებელი ყოვლისა რუსეთის მხედრობისა წინაბრძო-ლად განზრახვისა მისისა მსწრაფლსა დროსა არა განცხადნების საქართველოსა შ̃ა, საეჭველია, რომ ჰაზრი მისი არა დაგვირგვინდეს მისგამო მოლოდებულითა წარ-მართებით.

ვ. მათმა უმაღლესობამ მეფემ, მშობელმან ხელმწიფემან ჩემმან, მიბრძანა

მე გაუწყო შენ ამისთვისცა: რაიცა შეუდგეს ცხადსაყოფელსა ამას—ისწრაფე ყოვლითა შემძლებელობითა მოხსენებად ჩვენდა თვინიერ ყოვლისა ბრკმოობისა».

ხოლო მე (გ. ჭავჭავაძე), ყოვლად უმდაბლესი იგი, ვკადნიერობ მორთმევასა წერილით გადმოწერილისა ამისსა, რომელმანცა არა ერთგზის მოვახსენე ყოვლისა რუსეთის უმაღლესს კარს ზემოცხადქმნილთა გარემოებათათვის, და ამისთვის ვითხოვ დღეს ოდენ, რათა განუგრძელებელად დროისა ღირსმყოთ მე ვითარცა ამას ზედა, ესრეთვე თანასწორ ყოვლად ქვეშემვრდომებრივ მორთმეულთა ჩემ მიერ სხვათაცა სასარგებლოთათვის ნებასა მაღალმონარხულისა დიდისა იმპერატორისა კეთილნებობისასა—ვითარსაცა ინებებთ.—რომლისა მიღებისა შემდგომად უძლოთმცა მიღება ზომათა დაცვისათვის არა თუ ოდენ სამეფოისა ჩვენისა, ა̃დ სხვათა მეზობელთა ქვეშემვრდომთა ჩვენთა შეუჭირვებლობისთვისცა.

სრულ-შემძლებელი დესპანი,
თავადი გარსევან ჭავჭავაძე.

მარტის კბ დღეს, წელსა ჩღჟთ.

155. Д. XXIV. 26 Апрѣля 1799 г. Письмо царевича Давида къ кн. Г. Чавчавадзе изъ Тифлиса.

ამათმა სიმაღლემ მიბრძანა თქვენთან გამოცხადებად ყარსისა და ჩვენის სამდურავისა—მიზეზი და ვითარება როდესაც სცნა ოსმალთაგან საჩივარი:

თუმცალა თქვენ ეს საქმე განყოფითად იცით, რომ აღამამადხანს უწინაც ნიადაგ [ოთომანის] კარისა და [ახალციხის] ფაშის შეუკითხავად ალიბეგ ჩვენს ელებს გვიბირევდა და მიჰყავდა თავისთან, და იქიდამ აქურდებდა და აავკაცებდა, და უმეტეს მაშინ დაამტკიცა, როდესაც აღამამადხანისაგან ნახა ეს ქვეყანა დასუსტებული, რომელმაც არა თუ მხოლოდ ჩვენნი ელნი გარდაგვიბირნა, შეხიზნულთაცა არღარ მისცა ნება წამოსვლად თავის მშობელს ქვეყანაში და მუნით ათარეშებს და სამდურავს უგდებს ჩვენთ ყმათ ჩვენში. ეს საქმე უსუფ ფაშასაც მისწერა ამათმა სიმაღლემ, რომელიც ახლა ვეზირად წაიყვანეს აზრუმიდამ, მაგრამ არც იმის ბრძანება შეიწყნარეს და არც ჩვენი ყმა დაგვანებეს, და არც ავაზაკობისაგან დასცხრენ.

ოდეს ჯაფარყულიხან თავის ძმას მოადგა ხოის, მაშინ ერევნის წახდენაცა სწადდა, და მამადხანს რადგან ჯარი ეთხოვნა, და შესაწევნელად ერევნისათვის და დასაცველად სარდალი და მოურავი ციციშვილი გიორგი რომ მიაშველა ჯარით, რომელსაც დრო ითხოვდა ამა პოლიტიკასა, ეს ჯარიც დასაცველად იმ ჯარისა წააყენა შორაგლისაკენ ამათმა სიმაღლემ. თუმცალა სახე ესე აქვნდა ამას ალიბეგისად ელების თხოვნისა, მაგრამ აზრი ზემოხსენებული იყო, მაგრამ ოსმალთ თავის განუნახველობით ველარ გასინჯეს საქმე, მოვიდნენ და შემოგვებნენ, და მაშინ დამარცხება ჩვენის ჯარისა პოლიტიკისაგან უცხო იქმნებოდა, და თუ სამტე-

როთ ამათის სიმაღლისაგან წარგზავნილ ვყოფილ-ვიყავით, მაშინ ზიანი რამე ეცემოდათ მათ, და არათუ მხოლოდ ზიანი, ციხეებიც აიღებოდა ბაშორაგლისა, უზუნქილისისა და ყიზილჩახჩახისა, და უმეტეს მაშინ არ შეიძლებოდა ამათის სიმაღლისაგან ოსმალთ წყენა, როდესაც კოსტანტინეპოლეს უძლეველი მხედრობა რუსეთის იმპერიისა მიმშველებლად არის, ვინადგან საქართველოც რუსეთზედ არის მოკიდებული.

ამათმა სიმაღლემ მომცა მე ბრძანება, რომ გამოაცხადოთ თქვენცა შესაბამსა ადგილსა დაუნაშავებლობაი ჩვენი და ესრეთ მართლად აღმოაჩინოთ უბრალოებაი ჩვენი ამით.

დავითი.

ტფილისი. 1899 წ. აპრილის 26.

დღესაც ხვანთქრის ფარვანები შინ უწყვიათ, რომელიც ამ ახლოს ხანში მოუვიდათ ყარსის ფაშას და ალიბეგს, მაგრამ ჩვენს ელებს კიდევ მაინც არ გვაძლევენ, და თუ კი მაგათთან ოსმალნი შერიგებულნი არიან, ამას რატომ ასე შვრებიან? ხელმწიფემ ერთი აფიცარი გამოგზავნოს, რომ ჩვენი ელი მოგვცენ.

დავით.

156. Д. XXIII. 12 Мая 1799 г. Письмо кн. Г. Чавчавадзе къ гр. Остерману.

უკანასკნელს წამს ჩემს თქვენის ბრწყინვალების ნახვასთან მინდა მომეხსენებინა თქვენთვის, მაგრამ მოუხსენებლობის მიზეზად დავიწყება მექმნა: იქნება ჯერ უმაღლესის კარიდამ ჩემი წამოსვლა მეფეს, ჩემს ხელმწიფეს, არ მოხსენებოდეს, და ამისათვის, თუ ჩემს სახელზედ პაკეთი მოვიდეს, ვითხოვ მათს მაღალმსვლელობას უფალს ტაინი სოვეტნიკს სერგეი ლაზარიჩს ლაშქაროვს უბრძანოთ იმან გახსნას, და თუ საჭირო იყოს რამე, მაღალ-დიდებულს მინისტერიას მოგახსენოს, რომლისათვისცა მეც საკუთარის წერილით მითხოვნია. სხვებრ ვსაროებ, რომ თქვენი ბრწყინვალება თავის კეთილმზრუნველობას მარადის გვიჩვენებს ვითარცა მეფესა, ხელმწიფესა ჩემსა, ესრეთვე სამეფოსაცა მისსა.

მაისის იბ, წელსა ჩღჟთ. მოსკოვით.

157. Д. XXIII. 12 Мая 1799 г. Письмо кн. Г. Чавчавадзе изъ Москвы къ С. Л. Лашкареву.

ამ თვის ათს აქ მოსკოვს მოველ და ღვთის მოწყალებით ვსასოებ აქედამაც მალე წავიდე, მაგრამ ვითხოვ თქვენის მეგობრობისაგან ჩემმაგიერი თანამდებობა

თქვენ აღასრულოთ, და თუ მათის უმაღლესობის მეფის, ჩემის ხელმწიფის, პაკეთი, ჩემთან წარმოგზავნილი, მოვიდეს მანდ, თქვენ გახსნათ, და რაც საჭირო იყოს მაღალ-დიდებულს მინისტერიას მოახსენოთ, რომელზედაც მათის ბრწყინვალების ვიცე-კანცლერისათვისაც წერილით გამომიცხადებია ესევ ჰაზრი.

მაისის იბ, წელსა ჩღჟთ. მოსკოვით.

158. Д. XXIII. 11 Іюня 1799 г. Письмо кн. Чавчавадзе изъ Моздока къ С. Л. Лашкареву.

ერთი წიგნი მოსკოვიდამ მოგართვი, რომელიცა ადრითვე მოგერთმეოდათ, და გუშინ რომ ამ თვის ათი იყო აქ, მოზდოკს, გიახელ და ღვთის მოწყალებით აქედამაც დაუგვიანებლივ წავალ.

მე ხომ ჩემის სათანამდებოს საქმის სრულყოფას ვეცდები, მაგრამ რომელიც მაღალ-დიდებულის მინისტერიიდამ ნოტა მებოძა და ან სიტყვა მებძანა ჯარისა, და ადრიითვე ბოძებულის არტილერიისა ხელმეორეთ ბოძებისა და გამშვებისა, ჯერაც ამ ჟამამდინ მოქმედებაში არ შესულან: ჯარიც აქავ არის, რომელსაც აქედამ დაძვრისა და საქართველოსადმი გზისშედგომის ბრძანება არ ჰბოძებიათ, და ხსენებული არტილერიაც რუსეთისა სხვასა და სხვას პროვინციებში არის დაივანტული და დარიგებული; და ეს ჯარიც რომ გადავიდეს, ამათ თავიანთ არტილერიას გარდა არა გადმოჰყვებათრა სხვა არტილერია. მე ეს ჩემ თანამდებად ვიცოდი, რომ გამოგიცხადე, და ახლა შენი ნება არის სათანადოს ადგილს გამოცხადებაც და გამოუცხადებლობაც.

ივნისის ია, წელსა ჩღჟთ. მოზდოკს.

159. Д. XXIII. 16 Іюня 1799 г. Письмо кн. Г. Чавчавадзе изъ Тифлиса къ С. Л. Лашкареву.

ივლისის ა აქ თბილისის ქალაქს, მოველ, მათის უმაღლესობის მეფის, ჩემის ხელმწიფის, ნახვას ღირსვიქმენ, რომელმაც დიდის მოწყალებით მიმიღო.

სხვა ამბავი ასე მოგახსენდეს: მე რომ უმაღლესის კარიდამ გამოტანებული ღრამოტა მქონდა ამის უმაღლესობის მეფის მისართმევლად,—დიდის მადლობით მიიღო, და როდისაც პეტრე ივანიჩი კავალინსკი და სააქაო ჯარი ჩვენს გრანიცაში შემოვლენ, და იმათის იქ მოსვლას ვსცნობთ, მაშინ ამათი უმაღლესობა მეფე, ხელმწიფე ჩემი, მიიღებს ხსენებულსა ღრამატასა სათანადოჲთა დღესასწაულები-თითა სახითა, ხოლო საქმენიცა ორისავე კერძოსადმი სასარგებლონი სრულ

იყოფიან, მოვლენან რა იგინი აქა, და საქმით სრულსაცა წერილსა მიიღებთ მაშინ. სხვებრ ვითხოვ, თუ აქედამ ჩემთან მოწერილი წიგნები მიგეღოსთ რამე, ნახული ხომ გექნებათ, და მიბოძოთ, თუ სახმარი იყოს.

ივლისის იგ, წელსა ჩღჟთ. თბილისს.

160. Д. XXII. 14 Января 1800 г. Объявленіе отъ царя Георгія Русскому посланнику при Груз. дворѣ ст. сов. П. И. Коваленскому.

ესრეთ განეცხადოს: ამ ჟამად უმაღლესს კარზედ უმდაბლესის მადლობის მოსახსენებლად ჩვენს ელჩებს რომ ვისტუმრებთ თქვენის მამაშვილობისაგან ამას მოველით: რომელიც ამათ პატივი და ჩინი აქვსთ, ჩვენგან ბოძებული, თქვენც უმაღლესს კარზედ ამ პატივით და ჩინით გამოაცხადოთ — სრულშემძლებელი დესპანი, დიდი პოსოლი, სპასპეტი, თავადი გარსევან ჭავჭავაძე, საიდუმლოდ-თანამზრახველ-მოქმედნი თავადი გიორგი ავალოვი, სამოქალაქო მრჩეველი მდივანთ-უხუცესი თავადი ელიაზარ ფალავანდოვი.

მეორე წიგნიც ამაზედ მისწეროთ, რომ ჩვენმა ყმამ მოქალაქე თოვლინაშვილმა ჩვენის ყმის ბეითალმანი საქონელი ინდოეთიდამ გამოიტანა და აქ აღარ მოდის, და აღარც იმ ჩვენის ყმის ბეითალმანი საქონელი მოაქვს; ამის წიგნი რომ მისწეროთ თავის შესაფერ ალაგს—ის ამ ჩვენს ელჩებს გაატანეთ, რომელიც რიგი არის ამათ ისე იმოქმედონ იმ საქონლის საქმეზედ. ესეც მისწერეთ, რომ მოზდოკში კონსოლად სტეფანე აუშტროვი დაადგინონ, რომ ჩვენის ქვეყნიდამ მისულის კაცის პაშპორთი და მისვლა იმან გასჩხრიკოს ყოველთვის.

წელს ჩყ, იანვრის იდ. თბილისს.

161. Д. XXVI. 27 Января 1800 г. Объявленіе отъ царя Георгія ст. сов. П. И. Коваленскому.

თქვენ რომ გვკითხავთ ჩვენის ელჩების მისატანელი არზა რა არის, — თუმცა ამას წინათ ჩვენ სიტყვითაც გამოგიცხადეთ, ახლა წერილითაცა გწერთ, რომ ჩვენი სათხოვრები ეს არის:

ა. სამიათასი კაცი აქ საუკუნოდ სამყოფელად.

ბ. ბაბახანთან ჩვენისა და ადრიბეჟანის გრანიცის დადება.

გ. ახალციხის ფაშისაგან ლეკის ჯარის მოუყვანლობა და წაუხდენლობა ჩვენის ქვეყნისა.

დ. დაღისტნის ბეგებისაგან ჩვენზედ დიდროვანის ჯარებით მტერობით ხელისაღება.

ქ. არტილერია რომ გვებოძა—იმ არტილერიის დანარჩომის ბოძება.

ფ. საზოგადობაში—როგორც ჩვენს ქვეყანაში პური ფასობდეს, ისე (რუსეთის) იმათმა ჯარმა იყიდოს.

მეშვიდეთ და მერვედ,—ეს ზეპირად დაჰბარებიათ: მათს უწმიდესობას (ქათალიკოზს), ჩვენს ძმას, და ჩვენს ძმას ვახტანგს, და ჩვენს შვილს იოანეს კავალერია უთხოონ.

ეს ზემოთქმული ექვსი ნოტები ჩვენს ელჩებს ინსტრუქციათ მისცემიათ, რომ იმათ იოხონ თავიანთის კანონით.

ჩუ წელსა, იანვრის კზ.

162. Д. XXIV. 14 Марта 1800 г. Грамота царя Георгія арм. архіепископу Іосифу Мхаргрдзели (Аргут.-Долгорукому)

უ̃დ სამღვდელოებას არხიეპისკოპოზს
უფალს იოსებს.

ჩვენგან მარჯვენეს მთხვევნა და მრავალი მოკითხვა მოგხსენდესთ. მერე ბოლოს ჩვენი სიტყვა და მოწერა ეს არის, რომ აღარ დაიგვიანოთ და წამობძანდეთ. თქვენ რომ მოგეწერათ, ჩვენ ის საქმე ადრივ გარიგებული გვქონდა, მანამდის თქვენი წიგნი მოგვივიდოდა გარიგებული იყო, და აღარ უნდა დაიგვიანოთ; ეს არის რომ წამობძანდეთ და აღარ შეიცადოთ, დაგვიანება ყოველს საქმეს მოშლის. სწორე ეს არის, რომ ოცს აპრილამდის აქ უნდა მობძანდეთ, ამ ვადას აღარ უნდა გადაასცილო და ამ ვადამდის მობძანდეთ; თუ დაიგვიანეთ, დაგვიანება ყოველს საქმეს მოშლის. ოცს აპრილამდის უნდა რომ აქ მობძანდეთ, სწორე ეს არის, ტფილისის ქალაქში უნდა ბრძანდებოდეთ. წმინდა ლახვარი აქა ბრძანდება, და მისმა მადლმა და ძლიერებამ ყოველი სნეულება განაქარვა და განსდევნა, და უნდოდათ, რომ წაესვენებინათ, მაგრამ თქვენ მოგელისთ, რომ თქვენ წაასვენოთ და თქვენ წაიღოთ, და ის ორი ეპისკოპოზი რომ გეთხოვნათ, ისინი მანამდინ მანდ მოვიდოდნენ დიდი ხანი გამოვიდოდა, ისინი ფოშტით ხომ ვერ ივლიდნენ და ნელა უნდა ევლოთ, და ამაში სამი თთვე (ან) ოთხი დაუგვიანდებოდათ, და აბა როგორ იქმნებოდა? რომელიც მუჯალამა გეთხოვნა იქიდამ, ის მუჯალამა გამოვგზავნეთ; ეპისკოპოზებისათვის, რომ მოგვეცადნა და იმათის ხელით გამოგვეგზავნა, სამს და ოთხს თთვეს დაიგვიანებდა. ის მუჯალამაც მოგერთმევა და აღარ დაიგვიანოთ და მობრძანდეთ.

მეფე ყოვლისა საქართველოჲსა და სხვათა გ ი ო რ გ ი.

წელსა ჩუ, მარტის იდ. თბილისით.

163. Д. XXIV. 16 Іюня 1800 г. Письмо царя Георгія къ ген. Кноррингу.

ამ თვის ი ბაბახანის გამოგზავნილი კაცი მოვიდა და ფარვანი მოეწერა; ჩვენ ამ კაცის მოსვლა და ფარვანის მოტანა მისს მაღალშობილებას სტატსკი სოვეტნიკს, მათის იმპ. დიდებ. ხელმწიფის მინისტრს, პეტრ ივანიჩს კოვალენსკის გამოეცხადა; ჩვენ და მინისტრი ერთად შევიყარენით და ის ბაბახანიდამ მოსული კაცი ისე მოვაყვანინეთ, და ერთათ ვნახეთ, და რაც ფარვანში ეწერა, ის სიტყვა ჰქონდა დაბარებული, და ან ჩვენგან რაც ეთხოვნა—შევიტყევით. მასუკან ჩვენ და მათის იმპ. დიდებ. ხელმწიფის მინისტრი ერთათ შევიყარენით და რაც ჩვენს ქვეყანას უჯობს, და ან დაწყობა გაეწყობა, ვარჩიეთ, და იმას მასუკან ეს ჩვენი საყვარელი უფალი მინისტრი პეტრე ივანიჩი მოგწერსთ; და რომელიც ბაბახანიდამ და მისის შვილისა, და სარდლიდამ მოსული ფარვანები, და წიგნები იყო ისინიც მანდ მოგართვათ, და რაც თხოვილი იყო იმათგან იმასაც ამისის მაღალშობილების უფლის მინისტრის მოწერილობით სცნობთ და იმ ფარვანებითაც მოგხსენდებათ; ეს ფარვანები და ამბავი ტყუილი არ გეგონოსთ და ან საეჭოთ არა გქონდესთ, ეს მოწერილობა და ამბავი მართალი არის; ჩვენცა გვყავს კაცნი გაგზავნილი ჯაშუშათა, რომ იმათგანაც ვიცით და შევიტყევით, რომ მართალი არის ეს ამბავი. ამას ვითხოვთ თქვენის მაღალმსვლელობისაგან, რომ რომელიც თქვენს საბძანებელს ქვეშე მხედრობა იმყოფება რაერთიც შეიძლოთ სწრაფად შემწეობა გვიბოძოთ, რომ ეს ქვეყანა მეორედ არ წახდეს. ვითხოვთ და ვევედრებით თქვენს მაღალმსვლელობას, რომ არ დააგვიანოთ ჩვენი შემწენი მხედრობანი, რომ ჩვენზედ მომსვლელნი მტერნი მრავლობით არიან, დაუგვიანებლად მოგვაშველოთ.

ჩყ წელსა, ივნისის იზ. თფილისს.

164. Д. XXIV. 1800 г. Письмо царя Георгія къ кн. Г. Чавчавадзе

თქვენის კავკასიის ლინიიდამ წასვლის შ~დ არც წერილი მიმიღია თქვენი და არცარა ამბავი მსმენია, რომლისათვისცა ახლა დრო არის, რომ მწერდე. თუმცა აქაურის გარემოების უწინარეს ამისა კიდეც მოგწერე შენ, გარნა ჯერარს გამცნო პ~დ სასარგებლონი იგი ჩვენნი, რ~ლითათვისსა ადრითვე გთქმია, რომ მეზობელნი ჩვენნი ჭარელნი გვაწუხებენ ჩვენ მარადის, და მეორედ, ადირბეჟანელთ, ხოის პროვინციაში მცხოვრებელთ, ურუმელთაგან მოვიდა ჩვენთან კაცი ასორების წერილით, რ~ლნიცა ერთხმობით ითხოვენ მოყვანასა თვისსა საქართველოს სამეფოსა შ~ა; ყოველნი იგი არიან ჯჭ [15 ათასი] გვარი. ერი ესე დროსა სანატრელად

სახსოვნელის ჩემის მშობელის მეფობისას სთხოვდნენ მიღებასა თვისსა, მაგრამ არა გვქონდა დრო აღსასრულებელად სურვილისათვის მათისა; ამისათვის თანაგაცს შენ მოახსენო უმაღლესს კარსა, და როგორც შეგეძლოს ეცადო, ამად უფრო, რომ აწინდელი გარემოება მწე გვეყოფიან ჩვენ კეთილისა ამისა საქმისა, უგანსაცდელოდ და მეზობელთ უწყინრად, აღმასრულებლად, და მათგან გამოგზავნილი კაცი დღემდე აქ ჩემთან მყოფობს, მომლოდნელი ამისთვის უმაღლესისა ნებობისა.

და შ̃დ აქ მყოფი რუსეთის იმპერატორის მხედრობა, უკეთუ იქმნების ნება, რათამცა ყ̃ლნი გამოგვყუნენ ჩვენ, და უკეთუ არა შეიძლებოდეს ყოვლისა, მაშინ ნახევარს რიცხვს ქვეითისას ყ̃დ უმოწყალესობით ებძანოს ჩვენთან გამოყოლა ზემომოხსენებულთ გვართ მისაღებელად. ვსასოებთ ღ̃თისაგან, რომ აწინდელის მყნებურის მდგომარეობის მიზეზის ძლით მოყვანა მათი იქმნების რიგიასად და საზოგადოს სასარგებლოდ, —ერნი ესე არიან ბერძენნი, ასსორნი და სომეხნი. მოახსენე ჩემს ყ̃დ მოწყალესა ხელმწიფესა და მფარველსა, რომ ესე ვითარი საქმე ჩემს მცირეს სამეფოს მოსცემს რაოდენსამე სარგებელს. თანაგაცს შენ მარადის გარჯა ხსენებულისა ჯარისათვის, რომ მოეცეს მას ბძანება, რათა გამოგვყვეს ჩვენ მყნით, სადითმცა ითხოვს დამჭირნეობა. მრავალგზის მოგწერე მე, რომ მათის დიდებულების უმაღლესის კარის ხაზინიდამ ვალის სახედ ითხოვო ოცი ათასი თუმანი, რაოდენისაც დროს განწესებას ინებებენ, რომლის ჯამისასაც აღვსთქვავ დადებულს დროზედ მოტანა აღვასრულო. უკეთუ მდაბალისა სასარგებლოსა ამას ჩვენსა—ვ̃ა გამოყოლასა ჯარისასა, ესრეთვე ყ̃დ უმოწყალესობით ვალის სახედ ჩვენთვის თეთრის ბოძებას არა შეყუდგების მოწყალებითი კეთილნებობა და უმაღლესი მოხედვა, მაშინ ჩვენ დავშთებით შემჭიდროებულსა და შესაბრალებელსა მდგომარეობასა შ̃ა, ვ̃ა მოუხედველნი.

(ხელმოუწერელია, უბეჭდო და ურიცხვო).

ДОПОЛНЕНІЯ.

165. Д. XXV. 10 Ноября 1774 г. Представленіе отъ царя Соломона имп. Екатеринѣ II.

უსაზოგადოესო დედაო ყოველთა მართლმაღმსარეთა აღმოსავლეთისა ქე-თაო! ღმერთმან მამან, მრჩობლ-მარჯვენემან ცით მოგცა უწიაღკერძო ძალი, ვ͠ა დიდსა კოსტანტინეს, ავთესლთა მაჭმადიანთა დამამხობელად და მკვიდროანსა ზედა უხვება, და ძლევაშემოსილთა ლაშკართა სიმრავლე, ხოლო შენმან დედო-ბრივმან და ღმრთებრივმან მოწყალებამან ზღვა და კმელი სწორებით აღავსო, და ერი ქრისტეს მოსახელეთა ქრისტიანეთა, მრავალს ქვეყანასა და ქალაქ-სოფელთა შინა უცხოთესლთაგან დაჩაგრულნი და დამონებულნი, ტყვეობისაგან განთავი-სუფლდენ და შეგინებულთა მაჭმადიანთა ხელისაგან გამოიკსნენ.

აწ მეცა, გნინი მონა შენი, მეფე სოლომონ კ͠დ და კ͠დ მუხლდადგმით და ცრემლით გევედრები—ნუ დაგვივიწყებ, ნუ დაგვაგდებ, უ͠დ უუმპყრობელესო აღუსტესო: თათარ-ოსმანთ მონებაში ტყვენი ვიყვენით, ამ ქვეყნის ეკკლესიანი იმათგან იყო შეგინებული და დარღვეული, ხოლო ოდეს სახიერებით ინებე და თქვენი უძლეველი ხელი დასდევ ჩვენ ზედა, თქვენმან ღმრთებრივმან მოწყალება-მან და ძლევაშემოსილმან ჯარმან გამოგვიხსნა, დარღვეულნი ეკკლესიანი ისევ აღეშენნენ და ქრისტიანობა, შენის შეწევნითა და წყალობითა, კეთილმსახურებაზე წარემათა. კ͠დ მცირე მონა შენი მეფე სოლომონ და ამა ქვეყნისა ქრისტიანეთა ერნი, დიდნი და მცირენი, სამღვდელოთა თანა და მდაბიურთა ყოველნივე ერთ-ხმობით მუხლმოდრეკით და ცრემლით ვევედრებით თქვენს მაღალს და უ͠დ უძლი-დებულესს იმპერატორობის ტახტსა, რომელიც რომ პირველ ინებე და აღგვით-ქვი—ის წყალობა და აღთქმა აღგვისრულე და საუკუნოდ მონებად და მსახურებად შენთა მკვიდრთა მონათა თანა აღგვრაცხე და დაგვაწესე. ყოვლად უძლეველო კელ-მწიფეო, თუმცა ჩვენის უბედურობითა და უმეცრებითა, უფროსღა უსწავლელო-ბითა, თქვენს ძლევაშემოსილს ჯარსა მართებულად ვერ განუსვენეთ, ანუ მონე-ბრივ მსახურება და მორჩილება რომელიმე ჩვენის უცოდინრობით დაგაკლეთ, შენის დედობრივის სახიერებითა და მოწყალებითა ნუ მოიხსენებ, ამდენს ეკლე-სიებსა და ქრისტიანობას აპატივე და მოგვიტევენ, ჩვენი სურვილი და წყურვილი აღავსე, რომ ყოველთავე ერთობით თქვენი მსახურება და მონება გვსურის, და მზა ვართ სახელისა შენისათვის დათხევად სისხლისა, სადაც ინებოს სიწმიდისა ცამან და მოწყალებისა სამყარომან გონებამან შენმან—იქმენს, მტრებს შეგვახოცე ვისმე, და ჩვენზე ხელს ნუოდეს აიღებ; შენი ობოლნი ვართ, შენგან გამოხსნილნი ვართ, შენი მდაბალნი ერნი ვართ, ნუ მოგვიძულებ, უ͠დ მოწყალევ კელმწიფეო, და ნუ მისცემ შენგან მოგებულსა და გამოხსნილსა ქრისტიანეთა ერსა უცხო-თესლთა მაჭმადიანთა; ყოველთვის ბრძოლა აქვსთ ჩვენ ზედა, და შენის სახელითა და დოვლათითა ისინი იძლევიან და შეიმუსვრიან. უძლიერესო კელმწიფეო, ჩვენი და თათრების მიკარება და შერიგება აროდეს არ იქნება, შუაში დიდი სისხლები

არის დათხეული. ვითარ ინებებ და სადაცა ინებებ—შენი მონა ვარ, და სინამ ცოცხალ ვარ—შენ უნდა პური მაჭამო და შენს მტერს შევაკვდე.

თვესა ნოემბერსა ი, წელსა ჩღოდ.

166. Д. XXV. 10 Ноября 1774 г. Письмо царя Соломона къ гр. Н. И. Панину.

ამას გევედრები და განუცხადებ შენს ჩემდამოს მოწყალეს მეგობრობას, რომ არ დაგვაგდო, ჩვენის უმსახურობისათვის არ უგულებელს გვყო, ეს ჩვენი ძლიით ვედრება ისმინო და შემწე გვექმნა. ამას ვითხოვ და გევედრები: თუმცა ოსმანზე ბრძოლა დასცხრეს და გარიგება მოხდეს, რომელიც მათის იმპ-ის დიდ-ს მოწყალებით უქაზით გვებრძანა—ჩვენც სრულიადი მოწყალებით ნათელი მოგვეფინოს და მათის ხელიდგან თავისუფალ ვიქმნეთ, მათის იმპ—ს დიდ—ს მარჯვენა გვფარვიდეს, და მათს განძლიერებულს საიმპერიოში შერთებულ და აღრაცხილ ვიქმნეთ; ჩვენი თავი და ჩვენი ქვეყანა საუკუნოდ პოდნსათ მოგვართვით. მოგეხსენებათ, რომ ჩვენ და ოსმანთ შუა დიაღ დიდი ხანია ბძოლა იყო და მრავალი სისხლი დაიქცა, არას გზით ჩვენგან იმათი გარიგება და შერთება არ იქნება. ჩვენ ჩვენის უ̃დ მოწყალის კელმწიფის გარდა სხვა გზა არა გვაქვს.

მეორესა ამას გევედრები: დიდად გვსურის და გვწყურის მათის დიდ—ის ხილვის ღირსება, თუმც წინაღმდეგი არ იყოს; ღმერთს დიაღ დიდი ხანია ვსთხოვთ ჩვენის მაღლის უ̃დ მოწყალის კელმწიფის თაყვანისცემა გვეღირსოს. ვითხოვ თქვენის მოწყალებისაგან ამ საქმის აღსრულებას.

მესამეს ამას ვევედრებით თქვენს მაღალს ღრაფობის მსვლელობას: ამ მაგათს დაფარულს ქვეყანაში ერთი კელმწიფის კაცი იმყოფოს ჩვენთან, აქაურს ამბავს სწორებით მოახსენებდეს მათს დიდ—ას.

მრავალი თავი გაწყინე, მაგრამ მწყალობელი ბძანდები, და ამისთვის ვბედავ: არ იშოვება ჩვენს ქვეყანაში, ერთი აქიმი—გვიბოძოთ, იმყოფებოდეს.

სხვას ჩვენს მოსახსენებელს სიტყვებს ჩვენი კნიაზი დავით იაგორეჟიჩი [კვინიხიძე] მოგახსენებს.

ნოემბრის ი, ქკ̃ს.უჲბ.

167. Д. XXV. 30 Марта 1775 г. Письмо имеретинскаго посланника князя Давида Квинихидзе къ гр. Н. И. Панину.

მის მაღალ-ღრაფობის ბრწყინვალებას ამას მოვახსენებ: უ̃დ უმაღლესის უ̃დ მოწყალის კელმწიფის კარზე რომ ჩვენმა მეფემ სოლომონ გამოგვგზავნა—ხუთი თავადისა და აზნაურის შვილები თანგამომატანა, და მიბძანა, რომ უმდაბლესად

მივართვა: მის იმპ. დიდ—ბას იმერეთის თავადის იაშვილის შვილები—ერთი ვაჟი, თორმეტის წლისა, და ერთი ქალი, თერთმეტის წლისა, ორნივ მოუნათლავნი, დაძმანი არიან; მის იმპ—ს სიმაღლეს [პავლეს] კნიაზ ღოღაბერიძის შვილი—ერთი ვაჟი, თორმეტის წლისა, და ერთი ქალი ბაქრაძის, აზნაურშვილის შვილი, ათის წლისა, ორნივ მონათლულნი არიან; და თქვენს მაღალ-ღრაფ-ს ბრწყ—ს ერთი ვაჟი აზნაურის შვილი, შვიდის წლისა, მოუნათლავი. ახლა თქვენს ღრაფ—ს ბრწყ—ს მდაბლად ვევედრები, რომ ჩემგან ზემოხსენებულნი თავადისა და აზნაურშვილების ვაჟნი და ქალნი მიიღოთ.

მარტის კი, ქჳს ჩღჲიე წელსა. კნიაზ დავით კვინიხიძე.

168. Д. VIII. 6 Мая 1875 г. Письмо царя Ираклія къ генералъ-поручику П. С. Потемкину.

მართალისა და ჭეშმარიტის მოხსენებით იუწყე ჩემგან: ქრისტიანობის ერთგულობისგან ჩემს გონებას უმეტესი სურვილი ძალას აძლევს და მე ის მალაპარაკებს, და კიდევ სხვანი მრავალნი მიზეზები მაქუნდა და, თუ თქვენთვისაც არ შემეტყობინებინა, არ იქნებოდა, და ამისთვის განგეცხადებათ ჩვენგან ეს, რომელიც ქვემოთ პუნკტებში გამოჩნდებიან:

რადგანაც თქვენი მაღალმსვლელობა ასე ახლო მობძანდა ჯარით ამ ქვეყნებზე, რაც აქეთი ქრისტიანები არიან გონების თვალით თქვენი მაყურებელნი იმყოფებიან, სტამბოლს აქეთი ქრისტიანენი ვინც იმყოფებიან ყოველს ჩემთან პირობა აქვსთ და ეს ექვსი წელიწადია სულ მეხვეწებიან, და დიაღ მრავალნი და უმრავლესნიც არიან, და კარგი ვაჟკაცნიც არიან, და რომელიც ამათი სავედრებელი არის—ეს იყო და ახლაც ეს არის: როდესაც რუსეთის ჯარი აქ იყო, სრულის გონებით შემოერთება უნდოდათ, მაგრამ ამათ უბედურობით იყო, თუ ჩემის უბედურობით—რამდენიც მოვინდომე—არ იქნა, და ჩემი თქმა და სიტყვა, რომელნიც ჯარის უფროსნი იყვნენ, არარად მიიღეს.

მაგრამ ჩემს თანამდებობად ვიცი, რომ ქრისტიანეთათვის უნდა გავისარჯო, და უფრო კიდევ ამისთვის გამოგიცხადე, რომ თქვენს მაღალმსვლელობას აქაური საქმენი სრულებით შეტყობილი ჰქონდესთ, და შეტყობის შემდგომად დაჯერებით ვიცი: როდესაც ამჯობინებთ, და ან მათის იმპერატორობის დიდებულების ბძანება იქნება—თქვენც იმას იმოქმედებთ.

მე ამას ცუდის კადნიერებით არ მოგახსენებ,—ისე რჩევით მომიწერია თქვენთვის მე ესე. თუ უმაღლესის კარის მოხსენებით და ბძანებით იქნებოდეს, და ან ეგების ჩემის ყოვლადმოწყალისა დიდისა მონარხისაგან ასეთი ნება გქონდესთ ბოძებული, რომ თქვენ შემძლებელი ბძანდებოდეთ და გაისარჯნეთ ჯარით, და ახალს

შამახიას მობძანდე, მე ვგონებ, რომ სრული დაღისტანი დაგემორჩილებათ და ჩვენ ყოველნი აქეთ მყოფნი ქრისტიანენი მზას ვიქნებით, როგორც თქვენი ნება იქნება, ამ საქმით.

და სალიანიდამ ნავები მტკვარში შემოვლენ, და კახეთში სამძღვრის ალაგებზედ ას ვერსზედ სიახლოვეს შემოვლენ, და იქიდამაც იქნება მტერს გარჯით უფრო მახლობლად მოვიდნენ. კიდევ ეს მოგახსენდესთ: როგორც თქვენი ნება იქნება იმ დროს—იმ მოქმედებაში შევალთ ჩვენის შეძლებით; და სალიანიდამ მშრალზედ მტკვრის ორისავ ნაპირებიდამ სულ ვაკე აქვს ტფილისამდის და კახეთამდის,—ყოვლისფრით მეგზაური სულ ვაკეზედ შეუწუხებლად ივლის.

და კიდევ ამას გარდა, რომელიც გილანს სპარსნი მოჭმადიანნი იმყოფებიან და ერთი მეორისაგან შეწუხებულნი არიან—უმრავლესნი სულ სიხარულით მოგენდობიან, და რასაც უბძანებ ყოვლის მორჩილებით მიიღებენ, და ქრისტიანეთ რაღა თქმა უნდა—ყოველნი ღ̃თის მადლობით, როგორც უბძანებ, ისე გიახლებიან. თუ თქვენგანაც ისინი რომლითამე სახით მიიღებიან, სრულის ერთგულებით დაადგრებიან ყოვლად მოწყალის ხელმწიფის სამსახურს.

მე ხვანთქრის ყმებზე არ მითქომს ესე, და ამ შერიგებაში არც ამ კადნიერებას მივიღებ, რომ ხონთქრის აშლა ვარჩიო და ან იმისი ყმების დაჭერა, თუმცა იმათაც დიდი სურვილი აქვსთ რუსეთისაგან თავიანთი დაპყრობისა, მაგრამ როდესაც ღ̃თისა და ჴელმწიფის ნება იყოს, იმ დროისთვის იყოს დაგდებული ის საქმე; და მე რჩევა თქვენს მაღალმსვლელობას მოხსენებით რომ გამოუცხადე, რომ რომელსაც ქვეყანას პატრონი აღარ ჰყავსთ და კიდეც იხვეწებიან, იმათზე ვარჩიე რომელიც ზემოთ დაიწერა, და ამ საქმეებზედ თქვენგან გამოგზავნილს ეფრემს თქვენს მაღალმსვლელობასთან სიტყვა დავაბარე, და მათის იმპერატორობის დიდებულების არზაც და პირველის მოქმედის პანინის წიგნიც, და ეგრეთვე მეორე წიგნი მოგართვით, და ესე ყოველივე ამისგან მოგერთმევათ.

თქვენის მაღალმსვლელობისაგან ვითხოვ, რომ თქვენის წიგნით დაუგდებელ ვიყვნეთ.

მაისის 6, წელსა 1775.

169. Д. VII. 29 Мая 1775 г. Письмо царя Ираклія къ гр. Н. И. Панину.

უ̃დ მაღლის მათის იმპ—ბის ნებითა ოსმალთ შერიგებაში რომ ჩვენ და ჩვენს საქართველოში მყოფნი ერნი დიდის რუსეთის იმპერიასთან საერთოთ განუწესებივართ და საბოლოოთ თურქთაგან ჩვენის ქვეყნისათვის ყოვლითურთ უფიქრელობა უზრუნვებია—ამისთვის უ̃დ მოწყალისა დიდისა ჴელმწიფისა, ვითაც ჩემს ერთგულებას შჳენის, ესეთისა უმეტესისა მადლობისა მომხსენებელი ვარ:

უ̃დ ძლიერმან ღ̃თნ დღეთა სიგრძითა ადიდოს მაგათის იმპ—ბის სახელი! ვართ მარადის მაგათის იმპ—ბის დიდ—ბის საფარველსა იმედსა ქვეშე მყოფნი, და, რადგანაც თქვენი მაღლის ღრაფობის ბრწ—ბაც ამ საქმეზედ გარჯილა,—ყოვლითურთ მმადლობელნი ვართ. ღ̃თნ უ̃დ მოწყალის მაღლის კელმწიფის წყალობა ნუ მოგაკლოსთ!

თქვენის მაღლის გასინჯულობით ეს მოწყალებით გასინჯე: რადგანაც მათის იმპ—ს დიდ—ბის ნებით და თქვენის მოწერილი წიგნებით თურქთ ავშალენით, რომლისაც თვით თავით ჩვენით შემძლებელნი არ ვიყავით და არც ისინი გვაძლევდნენ აშლის მიზეზსა, მაგრამ რადგან ჩვენ ავშალენით და საფიქრებლად გავიხადეთ ჩვენი საქმე, და ახლა შერიგებაში რუსეთის საკელმწიფოში საერთოთ დავფარულვართ, —ამისთვის უმეტესის მადლობის მომკსენებელი ვიმყოფებით. მოეხსენება თქვენს მაღალს ღრაფ. ბრწყ—ს, რომ ნიადაგ ჩვენის უ̃დ მოწყალის რუსეთის დიდის მონარხის და დიდის რუსეთის იმპერიის სრულის ერთგულობის მქონებელი ყოფილვართ და ვართ, ამისგამო ჩემის უერთგულესის გონებისაგან მართალი რომ მოგხსენდესთ, კადნიერება ნუ გეგონებათ, რომ ჩვეულება არის ერთგულის გულისაგან მართლის თქმა, ჭეშმარიტებით განცხადება. თქვენმა მაღალმა გონებამ მოიგონოს: ამ რამდენსამე წელიწადში როგორათაც მათის მაღლის კელმწ—ბის ნება იყო, და თქვენგან მოწერით გამოგვეცხადა და გვებრძანა თურქთ აშლა, და ჩვენ თუ რომლის უმეტესის სურვილით მივიღეთ და სიკვდილამდის მე და ყოველმა ჩემის ქვეყნის კაცმა თავი დავდევით, და ეგრეთვე დახარჯვითაც ყოვლითურთ დაუზოგავათ დავხარჯესით. ამავ ხარჯის რაერთობაცა უმაღლესს კარს ჭეშმარიტის გამოცხადებით მოვახსენეთ და ვერ მივიღეთ მაგიერი პასუხი. წარსულს წელიწადებში ჩემი ძმა კათალიკოსი და ძე ჩემი ლეონ, რომელნიც ფიცის წიგნით წარმოვგზავნე მათის იმპ—ბის დიდ—ბის წინაშე და ყოვლითურთ ჩემი თავი და ჩემი ქვეყანა მათის უ̃დ მაღლის კელმწიფობის ნებასა ზედან დავამტკიცე, რომლისაც ამ ზემოთ აღწერილს საქმეებზე თვით თქვენივე მოწერილი წიგნები მემოწმების, და ამ ჩემის სასურველის საქმეებისა გარეგან დავრჩი და არცარა ამ საქმეებისა ვითარების მცირედისაც რისმე შემტყობელ ვიქმენ.

მრავალჯერ მოვახსენე თქვენის მაღლის ღრაფ—ბის ბრწ—ბას აქეთის მხრის ქრისტიანეთათვის—რას წადიერებით იყვნეს მრავლის ათასის ჯარით ჩვენთან შემოერთებისათვის როდესაც რუსეთის კორპუსი ამ ქვეყანაში იყო, თუ როგორ დიდის ვედრებით იხვეწებოდნენ, რომ დღესაც აქავ არიან იმავ წადილით; აპირობდნენ კიდეც უმაღლეს კარს წამოსვლას, მაგრამ რადგანაც შერიგება შეიტყეს, ამისთვის ვეღარ გაბედეს. ამისთანა საქმეებით ესენიც და ამ მხარეს მყოფნი ქრისტიანენიც უმეტესს იმედის გარდაწყვეტაში ჩაცვივდნენ. ახლა დარბანდისაკენ რამდენიმე ათასის რუსეთის ჯარის გამოსვლა რომ მოგვესმა და მათის იმპ—ს დიდ—ბის ბედნიერობით ლეკებიც მრავალი დახოცილა იმათგან, და რამდენიმე ლეკის სოფლებიც წაუხდენიათ, რაც ან ლეკები არიან და ან აქეთის მხრის კაცნი მაჰმადიანნი—

ასეთი შეშინებულნი არიან, რომ რაც ახლა დარბანდის მხარეს რუსეთის ჯარი იმყოფება—იმათი არათუ შებმა შეიძლოს ვინმე, არამედ სარწმუნოთ იცოდეთ, რომ რაც დარბანდსა და ჩვენ შუა ქრისტიანენი არიან, თუ მაჰმადიანნი—ყველანი მათის იმპ—ს დიდ—ბის სრულის მორჩილების მქონებელნი შეიქნებიან. თუ ის ჯარი საბოლოოთ იმ მხარეს დგომას გააგძელებს, ამ მხარეს ქრისტიანეთათვის დიდი ნუგეშინისცემა იქნების, და ყოვლითურთ ძალსა და სიმტკიცესა მიიღებენ; და თუ ის რუსეთის ჯარი ან წინ არ წამოდგება, და ან იქ დგომას არ გააგრძელებს,—ამ მხრის ქრისტიანეთათვის დიდი სამწუხარი და საფიქრებელი შეიქნება.—მე ეს თქვენ ღრაფ—ს ბრწ—ბას ამბათ მოგახსენე.

შემდგომად ამისსა შემოგვედრებ თავსა ჩემსა და ქვეყანასა ჩემსა, რომ თქვენის მაღლის ღრაფ—ს ბრწ—საგან დაუგდებელი ვიყოთ და გახსოვდეთ, და რომელიც ზემოთ ჩვენი აზრები და ნუჟდა დაგვეწეროს — იმისი მაგიერის სიტყვისა და საქმისა მიმღებელ გვამყოფოთ.

დაიწერა ქალაქსა ტფილისს. მაისის 29 დღესა, წელსა 1775.

170. Д. XXV. Май, 1784 г. Представленіе отъ имеретинскаго царя Давида имп. Екатеринѣ II.

სულისა ტრფიალებითა ძლით, უსაცთუროდ სასოებისა დამდებელი უ̃დ უმდაბლესითა კრძალულებითა გამოუთქმელისა ტახტისა წინაშე თაყვანისცემასა განვაცხადებ, და, უ̃დ უმოწყალესისა იმპერატორობისა ქვეშე ფერკთა შევრდომით, ჩვენისაცა აღმართებისა და აღდგინებისა უმკურვალესსა ვედრებასა განვიკენ.

უ̃დ უდიდებულესო კელმწიფევ, მონარხობითისა შეწყალებისა ჩვენისა და მეორედ აღმართებისა, გამოხსნისა რა ნუგეშინისცემის დრონი და ჟამნი არიან, და ვინაიდგან თქვენის მოწყალებით გამოხსნილი არის ეს ქვეყნები, და ჩვენ უსჯულოთა მათ ოსმანიანთაგან მრავალი ხანი არის, რომ განვთავისუფლებულ ვართ და ვესავთ დიდებულსა კელმწიფობასა თქვენსა, და ვადიდებთ, აურაცხელსა მოწყალებასა თქვენსა. აწ უმეტესად საზრუნავი არის იმერეთის შეწყალება, რომლისაცა თქვენი ერთგული მონა და კურთხეული მეფე ჩვენი სოლომონ უწყალომან სიკვდილისა მახვილმან მიწასა შინა დაამკვიდრა, და ამისნი მსმენელნი, უ̃დ ბოროტნი მტერნი ჩვენნი, ოსმალნი გარემოს ქვეყნებისა ჩვენისა საზღვრებთა ზედა დადგენ და მარადღე წარტყვევნვისა და აოხრების მუქარას გვწერენ, და ფრიადის ლაშქრებით ჩვენზედ მახლობელ არიან, ვითარცა თვით მათგან მოწერილის წიგნებით და ბეჭდებით, და თვით ხვანთქრის გამოგზავნილის ფარვანით განეცხადება უ̃დ დიდებულსა კელმწიფებასა თქვენსა. ჩვენ თუნდა მზა ვართ ქრისტიანობისათვის სისხლთა ჩვენთა დათხევად, და ჩვენის შეძლებისაებრ თავსა ჩვენსა აღარ მიჰვსცემთ მონად და არცაღა ჩვენგან მათი ყმობა იქნება, და ღმერთმან ნუ ჰყოს, მაგ-

რამ უმეტესის ჯარებითა და შეძლებით მოვიდნენ, და მახლობელ არიან ჩვენზედ, ესრეთ, რომელ ყოველ ჟამ ომისა და შებმის ფიქრით მზა ვართ სისხლთა დათხევად და არღარა დამორჩილებად სარცხვინოსა უფლებისა მათისა. ამისთვის სწრაფის მგზავრობით გვიახლებია დიდი უფალი და მწყემსთ-მთავარი ჩვენი, ამისი უწმინდესობა კათოლიკოსი ყოვლისა საიმერეთოჲსა და აფხაზეთისა მაქსიმე, და ამასთანა ჩვენის ქვეყნის უპირატესი სარდალი და სახლთუხუცესი, და სიძე ჩემი კნიაზი წერეთელი ზურაბ, და ამასთანა მდივანბეგი ჩვენი კნიაზი დავით, რომელნიცა ერთობით თანაგანზრახვითა ჩვენითა, დიდთა და მცირეთა, ერთბამად აღვარჩიეთ, და დაგვირწმუნებია ყოველი სათხოველი ვედრება ჩვენი, და ესენი განაცხადებენ თითოეულად საზრუნველსა ჩვენსა, მოხსენებითა უგანათლებულესისა დიდისა ფელდმარშალისა და უწარჩინებულესისა დიდისა თავადის გრიგორი ალექსანდროვიჩისათა, ხოლო სქესით ვიდრემე პოტემკინისათა, რომლისა მომართ კურთხეულსა ძმასა ჩემსა, მეფესა სოლომონს, ბრძანებული იმედი ჰქონდა თქვენი უმოწყ—ის კელმწ—ისა მიერ.

აწ ჩვენცა ფრიადის ვედრებით ვთხოვთ მასვე მოწყალებას, რათა კელთა ქვეშე მაგისთა დაცული ვიქმნეთ და ყოველი საქმე ჩვენი მაგის უგანათლებ—ბას მოხსენდებოდეს, და კეთილად განაგებდეს ყოველსა ქვეყანისა ჩვენისა საჭიროსა საქმესა, რომლისა მიმართ ყოვლის ჩემის მინდობით მეცა ესრეთ იმედეულ ვარ, და მორჩილებითა ყოვლისავე შეძლებისა ჩემისაებრ, და აწცა ჩემმიერი საწადელი სავედრებელი საქმეები მაგათის უგან—სა მიერ უნაკლულოდ განცხადდება, და საერთოდ დამტკიცებული კელითწერილი ბეჭდებისა სიმტკიცითა და აღთქმითა მოერთმევა ღვთის-მოყვარებასა თქვენსა.

დავით.

171. Д. XXV. 15 Сентября 1784 г. Представленіе отъ имеретинскаго царя Давида, духовенства и вельможъ имп. Екатеринѣ II.

ურიცხვთა ბრალთა და ცოდვათა ჩვენთა ძლით მიწაქმნილნი და უ̃დ დამდაბლებულნი, სრულისა საიმერეთოჲსა მკვიდრნი, ესე იგი უწმინდესი ქათალიკოზი, უ̃დ სამღუდელონი მიტროპოლიტნი და ეპისკოპოსნი, და ყოველნი სამღვდელონი წესნი, და ამათთანა ერთობით ქვემოჲსა ივერიისა მთავარ-ერისთავნი, სპასპეტნი, თავადნი, აზნაურნი და ყოველი საერო მხედრობა და წესნი — ერთბამად ერთურთისა თანახრახვითა ვიკადრებთ თაყვანისცემად უმაღლესისა ტახტისა წინაშე და მდუღარითა ცრემლითა მვედრებელნი განვაცხადებთ ჭირთა ჩვენთა, რომელთაცა ძლიერად მოღვაწე, ჩვენი გამომხსნელი კელმწიფე, მეფე სოლომონ უწყალოსა სიკვდილისა მიერ მიგველო და ჩვენ ერთობით ობლად დატევებულ ვართ, მისთვის ყოველნივე მისისა დამიწებისა მგლოვარენი და მარადის სულთქმით მომხსენებელნი მისნი, რომლისა სახელი იყავნ საუკუნოდ კურთხეულ უფლისა მიერ.

აწ უ̃დ მოწყალებისა თქვენისა და ღ̃თს მოყვარისა ჴელმწიფობისა მინდობილთა ამათ შემდგომად აღსრულებისა მისისა ერთობით ყოველთა აღვირჩიეთ მეფედ და პატრონად ჩვენდა, ანდერძისა მისისაებრ, მემკვიდრე იმერეთისა ბაგრატიონი, უხუცესი ყრმათა შორის, ძე მეფისძისა გიორგისა — დავით, და დავაწიალეთ სამეფოსა სახლსა შინა თვისსა და ყოველსა ამას სამკვიდროსა ზედა ამისსა, რომლისათანა ჩვენ ყოველნი ერთობით მეფითურთ ჩვენით, პირველისა მის მეფის ანდერძისა მებრ, განცხადებულად აღვსთქვამთ და აღვიარებთ ჴელმწიფობისა თქვენისა და საუკუნოდ ერთგულად ყმად მემკვიდრეთათვის რუსეთისათა, ვითარცა ერთგულ და დამორჩილებულ არიან მკვიდრნი დიდისა რუსეთის იმპერიისანი, რათამცა ვიყვნეთ ერთგულად მონებად და ყმობად ჴელმწიფობისა თქვენისა, და უმაღლესთა შემდგომთა მემკვიდრეთა რუსეთისათა, რომლისათვისცა ყოვლით სიტყვით და საქმით ჩვენით უარგვიყოფიეს სხვანი ჴელმწიფენი და თვითმპყრობელნი, და უცხო ვყოფთ თავთა ჩვენთა და ყოველსა ამას ქვეყანასა მათგან, და არა რაჲ გვნებავს სხვა მფლობელთა თვინიერ უზესაესისა მფარველობისა და ჴელმწიფობისა თქვენისა; და ამიერითგან მეფე ესე ჩვენი დავით და მემკვიდრენი ამის ქვეყნისანი, და ჩვენ ყოველნი, სამღთონი და საერონი, შეუვრდებით გამოუთქმელსა და უზენაესსა ტახტსა ქვეშე და ვითხოვთ, პირველად, რათამცა ჴსენებულსა ამას უგანათლებულესსა მეფესა ჩვენსა ზედა მოავლინოთ თქვენის უ̃დ მოწყალების ფარვანი, და ჩვენდა პატრონად და მეფედ დაამტკიცოს მოწყალემან ჴელმან თქვენმან, და მეფობისა ნიშანნი, ვითარცა ქართლისა და კახეთისა მეფესა ზედა მოავლინა, მის მსგავსის მოწყალებით ამისი ახოვანი სიჭაბუკე და მეფობაც განანათლეთ, რომელსაცა ყოველივე სასოება თქვენის უდიდმოწყალესობისადმი დაუცს, და მზა არს სისხლით თვისით მსახურებად ჴელმწიფობისა თქვენისა, და ჩვენ ქრისტიანეთათვისცა იღვწის და ზრუნავს ყოვლის შეძლებით თვისით, და განაცხადებს ყოველთა მახლობელთა და შორიელთა შორის დიდის რუსეთის ჴელმწიფისა და მემკვიდრეთა მისთასა ყმობასა, და უშიშრად აღიარებს თქვენის დიდებულების ერთგულობასა.

უ̃დ დიდებულო ჴელმწიფევ, თქვენის უძლეველის ძალით გამოჴსნილს ქვეყანას გარემოადგენ და ოხერყოფასა ეკლესიათასა და წარტყვევნასა გვექადიან უ̃დ ბორტნი თათარ-ოსმანნი, რომელთაცა დიდად უხარისთ კურთხეულის ჩვენის მეფის სოლომონის სიკვდილი, და ჯარებით ჩვენის ქვეყნების სამზღვრებზედ მოვიდნენ, და, პირველისა მის მსგავსად, საძაგელსა საქმესა აპირობენ და ამ ქვეყნის აოხრებას. მოგვხედოს და იზრუნოს ნეტარმან დრომან თქვენმან, და იზრუნოს კ̃დ გამოხსნა ჩვენი დიდებულებამან თქვენმან, და მოეცს უხვად მოწყალებითი საფარველი ქსეოდენთა წმ̃თა ეკლესიათა და მონასტერთა, ქსეოდენთა სამღთოთა დასთა და ქრისტესმოყვარეთა მხედრობათა, და ერთა, რომელნიცა ერთობით პირმიწა დადებით და სულთქმით ვედრებასა განვფენთ წინაშე უმაღლესისა ტახტისა.

დიდებულო კელმწიფევ, მოწყალის თვალითა შთამოგვხედეთ და ისმინეთ შოხსენება უმდაბლესი უგანათლებულესისა მეფისა ჩვენისა მიერ და ჩვენ, ყ͠დ უმდაბლესთა ამათ ქრისტეს სამწყსოთა, ნუ დაგვიტევებთ პირთა შინა მძვინვარეთა მგელთასა, და მოსარჩობითი შეწყალება მოავლინეთ ჩვენზედაცა და ყოველსა ამას ქვეყანასა ზედა, რომლისა შესავედრებელად ერთითა პირითა და ერთითა გმითა და სიტყვითა აღვირჩიეთ და ვაახელით თქვენს დიდებულს კელმწიფობასა, და თქვენსა ღ͠თის მოყვარესა იმპ—ბასა, დიდი უფალი და მწყემსთმთავარი ჩვენი აფხაზ-იმერთა კათოლიკოსი მაქსიმე, რომელსა ყოველნივე ზოგად მორჩილობით ვართ სულითა ჩვენით და გორცით, და ამასთანა ყოვლისა ქვეყანისა და მეფისა ჩვენისა ერთგული თავადი წერეთელი და სარდალ-სახლთუხუცესი ზურაბ, და ამასთანა ერთგულებით მარადის თანამზრუნველი და ნამსახური მეფეთ ჩვენთა კნიაზი მდივანბეგი დავით[კვინიხიძე], რომელთა თანა დასამტკიცებელად თვით ამისი უგანბა მეფე მოაწერს კელსა და დაბეჭდავს ბეჭდითა სამეფოთა, და ჩვენცა ესრეთ მოვაწერთ და ესრეთ დავამტკიცებთ საუკუნოთა სიმტკიცითა და აღთქმითა. თვესა სეკდემბერსა ათხუთმეტსა დღესა, კვირიაკესა, ქ͠ეს აქეთ ჩღპდ.

მე ყოვლისა საიმერეთოჲსა უფლისწული დავით.

აზის ბეჭდები: მეფე დავითისა, იმერეთის ბატონიშვილის არჩილის შვილის ალექსანდრესი, კათოლიკოზის მაქსიმესი, ქუთაისის მიტროპოლიტის დოსითეოზისა, გელათის მიტროპოლიტის ევთიმესი, ხონის არქიეპისკოპოზის ანტონისა, თავადი გრიგოლ წულუკიძისა, ქსნის ერისთავის ელიზბარისა, თ. პაპუნა წერეთლისა, თ. ბერი წულუკიძისა.

172. 1790 г. Союзный договоръ Грузинскихъ царей и владѣтельныхъ князей *).

1.

ტრაქტატი, ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული, ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისა, აღწერილი სამეფოსა ქალაქსა თბილისს 1790 წელსა.

ვინაიდგან ყოველთავე ივერიელთა მსახლობელთა სამეფოსა შინა ქართლისა, კახეთისა, ოდიშისა და გურიისათა აქვსთ ერთ-მორწმუნება, არიან ძენი ერთის,

---

*) Примѣчаніе П. И. Іоселіани: ესე ვჰპოვე ალექსანდრე ონიკოვისა ქაღალდებში, რომლისაცა მამა ნიკოლოოზ, კიკოლა დიაკვნად წოდებული, ახლდა მწერლად მეფესა გიორგის, იყო მერეთ დეპუტატად რუსეთშიაც და აღწერაცა მოგზაურობა თვისი, არა მოწევნული დროთა ჩვენთადმი.

კათოლიკე ეკკლესიისაგან შობილნი და ერთისა ენისა მქონებელნი, აქვსთ მავასხებლობითიცა სიყვარული ვითარცა სისხლით ნათესავთა და მოყვრობით შეკრულთა ურთიერთთა შორის, ამისთვის ჩვენ ზემოხსენებულნი ქვეყანათა ივერიისათა მეფენი და მთავარნი, დამამტკიცებელნი საუკუნოსა ამის პირობისა, სახელითა ყოვლად ძლიერისა ღვთისათა აღუვსთქვამთ მტკიცესა ამას ერთობასა, რომელიცა თვითოეულად შემდგომთა შინა ჟამთა ცხად იქმნების:

უფლისა იესო ქრისტეს მონა, მეფე ქართლისა, კახეთისა და სხვათა, ირაკლი მეორე ქრისტიანებრითა თანამდებობითა გარწმუნებთ ყოვლისა საიმერეთოსა მეფესა, შვილის-შვილსა ჩემსა სოლომონს და მთავარსა ოდიშისა და სხვათა სამთავროთა დადიანს გრიგოლს, და მთავარსა გურიისას სვიმონს, და ერთობით თავადთა, აზნაურთა და ერთა ქვემოისა ივერიისა ესრეთ:

მუხლი პირველი.

შევრაცხო ყოველი მტერი თქვენი მტრად ჩემდა და ყოვლისა სამეფოისა ჩემისა, და ვიყო მტერი მტერისა თქვენისა და მოყვარე მოყვრისა.

მუხლი მეორე.

მაქვნდეს ზრუნვა დამშვიდებისათვის ქვეყნისა, და ყოვლისა შეძლებისა ჩემისაებრ ვიყო შემწე თქვენდა წინააღდგომად მტერთა თქვენთა.

მუხლი მესამე.

ვიყო მწადნელი ბედნიერებისა თქვენისათვის და დაცვად ძეთა იმერეთისათა ვითარცა მამა საზოგადო მათი.

მუხლი მეოთხე.

უკეთუ აღდგეს მტერი ვინმე თქვენზედა, დიდი, ანუ მცირე, მხედრობითა ჩემითა, ანუ სხვითა ძალითა, სიტყვითა და საქმითა შეძლებისა ჩემისაებრ მზა ვიყო შემწედ თქვენდა.

მუხლი მეხუთე.

უზენაესისა მიმართ მფარველობისა საიმპერატოროსა უმაღლესისა კარისადმი, ვითარიცა მაქვნდეს შეკრულობა, ვიყო მწადნელი თქვენდაცა უბედნიერესსა შინა მდგომარეობასა მოყვანებად მფარველობითა ერთბამად ერთისა უავღუსტესისა კარისათა.

მუხლი მეექვსე.

აღთქმათა ამათ შინა ჩემთა ქრისტიანებრითა შევიკვრი თანამდებობითა:

თვით ძეთა ჩემთა, თავადთა საქრთველოსათა და საზოგადოდ ერთა ჰსჯულ უდებ საუკუნოდ ერთგვამად შეერთებასა ამას ქვემოისა ივერიისათანა და ვამცნებ ყოველთავე, რათა მტკიცედ ეგნენ ზემო აღწერილთა აღთქმათა შინა, ვითარცა ჰსჯულთა ზედა ეკკლესიურთა, — იყავნ ესრეთ. ვიცი ვითარია თანამდებობა ჩემი და ვჰგიე მტკიცედ ხელ-მოწერისა ამისა ჩემისა-ებრ:

მეფე ქართლისა, კახეთისა და სხვათა ე რ ე კ ლ ე.
დედოფალი ქართლისა, კახეთისა და სხვათა დ ა რ ე ჯ ა ნ.
საქართველოს კათოლიკოზი ა ნ ტ ო ნ ი.
ვიცე-კანცლერი ს ო ლ ო მ ო ნ ლ ი ო ნ ი ძ ე.

2.

უფლისა იესო ქრისტეს მონა, მეფე ყოვლისა საიმერეთოსა, შვილის-შვილი თქვენი ს ო ლ ო მ ო ნ ქრისტიანებრითა აღთქმითა გარწმუნებთ უმაღლესსა მეფესა ქართლისა, კახეთისა და სხვათა, მეორესა ი რ ა კ ლ ი ს, უგანათლებულესთა ძეთა თქვენთა, თავადთა, კეთილშობილთა და ერთა ზემოისა ივერიისათა ესრეთ... Слѣдуетъ повтореніе всѣхъ 6 приведенныхъ пунктовъ договора; далѣе имѣются такіе же два списка этого договора, подписанные Григоріемъ Дадіани и Симономъ Гуріели.

173. Д. XXIV. 1 Мая 1799 г. Собственноручное письмо С. Л. Лашкарева къ царевичу Давиду Георгіевичу.

უგანათლებულესო მეფის ძეო,

ჩემო მოწლევ ჴელმწიფევ!

ამ ჟამად წამოვიდა მანდ ელჩი იმისის უმაღლესობისა, თქვენის მამისა, თავადი გარსევან ჭავჭავაძე თავისის სახლობით, და ამა ბედნიერობის შემთხვევისათჳს საჭიროდ აღრიცხულ არს, რ̃ლ ესეცა მანდ იყოებოდეს, და ყოველსავე თჳთოეულად ესე პირის-პირ მოგახსენებსთ.

უფალი მინისტრი კოვალინსკი ყოვლის სამეფოს ნიშნებით, რაგვარადცა გვირგვინით, ეგრეთვე ყ̃ითა შესაბამითა ნივთებითა, რაჲცა თჳსეყვიან მეფისა თჳსებასა, ამ ხუთს დღეზედ გამოდგება ამაებით, და ყოველი ესე ამისის იმპერატორების დიდებულებისაგან შესრულებულია და კელმოწერილი.

ეგრეთვე უფალი მელიქები ამ ერთს კვირაზედ გამოდგებიან ამისის დიდე-

ბულების წიგნით, რ~ლიც მაგის უმაღლესობასთან არის, და მაშინ იხილავთ რისაც საფუძველით ესენი წარმოიგზავნენ.

კ~დ უსაკუთრესად შევვედრებ ამ ელჩისათჳს მიხაულად გამოტანებულს ინოსტრანის კოლეგიაში პრეოჩიკს იაკულევს, რ~ლიცა ყ~ისავე სახმარის საჭირო-ებით წარმოვავლინე.

და ეგრეთვე ვჰგიე ყოველთჳს მონებრითა სახითა თქვენის
უგანათლებულესობის უმდაბლესი მონა

სერგია ლაშქაროვი.

174. 1799 г. Представленіе отъ царя Георгія имп. Павлу.

ყ~დ უავღუსტესო მონარხო,
ყ~დ უმოწყალესო ჴელმწიფევ!

მივიღე ყ~დ მოწყალებით აღვსილი გრამატა დიდებულებისა თქვენისა სამე-ფოსა ტახტსა მეფედ დამამტკიცებელი ჩემი უმაღლესისა კარიდამ წარმოგზავნი-ლის ჩვენისა თავადის მინისტრის გარსევან ჭავჭავაძის ჴელით, და მასთანავე ვსცან რა სხვაცა იგი მოწყალება მოწყალებით წარმოვლენილი საკუთრის თქვენის მინი-სტრის ჴელით სამეფონი ნიშანნი, და მხედრობანიცა თქვენის დიდებულებისანი დასაცველად მცირისა სამეფოისა ჩემისა,— მე უწინარეს წარმოვლენილისა მოწყალე-ბისა ამის ხილვისა და მიღებისა, მხოლოდ რწმუნებულმან ყოველსა შინა თქვენის დიდებულების საკუთარის გრამატასა ზედა ჴელმოწერით წარმოვგზავნე ელჩად თავადნი ჩემნი გიორგი ავალოვი და რევაზ ფალავანდოვი მოსახსენებლად უმდა-ბლესისა მადლობისა მოწყალებათა ამათთჳს.

გარნა, ყ~დ უმოწყალესო ჴელმწიფევ, ინებე კვალად უმეტეს მოწყალებით მოხედვა საფარველსა ქვეშე თქვენსა შემოვრდომილისა სამეფოსა ზედა ჩემსა და დაადგინე აქა ექვსი ათასი მხედრობა თქვენისა დიდებულებისა მისაქცეველად და განსაქარვებელად მტრისა ჩვენისა, ჩვენთა მავნებელთა ფიქრთა, იყოფებოდეს მარად ჩვენ შორის თვინიერ ყოვლისა უკუნქცევისა.

ხოლო სხვებრ დღეინდელი გარემოება ჩვენი ითხოვს, რომ თქვენს აქ მყოფს მინისტრს ებრძანოს ჩვენი და ადრიბეჟანის გრანიცის გაჭრა, რადგანაც დღესაც იმათი ელჩი შინ გვიზის და შვილსა გვითხოვს, და თუ სხვა თქვენი უმეტესი მოწყალება ადრე არ მოგვეშველება, ეს მცირე ჯარი ჩვენთვის უხმარი იქნება და შვილსაც გამოგვართმევს, რომლისაც ახლა შვილი და სარდალი გამარჯვებულისნი ხოის დგანან, და მარადდღე კაცი მომდის და გვეღაპარაკებიან, და თუ თქვენი საფარველი ადრე არ შეგვეწევა, მაშ როგორ იქნება, რომ იმათ შვილი არ მივსცეთ, და თუ ჯარი არ მოგვემატება, ისე მცირეს ჯარით არც გრანიცის გაჭრა იქნება

და არც ჩვენი საქმის სიმტკიცე, და რადგანაც ჯარის მომატება არ იქნება და არც ადრე შემწეობა მოგვივა, ესენი შვილსაც გამოგვართმევენ და სხვას პირობასაც, და მაშინ სრულიად განშორებულნი ვიქნებით თქვენის მოკიდებულებიდამ. სანატრელს პაპას ჩვენს მეფეს თეიმურაზს ერთის შვილის მეტი არა ჰყვანდა (ე. ი. ერეკლე) და ქვეყნის ხსნისათვის მისცა იმათ (ნადირშაჰს), და მე ამდენის ჩემის შვილებიდამ რომ ერთი, ამდენის ჩემის ქვეყნის ხსნისათვის, მივსცე—რა იქნება, თუ თქვენი მოწყალება ადრე არ შეგვეწევა?! მაგრამ, რომელიც ჩემი პირმშო შვილი არის და თქვენს სამსახურსა შინა მყოფი ღენერალ-მაიორი (დავით) იმას მთხოვენ, და ჩემის შვილობით რომ გამოვიმეტო და მივსცე, თქვენს სამსახურში მყოფის ღენერალ-მაიორის მიცემა როგორ ძალმიცს? და ან ამის უმცროსს ჩემს შვილს რომელსამე რომ დამჯერდნენ და მივცე, მაშინ აბა როგორ იქნება, რომ თქვენს სამსახურშიდაც მყავნდეს შვილი და იმათ სამსახურშიდაც? და თქვენმან იმპერატორების დიდებულებამ გასინჯოს და ნება თქვენის დიდებულებისა არის; და შემდგომად ვითხოვ, რომ ეს ჩემი ვედრებანი უგულებელს არა ჰყოთ და პასუხი ადრე გვებრძანოს მოწყალებით, არა თუ უწყალობით,—ნუ იყოფის.

175. 7 Сентября 1799 г. Полномочіе, данное царемъ Георгіемъ посланникамъ своимъ, отправленнымъ имъ въ С.-Петербургъ.

წელსა ჩღჟთ, სეკდემბრის ზ. ჩვენ მიერ მოცემულნი წინაშე მათის იმპერატორების დიდებულების წარსაგენებელნი აზრი-მოხსენებანი, რომელიცა ჩვენგან წარველინებულის ჩვენს ერთგულის უმათ უფალთ დესპანთ მოგეცათ:

უმსხვერპლეთ ყოველი სამეფო და სამფლობელო ჩემი უზაკველითა და ქრისტიანებრითა ჭეშმარიტებითა მსხვერპლებითა, და დაუდევით არა თუ მფარველობასა ქვეშე უდიდებულესსა დიდს რუსეთის საიმპერატოროსა ტახტსა, არამედ დაანებეთ სრულსა ნებასა და მზრუნველობასა მათსა, რათა ამიერიდგან დაიდვას სამეფო ქართლოსიანთა საიმპერიოდ რუსეთისად წესითა მით ვითარცა სხვანი იგი რუსეთისა შინა პყრობილნი პროვინციანი სარგებლობენ.

შემდგომად მსხვერპლებისა ყოვლად უმდაბლესად წარუდგინეთ იმპერატორსა დიდისა რუსეთისასა, რათა ჟამსა მისგან საქართველოსა სამეფოს სრულსა ძალსა და ნებასა შინა თვისსა მიღებისასა განამხნოს პუნკტსა ამას თხოვილი ჩემი ყოვლად უმოწყალესითა აღთქმითითა წერილითა, ვითარმედ სახლსა შინა ჩემსა არა აღაყენოს მეფენი, გარნა ოდენ ამეფოს მემკვიდრითი-მემკვიდრედ ვითარცა წინაპარნი ჩემნი.

ეგრეთვე ითხოვეთ ყ̃დ მოწყალისა გელმწიფისაგან ყ̃დ უმდაბლესად თქვენ მიერ მირთმეულითა წერილითა ყოვლისა რუსეთისა იმპერიასა შინა საშესაბამო

აგარაკნი ჩემთვის და ძეთა ჩემთათვის საბოლოოდ და სამკვიდროდ, რომლისაცა ბოძება იქმნების ჩემთვის უმწვერვალესისა შეკრულებისა ნიშნად.

მეფე სრულიად საქართველოჲსა გიორგი.

ესრეთვე ითხოვეთ ჯამაგირიცა შესაბამისა სახითა შემდგომად სრულყოფისა ზემორე მოხსენებულთა აზრთასა.

მეფე სრულიად საქართველოჲსი გიორგი.

თავადი გარსევან ჭავჭავაძე.

176. 10 Декабря 1800 г. Представленіе царю Георгію отъ графа Ап. Ап. Мусина-Пушкина и резолюція этого царя.

წინამოსწრაფებითნი მაგალითებრივნი მუხლნი საფუძველთათვის, რომელთა ზედა მადანთა საქართველოსთა ძალუძსთ განახლებად და წარმართვად რუსეთის მიერ, უკეთუ ეშესაბამების თანამდებებლობა იმისისა იმპერატორებრივისა დიდებულებისა, რათა დამტკიცებულ იქმნას მათზედა ფორმალნი პირობა მისისა უმაღლესობისა საქართველოსა მეფისათანა.

ვინათგან მადანნი საქართველოსნი, თუმცა მრავალნი მათგან ჰპირდებიან, რომელ მიაგონ სასყიდელი მუშაობათა მათშინა სახმართა, გარნა უფროს წილობით, ვითარცა გაოხრებისაგან ომარხანის მიერ, ეგრეთვე საბრალოობისაგან მუშაკთა ბერძენთა, არიან სრულსა დავრდომასა და გაურიგებლობასა შინა, და არა სხვაებრ ძალუძსთ წარმართვად, ვიდრე ოდენ არა მცირედისა ხარჯისა მოხმარებითა და საკმარისა რიცხვითა კაცთათა, ხოლო რომლისათანა ჯერარს მიმატება დასაცველად მადანთა,—ამისთვის არა ვკადნიერებ დაწყებად ესოდენ მძიმისა საქმისათვის პირობისდებასა, ვიდრე არა პირველ სრულიად რწმუნებულ ვიქმნები თქვენის უმაღლესობისა მიერ, რომელ თქვენკერძოდ მოცემულ იქმნებიან რუსეთისადმი კმაყოფიერნი სარგებელნი, რომლითაცა ძალედვასთ ნაცვალყოფად ვითარცა ხარჯთა, ეგრეთვე შრომათა მისთა მოყვანებისათვის მადანთა მათ აღყვავილებულსა მდგომარეობასა შინა; და მასთანაცა ჯერარს მტკიცედ დარწმუნება, რომელ კერძოთ რუსეთისა ესრეთი შემწეობა მოაპყრობს იმპერიას საუკუნოსა წინდსა, კმაყოფიერებასა შინა მადანთასა მყოფსა, ხოლო ამისთვისცა მივის პატივი, რათა წინაწარგიდგინო თქვენ ქვემორენი მუხლნი დასამტკიცებლად, რომლისა შემდგომად შესაძლებელ იქმნების უკვე შემდგომ წინამოსწრაფებითსა მოხსენებისა იმისის იმპერატორებრივის დიდებულებისადმი პასუხისა თქვენისა, რათა ვიწყოთ ფორმალნი პირობა საქმისა ამისთვის.

Пункты соглашенія:

ა. ნაცვალ შემწეობათა, რომელთაცა რუსეთის მიერ ძალუძსთ მოცემულობა, რათა მოყვანებულ იქმნას მადანნი საქართველოსნი აღყვავილებულსა მდგომარეობასა შინა თანახმა არსაა უმაღლესობა თქვენი, რომელ (მადანნი ესენი და მათთანა მდებარენი სოფელნი, ქარხანები გარიგებულნი და კუალად გასარიგებელნი, ტყენი, წყალნი, აღსასრულებლად მოქმედებათა მათთა საჭირონი, და საკმარი რიცხვი კაცთა გარეშე მახლობელ მდებარეთა სოფელთა კმაყოფილ იყვნენ ქარხანები ესე ვითარცა სხვათა და სხვათა მუშაობათათვის ქარხანათა მატერიალთა, გარნა არა ვითარმე წარხოცვილ იქმნას სამართალი საკუთრებითისა მიწასა ზედა ადგილთა მათ, ქარხანებთა ქონება) მიჩნეულ იქმნან თქვენ წილად და შემკვიდრეთა თქვენთა საუკუნოსა ჟამსა სრული წინდად მპყრობელობისადმი რუსეთისა არა შუამდგომელობრივითსა მფლობელობასა შინა, მიცემულად მას ჟამადმდე ვიდრე ქარხნები ესენი იქმნებიან არსებად.

ბ. მიგაჩნიათაა სწორზომად, ეგრეთცავე წინდად და მასვე ჟამადმდე ესრეთნი გამაგრებანი, რომელნიცა საჭიროდ მიღებულ იპოებიან უშიშროებისათვის ქარხანათა მათ საჭიროსა რაოდენობისათურთ მიწისასა სახნავად და სათიბათ მაცხოვრებელთათვის ციხეთა მათ შინა.

Резолюція царя Георгія:

პირველის მუხლის პასუხი.

დანიშნულის მუხლებისა სრულებით თანახმა ვარ და კვლავაც გამომიცხადებია მათის იმპერატორების დიდებულობისათვისა, და ვაძლევ საუკუნოდ რაც მოუნდებათ მიწა, და აგრევე მსახლობელნი ერნი მოსახმარებლად, და აგრევე ტყეთა.

პასუხი მუხლისა მეორისა.

ეგრეთვე კიდევ თანახმავარ, რომ ციხეების გასაკეთებლად ვაძლევ ადგილსა სახნავისასა, სათესავისასა და სათიბისასა მსახლობელთა ერთათვის.

პასუხი მუხლისა მესამისა.

გ. თანახმა იქნებით ეგრეთვე, რომელ რომელნიცა კვლავ იპოვებიან მადანნი სამფლობელოსა შინა თქვენსა იქმნენ იგინიცა ამაზემოთა წერილთა ორთა მუხლთა ქვეშე.

ამისიცა თანახმავარ, რომ სადაცა ახალი მადანი გამოჩნდეს ეგრეთვე საფუძველზედ მდგომარეობდეს, როგორადაც ძველი მადნები.

პასუხი მუხლისა მეოთხისა.

დ. ვითარისა შემწეობისა მოცემასა ინებებით ჟამსა დასახლებისასა მადანთა და ქარხანათა თანა ახალთა მუშათა, ვითარცა მონათა რუსეთისათა, ეგრეთვე უცხო ქვეყნის კაცთა, და უსაკუთრეს ბერძენთა, რომელთაც ძალუძსთ მანდ გარდმოსახლება.

შევიძლებ რომ იმერეთიდამ, რაჭა რომ არის, მუშა მოვიყვანო, აგრეთვე ქართლიდამ, კახეთიდამ, ჩვენის უმის ოსებიდამ, ყაზახიდამ, ბორჩალოდამ, და ჩვენის მეზობლების ქვეყნებიდამ თავისის ფასით; დასასახლებელთაც მივსცემთ ალაგს და შემწეობასა როგორადაც შვენის ახალსა დასახლებულსა ერსა.

პასუხი მეხუთის მუხლისა.

ე. რათა შეუწუხარ იქმნებოდეს პირველსა ხუთთა წელთა, რომელთაცა შინა ვერ ეწიფების ქარხანისა გარიგებლობას მოსვლად სრულებასა შინა პრავიანტისა მათთვის.

შევიძლებთ, რომ პური ვიშოვნოთ ქართლიდამ, კახეთიდამ, ყაზახიდამ, ბორჩალოდამ და ჩვენის უმის ოსებიდამ თავისის ფასითა, ოდესცა როგორც ფასობდეს.

პასუხი მუხლისა მეექვსისა.

ვ. უკეთუ რიცხვსა და გვარისათვის მხედრობათა საჭიროთ უშიშრობისათვის შენობათა მათ მაშინ ჯერარს წინადადებად ოდესცა დაწყებულ იქმნება ფორმალნი პირობა, გარნა საწადელ არს ცოდნა წინასწრაფებით მაგალითებრივად მაინც, რაოდენი რიცხვი გგონიესთ საქმისა ამისთვის საჭიროდ?

რაც ტფილისში ჯარი არის ამას გარდა საჭირო არის, რომ დასაცველად მადნებისათვის იყოს კიდევ სამი ათასი სამხედრო ჯარი.

Ზ. ხოლო რა ყოველთა ამათ შენობათაგან ჯერ არს, რათა მდინარეობდეს უმაღლესობისაცა თქვენისათვის სარგებელი, მაშა ვითარსა ნაწილსა სარგებლისა ქარხანათასა, ყოვლის ხარჯისა გმორიცხვის გარდა, წინაშტევებთ თქვენთვის?

უკეთუ წინამოსწრაფებითნი მაგალითებრივნი წინადადებულობანი ესენი მიღებულ იქმნებიან უმაღლესობისა თქვენისა მიერ, კეთილ ინებიერეთ დამტკიცება თვითოეულსა მუხლსა კელმოწერით, ანუ წერილით უარყოფა მისი წინააღმდეგ თვითოეულსა მათგანისა რაჲცა მიიჩნიოთ ღირსყოფად გამოცვლისა.

დასასრულებად, უკეთუ ესრეთნი წინამოსწრაფებითნი დებულებანი დამტკიცებულ იქმნებიან, საჭირო არს, რათა ბერძენი ანასტასი და მოენე, რომელიც იყო ჩემთან ჟამსა მგზავრობისა ჩემისასა, წარმოგზავნილ იყვნენ ჩემთანა აქა, ღიორღიევსკს; უმაღლესობამან თქვენმან კეთილ ინებიეროს, რათა მუხლთა მათზედა ღირსმყოს პასუხსა ვითარ მსწრაფლ შეიძლებოდეს და ჩააბაროთ ღიტტესფელვარტელს ეიხფელდს, რომელ ძალმედვას მე უმსწრაფლესად მოხსენება იმისის იმპერატორებრივის დიდებულებისადმი. ხოლო უმდაბლესად ვითხოვ, რათა პასუხისათანა თქვენისა და დამტკიცებისა, ანუ რომლისამე

პასუხი მეშვიდისა მუხლისა.

რაც იმისსი იმპერატორების დიდებულების ნება იქმნება—მეც თანახმავარ და ვაძლევ ამ ჩემის ქვეყნის საუნჯეს, რომელიცა არის მადნები, ჩემდა დასაცველად, და თუ ჩემთვის მოწყალება ენებება თავისის ხაზინიდამაც მიბოძებს, და ნება იმისის დიდებულებისა იყოს —რასაც განმიწესებს. თავადისა და აზნაურისა მამულში რაც მადნები გამოჩნდეს—იმისიც კელმწიფის ნება არის—რასაც უბოძებს.

ამას წინაიაც ჩემი ყოველი საქმე იმისის დიდებულებისათვის მიმირთმევია ჩემის მინისტრის ჭავჭავაძის კელით და ახლაც ეს არის თქვენის კელით მიგვირთმევია: იმისის დიდებულების ნება არის, როგორც ენებებოდეს, ისე ბძანოს. ჩემი მოხსენება გარდაწყვეტილი ეს არის: იმისი დიდებულების ნება არის, როგორც არის იმაზედა დაფიცებულნიცა ვართ და კელმოწერილნიცა,—როგორც იმისის დიდებულების ნება არის, რასაკურველია, ყოველივე ისე უნდა აღსრულდეს.

უარისყოფასა წინამოსწრაფებითთა
მუხლებითა ჩემგნით წინადადებულთა-
ზედა, იყოს თარგმანიცა რუსულად,
რომლისა სიმართლესა და წარმარ-
თულობასა ზედა ძალმედვას მე სრუ-
ლიად იმედეულყოფად.

დეისტვიტელნი კამერგერი გრაფ აპოლონ მუსინპუშკინი.

ეს გრაფისაგან მოწერილიდამ გარდმოვსწერე. შვიდის მუხლის პასუხებიც მათმან უმაღლესობამ მეფემან გიორგიმ მე, მათს მონას თუმანიშვილს მდივანს ეგნატის, დამაწერინა წელსა ჩუ, დეკემბერს.

177. 28 Декабря 1800 г. **Циркуляръ ген.-м. Лазарева къ жителямъ Кахетіи.** Переводъ съ Русскаго.

ერთობით კახეთის სარდალთ, თავადთ, აზნაურთ და გლეხთ, ქიზიყელთ და ერთობით სხვათ.

უშინაგანესისა მწუხარებითა ჩემითა მმართებს მე გამოცხადებად წინაშე თქვენისა მათის უმაღლესობისა მეფისა თქვენისა მიცვალება, და ამასთანვე ვრაცხ მე ვალად გამოცხადებასა მისის იმპერატორების დიდებულების უმაღლესის ნებისასა: მანამდისინ იმისი ბრძანება არ მოვიდეს, საქართველოს მეფობის მიმღები არავინ იყოს, და მანამდისინ ყველანი უნდა დაშთებოდნენ პატივისცემასა შინა მეფის გვარისასა, რომელიც უნდა იმყოფებოდეს ამავე მდგომარეობასა შინა, და ხალხნი მორჩილებასა შინა, და ყოველი ბძანებაები დაიბეჭდებიან ბატონის შვილის იოანეს ბეჭდით და მდივნის ეგნატის ბეჭდით, და ჩემის ბეჭდით.

დეკემბერს კჱ, წელსა ჩუ. ტფილისსა.

178. 3 Января 1801 г. **Письмо ген.-м. Лазарева къ царевичу Давиду Георгіевичу.** Переводъ съ Русскаго.

უგანათლებულესო მეფის ძევ,
მოწყალევ ჴელმწიფევ!

მე მესმის, რომ კახეთს სხვა და სხვა ხმანი მოქმედებენ მითომ ჩემი წიგნი მისვლოდეს მათის უგანათლებულესობის მეფის ძის დავითის მეფედ დამკვიდრებისა, ხოლო მე ვალად ვრაცხ უწყებად თქვენდა, რომ წიგნსა შინა ჩემსა იყო ესე სიტყვანი: «მათის იმპერატორების დიდებულებისა, ჩემის მოწყალის ჴელმწიფის ნება არს — მანამ მისი ბძანება არ მოვიდეს, საქართველოს მეფედ არავინ აღირჩიოს, და მანამდის ყოველნი დაშთნენ მეფეთ გვარის პატივისცემასა შინა, და

ხალხსაც განგების მორჩილებასა შინა»,—და ამ მიზეზით ეგ ხმები იმ წიგნის დიად წინააღმდეგია, რომელიც მე თქვენს უგანათლებულესობას და კახეთის ხალხს მოგწერეთ, და ამისთვის ვთხოვ თქვენს უგანათლ—ბას მაგისთანა ხმები დააჩუმოთ.

იანვრის 3, წელსა 1801.

179. 3 Января 1801 г. Циркуляръ Грузинскихъ дворянъ къ жителямъ Ахмета и Тіанети.

ქ. მათს ბრწყინვალებას ერთობით აღმეტაში და თიანეთში მყოფთ თავადთა და კეთილშობილთა, და მოხელეთა, და ერთობით ხალხსა!

თანამძმანი-ერნი სრულიად ქართლისანი, — თავადნი, კეთილშობილნი და სხვანი მრავალს სიყვარულით აღვსილს მოკითხვას მოგახსენებთ.

შემდგომად ესრეთ მოგახსენდესთ: ყველამ იცით დიდმა და მცირემა სანატრელს მეფეს ერეკლეს მთლად საქართველოზედ როგორი ღვაწლი და ამაგი აქვს, აგრეთვე თჳთოს და თჳთოს ოჯახზედ, და აგრეთვე თჳთოს და თჳთოს კაცზედ; მრავალჯერ თვიდაუდვია ჩვენის გულისათჳს, ვინც ვართ—მისგან აღზრდილნი და კაცათ გამოყენებულნი ვართ, აგრეთვე რამდენი ტყვეობიდამ არიან დახსნილნი. ესეც კარგათ იცით: ამრიგათ ღვაწლდადებულმან მეფემ ჩვენის ქვეყნის აყრევლობისათჳს «ანდერძი» დაჰსწერა,—ამაზედ ყველას ჴელი მოგვიწერია და ბეჭდით დაგვიმტკიცებია. ესეც ხომ კარგათ მოგეხსენებათ და გახსოვსთ—თჳთონ მეფემ გიორგიმ ამის დასამტკიცებელი წერილი თავის ძმებს მოსცა, — დღეს ჴელში უჭირავსთ. გვგონია ესეც ყველამ იცოდეთ: ჩვენის უბედურებით ახლა მეფე გიორგი რომ გარდაიცვალა, — ნეტავი ეს არ მოგვსვლოდა და იმის ჭირისანაცვლოთ შევქმნილიყავით, მაგრამ რადგან მოხდა, ღვთის ნება არის, — ესე გვმართებს, ჩვენ ამაზედ ვდგევართ: რაც მეფეს ერეკლეს განუწესებია—სასიკვდილოთ თავი უნდა მივცეთ, ჩვენგან «ანდერძის» გარდასვლა არ იქნება. ჩვენ ერთად შევიყარენით, ბატონიშვილს იულონს და ფარნაოზს (მეორე სახელი სხვა ხელით არის ჩართული) ვიახელით მეფის ერეკლეს დადებულის «ანდერძით» და თითვან გიორგი მეფის მიცემულის წერილით,—მეფობა ახლა ამისი (იულონისა) არის, კიდეც შევჰფიცეთ, მეფეთაც აღვიარეთ. ჩვენზედ ამის გარდა სხვისა არცავის მეფობა იქნება და ვერც მეფეს ერეკლეს «ანდერძს» გარდავალთ. მუჯალამა გაგვიკეთებია, კელმწიფისათჳსაც მიგვირთმევია, ისპექტორისათჳსაც და ქალაქში (თბილისში) მყოფის იარასალისათჳსაც;—არც ამაზედ კელისაღება იქნება, ვერც ავილებთ. თქვენ ხომ ჩვენი ძმანი ხართ, და არც ეთმანეთის მოშორება იქნება, მეფის ერეკლეს ღვაწლი და ამაგი მოიგონეთ, თქვენც იმის «ანდერძის» გაუტეხლობას შეუდეგით; კიდეც გირჩევთ თქვენ და კიდეც გევედრებით, და უცჳველი იმედიც ხომ ასე გვაქვს, თქვენში სხვა აზრმა არამ იმუშაოს რა, ჩვენთან

უნდა შემოგვერთდეთ, თქვენიდამ უფროს უფროსი კაცნი რომელნიც არიან აქ იახლით, მეფის ერეკლის დადებული «ანდერძი» აღასრულეთ. დღევანდლამდის სისხლი ერთათ და ერთმანერთისათჳს დაგვიქცევია, ახლაც ისე უნდა ვქმნათ: მეფეს ერეკლეს ჩვენზედ ღვაწლი და ამაგი იმისი «ანდერძის» მტკიცედ აღსრულებითა და გარდაუსვლელობით უნდა გარდავიხადოთ. ჩვენ თვითო ამგვარი წიგნი ქალაქში მყოფთ და იმ მხრის ხალხთა და მთლად კახეთისათჳს ყველგან მოგვიწერია; თქვენც ამ საქმის დამტკიცებისათჳს მუჯალამა უნდა გააკეთოთ ჴელმწიფესთან მისართმევი, ისპეხტორთანაც მისწეროთ და ქალაქში მყოფს იარანალსაც ამ საქმის შედგომა გამოუცხადოთ; აგრევე ქალაქის ხალხს და იმ მხრის თავადთა, იოანე სარდალს და სხვათ თავადთა და აზნაურთ მოსწერეთ ამ ჩვენის წიგნის მზგავსი წიგნი—რომ ჩვენ ძმანი ვართ, მეფის ერეკლეს სისხლით შეერთებულნი, ყველანი ერთხმა უნდა ვიქმნეთ, ამაზედ ჩვენი თავი სასიკვდილოთ გადავდოთ და მეფის ერეკლეს დადებული «ანდერძი» არავის გავატეხინოთ, ჩვენის ქვეყნის დამშვიდება და აურევლობაც ამით იქნება, და საღმთოსა და კაცობრივის სჯულის აღსრულებაც.

ჩვენ ეს წიგნი მოგვიწერია: რომელმაც პირველად ნახოთ, თუ დამალოთ, და ვისთანაც მოგვიწერია ყველას არ გამოუცხადოთ,—შეჩვენებულ იყავით და ყ̃დ წმიდის სამებისაგან სულით და ხორცით დაწყევლულნი. იანვრის გ, ქ̃ს უპთ.

Слѣдуютъ 13 печатей и подписей, изъ которыхъ разбираются слѣдующія: ამილახვარი ოთარ, გიორგი, ნიკოლოზ; ამილახვარი ლუარსაბ, რევაზ; ერთობრივ ფალავანდიანი, ბეცია მაჩაბელი, ამილახვრიშვილი იოვანე, ხერხეულიძე ჯამასპი, ფავლენიშვილი რევაზ, თეიმურაზ; ავალიშვილი იესე, სოლომონ; ავალიშვილი ავალი და პეტრე, შალიკოვი იოსებ, ავალიშვილი ანტონ, ამილახვრიშვილი ავთანდილ, ციციშვილი ელიზბარ, აბაშიძე პავლე (?), ნათლისშვილი ფარემბაში გორჯასპ (?), თუმანოვი იოსებ, თუმანოვი ზაზა (?), თუმანოვი იესე, ფრიდონ; თარხნისშვილი დიმიტრი, ფავლენისშვილი არჩილ, იაქთაქიშვილი იასე (?), სულხან მდივნის ძე როსტომ ბეგთაბეგოვ, ხერხეულიძე ზაზა, ერასტი სარდალი.

180. 3 Января 1801 г. Такой же циркуляръ къ жителямъ Кахетіи.

ქ. მათს ბრწყინვალებას ერთობით მაღნარიდამ მოკიდებული ნაფარეულამდის ვინცა ვინ თავადნი, ანუ კეთილშობილნი, და ერთობით ერნი, სამღუდელონი და საერონი, დიდნი და მცირენი!

თანაძმანი-ერნი სრულიად ქართლისანი. . . . და სხვ. Совершенно сходенъ съ предшествующимъ документомъ по содержанію, датѣ, почерку (მხედრული) и по бумагѣ (сѣроватой, in folio); также точно скрепленъ печатями и подписями лицъ, подписавшихъ предшествующій циркуляръ.

181. Апрѣль, 1801 г. Нота, врученная министерству Грузинскими послами.

1.

პყრობილებისამებრ ჰაზრისა პირველისა მის პუნკტისა, რომელიცა მოცემულ იქმნა ჩვენგან ვიდრე სიკვდილამდე მისისა სიმაღლისა მეფისა საქართველოისა, ხელმწიფისა ჩვენისა, სახელითავე მისითა მაღლისა მინისტრისადმი, რომელიცა ბრძანებისამებრ მისისა *) იმპერატორობისა დიდებულებისაგან წარგზავნილ იქმნა საქართველოსა შინა წერილებითა. ამისთვის გვაქვს ჩვენ პატივად ქვეშევრდომით მოხსენება ამისი, რომელ დიდშემძლებელნი საქართველოისანი, სამღუვდელონი და საერონი ერნი, ყოველნივე მოსწრაფე არიან და სურსთ ყოფად ერთა ამითა მოქმედებითა სამარადისოსა შინა მონებასა მაღალ განდიდებულისა იმპერიისა რუსეთისასა, და შეკრულჰყოფენ თავსა თვისსა ამით, რომელ წმინდათ აღასრულონ ყოველივე იგი, რაიცესაცა აღასრულებენ მონანი მისნი, და არა უარ-ჰყონ არა რომელიმე სჯული და ბრძანება რაოდესცა სამეფოსა მისგან იქმნების შესაძლო, და მცნობელცა იყვნენ ყოვლისა რუსეთისა იმპერატორისა თვისად შთამომავლობითად ხელმწიფედ და თვითმპყრობელად; და ესრეთ ვინაიდგან ზემო დანიშნულნი ნოტანი იგი და სხვანიცა პუნკტნი ყოველნი მისის იმპერატორობისა დიდებულებისაგან პირველვე მაღალ-მნებებელობით განხილულ იქმნა, და სამეფო იგი საუკუნო ჟამობით მონად ყოვლისა რუსეთისა საიმპერატოროსა ტახტისად მიღებულ-იქმნა, ამისთვის ამის შედგომილებისამებრ ყოვლად უმონებრივესად ვითხოვთ მისის დიდებულებისა ყოვლადმოწყალისა ხელმწიფისა ჩვენისაგან, რათა დამტკიცებულ-ჰყოს მიღება სამეფოსა მის დღესასწაულობითითა დამტკიცებითა ორითავე მხრით საიმპერატოროსა აკტსა შინა, რომელსაცა შინა ჟამსა იქმნენ იგინი იმედოვანსად ამისა, რომელ ვითარცა თვით, ეგრეთვე შემდგომნი ამისნი მემკვიდრენი იპყრობენ მათ მარადის მამობრივის კეთილმხედველობასა შინა, და საკუთრად იქმნებიანცა მღვწელ კეთილ-დღეობათათვის მათ ერთა, რომელთაცა ნებით თვისით მისცეს თავი თვისი საუკუნოსა მონებასა, და ესრეთვე მიენიჭოსთ მათ ყოველივე წესი, სარგებლობა და ჩინებულება ესე ვითარი, რომლითაცა ძველნი ყმანი მისის იმპერატორებისა დიდებულებისანი სარგებლობენ, და დაცულ იქმნას, ვითარცა სამეფო, ეგრეთვე სამზღვარნი მისნი ყოველთა მეზობელთა მათ მტერთ თავ-დასხმისაგან, და ვნებისა, და ყოველთა მათთა წინააღმდგომობათაგან, და განუწესებს ყოველსა მას მსახურებასა ესე გვარსა, რომელსაცა შემძლებელ იქმნენ ახლისამებრ მონებისა თვისისა ტვირთვად, დაცვად და აღსრულებად.

---

*) Примѣчанія П. И. Іоселіани: აქა თვით გარსევან ჭავჭავაძეს დაურთავს ლექსი: «სანატრელისა».

2.

პუნკტსა ამას შინა გვალადცა აწ დამტკიცებულ ვჰყოფთ, და ყოვლითურთ განვრცელებით მივიღებთ ამას, რომელ რომელიცა კეთილ-ნებებულ იქმნას მისის იმპერატორებითის დიდებულებისაგან და დანიშნულ მმართველად საქართველოსა სამეფოსად ერთად რომელიმე მეფის-ძეთაგანი, იგი იწოდებოდეს იმპერატორისა მოადგილედ*), და იხსენიებოდეს მეფეთ საქართველოსად, და მიეცეს მას თანაშემწედ მარადის მუნ მყოფად ერთი რომელიმე დიდის რუსეთის დიდ-შემძლე-ბელთაგანი, რათა მან მმართველობასა შინა მისსა განუმარტოს მას მისდამი მიცემული იმპერატორებითნი ჰსჯულნი, ბრძანებანი და სხვანიცა ესე გვარნი, და რათა თვინიერ თანხმობისა მისისა მან, იმპერატორის მოადგილემან და მუნ მეფედ წოდებულმან, არა რომელითამე სახითა თვით თავით თვისით არა კადნიერ იქმნეს განწესებად რომელისამე ჰსჯულისა, ბრძანებისა და რიგთა, და რათა არა მოაწეროს ხელი მან მხოლოდ თვინიერ ხელმოწერისა მისდამი განწესებულისა მის თანაშემწისა; ამისთვის ჯერ-არს, რათა თვითოეულთა მათ ბრძანებათა, ანუთუ განწესებასა ზედა სჯულიერის ძალისა მქონეთასა, პირველად მოაწეროს ხელი დიდის რუსეთის დიდშემძლებელმან მან, რომელმანვე დააგდოს ზემორე ადგილი ხელმოწერისათვის მეფისა მის. და ამას მოხსენებასა ვიკადნიერებთ ყოვლად უმონებრივეთითა სახითა ამისთვის, რომელ პირველსა ამას შეხდომილებასა შინა მიუცილებელად საჭირო არს, რათა ამით განმხიარულებულ და განმხნობილ-იქმნენ ერნი იგი ვიდრე პირველ განჩვევამდე. და ამას მეფესა აქვნდეს მხოლოდ სახელი მეფობისა, და სხვებრ ყოველსა ჩვენ, ვითარცა სარწმუნონი მონანი, მივანდობთ უდიდებულესობისა კეთილ-მნებებელობასა, და ვითხოვთ, რათა მოგვეტეოს, უკეთუ ჰგვავი მეტნი და უადგილონი წინადადებანი ვითარცა ახლად იმპერატორისა სრულიად რუსეთისა ტახტისა ქვეშევრდომილებისა ჩვენისათვის კადნიერ ქმნილთა.

ესე გვალადვე განხილვებასა შინა საჭიროდ იჩვენების, რათა სხვანიცა მუნებურნი თავადნი და აზნაურნი მნებებელობითა ყოვლად-უდიდებულესისათა განწესებულ იქმნეს სხვა-და-სხვათა სასამართლოთა შინა ადგილთა და მათ შორის იგინი იყვნენ პირველნი, და მეორენი შემდგომნი მათნი რუსეთის მოხელეთაგანნი თანამდებობითითა ამით შეკრულებითა; და ყოველსავე მას რაოდენ გზის სათანადო იქმნების მათ სასამართლოთა ადგილთაგან მოხსენებად,—არა ჯერ-არს, რათა მხოლოდ ერთისა იმპერატორისა მოადგილესა მას და მეფესა მოახსენებდენ, არამედ ორთავე ზემოთქმულთა მათ გვამთა, რომელთადმიცა ჯერ-არსვე, რათა ყო-

*) თანახმად ტრაქტატისა და წერილისაცა მეფისა გიორგისა, დესპანთადმი მიწერილისა: «რათა სახლსა შინა ჩემსა არა აღაყენოს მეფობა» ე. ი. რათა არა გაუქმდეს მეფობა, ანუ მოადგილეობა ხელმწიფე იმპერატორისა მეფეთა გვარშია. ესე უნებდა ამა წესითა, ვითარცა ძველადცა იწოდებოდა საქართველო «ვალისტანად სპარსთა ყაენებისა», და თვით მეფესა საქართველოისასა უწოდებდენ ყაენნი «ვალი გურჯისტანისა».

ველსავე მოახსენებდენ უმცირესნი ადგილნი უპირველესთა, და ყოველნი თანამდებ არიან მოხსენებად სრულისადმი შეკრულებისა.

ხოლო სიმცირისათვის ადგილთა საქართველოისა დავსდებთ ესრეთ, რომელ საკმაო იქმნების ხუთნი სასამართლონი ადგილნი, რომელთაგანიცა პირველი იწოდებოდეს ესრეთ, ვითარცა კეთილმნებელ იქმნების,—სოვეტად, ანუ დეპარტამენტად სენატისა, სადაც ჯერ-არს, რათა იმყოფებოდეს ზემოხსენებული იგი მოადგილე, ანუ მეფე, და შემდგომად მიცემული მისდა თანაშემწე დიდის რუსეთისა დიდ-შემძლებელთაგანი, და სამნი მუნებულთა თავადთა და აზნაურთაგანნი. მუნვე სათანადო არს, რათა იმყოფებოდეს უპირველესი მეფე რუსეთის მუნ მყოფთაგანისა მხედრობისა, რომელიცა შეკრულ არს უფროჲ მათთა კერძოთა ღვწისადმი, და სხვანიცა მოხელენი ვითარცა ქართველნი, ეგრეთვე დიდისა რუსეთისაგანნი წერილთ მცოდნენი განწესებულ იქმნენ ეგოდენი, რაოდენიცა განხილვისამებრ საჭირო იქმნების.

მეორე ადგილი, რომელიც სათანადო არს, რათა იყოს ბრძანებასა ქვეშე პირველისასა, ჯერ-არს, რათა იწოდებოდეს სამეფოსა მართველობად, რომლისაგანცა სხვანი იგი სამთა მათ პროვინციათა შინა მყოფნი განიყოფებიან თვითოეულად, და მათ ყოველთავე ეწოდებოდეს უიეზდნი, ანუთუ ვითარცა კეთილმნებელ იყვნეს, ვინაიდგან სიმცირისათვის სამპყრობელოსა სამეფოსა მას საქართველოსა, ესენი ყოვლითური საკმაო იქმნებიან, ამად რომელ, უკეთუ რომლისადმიცა მცხოვრებელსა გარეგან სატახტოსა მის ქალაქისა მოუნდეს დამჭირნეობა მიუცილებლად და წარმოვიდეს რომელთამე საჩივრითა სატახტოსა მას ქალაქსა შინა თვილისსა,—ამისთვის არა-არს ადგილი ესე ვითარი, რომელიცა განშორებით მდებარე იყოს უფროს ოთხისა დღისა სავალისა.

3.

ქალაქსა შინა თვილისს ჯერ-არს, რათა განწესდეს წესი პოლიციისა, და განიწესოს ერთი მუნებურთა ჩინებულთაგანი ობერ-პოლიცმაისტრად, და მას მიეცეს თანაშემწედ ერთი დიდის რუსეთისა ხარისხისა მქონებელი ვინმე, ამად რომელ მუნებურთა მათ ერთათვის დიდად საჭირო არს ესე, რათა მით ღარიბნი მუნ მოსახლენი შემძლებელ იყვნენ ქალაქსა მას შინა განსვენებით ცხოვრებად, და რათა გლეხთა მათ მააქუნდესთ სახმარნი ნივთნი ქალაქთათვის თვინიერ ყოვლისა სხვათაგან შევიწროებისა, და რათავე იმოქმედონ თვითოეულმან თავისუფლებით ხელოვნება თვისი, და არა ესრეთ ვითარცა არს აზიის ჩვეულება, რომელ რომელიცა არს ძლიერ, მას აქვს სავაჭროსა მას შინა ყოველივე მძლავრება და მოსახლეთადმი ჰყოფს შეიწროებასა.

თვით მასვე ქალაქსა შინა თვილისსა სათანადო არს, რათა განწესდეს კვალადცა ერთი სასამართლო, და იწოდებოდეს სლოვესნად, სადაც ჯერ-არს, რათა

იყოს პირველად მსაჯულად ერთი ქართველთა აზნაურთაგანი და მეორე მუნებურთა ვაჭართაგანი, და მესამე ასნაფთაგანი ვინმე, რათა მათ ოდესაც შეხვდეთ საქმე სიტყვით საჩივარი, მაშინ განარჩიონ, განსამართლონ და გარდასწყვიტონ თვით მასვე დღესა, რომელსაცა შინა მოჩივარი მივალს საჩივრითა თვისითა, და უკეთუ არ ექმნების მათ ძალი, რათა განისამართლონ და სიყვარულითა შეარიგონ, მაშინ წარიგზავნონ ორივე იგი სამეფოსა მმართველობასა, ანუთუ პოლიციასა შინა განხილვისამებრ საქმეთასა.

4.

მქონებელთა საქართველოსა შინა ვაჭრობისათა მეხობელთა მათ ერთადმი განეწესოს სახელმწიფოსა შემოსავალთა სარგებლობისათვის ბაჟნი, რომელთაცა შინა პირველ დელექტორად ჯერ-არს, რათა იყოს შთამომავლობით საქართველოსა თავადთაგანი, და ორნი შემდგომნი მისნი იყვნენ ერთი მუნებურთა აზნაურთაგანი და ერთი დიდის რუსეთისაგანი, და ესე საბაჟო იყოს თბილისსა შინა; და მათთაგან სამზღვართა ზედა მთის ერთა, სპარსთა და თურქთასა დაინიშნოდეს სამყოფად თვითოეული ქართველთა მოხელეთაგანი, და თვითოეული რუსთაგანი, და თუ რომელთა სამზღვართა ზედა ჯერ-არს დადგენა მათი, და აგრეთვე იმერეთის მხრით. ვიდრემდისცა არ იქმნების უკანასკნელისა დესპანისა წარგზავნა პორტისადმი და სახელობით განწესება ფორპოსტთა, მანდამდის ჩვენ აწ თქმად არა ძალ-გვიძს მათ განწესებათათვის. და ესრეთ ოდესცა მივიწევით ჩვენ მუნ, სათანადო არს, რათა ესრეთგზის დამტკიცებით იქმნეს საუკუნოდ თანხმობით განწესება ადგილთა მათ, სადაცა ჯერ-არს დაყენება, რათა არა ვლონ მუნ ვაჭართა საქონლითა თვისითა, და სადაცა ჯერ-არს, რათა მუნ აქვნდეს თავისუფლებითი სვლა, რომელ ამით სახით მიეცნენ ერთ-გზის სამზღვართა ზედა ბაჟი, და მიიღონ ბილეთი, და მიიტანოს იგი თბილისსა, ანუთუ რომელსამე უიეზდის სასამართლოსა შინა, რომელ მეორეთ აღარ გარდაიხადონ ბაჟი იგი. ხოლო, უკეთუ როგორმე მოულოდნელად და უმეცრებით გამოატარებს რომელსამე საქონელსა მათ ადგილთა ზედა და საზღვართა ზედა, სადაცა დაყენებულ იქმნების სვლა ვაჭართა, მაშინ ვიდრემდისცა დაეჩვეოდნენ, თუ რომელთა ადგილთა ჯერ-არს სვლა საქონლითა ამის პირველისა შეხდომისა-მებრ, — არა მიადგეს მათ არა რომელიმე დასჯა და გამოერთვას ბაჟი იგი თბილისსა შინა. ხოლო ვინაიდგან სამეფო საქართველოსი აწ შეერთებულ იქმნა იმპერიისათანა ყოვლისა რუსეთისა და მუნებრივნი მცხოვრებნი იქმნენ ყმათა ყოვლად უაღუსტესისა მონარხისად, მაშინსადამე ამის შემდგომისამებრ უბრძანოს ვისდამიცა ჯერ-არს, რათა მომტანელთა საქონლისათა მოზდოკსა შინა ქართველთა და სხვათაცა ვაჭართა საქართველოზე მოსულთა, და მუნ საქართველოსა შინა გარდამხდელთა განწესებულისა ბაჟისათა, მეორედ მოზდოკსა შინა არღა გამოერთვან, და ეგრეთვე მოზდოკით საქართველოსა შინა მისრულთა; ვი-

ნადგან თანამდებ არიან განსრულნი თბილისით, და ეგრეთვე მრავალნი ვაჭარნი მისის დიდებულებისა და აწ ჩვენის ყოვლად მოწყალის ხელმწიფისა მონანი რუსნი, ქართველნი, სომენნი და სხვანი, რომელნიცა გამოვლიან რა ყიზლარსა, მოზდოკსა და სხვათაცა ადგილთა, და მოიწევიან რა ორთა შორის, მაშინ არა თუ მხოლოდ აძლევენ მათ განწესებულთა მათთა მისაცემელთა საქონელთა ზედა, არამედ ესეცა ფრიად ხშირად იქმნების, რომელ ისინი მომწყურნობითა ნივთ-მოყვარებისათა მოაკლებენ მათ ყოველსავე ნაქონებსა თვისსა; და ამისთვის ვრაცხთ თანამდებად ჩვენდა მოხსენებასა ამას, რომელ პირველსა ამასწინა მოსვლასა რომელსამე დიდ-შემძლებელობისასა, რომელიცა რაოდენსამე ჟამსა დაინიშნვის სამყოფად საქართველოსა შინა მესებურთა განწესებულებათათვის, მისდამი სახმარ არს, რათა მუნ განვლასა შინა ჰქმნას მათდამი, ესე იგი თვისთადმი, მტკიცე განწესებულება ამა საქმეთათვის, და შემდგომად ამისა მცირესა შინა ჟამსა შესაძლო არს, რათა იგი მცირედ სარაცხნი ერნი, ძველთაგან დამონებულნი საქართველოთა მეფეთაგან, ფრიად სუბუქად მოყვანილ იქმნენ კვალადცა თანამდებობითთა მორჩილებასა და მონებასა შინა; და რათავე საშვალ მოზდოკისა და საქართველოსა, სადაცა არს საჭირო, განწესდეს რაოდენიმე ფორპოსტნი და დაიყენოს სამეფონი კამანდნი.

არა მცირედრე ვრაცხთ თანამდებობადვე ჩვენდა ყოვლად ქვეშევრდომობითისა ამის მოხსენებისა: რომელ თვითოეულნი მეფის-ძეთაგანნი, თავადნი, აზნაურნი და სამღვდელონი ართმევენ გამოსაღებთა განმვლელთა მათ, რომელნიც ვაჭარნი გაივლიან სამფლობელოთა მათ ზედა, ანუ ადგილის ფასთა მსგავსად ბაჟთა, და ესე სათანადო არს, რათა იქმნეს დაყენებული, ამად რომელ ვაჭარი გარდამხდელი ერთგზის ბაჟისა საქართველოსა შინა, შემდგომად სადაცა გასვრცელებულ არს სამპყრობელო ჩვენის ყოვლად უაღუსტესისა ხელმწიფისა სათანადო არს, რათა მუნ იყვნენ თავისუფლად მეორედ გამოსაღებთაგან ბაჟისასა. კვალად მათ სრულ-ჰყოფისათვის კადნიერ ვიქმნებით შეერთებად მოხსენებისა ამის, რომელ საზოგადოდ მობირებისათვის ვითარცა ქართველთა, ეგრეთვე მეზობელთა მათთა ვაჭართაცა, განვრცელებისადმი ბაჟთასა და განმხნობისათვის მათისა—არა კეთილნებულ იქმნებისაა განწესება ამისა, რათა, დებულებათაებრ ათამანის პორტისათა, აღიღებოდეს სამი ასსა ზედა დაფასებისაებრ საქონლისა. და უკეთუ რომელიმე ვაჭართაგანი დაფარვისა სახითა იქმნების მომტანელ რომლისამე ნივთისა საქართველოსა შინა, რომლისამე ნივთისა დამფარველთა, მაშინ გადახდესთ ესრეთ, რომელ გამოერთვას მას ორი წილი ნაცვლად ერთისა, რათა ამით სუბუქითა დასჯითა უმეტეს ადრე მოიქცეს ერი, ახლად შემოსრული მაღლისა მის იმპერატორებითისა დიდებულებისა მონებასა შინა; და თვით ესევე ჰყოს ამას შინა, რომელ მოიქცნენ მამულსავე შინა მოსახლეთადმი, და შესაძლო იქმნებისცა, რათა გამგონებლობითა თვისითა განავრცონ ვაჭრობა თვისი ბასრას, ბაღდადს და უშორეს ინდიასა შინა.

5.

აწ ჩვენ სუსტითა ჩვენითა განზრახვითა კადნიერ ვიქმნებით ყოვლად უმონებრივესად წინწარმოდგინებად ამისა, რომელ ადგილნი, ანუ სამპყრობილენი საკუთარნი მეფის ძეთა, თავადთა და აზნაურთანი ყოველივე იგი შემდგომადცა მათდამი იქმნენ დაშთომილ ვითარცა ჴსჯულიერნი მათი საკუთარი. ხოლო უკეთუ რომელსამე მათგანსა ძალითა, ანუთუ სხვათა რომელთამე უჯეროთა სახით, ადგილნი მიმძლავრებისაებრ [ეწიროს], მაშინ იგი სამართლით სათანადო არს, რათა განრჩეულ იქმნეს და მიეცეს იგინი პატრონთა თვისთა, რომელთადმიცა ეშესაბამების სწორედრე მიცემა. და ესრედ მრავალნი ადგილნი, მდებარენი სამზღვართა ზედა მთის ერთასა, სპარსეთისა, თურქია და სხვათასა, რომელიცა არიან მპყრობელობასა ქვეშე მეფის ძეთა, თავადთა და აზნაურთა, და სამღვდელოთა ერთასა, გვეჩვენების ჩვენ, დაცვისათვის სახელმწიფოისათა უშიშროებასა შინა, უმჯობესად, რათა ესე ვითარნი ადგილნი მათგან გამორთმეულ იქმნენ და ნაცვლად მათსა მიეცესთ მათ სხვა შინაგან საქართველოსა, ანუ რუსეთსა შინა, და იგი ადგილნი დაშთეს სახელმწიფოდ სადაცა კეთილ განხილულებით იქმნეს აღშენებულ სიმაგრენი გაბრთხილებისათვის მეზობელთასა, და ამითიცა განერებიან მრავალნი ტყუილსა ცილისწამებასა და შესმენასა ვითამცალა მათ აქვნდესთ დაფარული შეერთებულება ორგულთათანა. ხოლო რომელნიმე თქმულთა მათ ადგილთა მქონებელთაგანი შესაძლო არს, რათა დაშთეს მასვე ადგილსა თვისსა ჩინებულისა მოქმედებისა მათისა, და შესაბამად დაფიცებისათვის, და დამორჩილებისათვის თვისისა ჴსჯულიერისა ხელმწიფისადმი, და განეწესოსცა წელიწადობით ჯამაგირი, რათა ამით მყოფნი მუნ, ვითარცა მცოდნენი ძალისა და მდგომარეობისა თვისთა მეზობელთასა, შემძლებელ იყვნენ, რათა აჩვენონ სარგებლობა.

6.

ქვრივთა დედოფალთა, ეგრეთვე ქვრივთაცა მეფის რძალთაცა და მეფის ასულთა, რომელნიცა არ არიან გათხოვილ და წელთა თვისთა შემგზავსებით არა ძალ-უძსთ განქორწინებად, ყოვლად მოწყალებით ებოძოსთ შესაბამი გვარისა თვისისა უფლება რუსეთს, ანუ ქვეყანასა შინა თვისსა, და მათნი საკუთარნი ადგილნი, ჩვეულებისად აქაურთა წესთასა, სოფელნი და სხვანიცა შემოსავალნი მიღებულ იქმნეს სასარგებლოდ უდიდებულესისა კარისადმი; ხოლო მამაკაცთა მათ მეფის-ძეთა, ძმისწულთა და ძმის-ძეთა მეფისა სახლისათა, ყოველთა მათ, რომელთაცა სურთ რა, თვისის სიმრთელის ძალით, ანუ მოხუცებულებისა გამო, დაშთებიან ქვეყანასა შინა თვისსა, ისარგებლონ საკუთარითა თვისითა ადგილითა. ხოლო იგინი, რომელნიცა თვისიერ იჭვისა მიიღებენ სურვილსა და მოიწევიან, და და შეუვრდებიან ფერხთა ესე ვითარისა თვისისა ყოვლადმოწყალისა ხელმწიფისათა, მიღებულ იყვნენ მსახურებასა შინა, და ნაცვლად მუნებურთა მათ ნაქონებთა

თვისთა მიენიჭოსთ რაიმეცა კეთილ-ნებებულ იქმნეს, და თქმულნი აღირაცხოს სახემწიფოდ.

7.

სამღვდელოთათვის: ვითარცა არს უპირველესი აწ საქართველოსა შინა სამღვდელოთა ერთა შორის ძე მეფისა ირაკლისა ანტონი, რომელსაცა აქვს ძველისა იქაურთა განწესებისაებრ ტიტულად კათოლიკოსობა, კურთხეულ არს ხელმწიფობასა შინა ნეტარხსენებულისა იმპერატრიცასა პატივსა შინა არხიეპისკოპოსისა ცარსკისელოს, და მუნ წარგზავნილ იქმნა განრიგებისათვის მუნებურთა სამღვდელოთა წესთასა, — ეგრეთვე დაშთეს იგი მასვე თანამდებობასა, და სახელსა შინა; თანასწორადვე სხვანიცა ეპარხიათა შინა თვისთა მყოფნი მიტროპოლიტნი, არხიეპისკოპოსნი და იღუმენნი, პროტოპოპნი, მღვდელნი და დიაკონნი, და სხვანიცა ეკკლესიისა მოსამსახურენი თვითოეულნი წოდებისაებრ თვისისა და ადგილთა მათთა სახელდობით. თუ ვითარნი და რაოდენი არიან იგინი, მიუცილებელად მუნ მიწევნისა ჩვენისაებრ—ყოვლად მონებრივითა სახითა ჰვყოფთ მოხსენებასა.

და ვინაიდგან განსვენებული იგი უგანათლებულესი მეფე და სამეფო მისი ითხოვდენ, რათა მიეღოთ სამოქალაქონი და პოლიტიკებრნი ჰსჯულნი, ამისთვის ჩვენცა მივიღებთ კადნიერებასა, და ამისთვისვე ვითხოვთ დიდისა ჩვენისა ხელმწიფისაგან, რათა მიეცეს ბრძანება უდიდებულესსა უწმინდესსა სინოდსა, რომელ წარმოგზავნოს ჩვენთანა, ანუ შემდგომად ჩვენსა ერთი სამღვდელო ვინმე რუსეთისა საიმპერატორობისგან მცირეს ჟამობით არხიმანდრიტი, ანუ იღუმენი, კაცი მდაბალი და მყუდრო, რათა აჩვენოს მათ განწესებულებანი აქაურნი საკუთარნი დღესასწაულობათათვის საუქმოთა და სხვათაცა სახელმწიფოთა დღესასწაულობითთა დღეთა.

ხოლო მიტროპოლიტნი, არხიეპისკოპოსნი და ეპისკოპოსნი, არა მქონებელნი ეპარხიისანი, უკეთუ გამოჩნდეს ადგილი მათთვის, არამედ დაშთომილად და უქმად, მაშინ მოხსენებისაებრ მუნებულთა მათ სამღვდელოთა და ჩვენგან,— კეთილნებებულ იქმნების, რათა იგი დაიდგინოს მუნ, ეგრეთვე არხიმანდრიტი და იღუმენი, ოდესაცა მათგან თხოვილ იქმნების; ეგრეთვე მიტროპოლიტთა, არხიეპისკოპოსთა და ეპისკოპოსთა, რომელნიც ეგებიან უადგილოდ, ყოვლად მოწყალებით ებოძოსთ მცირედი ულუფა საზრდო განსადიდებლად ყოვლად უავღუსტესისა სახელისა. და ვითხოვთ, რომელ ყოველნივე იგი სამღვდელოთა წესნი იყვნენ შეწყნარებულ, პატივცემულ ღირსებისაებრ ხარისხისა მათისა თანასწორად სხვათა ხარისხისა მქონეთა რუსეთისათა, ვინათგან ქვეშევრდომილ ქმნილი იგი სამეფო თვისისა ნებითა შეერთდა საიმპერატოროსა.

8.

და მათთანავე წინაწარმოვადგენთ ძველთა ჩვეულებათა საქართველოსათა, რო-

მელიცა მუნ ჰგიეს თვით დაწყებითგან მათით: ესე რომელ უფროსღა თვითოეულთა მეფის ძეთა და თავადთა, ყოვლადსამღვდელოთა საქართველოსათა ჰყავს აზნაურნი საკუთრად, რომელთაგანთაც მათ აქვსთ მიწა მიცემული, რომელსაცა ზედა არიან გლეხნი დასახლებულნი და მუნ ჰცხოვრებენ იგინი, და არა რომელსამე შეიწროებასა მიმღებლობენ მათთა ვადათაგან; ხოლო ჟამსა ბრძოლისასა წინააღდგომად მტერთა ყოველივე სრულებით თვითოეულად მასთან წარვლენ ბრძოლასა შინა, და ესრეთვე ჟამსა ნადირობისასა, და თუ ჟამსა მასპინძლობისასა მათთანავე იმყოფებიან სრულებით, და სახლთა შინა მათთა, ვითარცა აზნაურნი, ერთბამად მათთანა ერთსა ზედა ტრაპეზსა განსცხრებიან, და ოდეს რომელიმე მათგანი არღა ინებებს უმეტეს ყოფად უფალთა მათთანა, მაშინ ვითარცა აზნაური დაუტევებს მიწასა მათსა და სოფელსა, და წარვალს თვისით სახლეულობით სხვისადმი, რომელიცა თვინიერ ყოვლისა ნაკლულევანებისა თვისადმი მიიღებს და მისცემს მასვე უპირატესობასა, ვითარიცაღა აქვნდა პირველ მისა ჟამადმდე,—და ამისთვის ყოვლად უმორჩილესად წინწარმოდგომილ ვჰყოფთ მათ აზნაურთა, რომელიცა ყოვლისავე შინა საზოგადოდ გამოსადეგნი არიან და უფროსად სამხედროსა შინა სამსახურსა, რომელსაცა შინა არიან დაჩვეულ, და ესე არა კეთილ ნებებულ იქმნებისაა, რათა ყოველივე იგი ჩამოერთვათ ყოველთა მათ მებატონეთა და აღირაცხენ იგინი საერთო აზნაურთა წესთა შინა, ნაცვლად ჩამორთმეულთა მათ მიეცესთ თანასწორივე სამკვიდრებელი, იგინი ხმარებულ იქმნენ ღვწასა შინა უდიდებულესისა მსახურებისასა.

9.

ხოლო რაივეცა შეეხების თქმად მადანთათვის, საქართველოსა შინა მყოფთა რომელიცა არს, რომელ წინა-წარუდგენთ ნებასა ქვეშე მისის იმპერატორების დიდებულებისასა, რათა გამოცხადებით მუშაკობისათვის მათისა ებრძანოსთ წარმოსვლა განსწავლულთა კაცთა; და მუშანი გამოცდილნი იპოვებიან სამეფოსა მას შინა საკმაო რიცხვნი, რომელიცა შესაძლო არს, რათა მოიხმარებოდენ სამუდამოდ თეთრის მიცემითა.

10.

ვითარცა მეოთხესა პუნქტსა შინა მორთმეულსა ჩვენგან სახელსა ზედა მეფისა და ყოვლისა საქართველოსა სამეფოსა უმაღლესის მისის იმპერატორობის მინისტრისადმი ნოტი იყო—ესე, რომელ ვითხოვეთ ჩვენ სამყოფად საქართველოსა შინა ექვსი ათასი კაცი მაღალდიდებულის რუსეთის იმპერატორის მხედრობა, ესრეთვე აწცა კადნიერ ვიქმნებით ყოვლადუმორჩილესად მოხსენებად, რომელ აწინდელისა ამის მდგომარეობისამებრ პირველსა ამას შეხდომილებასა შინა რიცხვი მხედრობისა საჭირო არს *) ვითარცა საზოგადოსა განსვენებისა-

*) იგივე, თუ უმეტესი, მიუწერია თვით გარსევან ჭავჭავაძეს.

თვის, ეგრეთვე დამყუდროებისათვის აღშფოთებულებათა ჩვენთა მეზობელთასა. ხოლო შემდგომად ოდესცა განწესებულ იქმნების მუნ შესაბამი მყუდროება, და ყოველივე მოიყვანების შესაბამობასა შინა, მაშინ თუ რაოდენიცა რიცხვი მხედრობათა ჯერ-არს, ამას მივანდობთ სრულებით განხილულობასა მისის იმპერატორების დიდებულებისასა, რომელიცა შესაძლო იქმნებისცა, რათა სახელდებით საიმპერატოროსა აქტსა შინა დაინიშნოს, და უკეთუ კეთილ-ნებებულ იქმნების, რათა ზემოხსენებულისა ამის მდგომარეობისათვის აწ მყოფსა მას საქართველოსა შინა მხედრობასა მოემატოს, მაშინ ყოვლად ქვემორდომობით ვითხოვთ, რათა, უკუნქცევისათვის სიძვირეთასა მოსყიდვასა შინა პრავიანტისასა, ებრძანოს მუნ მყოფსა რუსეთისა მხედართმთავარსა განმზადება მათი კეთილ-ყამიერად მუნ მყოფისა ბაზრის ფასისაებრ.

11.

რაოდენიცა შეეხების დაწყებასა გასწავლულისა მხედრობისასა საქართველოს ერთასა, რომელნიცა შეკრებად შესაძლო არს, ესე არს, რომელ ჩვენ მოხსენებად არა რა ძალგვიძს, და ოდესცა წარიგზავნების უდიდებულესისა მისის იმპერატორებისა უმაღლესის კარისაგან რომელიმე გვამი საქართველოსა შინა, და იგი ჰყოფს მუნებურისა ერისა სამხედროსა აღწერასა, მაშინ დროსა მას წოდებული მეფეედ ითხოვს რაოდენცა სახმარ არს მოხმარებასა შინა მსახურებისასა ერთბამად რუსეთისა ძლევაშემოსილისა მხედრობისათა, და სადაცა იგინი თანამდებ იქმნებიან წარსვლად და მსახურებად მისის იმპერატორების დიდებულებისა, თვისისა ყოვლადმოწყალისა, და შთამამავლობით ხელმწიფისადმი უმწვერვალესითა ძალითა მსახურებისა თვისისათა; ეგრეთვე განწესებულისა ჯარისაცა შესაძლო არს ოდესმე აღმსუბუქებისათვის რუსეთის საიმპერატოროსა მხედრობისა მოხმარება მარტოდ; განხილულ იქმნების საკმაოდ აღსრულებისათვის საქმისა, და ეგრეთვე სამზღვართა ზედა მოსახლეთა არა ძვირად შეხვდების თავ-დასხმა და ოხრება მტერთაგან სხვა და სხვათა, და ამის დაყენებისათვის არა კეთილ-ნებებულ იქმნებისაა, რათა მუნ უფროსად მყოფად დანიშნულსა ებრძანოს, რომელ ყოველთა მათ, რომელთაცა ძალ-უძსთ მსახურება საჭურველითა, აიძულოსთ მათ, რათა იქონიონ იგინი, და ამით საკუთრად თვისთა თავისა დაცვათა იყვნენ შემძლებელ მარადის მზაყოფად.

აწ ჩვენ ჩვენითა სუსტითა განზრახვითა კადნიერ ვიქმნებით ყოვლად უმონებრივესად წინწარდგინებად ამისა, რომელ მყოფნი გლეხნი სხვა და სხვა სამფელობელოსა, ტყვედ წარყვანილნი, ანუ განშენებულნი სხვა და სხვა მიზეზით სპარსეთს, ანუ თუ თურქს, თვისსავე მამულსა მოქცეულ—არა სათნო იქმნებისაა, რათა საკუთრითა მაღლის მონარხობითისა მოწყალებისათა ებრძანოსთ სახალხოდ გამოცხადება ამისი საქართველოსა, რომელ ყოველნი, რომელნიცა მოიქცევიან პირველსავე თვისსა სამკვიდრებელსა, აქამდე განშორებულნი, იგინი დაშთენ თავისუფლად და აღირჩიონ წადილისაებრ თვისისა საცხოვრებელი ადგილი, რომლისადმიცა ესებოს აღრიცხვა თავისა თვისისა სახელსა ზედა სახელმწიფოსა, ანუ სხვისა

უფლებისა ქვეშე, და რომელიცა მსგავსიერითა სურვილითა თვისითა, სადაცა იქმნების აღწერილი საცხოვრებლად იგინი, მუნ სამარადისოდ დაშთებიან; თვინიერ უცხოს ქვეყნის კაცთა, რომელთადმიცა თავისუფლად მყოფობა ესე არა შეეხებათ, რომელნიცა დაშთებიან პირველთამებრ თავისუფლად, მას ჟამამდის ყოველივე აღიწერებოდნენ, და ესე არა მიეხედებისთ ესე ვითარისა მოწყალებისათა, რომელ არცა ერთი მათგანი არ დაშთებიან, და ყოველივე გვალადცა მოსურნე იქმნებიან, რათა მოიწვისეს სამკვიდრებელსა შინა თვისსა, და მისგან ექმნების სამეფოსა მას არა მცირე სარგებლობა.

ესრედვე ყოვლად ქვეშევრდომობით წინადადებულ ვყოფთ გლეხთათვის საქართველოსათა, რომელნიცა იმყოფებიან სამფლობელოსა შინა თვისსა მებატონეთასა, რომელთადმიცა გლეხნი იგი ძველადვე მუნებურითა სჯულითა ვერ განშორდებიან ესრეთ, რათა იგინი აიყარნენ მისგან და მივიდნენ მეორისადმი. და ეგრეთვე მებატონენი იგი ვერ მიიღებენ მათ, და ვჰგონებთ ესე იქმნების შემსგავსებული წესთადმი მაღალდიდებულისა ყოვლისა რუსეთისა საიმპერატოროსათა, რათა ვითარცა აწ სამეფო საქართველოსი შეერთებულ იქმნება ამის იმპერიასთანა, და ამისთვისცა კადნიერ ვიქმნებით ყოვლადუმდაბლესად თხოვნად ამისა, რომელ მიეცეთ ბრძანება უდიდებულესობისა ვითარცა წაღადემდე, ეგრეთვე შემდგომადცა იგი გლეხნი და ვაჭარნი, რომელნიცა იჩვენებიან მიწერილად რომლისადმი მებატონისად, ან თუ ქალაქისად, მუნვე სამეფოსა შინა დარჩეს, და დააყენოს, რათა მუნიდგან არა წარსულ იქმნას თვისისა სურვილისა-მებრ სხვისადმი, და რათა არცა გადმოსახლებულად შემძლებელ იყვნენ რუსეთსა შინა; ესრეთვე მსგავსად ამისა დაყენებულ ექმნეს, რათა გლეხნი რუსეთისანიცა არა ვიდოდენ, და ესე დაემალოსთ მათ აღთქმითა საშინელისა და ფიცხელისა დაჰსჯისათა.

ესრეთვე ვიდრე ამ დრომდე იყო საქართველოსა შინა ჩვეულება, რომელ მუნებურნი მებატონენი გლეხთათვის ჰყიდდნენ ვინ, როგორ, რაოდენსაცა ინებებდა, და ამისთვის არაკეთილ-ნებებულ იქმნებისაა, რომ ესე ვითარი მსყიდველობა აწ დაყენებულ იქმნეს, და ებრძანოსთ, რათა განყიდონ არა სხვა გვარ, არამედ ერთბამად სახლეულობით, და უძრავით მამულით თვისითა, უკეთუ აქვსთ მათ; და ეგრეთვე არა მიჰყიდოს, თუ არ ქართველთა და დიდის რუსეთის მებატონეთა, და ეგრეთვე ტყვენი, რომელთაცა თურქთა, სპარსთა და სხვათაგან ერთა საჭურველითა სახელმწიფოსათა ბრძოლასა შინა გამოხსნილ იქმნებიან, მათდამი მოიქცნენ ესრეთ, ვითარცა ეს გვარსა შემთხვევასა შინა იტყვიან რუსეთისა ტყვეთადმი; და რომელნიც ესე გვართაგან გამოხსნილ იქმნების ვისგანმე და პირველი იგი მებატონე მისი ინებებს მისა თვისადმი კვალად მიღებასა, მაშინ იგი თანამდებ იქმნების, რათა უკუნზღოს დახარჯული იგი თეთრი გამოხსნასა ზედა, და ამის წინააღმდგომსა შემთხვევასა შინა სათანადო არს, რათა დაშთეს უფლებასა ქვეშე მისსა, რომელმანცა გამოიხსნა, და ექმნეს ნება მისყიდვად ამისა სხვათადმი შინაგან სამეფოსა შინა, და არა მეზობელთა უცხო ქვეყნისა კაცთადმი.

13 (12?).

ვითარცა მეფის ძეთა და ძის-ძეთა მეფის ფამილიისათა, რომელნიცა მდგომარეობასა შინა თვისსა პირველისა მებრ დაშთებიან, ეგრეთვე თავადნი და აზნაურნი, ექმნესთ სარგებლობა ყოვლითა ამით პატივითა და ჩინებულობითა, რომლითაცა სარგებლობენ აზნაურნი რუსეთისა იმპერიისანი, და მიიღონ ეგეთივე სახელსა ზედა თვისსა გრამატა და ღირსებისათვის დიპლომი, და იმპერატორისა მსახურებასა შინა მიღებულსა ჩინისათვის პატენტი; ეგრეთვე სამღვდელოთა წესთა მქონეთა ეპარხიისა და მონასტერთა აქვნდეს იგივე პატივი, ვითარცაღა სარგებლობენ რუსეთისა სამღვდელონი ერნი.

14.

ვაჭართა, მედუქნეთა და ხელოსანთა ერთა აქვნდეს იგივე სარგებლობა კომერციასა შინა, ესე იგი სრულსა ვაჭრობასა შინა, და შემატება მოძრავითა და უძრავითა საქონლითა თვისითა თვით, რაიცაღა აქვსთ სარგებლობა მისი სხვათა ამათ იმპერიათა შინა მყოფთა; ხოლო ძველთაგან მოყვანილნი შეიწროებისაგან მტერთა მათ მეზობელთასა სიღარიბესა შინა, რომელთაცა არა მცირედი მიუღიეს შეიწრება მათგან მათ პირველსა შეხდომილებასა შორის, აემსუბუქოს რომელსამე განწესებულებასა პირის-პირ ზემოხსენებულისა მის რუსეთის მემკვიდრეთა.

15.

ყოველივე სახელმწიფონი სათხოვარნი აწინდელნი, ანთუ შემდგომნი, და ეგრეთვე სხვათა მებატონეთა გლეხთა გამოსაღებნი სხვა და სხვანი სახელმწიფოდ, თვინიერ რომელისამე საჭიროსა სახმარისა მხედრობათასა, წარუდგენთ დიდსა მონარხობასა განხილულობასა და ყოვლადმოწყალებისა მნებებელობისა ჩვენისა ხელმწიფის იმპერატორებისასა, რათა მიეცესთ თავისუფლება, რაოდენცა დროსა კეთილნებებულ იქმნების, და ესრეთვე ებრძანოსთ მებატონეთა. უნებისაებრ ყოვლისა რუსეთისა იმპერიისა ჰსჯულთა ზედა განიწესების რიცხვი მათ მხედრობათა, რომელთაგანიცა შესაძლო არს, რათა განსწავლულთა ოფიცართაგან და რიადოვისაგანთა ისწავლონ სამხედრო ეგზერციცია, და დისციპლინი; გარნა ჩვენ კადნიერ ვიქმნებით თხოვნად მისის იმპერატორების დიდებულებისაგან სახელსა ზედა ყოვლისა საქართველოსა ერთასა, რომელთაცა თვისისა ნებით შთავრდომილ ჰყვეს თავი თვისი მონებასა მას, რათა ყოვლადმოწყალებითა თავისუფლად ეგნენ იგინი, მსუბუქ გონებობისაებრ მათისა, რეკრუტისა მოკრებისაგან, და ეგრეთვე არა იხმარებოდენ იგინი მსახურებასა შინა ამას-მხარესა აქეთ კავკასიისა მთისასა, ესე იგი შვეციასა, პრუსიასა სამზღვართა ზედა, სადაცა დაუჩვეველის ერის (ჰაერის?) ძლიით თვინიერ დიდისა შრომისა იგინი მსახურებისა განგრძობად არა შემძლებელ არიან, და იხმა-

რებოდეს იგი მხედრობასი შეერთებით მათთანა, რომელნიცა იმყოფებოდენ საქართველოს შინა რუსეთის პოლკთა თანა უდიდებულესისა მსახურებასა შინა მხარესა მას წინააღდგომად ყოველთა მეზობელთა მათ მტერთა თათართა, სპარსთა და მთის ერთა, და ეგრეთვე გამოზრდათათვის შისაგან სამეფოსა პიკეტთა და ყარაულთა; და ეგრეთვე ყოვლად უმონებრივესად კადნიერ ვიქმნებით თხოვად ამისა, რომელ შემოსრულნი ამას ახლად მოკრებულსა მხედრობასა შინა თავადთა და აზნაურთა ძენი ყოვლად მოწყალებით მიღებულ იქმნენ ობერ და უნტერ ოფიცრობის ჩინით, და უკეთუ რომელიმე მეფის ფამილიისაგანი მამაკაცისა, ანუ დედათაგანისა ძენი მასვე რიცხვსა შინა მსახურებისასა მოსურნე იქმნებიან შემოსვლად და უიჭოცა ჰყოფენ ამას, მაშინ იგინი, ყოვლადმოწყალებით პატივის-ცემისათვის გვართა მათთასა, მიღებულ იქმნენ შტაბ-ოფიცრობისა ჩინითა; და მიღებისაებრ შტაბ-ობერ-უნტერ-ოფიცარნი ქართველთაგანი, რომელნიცა მხედრობასა შინა იქმნებიან მსახურად, მათ მოემატებოდეს ჩინი განწესებისაებრ იმპერიისა ამისა. ხოლო ჯარის კაცთა ყოვლად მაღლისა მონარხობითისა მოწყალებისაგან დაენიშნოს რაოდენიმე დრო მსახურებისა, რათა მათ კეთილ-ყამიერად იცოდნენ, რომელ ჰმსახურონ რა 10, ანუ 15 წელსა მისის იმპერატორების დიდებულებასა წინააღმდგომად მტერთა რუსეთისა და ქრისტიანობისა სახელისათა, ესე იგი, პირის-პირ სპარსთა, თურქთა, ლეკთა და სხვათა ესე ვითართა, შემდგომ შემძლებელ იქმნებიან, რათა მოიქცნენ სახლად თვისად, და წინაშე ერთქვეყნიერთა ერთა თვისთა თანა განადიდონ ქება მისის უმაღლესის დიდებულების მსახურებითა ერთგულებისათა, და აღავსებს მათ მონებრივისა ქვეშევრდომობითა ტახტისადმი ყოვლისა რუსეთისა; და ამით არა თუ მხოლოდ შემძლებელ იქმნებიან ჟამისაებრ, რათა განამრავლონ რიცხვი კაცთა სამხედროთა, არამედ ესე დაადგინებს მათ მხიარულებით წარსვლად, უკეთუ ებრძანების, თვით ვიდრე საზღვრამდე ინდიისა. ხოლო უკეთუ მდგომარეობა საქმისა მოითხოვს, რომელ შემდგომად მოკრებისა საქართველოს რეგულისა ჯარისა, ანუ კვალადვე თუ შემდგომად დამჭირნეობასა კვალადცა შემოკრებისა რაოდენთამე ქართველთა განუსწავლელთა ჯართასა, მაშინ შესაძლო არს, რათა მუნ მყოფმან მეფემან აუწყოს ესე ხელმწიფისა მოადგილესა და სამღვდელოთა, რათა ემსგავსონ ამას შინა დიდისა მონარხისა სიმდაბლით მოქცევასა და საზღვარ უდონ მოკრებასა მას თვისთაგან გამოსაღებთასა, და მუშაკობასა მსახურებისა მათისასა, რათა ამით მოწყალებითა მოყვანებულ იქმნენ იგინი სრულსა გლეხკაცობის მდგომარეობასა შინა.

16.

ყოველთა სასამართლოთა პირველთა და უკანასკნელთა ადგილთა შინა განმგეთა და მოხელეთა, ქართველთა და რუსთა, ღირსებისა და თანამდებობისა მათისაებრ განუწესოსთ შესაბამი ულუფა მუნ მოკრეფილისა სახელმწიფოსა შემოსავლი-

საგან, ხოლო ესრეთვე უმცირესთა მოხელეთაცა მიეცეს ულუფა მისვე შემოსავლი-
საგან, განწესებულისა სამეფოსა მისგან და განსრულთა სახელოსა მისგან, და ნე-
ბით თვისით მუნ დაშთომილთა.

17.

ვითარცა მრავალ გვარნი კნიაზნი და აზნაურთაგანი საქართველოსათა იმყო-
ფებოდენ აქამდე მსახურებასა შინა კართა ზედა მეფისათა და სხვათაცა ადგილსა
შინა სამეფოთასა, და აქვნდათ სხვა და სხვანი ადგილნი სამოხელონი, რომლითაცა
სარგებლობენ თანამდებობითა პატივითა, და მსახურებდენ მეფესა და ქვეყანასა
თვისსა გულსმოდგინებით და ერთგულობით, ამისთვის, უკეთუ მათგანთა რო-
მელთა აწ მოხუცებისა გამო წელთასა, და ანუ სხვათარე მიზეზითა, კვალადცა მსა-
ხურებასა შინა არა ინებონ შესვლა, არა კეთილნებებულ იქმნებისა, რათა პატივე-
ეცესთ პირველთა მათთა მსახურებათა და მოხუცებულებასა, და რათა დაშთენ პირ-
ველსავე მას პატივსა შინა, და მიეცესთ მათ პატივი თანადსწორად მათ თავადთა
და აზნაურთადმი, რომელნიცა დიდებულებისა მისის იმპერატორების მსახურე-
ბასა შინა იმყოფებიან.

18.

მოყვანებისათვის მყოფთა მუნ უშიშოებისა მდგომარეობასა შინა პირველ
საქმედ ვრაცხავთ ამას, რათა მივიღოთ სახმარი განთხილებ მეზობელთა მათ ჭა-
რელთაგან, რომელნიცა შთამამავლობით თვისით არიან ძველნი კახეთისაგანნი, და
ადგილი იგი, რომელთაცა ზედა დაშენებულ არს, აწცა კახეთისაა, გარნა მათ შეუ-
რაცხ-ჰყვეს სჯული ქრისტიანობისა, და ემორჩილებიან მახმადის სჯულსა, და
საშუალ მათსა არს დასახლებულნი ლეკნიცა. ესე ერნი არცაღა მცირედ არიან სა-
შიში და არც რიცხვითა არიან უმეტეს სამი ათასიდგან ვიდრე ოთხი ათა-
სადმდე, გარნა ვნება მათგან არს ესე, პირველისა-მებრ, რომელ კახეთსა ზედა
არიან დიდად მახლობელ და ცხოვრებენ პირის-პირ თვით კახეთისა სამთვლობე-
ლოსა ქალაქისა ქისიყისა, და საშუალ მათსა არს მდინარე ალაზანი, რომელსაცა
შინა გამოდიან ცხენიანნი და ქვეითნი, მარადის მდგომარეობენ ერთი მეორისა-
გან ქვეითისაგან ერთის დღის სავალსა, და ადგილსა მას შინა თვინიერ მოხსენე-
ბულისა მის წყლისა არა რომელიმე მთა და ბოცვი არ იპოვების ესრეთ, რომელ
თვით მძიმითა ურმითა მსუბუქად შეიძლების სვლა. ესე ჭარელნი არიან ესრეთნი
რა, იყონ (?) საშინელ საქართველოსათვის, არამედ წარმოდგომილ არიან შესავედრე-
ბელად და სადგურად ყოველთა ლეკთა ავაზაკთა, და თვით ომარხან ჭავარისასც
ესრეთ, რომელ ოდესცა იგინი განიზრახვენ მორბევასა საქართველოსა მიწათასა,
მაშინ მოიწევიან ჭარელთადმი და მიიღებენ თვისადმი მოსყიდვით მათგან საგუ-
ძალთა, და ყოველივე სახმართთა ნივთთა, და თვით მათცა თვისთან შეიერთებენ,
და ამით განიმრავლებენ ჯართა თვისთა, და წარიყვანენ მათგან გზის-მცოდნეთა,

და ყველა უზდენთა, რომელთაცა, მახლობლად მოსახლეობითა უწყიან, სადა, ანუ თუ რომელსაცა ადგილსა სცხოვრებენ ქართველნი, გაუფრთხილებლად და მოულოდებლად თავ-დასხმისა მის მტერთასა; და ესე არა უცნაურ არს, რომელ უკანასკნელი იგი შემოსვლა ომარხანისა საქართველოსა შინა იყო იმათზედ გამოვლით, და მხედრობაცა მათი იყო მასთან. ესე თვით მცირე სამყოფი ჭარელთა მოქმედებს უმეტეს ამასცა, რომელ შემწყნარებლობს ორგულთა ქართველთა, სამართლით სასიკვდინოდ დასასჯელთა და სხვათაცა; და ეგრეთვე ყოველნი იგი ლეკნი, რომელნიცა წარმოვლენ საქართველოსა შინა მორბევისა და აოხრებისათვის ოსმალოს მხარედგან, მაშინ იგინი პირველ მოიწევიან ჭარელთადმი და მუნითგან სწორედ მივლენ ახალციხეს.

19.

ხსნისათვის ამის სუსტისა და უპატიოსა ერისაგან ვითხოვთ ყოვლადმოწყალისაგან, რათა მოგვეცეს ნება ჩვენ, რომელ წარვიდეთ სამკვიდროსა შინა მათთა და ავყაროთ იგინი, და დავჰყოთ სხვათა და სხვათა შინა ადგილთა საქართველოსა მოსახლეთა შორის; და რწმუნებულ-ვჰყოფთ, რომელ შეერთებით ერთად უძლეველთა იმისის იმპერატორების მხედრობათა თანა ამას აღვასრულებთ მსუბუქად, დროსა ზამთრისასა, და ადგილთა მათთა დავასახლებთ ქრისტიანებთა, ნებით თვისით მოსურნეთა, რომელთაგანიცა თვინიერ იჭვისა მოიპოვების მრავალნი მოსურნენი, ამის მიზეზისათვის, რომელ ადგილი იგი არს ნაყოფიერ, სადაცა მოდის პური მრავალ გვარი და უმჯობესი სხვათაგან, და ბრინჯი, და ესრეთვე ხილი, და აბრეშუმის ხე, რომლისაგანაც ხელოსანი საკმაონი რიცხვით აკეთებენ აბრეშუმსა; და ესეცა შესაძლო არს, რათა თვით მათ ჭარელთა აღვირ-ესხათ და დაწყნარებულ იქმნენ, გარნა ვინაიდგან დიდი ხნიდგან შთაცვივდენ მახმადის ჰსჯულსა შინა, ამისთვის ვრაცხთ უმჯობეს, ვითარცა ზემო ვსთქვით, რათა განიყვნენ სხვა და სხვათა შინა ადგილთა, რომელ ვნება რაიმე მათგან ყოფად შესაძლო არა იყოს. არა არს იჭვი ამას შინა, რომელ ოდესცა მიიწევის მათადმი ზამთარისა დროსა შინა რუსეთისა და საქართველოსა მხედრობა, რაოდენიც წარივლინების კეთილ-განსჯისამებრ, მაშინ იგი ყოველივე და თვით უპირატესნიცა მათნი არა დაუტევებენ ამას, რომელ არა ჰყონ აღთქმა ფიცისა, ამისთვის რომელ იქმნენ იგინი მონად ქართველთა, უკეთუ მხოლოდ მიეცესთ მათ ნება, რათა დაშთენ იგინი ადგილთა შინა თვისთა; გარნა ესე პირობა, რომელიცა არა ერთგზის მათგან ქმნილ-არს, არამედ დიახ მცირედ აღუსრულებიათ, და უფროსღა ყოველთათვის გარდახდომილან, რჩევისამებრ ზემოთქმულთა მეზობელთასა თურქთასა, და ამისთვის, ვითარცა არა მისანდობელთა, არს საჭირო, რათა გამოყვანილ იქმნენ და დაესახლენ სხვა და სხვასა შინა ადგილსა; ხოლო რომელნიმე უმეტესნი მათ ერთა კეთილ-ნებებულ იქმნეს წარმოგზავნად უმაღლესისა კარისადმი, ესრეთ რომელ გამოვლონ მათ მოზდოკსა და ყიზლარსა ზედა, და განიხილონ მდებარენი იგი

ადგილნი, და, უკეთუ მოუწოდოსთ მათ იგი, ერით თვისით დასახლენ მუნ; და ამასზედა, უკეთუ თანახმა იქმნებიან იგინი, ჩვენ, ვითარცა მონანი იმისის იმპერატორების დიდებულებისანი, ნოტსა ამას ვჰყოფთ მოხსენებასა, რომელ შემძლებელ იქმნებიან ფრიად მცირესა ჟამსა, რათა ჰქმნან კეთილი ზაოდი აბრეშუმისა, ვინაიდგან ერი ესე ამის საქმისადმი უფროსღა გამოსადეგი არიან, ვიდრელა სხვანი.

20.

ხოლო ჩვენ, ვითარცა ახლად შემოსრულნი დიდისა იმისის იმპერატორებოთის დიდებულებისა მონებასა შინა, შესაძლო არს, რომელ უცნობელობითა რუსეთისა განწესებულებისა და ჩვეულებისათა, საკუთრად ქვეშევრდომობითა ჩვენითა ვსთქვით რაიმე ნამეტნავი და უშესაბამო, ამას ყოვლად უმორჩილესად ვითხოვთ შთამომავლობათა (?) ჩვენის დიდისა ხელმწიფისა იმპერატორისაგან, რათა მოგვიტეოს ჩვენ, მისთა სარწმუნოთა მონათა, რომელნიც შემოსრულნი აღსრულებასა შინა ყოვლადმოწყალებითი აღთქმულისა მმართველობისა უდიდებულესისა ჰსჯულოთა ყოვლითურთ ვრაცხთ საქმედ, რათა ვაჩვენოთ მოსწრაფებბა ჩვენი თვით საქმით. ხოლო პირველსა ამას შეხდომილებასა შინა არავისგან არს შესაძლო ყოვლივე განრჩევით გამოცხადებად, და უფროსღა ჩვენგან თქმად, თუ ვითარ არს სარგებლობა სახელმწიფოჲსა, და ესე გვარივე ყოველთათვის სახმართა სამეფოსა საქართველოსათა აწ ქვეშე კურთხეულისა იმისის იმპერატორების დიდებულების მპყრობელობისა შეერთებული იმპერიასთან ყოვლისა რუსეთისა. ხოლო ოდეს მივიწევით ადგილთა მათ მისის დიდებულების კარისაგან წარმოგზავნილითურთ, მაშინ უცილებლად ნაკლულევანებას ჩვენგან მოხსენებულთასა შევასრულებთ, დაშთომილისა მუნ ნამესნიკისა, ანუ მეფისათა რუსეთისა უფროსად მყოფისადმი არა დაუტევებთ ყოველთა მათ ნაკლულევანებათა, ვინადგან, მყოფნი ადგილთა მათშინა, უფროს სუბუქად შესაძლო არს დანიშვნად მისიცა, რაიცა იქმნების ნაკლულევანება, და სხვებრ ვითხოვთ, რათა ყოველივე ესე ღირს იქმნეს მაღლისა მონარხობისა მისის იმპერატორობითის დიდებულებისაგან კეთილ-განხილვისა.

